





მესტრატისვისული გადაკვეთები

პოლიტიკა, ეკოლოგია და სოციალური ველი

თარგმანების კრებული



ექსტრაქტივისტული გადაკვეთები
პოლიტიკა, ეკოლოგია და სოციალური ველი
(თარგმანების კრებული)

2020

თარგმანების კრებული მომზადებულია პროექტის „სამთო-მოპოვებითი ინდუსტრიები და მათი სოციო-ეკოლოგიური ასპექტები“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისი მხარდაჭერით. სტატიებში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლებელია არ გამოხატავდეს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის შეხედულებებს.

ტექსტების შერჩევაზე მუშაობდნენ: თამარ ქებურია, ვლადიმირ სვიბენევი
პროექტის ხელმძღვანელი: თამარ ქებურია
გარეკანის დიზაინერი: სალომე ლაცაბიძე
ილუსტრაციის ავტორი: ნინო კვაჭაძე (Kvachi Kintsune)

ონლაინ გამოცემა

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) ნერილობითი ნებართვის გარეშე.

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 032 2 23 37 06
www.emc.org.ge
info@emc.org.ge
<https://www.facebook.com/EMCRIGHTS/>

სარჩევი

შესავალი 6

I ნაწილი – ექსტრაქტივიზმის პოლიტი-ეკონომიური და გლობალური განზომილება

ალბერტო აკოსტა – ექსტრაქტივიზმი და ნეოექსტრაქტივიზმი:
ერთი და იმავე წყველის ორი მხარე..... 16

ანა ზალივი და სონია კილორანმაკვიბინი –
მომპოვებლურ/მწარმოებლური დიქტომიის გადააზრება
ნეოლიბერალიზმის პირობებში..... 54

II ნაწილი – კაპიტალის დაგროვების სოციალური და ეკოლოგიური ეფექტები

კრისტინა მარტინეს-ფერნანდესი – კუმშვადი ქალაქები:
გლობალიზაციის ურბანული გამოწვევები..... 85

ტომ პერო – ჩამორთმევა დაგროვებით? სამთო მრეწველობა, წყალი
და კონცესიის თავისებურება ბოლივიის ალტიპლანოში 115

III ნაწილი – რესურსებზე დამოკიდებულების გადააზრება და ალტერნატიული მიდგომები

რეი ჰადსონი – მედევი რეგიონები არასტაბილურ სამყაროში
– ოცნება თუ რეალობა? 157

რაფაელ ჰეფრონი – რა არის „სამართლიანი ტრანზიცია“? 194

შესავალი

რას გულისხმობს ექსტრაქტივისტული ოპერაციები და რა ნაკვალევს ტოვებს ის სოციალურ თუ ეკოლოგიურ გარემოზე? როგორ ყალიბდება განსხვავებული ექსტრაქტივისტული რეჟიმები მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში და რა როლს თამაშობს ამ რეჟიმების ფორმირებაში პოლიტიკური თუ იდეოლოგიური ხედვები? რატომ არიან ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ქვეყნები (მათ შორის ლათინური ამერიკის, აზიის თუ აფრიკის ქვეყნები) „ჩამორჩენილი“ და რატომ ვერ „დანინაურდნენ“ ეს ქვეყნები ეკონომიკურად? რას მოიპოვებს ექსტრაქტივისტულ თუ განვითარების კრიტიკულ ლიტერატურაში ხშირად გამოყენებული ცნებები – „რესურსების წყევლა“, „ჰოლანდიური დაავადება“, „სამართლიანი ტრანზიცია“, „ურბანული კუმშვა“ თუ სხვა ანალიტიკური ცნებები, და როგორ ხსნიან ისინი გლობალურად მიმდინარე პოლიტ-ეკონომიურ პროცესებს? ეს და სხვა არაერთი კითხვა გახდა იმის წინაპირობა, რომ შედგენილიყო აკადემიური და კვლევაზე დაფუძნებული ტექსტების კრებული, რომელიც საერთაშორისო დონეზე მიმდინარე დებატებს, ცნებებს თუ თეორიულ მიდგომებს გადმოთარგმნიდა ქართულ ენაზე და ხელმისაწვდომს გახდიდა თემით დაინტერესებული სტუდენტებისთვის, მკვლევარებისთვის თუ აკადემიური პერსონალისთვის. თარგმანების კრებულზე მუშაობის დაწყებისას, ქართულ ენაზე არ მოიპოვებოდა აკადემიური თუ კვლევითი ტექსტები, რომელიც ეკოლოგიურ, სოციალურ და ეკონომიკურ განზომილებებს ერთმანეთთან გადაკვეთაში დაინახავდნენ და სწორედ ამ პერსპექტივიდან ისაუბრებდნენ სამთო-მოპოვებასთან დაკავშირებულ სოციალურ, ეკოლოგიურ თუ ეკონომიკურ თემებს ეხებოდა.

მნიშვნელოვანი, რელევანტური და ანგარიშგასაწევი აკადემიური ნაშრომი იმაზე მეტი აღმოჩნდა, ვიდრე მის თარგმნას ჩვენს ხელთ არსებული რესურსი ეყოფოდა. ამიტომაც ტექსტების შერჩევისას შევიმუშავეთ გარკვეული კრიტერიუმები. ერთი მხრივ, ტექსტს, რომელიც მოხვდებოდა კრებულში უნდა ჰქონოდა ‘წარმომადგენლობითი’ ხასი-

ათი და მასში თავმოყრილი უნდა ყოფილიყო განსახილველ თემასთან დაკავშირებული ფუნდამენტური და უახლესი მსჯელობები თუ თეორიული დებატები, ხოლო მეორეს მხრივ მას ამომწურავად უნდა გაეცა პასუხი დასმული პრობლემისთვის და შემოეთავაზებინა კონკრეტულ შემთხვევებზე თუ გამოწვევებზე დაფუძნებული პრაქტიკული ანალიზი. გარდა ამისა, ჩვენთვის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენდა, რომ შერჩეული თარგმანებში წამოჭრილი საკითხები რელევანტური ყოფილიყო ქართული რეალობისა და კონტექსტისთვის, და თუ პირდაპირ არა, ირიბად მაინც მიენიშნებინა მკითხველისთვის სად უნდა ეძებოს პასუხები ან რა მეთოდოლოგიით თუ ამხსნელებით უნდა მიუდგეს აქ არსებულ გამოწვევებს. ბოლოს კი, თარგმანების კრებულის შედგენისას მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა ისიც, რომ კრებულს მოეცვა ექსტრაექტივიზმის თემასთან დაკავშირებული ცენტრალური საკითხები და მეტ-ნაკლებად ამოეცხო ის დიობები, რაც ქართულ აკადემიურ თუ კვლევით სფეროს გააჩნია.

ხანგრძლივი მუშაობის შედეგად შედგენილ თარგმანების კრებულს შესაძლოა კვლავ უამრავი შეზღუდვა გააჩნდეს, ამიტომაც მნიშვნელოვანია, რომ აქ თავმოყრილი ტექსტები მკითხველმა კრიტიკულად განიხილოს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება თითოეული თარგმანის დასაწყისში თანდართული სინთეზური შესავალი, რომლებიც ერთი მხრივ შერჩეულ თარგმანების ტექსტებს ქართული რეალობიდან კითხულობენ და განიხილავენ, ხოლო მეორეს მხრივ მათ კრიტიკულ კითხვებსაც უსვამენ. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ დასავლურ აკადემიაში ფართოდ დამკვიდრებული და შესწავლილი ცნებები თუ თეორიები ქართულ ენას შესაძლოა არც ისე ორგანულად ერწყმოდეს, რაც შესაძლოა მათ გაგებას მკითხველისთვის კიდევ უფრო ართულდებდეს. სირთულეს წარმოადგენდა თავად თემატიკის სპეციფიკა და მისი მრავალგანზომილებიანობაც. მიუხედავად იმისა, რომ ექსტრაექტივისტული ქოლგა იტევს საკითხების, დისკუსიების თუ სააზროვნო სკოლების ფართო სპექტრს, მისი ინტერდისციპლინარულობა შესაძლოა სისუსტედ და საკითხებში ჩაღრმავების ან ზედაპირზე დარჩენის რისკად იქნეს წაკითხული. თუმცა აქ გასათვალისწინებელია, რომ მოცემული კრებულის ფუნქციას არ წარმოადგენს ექსტრაექტივისტულ, სამთო-მოპოვებით, ინდუსტრიულ, პოლიტ-ეკონომიურ თუ ეკო-

ლოგიურ დისციპლინებში ძირითადი საკითხავის ან სახელმძღვანელო ლიტერატურის მონიშვნა. არამედ ის უფრო მეტად დამხმარე საკითხავია, რაც დაინტერესებულ პირებს სააზროვნო ჰორიზონტების გაფართოებაში, ახალი კითხვების დასმაში და კლიმატის ცვლილებაზე, გარემოს გარდაქმნაზე, სოციალურ საკითხებსა თუ სხვა მომიჯნავე თემებზე უახლესი თეორიული წარმოდგენების შექმნაში დაეხმარება.

კრებულის სტრუქტურა მის მიზნებსა და ამოცანებს ეხმაურება. კრებულში სულ ექვსი თარგმანია შესული, ხოლო თითოეულ მათგანს გააჩნია წანამძღვარი სინთეზური შესავლის სახით. სინთეზური შესავლის მომზადებაზე იმ მკვლევარებმა იმუშავეს, რომლებიც შემდგომ ამ თარგმანებში მოცემულ ცნებებზე თუ თეორიულ მსჯელობაზე დაყრდნობით ცდილობდნენ შეესწავლათ საქართველოში წარმოდგენილი სამთო-მოპოვებითი თუ ექსტრაქტივისტული ინდუსტრია და მასთან დაკავშირებული პოლიტიკური, ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი საკითხები. კრებული დაყოფილია სამ ძირითად ნაწილად – პირველი ნაწილი ექსტრაქტივიზმის პოლიტიკონომიურ და გლობალურ განზომილებებს განიხილავს, სადაც ექსტრაქტივისტულ, ნეოექსტრაქტივისტულ და მომპოვებლურ-მწარმოებლური რეჟიმები და მიდგომებია განხილული ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ სოციალური მონყობის შუქ-ჩრდილებზე; ამას მოსდევს მეორე ნაწილი, რომელსაც ექსტრაქტივისტული ინდუსტრიის სოციალური და ეკოლოგიური განზომილებები შემოაქვს, სადაც საუბარია ექსტრაქტივისტული ოპერაციების, კაპიტალის დაგროვების თუ ადგილობრივთა ბაზისური უფლებების ჩამორთმევის და უგულვებელყოფის პრაქტიკებზე. ბოლოს კი, მესამე ნაწილში, თავმოყრილია ექსტრაქტივისტული მიდგომების და მის უკან მდგარი კაპიტალის დაგროვების, გარემოზე ზიანის მიყენების თუ ჩამორთმევის ბრუტალური პრაქტიკების გადააზრების, მასთან წინააღმდეგობაში შესვლის და ახალი ალტერნატიული მიდგომების გაჩენის შესაძლებლობები.

იმედი გვაქვს, რომ კრებულში შესული ტექსტები და მათი წანამძღვრები საინტერესო საკითხავი იქნება არა მხოლოდ გარემოს, ბუნებრივი რესურსების, ექსტრაქტივიზმის თუ ეკოლოგიის საკითხებით დაინტერესებული მკითხველისთვის, არამედ ის მნიშვნელოვანი ინტელექტუალური 'საკვები' იქნება მკითხველთა ფართო აუდიტორიისთვისაც, რომლებიც

ინტერესდებიან აკადემიურ ან ნახევრად-აკადემიური ნაშრომებით, აინტერესებთ მემარცხენე აზრის ისტორია, ინტერესდებიან ანთროპოლოგიის, სოციოლოგიის, ურბანისტიკის თუ სოციალური გეოგრაფიის სწავლებებით და მზად არიან იაზროვნონ კრიტიკულად, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ობიექტურ მოცემულობად სახელდებული თემები და დაინტერესდნენ ახალი პერსპექტივებითა თუ რეფლექსიებით.

ინაწილი
ექსტრაქტივიზმის
პოლიტი-ეკონომიური და
გლობალური განზომილება

სინთეზური შესავალი

ექსტრაქტივიზმი და ნეოექსტრაქტივიზმი: ერთი და იმავე წყევლის ორი მხარე

ტატო ხუნდაძე

ალისა ეკითხება კატას, თუ რომელი გზით უნდა წავიდეს. კატის პასუხი ლოგიკურია: „გააჩნია, სად გინდა რომ მოხვდე“. ალისამ არ იცის საით მიდის, ამიტომაც ბუნებრივია მისთვის მნიშვნელობა არა აქვს თუ რომელ გზას აირჩევს. ლუის კეროლის მიერ დასმული პრობლემა, არ შემოიფარგლება მხოლოდ ინდივიდთა ქცევების დილემურობით, ეს პასაჟი კარგად გამოსახავს ბროუნის მოძრაობის მსგავს ქაოსურ მოძრაობას, რომელიც ახასიათებს განვითარებად ქვეყნებს. თუმცა, ქაოსშიც არსებობს გარკვეული მონესრიგებულობა, რომელიც ზღვრებს უწესებს მოქმედებათა ერთობლიობას. სწორედ ამ საზღვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს ასახავს ალბერტო აკოსტას სტატია „ექსტრაქტივიზმი და ნეოექსტრაქტივიზმი, ერთი და იმავე წყევლის ორი მხარე“. შემთხვევითი არ არის რომ აკოსტამ ლუის კეროლის („ალისა საოცრებათა ქვეყანაში“) ეს სიტყვები წაუმძღვარა საკუთარ სტატიას.¹

კითხვები, რომელსაც ის ამ სტატიაში სვამს ცხადია მას არ ეკუთვნის. ეს კითხვები საკმაოდ ძველია. რატომ ვრჩებით სიღარიბეში, მაშინ როცა სხვები მდიდრდებიან? ეს კითხვა ხომ ჯერ კიდევ ანტონიო სერას და შემდეგ ადამ სმიტს აწუხებდათ, როცა ისინი სხვადასხვა დროს იკვლევდნენ ხალხთა სიმდიდრისა და სიღარიბის მიზეზებს. თუმცა, თანამედროვე კაპიტალისტურ სისტემაში, ყველაზე მძაფრად სახელმწიფოთა დონეზე (და არა მხოლოდ კლასობრივ დონეზე), ეს საკითხი დასმულია ე.წ. დამოკიდებულების თეორიაში (dependecia school), რომელიც ჯერ კიდევ 1950-იან წლებში იღებს სათავეს. ამ თეორიის სათავეებთან იდგნენ ისეთი

1 Alberto Acosta, „Extractivism and neoextractivism: two sides of the same curse“, in *Beyond Development Alternative visions from Latin America*, ed. Imre Szűcs (Transnational Institute), 61.

გამორჩეული მეცნიერები, როგორცაა რაულ პრებიში და ჰანს ზინგერი, რომელთაც ეკუთვნით ე.წ. პრებიშ-ზინგერის სინთეზი. პრებიშ-ზინგერის სინთეზი გვეუბნება, რომ მსოფლიო სისტემაში, არსებობს წინასწარ განსაზღვრული ურთიერთმიმართება. ეს ურთიერთმიმართება, აყალიბებს ვაჭრობის იმგვარ პირობებს (terms of trade), რომლებიც ტოვებენ მდიდარ ქვეყნებს მუდმივად მდიდრებად, და ღარიბებს, ღარიბებად. ღარიბი ქვეყნებიდან მდიდარ ქვეყნებში გაედინება ნედლეული, ხოლო მდიდარი ქვეყნები ღარიბ ქვეყნებზე ყიდნიან სამრეწველო (მეტწილად მაღალტექნოლოგიურ ნაწარმს). დროთა განმავლობაში, ვაჭრობის პირობები უარესდება და ღარიბი ქვეყნები სულ უფრო ნაკლებ სამრეწველო პროდუქციას იძენენ, მათ მიერ მოპოვებული, ნედლეულის სანაცვლოდ.²

ალბერტო აკოსტა, სტატიაში „ექსტრაქტივიზმი და ნეოექსტრაქტივიზმი, ერთი და იმავე წყველის ორი მხარე“ განიხილავს ეკონომიკური განვითარების სწორედ ამგვარ მოდელს, რასაც ესტრაქტივიზმს უწოდებს. ექსტრაქტივისტული, იგივე მომპოვებლური განვითარების მოდელი, აკოსტას მიხედვით, არის ბუნებრივ წიაღისეულზე დამოკიდებული ეკონომიკა, რომელიც კვლავწარმოებას ახდენს ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციით და შემდეგ მიღებული პროდუქციის საზღვარგარეთ გაყიდვით. ავტორი ექსტრაქტივისტული ეკონომიკური მოდელის იდეალურ ტიპს შემდეგ სამ მდგენელს უკავშირებს: პირველი, რესურსების (მათ შორის შეიძლება იყოს როგორც ბუნებრივი წიაღისეული, ასევე სასოფლო-სამეურნეო ნედლეული) მოპოვება; მეორე, ამ წიაღისეულის დაუმუშავებელი (ან მცირედ დამუშავებული) სახით საზღვარგარეთ გატანა; და მესამე, ამ პროცესში მეტწილად უცხოური კომპანიების დომინანტური როლი. აღსანიშნავია, რომ ექსტრაქტივიზმი არ არის თანამედროვე მოვლენა და სამხრეთ ამერიკაში ის ჯერ კიდევ 500 წლის წინ იღებს სათავეს. შეიძლება ითქვას, ექსტრაქტივისტული ეკონომიკური მოდელის ჩამოყალიბება, კაპიტალისტური წარმოების წესის აღმოცენების პარალელურად წარიმართებოდა.

აკოსტა გვთავაზობს ზოგად სურათს, თუ რა ტიპის ეკონომიკურ მოდელს ავითარებს ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებული ქვეყნები. ექსტრაქტივიზმი არსობრივად იმპერიალიზმის კომპონენტია. მდიდარი ქვეყ-

2 Dialogues on Development, ed. Ushehwedu Kufakurinani, <https://www.ineteconomics.org/uploads/downloads/Dependency-theory-e-book-online.pdf>

ნები ნედლეულს ეზიდებიან ღარიბი ქვეყნებიდან, სანაცვლოდ კი ღარიბ ქვეყნებში ყიდიან მაღალტექნოლოგიურ ნაწარმს. მაღალტექნოლოგიური სამრეწველო პროდუქცია გამოირჩევა მზარდი უკუგებით მასშტაბზე, მაშინ როცა ნედლეულის წარმოებას ახასიათებს კლებადი უკუგება. ამას ემატება ისიც, რომ მაღალტექნოლოგიური წარმოება ქმნის მაღალ ხელფასებს, ხოლო ნედლეულის მოპოვება დაბალკვალიფიციურ და დაბალანაზღაურებად სამსახურებს. ანუ გამოდის რომ ნედლეულის მომპოვებელი ქვეყნები სპეციალიზირებულნი არიან სიღარიბეზე. ამასთან ექსტრაქტივიზმი თავის თავში მოიაზრებს ეკონომიკის დივერსიფიკაციის დაბალ დონეს, რაც თავის მხრივ კაპიტალისტური ციკლების პარალელურად იწვევს ეკონომიკის და კონკრეტულად შემოსავლების მწვავე ფლუქტუაციებს. ამგვარ ფლუქტუაციებს ხელს უწყობს ის ფაქტი, რომ ნედლეულის ბაზარი არის მიახლოებული სრულყოფილ კონკურენციასთან (განსხვავებით მაღალტექნოლოგიური პროდუქტების ბაზრებიდან, რომელიც მეტწილად ოლიგოპოლიურია). აკოსტა ამტკიცებს რომ OPEC-ი არის ერთადერთი (წიაღისეულის მოპოვების მხრივ) გამონაკლისი ფასების კოორდინაციის მხრივ, რაც თავის მხრივ ამტკიცებს ზემოთ მოყვანილი კანონზომიერების ვალიდურობას. არაკოორდინირებული ფასები თავის მხრივ საფუძველს უქმნის ფლუქტუაციებით გამოწვეულ ზიანს.

ერთ-ერთი ასეთი ზიანი არის სამხრეთ ამერიკაში ექსტრაქტივიზმზე დამყარებული ეკონომიკების ვალების ეკონომიკად ქცევაა. როცა ნედლეულზე ფასები იზრდება, ქვეყანაში შემოდის დიდი რაოდენობით ფინანსური კაპიტალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახითაც და ასევე ჩნდება ფინანსიალიზაციის პროცესი. ნედლეულზე ფასების ზრდის პარალელურად იზრდება ნედლეულის მწარმოებელი კომპანიების დაკრედიტება და ჩნდება სპეკულაციური ბუშტები. ეს ბუშტები გათვლილია იმ ფსონზე, რომელიც ამბობს რომ ამ თუ იმ ნედლეულზე ფასები იქნება მუდმივად მზარდი. შესაბამისად, როცა ფასები ეცემა და კომპანიების მომგებიანობაც მცირდება, იწყება ფინანსური კაპიტალის გადინება. აკოსტა ამტკიცებს, რომ სწორედ ეს იწვევს შემდგომში, ექსტრაქტივიზმზე დამყარებულ სამხრეთ ამერიკულ ქვეყნებში, მიმდინარე ანგარიშების და ფისკალური დეფიციტების პრობლემებს.

აკოსტა ასევე ყურადღებას ამახვილებს ნეოექსტრაქტივიზმზე, რომელიც ზემოთ აღწერილი ექსტრაქტივიზმის თანამედროვე ფორმაა. აქ მხოლოდ

ერთი განსხვავება შეიძლება დავინახოთ, ეს არის მფლობელობის ფორმა: ნეო-ექსტრაქტივიზმის პირობებში არა უცხოური კომპანია, არამედ ადგილობრივი მთავრობები ეწვეიან კაპიტალის აკუმულაციას ნედლეულის მოპოვების გზით. თუმცა, აკოსტა სხვა ავტორებზე დაყრდნობით, ამტკიცებს რომ ექსტრაქტივიზმი და ნეოექსტრაქტივიზმი არსობრივად ერთმანეთისგან არ განსხვავდება, რადგან ორივე შემთხვევაში ხდება ბუნებრივი და ადამიანური რესურსების მაქსიმალური ექსპლუატაცია. გარკვეულწილად, ნეოექსტრაქტივიზმის პირობებში, ნედლეულის გაყიდვით მიღებულ შესამოსავლებს მთავრობები უფრო სამართლიანად ანაწილებენ საზოგადოებაზე. ამის მაგალითად, მას მოჰყავს ჰუგო ჩავესის მმართველობა ვენესუელაში. ჩავესის მმართველობის პერიოდში, მართლაც ხდებოდა რესურსებიდან მიღებული შემოსავლების ხარჯვა, საჯარო განათლებაზე, ჯანდაცვაზე და საზოგადოებრივ ინფრასტრუქტურაზე. თუმცა, ეკონომიკური სიღარიბის კვლავწარმოების ჯაჭვი კვლავ უცვლელი რჩებოდა, როგორც ვენესუელაში, ასევე სხვა ნეო-ექსტრაქტივისტულ სახელმწიფოებში: დამატებით მიღებული თანხები იხარჯებოდა არა ახალი პროდუქტიული დარგების შექმნაში, არამედ მიმდინარე ხარჯების დაფარვაზე.

აკოსტა სწორად აღნიშნავს სტატიაში, რომ ნეოექსტრაქტივიზმი არათუ განიცდის მარცხს პროდუქტიული დარგების შექმნის მხრივ, არამედ წარმოქმნის არადემოკრატიული რეჟიმების განმტკიცების რისკებს. ნედლეულის გაყიდვით მიღებული რესურსები მიემართება არსებული რეჟიმების განმტკიცებისთვის. ამ შემთხვევაშიც სახეზე გვაქვს კაპიტალისტური ციკლების ზეგავლენა. როცა ნედლეულზე ფასები მაღალია, ეს აყალიბებს მოხმარების კონსიუმერისტულ სტრუქტურას. ეკონომისტებისთვის კარგად არის ცნობილი რომ მოხმარებას არ ახასიათებს ფლუქტუაცია და ადამიანი ცდილობს შეინარჩუნოს მოხმარების დონე, მაშინაც კი როცა კრიზისის გამო მისი შემოსავლები მცირდება. მოხმარების დონის შესანარჩუნებლად, კლებადი შემოსავლების პირობებში, გამოიყენება ვალი, როგორც კერძო ასევე სახელმწიფო დონეზეც. როცა ნედლეულზე ფასები მცირდება, ლათინური ამერიკის ქვეყნები იძულებულნი იყვნენ აეღოთ ვალები სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტებისგან, რასაც მოჰყვა ჭარბვალიანობა და შემდგომში ვალების კრიზისი ლათინური ამერიკის არაერთ ქვეყანაში. ლათინური ამერიკის ქვეყნებში, ხშირად იმიტომ იღებდნენ

ვალს, რომ შეენარჩუნებინათ მოხმარების პრე-კრიზისამდელი დონეები, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს მთავრობები დაკარგავდნენ ლეგიტიმაციას.

რა შეიძლება საქართველომ ისწავლოს ექსტრაქტივიზმისა თუ ნეოექსტრაქტივიზმის კრიტიკიდან? არასწორი იქნებოდა იმის თქმა, რომ საქართველო არის მდიდარი ბუნებრივი წიაღისეულით (მოცულობის მხრივ). თუმცა თუ დავაკვირდებით, საქართველოს საექსპორტო კალათას დინამიურ ჭრილში, დავინახავთ რომ მეტწილად დომინირებს სპილენძის მადნები და ფეროშენადნობები (ეს შეიძლება ჩაითვალოს ექსტრაქტივისტულ საქმიანობად, ნედლეულის მცირე დამუშავების გამო), რაც მაგალითად 2018 წელს მთლიანი ექსპორტის 25.6%-ს შეადგენდა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი, ქართულ საექსპორტო კალათაზე დასაკვირვებლად არის, ექსპორტის სირთულე (export sophistication). საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანგარიშები ადასტურებს რომ საქართველოს საექსპორტო კალათა მეტწილად ნაკლები სირთულის მქონე პროდუქტებითაა შევსებული.³ ანუ საქართველო კონცენტრირებულია ისეთ ეკონომიკურ აქტივობებზე, რომელიც წარმოშობს მცირე დამატებით ღირებულებას და საჭიროებს დაბალ კვალიფიციურ კადრებს (რაც ისახება დაბალი ხეფლასების სახით). აკოსტას ტერმინი რომ გამოვიყენოთ, საქართველო არ არის რესურსებით მდიდარი „დაწყველილი“ ქვეყანა, მაგრამ იგი „დაწყველილია“ არსობრივად სიღარიბის მსგავსი მიზეზის და გამო: ნაკლები სირთულის პროდუქტების და ნედლეულის მანარმოებელი ეკონომიკის არსებობით. ამიტომაც, საქართველომ ყურად უნდა იღოს აკოსტას და ექსტრაქტივიზმის სხვა თეორეტიკოსების რჩევები, რომლებიც გვასწავლიან რომ ეკონომიკური აქტივობების მაღალ საფეხურზე აყვანისა და სირთულის გაზრდის

3 IMF, Georgia : Third Review Under the Extended Fund Facility Arrangement, 2018, <https://www.imf.org/en/Publications/CR/Issues/2018/12/19/Georgia-Third-Review-Under-the-Extended-Fund-Facility-Arrangement-Press-Release-Staff-Report-46484>

ექსტრაქტივიზმი და ნეოექსტრაქტივიზმი: ერთი და იმავე წყევლის ორი მხარე

ავტორი: ალბერტო აკოსტა

მთარგმნელი: ანა ბერია

„შეგიძლიათ მითხრათ, აქედან რომელ მხარეს უნდა წავიდე?“ – იკითხა ალისამ.

„ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ სად გინდათ, რომ მოხვდეთ,“ – უპასუხა კატამ.

„ჩემთვის სულერთია, სად მოვხვდები“ – თქვა ალისამ.

„მაშინ მნიშვნელობა არ აქვს, რომელ მხარეს წახვალთ“ – თქვა კატამ.

ლუის ქეროლი, ალისა საოცრებათა ქვეყანაში

სიუხვის წყევლის ხაფანგში მოხვედრილები

იმის მიუხედავად, რომ ერთი შეხედვით ეს რთულად დასაჯერებელია, უახლესი ფაქტების და დაგროვებული გამოცდილების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სიღარიბე, ამ ქვეყნებში მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსების სიუხვეს უკავშირდება. ქვეყნები, რომლებიც მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, და რომელთა ეკონომიკაც პირველ რიგში ამ რესურსების მოპოვებასა და ექსპორტს ეფუძნება, უფრო მეტად უჭირთ განვითარება. განსაკუთრებით კი ის ქვეყნები, რომელთაც უხვად მოეპოვებათ ერთი ან სულ რამდენიმე ნედლეული საქონელი, თითქოს დანყველილები არიან განვითარებლობისთვის. სიტუაცია კიდევ უფრო რთულდება იმ ეკონომიკებისთვის, რომელთა შემოსავლებიც ნავთობსა და მინერალებზეა დამოკიდებული.

ეს ქვეყნები თითქოს გაუკუღმართებულ მოცემულობაში არიან მომწყვდეულნი, რომელიც ლიტერატურაში „სიუხვის პარადოქსად“ ან „რესურსების წყევლად“ არის ცნობილი. ამ კონტექსტში არიან ისეთებიც, ვინც ამ წყევლას ისე იღებენ, როგორც ტროპიკული ქვეყნების (თითქმის) გარდა-

უვალ ხვედრს: შიდა-ამერიკული განვითარების ბანკი (IDB)¹ მის არაერთ ყოველწლიურ ანგარიშში თუ ტექნიკურ კვლევაში ამტკიცებს, რომ „განვითარებას გეოგრაფია განსაზღვრავს: ბუნებრივი რესურსებით ყველაზე მდიდარ და ეკვატორთან ყველაზე ახლოს მყოფ ქვეყნებს მისჭილი აქვთ სიღარიბე და განუვითარებლობა. (...) ეს ნიშნავს ტროპიკულ ფატილიზმს, რომლის მიხედვითაც ეკვატორის ახლოს მცხოვრები ერები განწირულნი არიან სიღარიბისთვის. IDB-ის აზრით, რაც უფრო მდიდარია ქვეყანა ბუნებრივი რესურსებით, მით უფრო ნელა განვითარდება ის და მით უფრო დიდი იქნება მისი საშინაო უთანასწორობები“ (გუდინასი, 2009ც).

ერთი შეხედვით, თითქოს ერთადერთ არჩევნად გვჩვენა დავმორჩილდეთ ამ გეოგრაფიულ და ბუნებრივ დეტერმინიზმს, მაგრამ IDB სხვა გამოსავალსაც გვთავაზობს. როგორც გუდინასი IDB-ის შემოთავაზებების ანალიზისას აჯამებს, მათი შემოთავაზებული გამოსავალია „ბაზარი და [ნეოლიბერალური] რეფორმების კიდევ უფრო მეტად ხაზგასმა.“

ამ თვალსაზრისით, მომპოვებლობისგან წარმოქმნილი პრობლემები და კონფლიქტები გადაჭრადია შესაბამისი „მმართველობით“, რომელიც დაარეგულირებდა იმას, თუ როგორ გამოიყენება ბუნებრივი რესურსები. ამ მიზნის მიღწევის გზებია ორთოდოქსული და კონსერვატიული ეკონომიკური პოლიტიკები, სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის გაზრდა მომპოვებლური ინდუსტრიების პროექტების ზედამხედველობაში, მეტი სოციალური ინვესტიციები მოპოვების ადგილებში, რათა შემცირდეს სოციალური პროტესტები, და ინფორმაციის გამჭვირვალობა მომპოვებლური საწარმოების და ადგილობრივი და ცენტრალური მთავრობის მიერ მიღებული შემოსავლების შესახებ. გარემოს განადგურება აღიარებულია განვითარების მიღწევისთვის გარდაუვალ დანახარჯად. რამდენადაც ამასთან დაკავშირებით კითხვები არ ისმის, ასეთი მიდგომები ანალიტიკურად სუსტია, აკლია რა ისტორიული ანალიზი და კავშირში საფუძველმდებარე პრობლემებთან.

ეჭვგარეშეა, რომ ყვეფიობა, რომელსაც თან ახლავს დიდი უცოდინრობა და საზოგადოებაში ღრმად ჩანერგილი ამნეზია, პირდაპირ კავშირშია აროგანტულობასთან.

1 „ტროპიკული ბედისწერის“ ამ თეორიას არაერთი მკვლევარი ავითარებს სხვადასხვა პერსპექტივიდან, მათ შორის მაიკლ გავინი, მიშელ ლ. როსი, ჯეფრი საქსი, რიკარდო ჰაუსმანი, რობერტო რიგობონი და ივარ კოლსტადი.

დასაწყისშივე უნდა ითქვას, რომ ბუნებრივი რესურსებისა და იდეოლოგიის ეს ორმაგი წყევლა არ არის გარდაუვალი და მისი გადალახვა შესაძლებელია.

როგორ გვესმის მომპოვებლობა?

მომპოვებლობა, იგივე ექსტრაქტივიზმი არის დაგროვების ფორმა, რომლის ფართო მასშტაბით გავრცელებაც 500 წლის წინ დაიწყო.² მსოფლიო ეკონომიკა – კაპიტალისტური სისტემა – სტრუქტურირდა ამერიკის, აფრიკისა და აზიის დაპყრობითა და კოლონიზაციით. მას შემდეგ დაგროვების ეს ფორმა, მომპოვებლობა, განისაზღვრებოდა ახალშექმნილი კაპიტალიზმის მეტროპოლიტური ცენტრების მოთხოვნით. ზოგიერთი რეგიონი სპეციალიზირდებოდა ნედლეულის – პირველადი საქონელის – მომპოვებლობასა და წარმოებაში, ხოლო სხვა რეგიონები ეუფლებოდნენ გადამამუშავებელი საქონლის მწარმოებლის როლს. პირველი ბუნების ექსპორტით იყო დაკავებული, მეორე კი მისი იმპორტით.

ცხადი განმარტების ჩამოყალიბების მცდელობისას, ტერმინ 'ექსტრაქტივიზმს' იგივე მომპოვებლობას გამოვიყენებთ ისეთ საქმიანობებთან მიმართებაში, რომლებიც გულისხმობს დიდი რაოდენობით ბუნებრივი რესურსების ამოღებას გადამამუშავების გარეშე (ან მხოლოდ შეზღუდულ დონეზე გადამამუშავებას), განსაკუთრებით ექსპორტის მიზნით. მომპოვებლობა არ შემოიფარგლება მხოლოდ მინერალებითა და ნავთობით, ის ასევე გვხვდება ფერმერულ, სატყეო და თევზჭერის მეურნეობებში.³

დღეს, „განახლებადი“ ბუნებრივი რესურსების საკითხი უახლესი მოვლენებისა და ტენდენციების ფონზე უნდა განიხილებოდეს. მოპოვების უზარმაზარი მასშტაბიდან გამომდინარე, ბევრი „განახლებადი“ რესურსი, როგორც არის ტყეები თუ ნიადაგის ნაყოფიერება, ნელ-ნელა არაგანახ-

2 მიუხედავად დაგროვების ამ ფორმის გრძელი ისტორიისა, სიტყვა „მომპოვებლობა“ არ გვხვდება ესპანური ენის სამეფო აკადემიის ლექსიკონში.

3 შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ მომპოვებლობა მხოლოდ მინერალებისა და ნახშირწყალბადის რესურსების ექსპლუატაციისას გვხვდება. თანაბრად მომპოვებლური პრაქტიკის მრავალი გამოცდილება გვხვდება ხე-ტყის თუ მონო-მეურნეობებში. ამის მაგალითია ყავა კოლუმბიაში (იხილეთ ოინდრილა დიუბე და ხუან ფერნანდო ვარგასი (2006))

ლებადი ხდება. ამის მიზეზი ის არის, რომ რესურსი ინურება მაშინ, როდესაც მოპოვების ტემპი წინ უსწრებს იმ სიჩქარს, რომელიც გარემოს ამ რესურსის განახლებისთვის სჭირდება. შესაბამისად, მოპოვების არსებული ტემპის პირობებში, არაგანახლებადი ბუნებრივი რესურსების პრობლემები შეიძლება თანაბრად შეეხოს ყველა რესურსს, განახლებადია ის თუ არა.

პრაქტიკაში, ექსტრაქტივიზმი კოლონიალური და ნეოკოლონიალური ძარცვისა და მითვისების მექანიზმი იყო. ამგვარი ექსტრაქტივიზმი, რომელიც დროთა განმავლობაში სხვადასხვაგვარად წარმოჩინდებოდა, გამოყენებულ იქნა ნედლეულის ექსპლუატაციისთვის, რის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა გლობალური ჩრდილოეთის ინდუსტრიული განვითარება და კეთილდღეობა. და ეს განხორციელდა მომპოვებლური პროექტების მდგრადობისა თუ რესურსების ამონურვადობის გათვალისწინების გარეშე. ეს ყველაფერი გააძაჭველია იმასთან, რომ მომპოვებლური ინდუსტრიის პროდუქციის უმეტესობა განკუთვნილია არა შიდა ბაზარზე მოხმარებისთვის, არამედ ექსპორტისთვის. მიუხედავად ამ ეკონომიკური საქმიანობის მასშტაბურობისა, მას ძალიან მცირე სარგებელი მოაქვს ამ პროცესში ჩართული ქვეყნებისთვის. ანალოგიურად, მომპოვებლური მრეწველობისთვის საჭირო საქონლისა თუ სპეციალიზირებული სერვისის მომარაგება იშვიათ შემთხვევაში ხდება ეროვნული კომპანიებიდან. ასევე, იმ ქვეყნებში, რომელთა ეკონომიკაც მომპოვებლობას ეფუძნება, როგორც ჩანს, დიდად არ ინტერესდებიან იმით, თუ როგორ იხარჯება მოპოვებული შემოსავალი.

მომპოვებლობა გლობალური სამხრეთის მრავალი ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ცხოვრებისთვის ერთგვარი მუდმივაა. შესაბამისად, ლათინური ამერიკის ყველა ქვეყანა, სხვადასხვა ინტენსივობით, განიცდის გავლენას ამ პრაქტიკებისგან. მომპოვებლობისა და ნედლეულის ექსპორტის გზით მეტროპოლიტურ ცენტრზე დამოკიდებულება დღემდე პრაქტიკულად უცვლელადაა შენარჩუნებული. ზოგიერთმა ქვეყანამ მხოლოდ ის მოახერხა, რომ ტრადიციული მომპოვებლობისთვის დამახასიათებელი გარკვეული მნიშვნელოვანი ასპექტი ამ საქმიანობებში გაზრდილი სახელმწიფო ინტერვენციის მეშვეობით შეცვალა. მაგრამ სულ ეს იყო, რაც შეძლეს. ამგვარად, რამდენიმე მეტ-ნაკლებად მნიშვნელო-

ვანი განსხვავების გარდა, დაგროვების ექსტრაქტივისტული ფორმა როგორც ნეოლიბერალური, ასევე პროგრესული მთავრობების გულისგულს წარმოადგენს, როდესაც საქმე სანარმოო პოლიტიკას ეხება.⁴

მომპოვებლობის ზოგი ნაკლოვანება

ამ საკითხის განხილვის სანყისი წერტილი⁵ უმეტესად უკავშირდება რესურსების მოპოვების და მათი გამოყენების გზებს, და ასევე მათგან მიღებული სარგებლის განაწილებას. რა თქმა უნდა, არსებობს სხვა ასპექტებიც, რომელთა გამოსწორებაც შეუძლებელია. ზოგიერთი მომპოვებლური საქმიანობა, მაგალითად მადნის ფართომასშტაბიანი მოპოვება, ვერასდროს იქნება „მდგრადი“, რამდენადაც მისი არსი დესტრუქციულია. უფრო მეტი, პროცესი მდგრადია მაშინ, როდესაც ის დროთა განმავლობაში შენარჩუნებადია გარე დახმარების და შესაბამის რესურსზე დეფიციტის წარმოქმნის გარეშე.⁶ ამტკიცო სანინალმდეგო – რასაც ზოგი მიმართავს, ტექნოლოგიური განვითარების მიმართ მათი ბრმა რწმენით – ნიშნავს პროპაგანდა გაუწიო დისკურსს, რომელიც ამახინჯებს ფაქტებს.⁷

რეგიონის ისტორია გვეუბნება, რომ მომპოვებლურმა პროცესმა გამოიწვია ფართომასშტაბიანი სიღარიბე და განმეორებადი ეკონომიკური კრიზისები, და გაამყარა „მოსაკრებლის მადიებლობის“ მენტალიტეტი. ეს ყველაფერი ამძაფრებს რეგიონის დემოკრატიული ინსტიტუტების სისუსტესა და სიმწირეს, ხელს უწყობს კორუფციას, არღვევს საზოგადოებასა და ადგილობრივ თემებს, და სერიოზულად აზიანებს გარემოს. ამ სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს პატრონაჟისა და კლიენტალიზმის ხშირი პრაქ-

4 რაულ ზიბეჩი (2011) ამ პროგრესული მთავრობების მომპოვებლობას ნეოლიბერალიზმის მეორე ფაზად განიხილავს.

5 იხილეთ შულდტის (2005) მნიშვნელოვანი სტატია. იხილეთ აგრეთვე შულდტი და აკოსტა (2006) და აკოსტა (2009).

6 მდგრადი განვითარება არის პროცესი, რომელიც საშუალებას იძლევა მიმდინარე საჭიროებები მომავალი თაობების შესაძლებლობების განირვის გარეშე დაკმაყოფილდეს. 'კარგი ცხოვრების' კონცეპტის პრაქტიკაში გადმოსატანად, აუცილებელია მდგრად განვითარებაზე ბევრად შორს წასვლა და იმის მიღება, რომ ბუნება გარკვეული უფლებების მფლობელია.

7 ტრანსნაციონალური მეგა-მრეწველობის შესახებ მითების ჩამოშლის გზების შესახებ, იხილეთ არგენტინაში შექმნილი ნაშრომები Colectivo Voces de Alerta-ს მიერ (2011).

ტიკა, რაც ხელს უშლის მოქალაქეობრივი თვითშეგნების განმტკიცებას.

სიმართლე არის ის, რომ ბუნებრივი რესურსების სიჭარბე, რაც ნედლი საქონლის ექსპორტზე დამოკიდებული ეკონომიკებისთვისაა დამახასიათებელი, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ ეს საქონელი მინერალები ან ნავთობია, ამრუდებს ეკონომიკის სტრუქტურას და წარმოების ფაქტორების განაწილებას: შემოსავალი რეგრესულად ნაწილდება და სიმდიდრე მხოლოდ ერთეულების ხელში კონცენტრირდება. ეს მდგომარეობა მძიმდება ენდოგენური 'დაავადებისმაგვარი' პროცესების სერიით, რომელიც თან სდევს ბუნებრივი რესურსების სიჭარბეს.

დავინწყოთ ე.წ. „ჰოლანდიური დაავადებით“⁸ – ეს არის პროცესი, რომელითაც ინფიცირებულია ნედლეულის ექსპორტიორი ქვეყნები, როდესაც ხდება საექსპორტო ბუმი ამ ნედლეულის მაღალი ფასი ან ახალი საბადოების აღმოჩენის შედეგად. ეკონომიკის სიმრუდე ამ დროს გამოამკარავდება შეფარდებითი ფასების სტრუქტურაში: ინვესტიციის ნაკადები შედის იმ სექტორებში, რომლებიც სარგებელს იღებენ ამ ბუმიდან, მათ შორის არასავაჭრო საქონლის სექტორშიც (რომელიც არ არის საერთაშორისო ბაზარზე ვაჭრობაში), მაგალითად სამშენებლო სექტორში; ამავდროულად, სწრაფად ეცემა იმ სავაჭრო საქონლის წარმოება, რომელიც არ იღებს სარგებელს საექსპორტო ბუმიდან, რადგან მისი იმპორტირებაა შესაძლებელი, და ეროვნული ვალუტის ღირებულების ზრდიდან გამომდინარე, ასეთი საქონლის იმპორტირება უფრო იაფიც ჯდება. ბუმის შემდეგ კი, მოუქნელობის გამო, ვერ ხერხდება ფასებსა და ხელფასებში ცვლილებების შეტანა, და რეგულირების პროცესი ძალიან რთული და მტკივნეული ხდება, რაც ამ დაავადების კიდევ ერთი გამოვლინებაა.

როგორც აღმოჩნდა, ნედლი საქონლის ექსპორტში სპეციალიზირებას გრძელვადიან პერიოდშიც ნეგატიური შედეგები მოაქვს იქიდან გამომდინარე, რომ მის სავაჭრო პირობებს ახასიათებს გაუარესების ტენდენცია. ეს პროცესი იმპორტირებული სამრეწველო საქონლის სასარგებლოდ, მაგრამ ექსპორტირებული ნედლი საქონლის საწინააღმდეგოდ მუშაობს.

8 ტერმინი 'ჰოლანდიური დაავადება', როგორც მისი სახელი გვეუბნება, ჰოლანდიაში გაჩნდა 1970იანებში, როდესაც ბუნებრივი აირის საბადოების აღმოჩენამ გამოიწვია ქვეყნის სავალუტო რეზერვების უზარმაზარი ზრდა. ამან გამოიწვია ჰოლანდიური ვალუტის, ფლორის, ღირებულების გაზრდა, რამაც დააზიანა ქვეყნის სამრეწველო საქონლის ექსპორტის კონკურენტუნარიანობა / რამაც ნაკლებად კონკურენტუნარიანი გახადა ქვეყნის სამრეწველო ექსპორტი.

სხვა ფაქტორებთან ერთად, ამის მიზეზი ის არის, რომ ამ უკანასკნელისთვის დამახასიათებელია შემოსავლების დაბალი ელასტიურობა იმიტომ, რომ ის შესაძლოა ჩანაცვლდეს ხელოვნური შემცვლელებით; ასევე, იმიტომ, რომ ის ვერ ინარჩუნებს მონოპოლიას (ნედლი საქონელი წარმოადგენს საქონელ-პროდუქტს, რაც იმას ნიშნავს, რომ მის ფასს მსოფლიო ბაზრის ლოგიკა განსაზღვრავს); და კიდევ იმიტომ, რომ მისთვის დამახასიათებელია ინოვაციური განვითარებისა და ტექნოლოგიების დაბალი დონე; ამ ყველაფერს ემატება ისიც, რომ გადამუშავებული პროდუქციაში სულ უფრო ნაკლებადაა წარმოდგენილი ნედლი საქონელი, მიუხედავად იმისა, რომ აბსოლუტურ მაჩვენებლებში ნედლი საქონლის მოპოვება და მისი ექსპორტის ზრდა მასიურია, რაც, მაგალითად, გამოწვეულია მოთხოვნის სპირალური ზრდით ისეთი ქვეყნებიდან, როგორცაა ჩინეთი და ინდოეთი.

გარდა ამისა, როდესაც მსოფლიო ბაზარზე ფასები მაღალია, რიკარდიანული მოსაკრებლიდან⁹ წარმოქმნილი მაღალი მოგების ნორმა წახალისებს ჭარბწარმოებას. კრიზისის დროსაც კი, არსებობს ცდუნება, გაიზარდოს მოპოვების კოეფიციენტი. ჭარბი მიწოდება კი, რომელიც ფასების დაცემის კომპენსირების მცდელობაა, იწვევს პროდუქტის ღირებულების გაუფასურებას მსოფლიო ბაზარზე და ეს ყველაფერი საბოლოოდ მხოლოდ ინდუსტრიულ ქვეყნებს ახეირებს.¹⁰ ამ პროცესის შედეგი ცნობილია, როგორც „გამაღატაკებელი ზრდა“ (ბჰაგვატი, 1958).

ეს ყველაფერი ხსნის, თუ რატომ ვერ შეძლევს მომპოვებლური ეკონომიკების მქონე ქვეყნებმა სრულად ესარგებლათ გლობალური ეკონომიკური ზრდითა და ტექნოლოგიური პროგრესით. ეს სიტუაცია კიდევ უფრო მწვავედება იმით, რომ როგორც წესი, ქვეყნები, რომლებიც პირველად რესურსებს მოიპოვებენ, არ არიან ჩართულნი მათ გადამუშავებაში. ჩვენ ისეთ პათოლოგიურ სიტუაციებსაც ვხვდებით, როგორცაა ქვეყნები, რომლებსაც ექსპორტზე გააქვთ ნედლი ნავთობი და იმპორტით შემოაქვთ

9 უნდა გავიხსენოთ, რომ რიკარდოსეული რენტა ბუნების ექსპლუატაციიდან და არა ბიზნეს საქმიანობიდან მიიღება, განსხვავებით სამუშაო ძალის ძალისხმევისა და შემოქმედებითობისგან („პროდუქტიულობისგან“) მიღებული მოგებისგან.

10 21-ე საუკუნის პირველი მნიშვნელოვანი გლობალური კრიზისის დაწყებისას, როდესაც ნავთობისა და მინერალების ფასები დაეცა, ბევრ ქვეყანაში შეინიშნებოდა წარმოების რაოდენობის გაზრდის და კომპანიებისთვის მათი შემოსავლის შემცირების გამო კომპენსაციების შეთავაზების ტენდენცია.

ნავთობპროდუქტები, რადგან გადამამუშავებელი წარმოება საკმარისად არ განუვითარებიათ. ამ ყველაფერთან ერთად, დიდი წილი ამ ძვირადღირებული იმპორტირებული გადამამუშავებული პროდუქციისა ელექტროენერჯის გამომუშავებისთვისაა განკუთვნილი, ეს კი იმ პირობებში, როდესაც განახლებადი ენერჯის სხვა წყაროები – როგორცაა ჰიდრო, მზის ან გეოთერმული საშუალებები – მზა და ხელმისაწვდომია ამ ქვეყნებში, მაგალითად ეკვადორის შემთხვევაში.

კიდევ ერთი სახასიათო ასპექტი მსგავსი მომპოვებლური ეკონომიკებისთვის მათი წარმოებითი აპარატის სტრუქტურული ჰეტეროგენულობაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მაღალპროდუქტიული წარმოების სისტემები თანაარსებობენ განუვითარებელ და სუბსიდირებაზე დამოკიდებულ სისტემებთან ერთად. ამ სიტუაციას ამწვავებს მათ ეკონომიკურ სტრუქტურებს შორის კავშირების არარსებობა, რაც ჩანს მაგალითად იმ ფაქტში, რომ ექსპორტი მხოლოდ რამდენიმე ძირითად საქონელზეა კონცენტრირებული, ასევე, ინდუსტრიის არასაკმარისად ჰორიზონტალური დივერსიფიცირებულობა, და სექტორებს შორის პრაქტიკულად არარსებული ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ინტეგრირებულობა ამის დასტურია.

ამ ტიპის მომპოვებლური ეკონომიკა, კაპიტალზე და ტექნოლოგიაზე მაღალი მოთხოვნის პირობებში, ხშირად ანკლავის ლოგიკით ფუნქციონირებს: სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნედლი საქონლის საქეპორტო საქმიანობის მთლიან ეკონომიკასთან და საზოგადოებასთან გააერთიანების მცდელობის გარეშე. შესაბამისად, მისი წარმოების აპარატი მოწყვლადი რჩება გლობალურ ბაზარზე მომხდარი ცვლილებების მიმართ.

ამ გარემოებებს ჩიხამდე მივყავართ – შეუძლებელია დავიჭეროთ, რომ ყველა ქვეყანა, რომელიც აწარმოებს პირველად საქონელს (და ასეთი ძალიან ბევრია) – შეძლებს ზრდას და ექნება იმის მოლოდინი, რომ საერთაშორისო მოთხოვნა საკმარისი და მდგრადი იქნება გრძელვადიანი ზრდის გარანტირებისთვის.

შემამფოთებელი ის არის, რომ ნედლეულის ექსპორტიორი ქვეყნები, რომელთაც, როგორც წესი, დროთა განმავლობაში უნდა დაეგროვებინათ შესაბამისი გამოცდილება, მაინც ვერ ახერხებენ რაოდენობის და ფასების მართვის კოორდინირებას. გამონაკლისი, რომელიც წესს ადასტურებს, ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის (OPEC) გამოცდილე-

ბაა (მიუხედავად იმ მრავალი შეზღუდვისა თუ წინააღმდეგობისა, რომლითაც ის მუშაობს).

მსოფლიო ბაზარზე ნედლეულის ფასების მერყევი ხასიათი ნიშნავს იმას, რომ ნედლი საქონლის ექსპორტზე დაფუძნებული ეკონომიკა მუდმივად დაზარალდება მიმდინარე საგადასახადო ბალანსისა და ფისკალური დეფიციტის პრობლემებით. ეს წარმოშობს ფინანსურ ბაზრებზე დამოკიდებულებას, და ეროვნულ ეკონომიკურ თუ სოციო-პოლიტიკურ საქმიანობებს მერყევი ფლუქტუაციების წინაშე დაუცველს ტოვებს. ყველაფერი ეს კიდევ უფრო მწვავედება მაშინ, როდესაც მსოფლიო ფასები მოულოდნელად ეცემა, ამის შედეგად წარმოქმნილ საგადასახადო ბალანსის კრიზისს კი კიდევ უფრო ამძიმებს ისიც, რომ მოკლევადიანი ბუმის პერიოდში ამ ეკონომიკებში დიდი რაოდენობით სპეკულაციური კაპიტალი შედიდება მოხდა. ამ სიტუაციაში, ამგვარი კაპიტალის მასიურ გადინებას მალევე თან სდევს ადგილობრივი კაპიტალის გადინებაც, რაც კიდევ უფრო აუარესებს საგადასახადო ბალანსის მდგომარეობას.

პირველადი პროდუქტის საქსპორტო ბუმი ასევე იზიდავს მუდმივად მომართულ საერთაშორისო ბანკებს, რომლებიც ისე გაასესხებენ დიდი რაოდენობით ფულს, თითქოს ეს ბუმი მდგრადი პროცესი ყოფილიყო. რა თქმა უნდა, ასეთ ფინანსებს ყოველთვის სიხარულით ეგებებოდნენ ისეთი მთავრობები და მსხვილი კომპანიები, რომელთაც ასევე სჭეროდათ აყვავების მუდმივობის. ასეთ პირობებში, პირველადი საქონლის ჭარბწარმოება კიდევ უფრო მეტადა ხდება წაქეზებული, რასაც თან სდევს შესაბამისი ეკონომიკური დარგების გამრუდებები. თუმცა, უფრო მეტიც, როგორც ისტორიული გამოცდილება გვაჩვენებს, როდესაც ექსპორტის ბუმით გამოწვეული მოკლევადიანი ეიფორიის დროს მიღებული უზარმაზარი სესხების შედეგად დაგროვებული საგარეო ვალის გადახდის გარდაუვალი დრო დგება, მთელი ქვეყნის ეკონომიკური მომავალი უკვე გაგირავებულია.¹¹

ნავთობის ექსპორტისგან მიღებული გარე ფინანსების ჭარბი შემოდინება სამომხმარებლო ბუმს იწვევს, რომელმაც შესაძლოა კრიზისის

11 ვაქალიანებისა და კრიზისის პროცესების შესახებ არსებული ტექსტების გრძელი სიიდან საკმარისი იქნება ვასენოტ Ugarteche (1986), Vilate (1986), Calcagno (1988), Marichal (1988) or Acosta (1994).

ფსკერამდე გასტანოს და რომელიც, პოლიტიკური თვალსაზრისით, არანაკლებად მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ საკითხს წარმოადგენს. ამ პერიოდში მოხმარების დონის ზრდა მცდარად აღიქმება, როგორც ცხოვრების დონის ზრდად. ასეთ ვითარებაში, სამომხმარებლო ლოგიკამ – რომელიც სოციალურადაც და ეკოლოგიურადაც არამდგრადია – შესაძლოა ხელისუფლებას მომპოვებლური საქმიანობის გაფართოების ლეგიტიმაცია მისცეს.

ეს, ზოგადად რესურსების ფლანგვას იწვევს. ეროვნული ნაწარმი იმპორტირებულით ნაცვლდება, რაც ხშირად ვალუტის რევალვაციით არის ნახალისებულია. სანამ ამის თავიდან ასაცილებლად შესაბამისი ნაბიჯები არ გადაიდგმევა, მანამდე საჯარო ინვესტიციებისა და დანახარჯების ზრდამაც კი შესაძლოა ხელი შეუწყოს არა ეროვნული წარმოების, არამედ იმპორტის ზრდას. მოკლედ რომ ვთქვათ, რთულია ჭარბი ფინანსებისა სწორად გამოყენება.

რეგიონთა ნავთობისა და სამთომპოვებითი ეკონომიკების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ აღნიშნული მომპოვებლური საქმიანობები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ წარმოქმნის იმ დინამიურ კავშირებს, რომლებიც აუცილებელია თანმიმდევრული ეკონომიკური განვითარების მისაღწევად, და უახლესი მოვლენებიც ამავეს ამტკიცებს. აუცილებელი სინერგიული და გამაერთიანებელი კავშირები – მიმართული პირდაპირ, უკუ თუ საბოლოო (ფისკალურ და სამომხმარებლო) მოთხოვნაზე – არ არის უზრუნველყოფილი. და ეს აფერხებს ტექნოლოგიურ ტრანსფერს და ქვეყნს ეკონომიკის სხვა დარგებისთვის სასარგებლო გარეგანი ეფექტების წარმოქმნას.

აქედან გამომდინარეობს ნედლი საქონლის ექსპორტიორი ეკონომიკების დამატებითი კლასიკური მახასიათებელი, რომელიც კოლონიური ეპოქიდან მოყვება მათ, და რომელიც მის ანკლავობაში მდგომარეობს: ნავთობისა თუ სამთომპოვების სექტორი, ისევე, როგორც ბევრი სხვა, ექსპორტზე ორიენტირებული სამეურნეო, სატყეო თუ თევზჭერის საქმიანობა, იზოლირებულია დანარჩენი ეკონომიკისგან. ბირთვული ენერჯია¹²

12 ბირთვული ენერჯია არ გულისხმობს მომპოვებლური მოდელისგან თავის დაღწევას. პირველ რიგში, ნედლეული – ურანი – უნდა იქნას მოპოვებული, გარდა ამისა, ეს ენერჯია ისევ მომპოვებლური საქმიანობის შენარჩუნების და გაფართოების მიზნით გამოიყენება. ხშირად სწორედ ეს ხდება დიდი ჰიდროელექტრო კაშხალების შენების დროს და, რა თქმა უნდა, იმ მრეწველობებში, რომლებიც იყენებენ წიაღისეულ საწვავს.

და ბიოსანვავის წარმოებაც ამ კატეგორიაში უნდა იქნეს მოაზრებული (ჰოუტარტი, 2011).

ამ საქმიანობების მეშვეობით წარმოქმნილ უზარმაზარ დიფერენციალურ თუ რიკარდოსეულ მოსაკრებელს მივყავართ ჭარბ მოგებად, რაც ქვეყნის რესურსების გადანაწილებას ამრუდებს. ნედლი საქონლის ექსპორტირებიდან მიღებული შემოსავალი, პოლიტიკურ ძალაუფლებასთან ერთად, აღრმავებს შემოსავლებისა და სიმდიდრის ერთეულების ხელში კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესს. ასეთი შემოსავლები სულ უფრო მეტად კონცენტრირებულად გროვდება ერთეულ ეკონომიკურ ჯგუფებში, რომელთა უმრავლესობა ვერც პოულობს და ვერც წარმოშობს შიდა ეკონომიკაში ინვესტირების სტიმულს. მათ ურჩევნიათ იმპორტირებული საქონლის მოხმარება წაახალისონ. საკუთარი მოგება მათ ხშირად ქვეყნის გარეთ გააქვთ და ბევრი მათგანი ბიზნესს „საგადასახადო სამოთხეებში“ დარეგისტრირებული კომპანიების მეშვეობით განაგებს.

შედეგად, კომპანიები, რომლებიც აკონტროლებენ არაგანახლებადი ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციას, და რომლებიც ადგილმდებარეობისა და ექსპლუატაციის ფორმიდან გამომდინარე ანკლავის პრინციპით ოპერირებენ, შესაძლოა შედარებით სუსტ სახელმწიფოებში ძლიერი კორპორაციები გახდნენ.

ამ საქმიანობებით ყველაზე დიდ მოსარგებლეს ტრანსნაციონალური კორპორაციები წარმოადგენენ, რომელთაც ხშირად ხოტბას ასხამენ ამ რესურსების აღმოჩენისა და ექსპლუატაციისთვის განეული რისკების გამო. თუმცა, იმას აღარ ახსენებენ, რომ ეს საქმიანობა ეკონომიკის კიდევ უფრო 'დენაციონალიზაციას' იწვევს, ნაწილობრივ იმის გამო, რომ ამ რესურსების ექსპლუატაციის დასაწყებად დიდი რაოდენობით უცხოური ფინანსდება საჭირო, ხოლო მეორეს მხრივ იმის გამოც, რომ არ არსებობს ძლიერი ეროვნული ბიზნესები. და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს უსურველობის გამო, დაამყაროს საჯარო თუ კერძო, მაგრამ ეროვნულ კომპანიებთან სტრატეგიული პარტნიორობა. უფრო მეტიც, ზოგიერთი ამ ტრანსნაციონალური კომპანიებისა, საუბედუროდ, იმისთვის იყენებს სავაჭრო ბალანსში შეტანილ მათ წვლილს, რომ ზეგავლენა მოახდინონ ქვეყნის შიგნით არსებულ ძალაუფლების ბალანსზე, რათა მუდმივი მუქარის ქვეშ ჰყავდეთ ის მთავრობები, რომლებიც დინების წინააღმდეგ წავლენ.

უცხოური კომპანიები ხშირად სარგებლობდნენ – და კვლავაც აგრძელებენ სარგებლობას – ხელსაყრელი მარეგულირებელი ჩარჩოთი და, არც თუ იშვიათად, ამ კომპანიების დირექტორებსა თუ იურისტებს წამყვანი თანამდებობებიც უჭირავთ მთავრობებში. მათ ასევე მხარს უჭერენ ძლიერი იურიდიული ფირმები, და ხშირ შემთხვევაში, მედიაც. შესაბამისად, მათ შეუძლიათ პირდაპირ იმოქმედონ იმისთვის, რომ გატარებული პოლიტიკა თუ განხორციელებული ცვლილებები მათთვის ხელსაყრელი იყოს. ეს სიტუაცია – რომელიც წახალისებულია ისეთი ორგანიზაციების მიერ, როგორიცაა ინტერ-ამერიკული განვითარების ბანკი (IDB) და მისი ‘უფროსი ძმები’, მსოფლიო ბანკი¹³ და საერთაშორისო სავალუტო ფონდი – მუდმივად მეორდებოდა ნავთობისა და სამთომოპოვების სექტორებში ლათინურ ამერიკაში.

ამ უაღრესად ტრანსნაციონალიზებულმა მოწყობამ საფუძველი ჩაუყარა უკიდურესად რთულ პროცესს: სახელმწიფოს „დეტერიტორიზაციას“ – სახელმწიფო ნაკლებად ერევა ნავთობისა და სამთო მოპოვებით ანკლავებში, ტოვებს რა პასუხისმგებლობას სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე კერძო კომპანიების ხელში. ეს კი გულისხმობს იმას, რომ ამ რეგიონების მართვა არაორგანიზებულად და დაუგეგმავად მიმდინარეობს; პრაქტიკაში ეს რეგიონები ხშირად ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებს გარეთაც რჩებიან. ეს ყველაფერი ხელს უწყობს ფართომასშტაბიანი ძალადობის გამწვავებას, სიღარიბისა და გარიყულობის ზრდას, რასაც საბოლოოდ მოჰყვება მოკლევადიანი და უხეში ჩარევა პოლიციური სახელმწიფოსგან, რომელიც ვერ ართმევს თავს მის სოციალურ და ეკონომიკურ ვალდებულებებს.

სამუშაო ადგილების შექმნის უუნარობას და შემოსავლებისა და სიმდიდრის უთანასწორო გადანაწილებას თითქოს გამოუვალ მდგომარეობამდე მივყავართ: მარგინალური დარგები, რომელთა კაპიტალწარმოება უფრო მაღალია, ვიდრე თანამედროვე სექტორებისა, ვერ იხვეჭენ სიმდიდრეს, რადგან არ გააჩნიათ ინვესტირების საშუალებები; ხოლო თანამედროვე დარგები, სადაც შრომითი წაროება უფრო მაღალია, არ

13 მსოფლიო ბანკმა ნეოლიბერალური ეპოქის დროს მოახდინა ფართო მასშტაბიანი სამთო მოპოვების, როგორც შემსავლის წყაროს, პოპულარიზაცია და დღემდე ინარჩუნებს პოზიტიურ ხედვას მასიური მასშტაბით ბუნებრივი რესურსების მოპოვების შესახებ. იხილეთ სინოტი, ნეში და დე ლა ტორი (2010).

მიმართავენ ინვესტირებას, რადგან არ არსებობს შიდა ბაზრები, რომელიც მათ უზტუნველყოფდა მომხიბვლელი მოგებით. ეს, თავის მხრივ, ამწვავებს ტექნიკური რესურსების, კვალიფიციური მუშახელის, ინფრასტრუქტურისა თუ სარეზერვო ვალუტის ნაკლებობას, რაც განიზიდავს ინვესტორებს, და ა. შ.

ამას ემატება აშკარა ფაქტი (რომელიც, საუბედუროდ აუცილებელი ფაქტიცაა, და არა მხოლოდ ტექნოლოგიური მიზეზებიდან გამომდინარე შედეგი), რომ, ეკონომიკის სხვა დარგებისგან განსხვავებით, ნავთობისა და სამთომომპოვების მრეწველობები მცირე რაოდენობის პირდაპირ თუ ირიბ დასაქმებას წარმოქმნის, რომელთა უმეტესობა, მიუხედავად ამისა, ხშირად კარგად ანაზღაურებადია. ისინი იმპორტ- და კაპიტალ-ინტენსიური მრეწველობებს წარმოადგენს და მალაღკვალიფიციურ (ხშირად უცხოელ) თანამშრომლებსა და მენეჯერებს ასაქმებს. მასალები და ტექნოლოგია, რომელსაც ეს ინდუსტრიები იყენებს, თითქმის ყოველთვის იმპორტირებულია. ამ პრაქტიკების შედეგი კი არის ის, რომ ნედლი ექსპორტის სექტორის „შიდა მოგების ნორმა“ (ქვეყნის შიგნით დარჩენილი დამატებითი ღირებულების ექვივალენტი) უმნიშვნელოა.

ნავთობისა და სამთომომპოვების ამგვარ ანკლავირებულ ეკონომიკებში, პოლიტიკურ სტრუქტურებსა და დინამიკას ახასიათებს „მოსაკრებლის-ციების“ პრაქტიკები; სიხარბე და ავტორიტარიზმი, რომლითაც იმართება გადანყვებილების მიღების პროცესი, ინვეს არაპროპორციულობას საჯარო ხარჯების ზრდასა და შემოსავლების დისკრეციულ გადანაწილებაში, რასაც მოგვიანებით განვიხილავთ.

ამ გარემოებებისა და ნავთობისა და სამთომომპოვების სექტორის ტექნოლოგიური მახასიათებლების გამო, ისინი არ ქმნიან მსხვილმასშტაბიან პირდაპირ დასაქმებას. ეს ასევე განმარტავს იმ წინააღმდეგობრიობას, რომ ნედლეულით მდიდარი ქვეყნების მოსახლეობის უმეტესობა პრაქტიკულად სიღარიბეში ცხოვრობს.

გარდა ამისა, ადამიანთა ის ერთობები, რომელთა ტერიტორიებზეც თუ რომელთა მახლობლადაც ხორციელდებოდა მომპოვებლური სამუშაოები, ყოველთვის ზარალდებოდნენ ამ ტიპის რესურსების ექსპლუატაციის შედეგად წარმოქმნილი რიგი სოციალური თუ ეკოლოგიური პრობლემების ეფექტებით. შესაბამისად, მოსახლეობის დიდი ნაწილის გაჭირვებუ-

ლობა, როგორც ჩანს, დაკავშირებულია დიდი რაოდენობით ბუნებრივი რესურსების (მაღალ დიფერენციალურ მოსაკრებელთან ერთად) არსებობასთან. დაგროვების ამ ფორმას არ გააჩია მოითხოვნა შიდა ბაზარზე და, რეალურად, მას არც ესაჭიროება შიდა ბაზარი, რამდენადაც ის კლებადი ხელფასებით ოპერირებს. ამ ტიპის მრეწველობებზე არ მოდის საკმარისი სოციალური ზენოლა, რათა აიძულოს ისინი რეინვესტირება მოახდინონ პროდუქტიულობის გაზრდაში. მოსაკრებლის-მადიებლობა განსაზღვრავს მწარმოებლურ საქმიანობას და, რა თქმა უნდა, სხვა სოციალურ ურთიერთობებსაც. ამ ყველაფრის შედეგად, მსგავსი მომპოვებლური საქმიანობები – ნავთობისა თუ სამთომოპოვების – ახალისებს კლიენტალისტურ სოციალურ ურთიერთობებს, რაც ხელს აძლევს ტრანსნაციონალურ კომპანიების, თუმცა ხელს უშლის შესაბამისი ეროვნული და ადგილობრივი განვითარების გეგმების განხორციელებას.

ამ ტიპის მომპოვებლური ეკონომიკები ბუნებრივ გარემოს სერიოზულ და შეუქცევად ზიანს აყენებს. მსოფლიო მასშტაბით სამთო და ნავთობის მრეწველობების კვლევების შედეგად აღმოჩენილია მტკიცებულებები იმ არაერთი მეთოდის შესახებ, რომლითაც ბუნება დაზიანდა თუ შეუქცევადად განადგურდა. მრავლადაა ასევე ადამიანური ტრაგედიები, და განადგურებულია მრავალი ხალხის კულტურული მემკვიდრეობა. ეკონომიკის სფეროშიც არ არის უკეთესი სიტუაცია. ქვეყნები, რომელთა ექსპორტი ძირითადად მინერალებსა თუ ნავთობ-რესურსებზეა დამოკიდებული, ეკონომიკურად ჩამორჩენილია და მათი გარემოსდაცვითი პრობლემებიც მომპოვებლური საქმიანობის გაფართოებასთან ერთად იზრდება.

მოდით, ცოტა ხნით ყურადღება შევაჩეროთ სამთომოპოვებით მრეწველობაზე. თანამედროვე სამთო მრეწველობა გულისხმობს რაც შეიძლება მოკლე დროში, რაც შეიძლება დიდი რაოდენობით რესურსების მოპოვებას. ამ მინერალების დაღეწვა ხდებოდა ძალიან დიდი ხნის, ტექტონური მასშტაბის პერიოდის განმავლობაში. დღესდღეობით მინერალების მაღალი კონცენტრაციის მქონე რეზერვები იწურება. თუმცა, მსოფლიო ბაზარზე მაღალი ფასები გულისხმობს იმას, რომ სამთომოპოვება, მინერალების დაბალი შემცველობის მიუხედავად, შესაძლოა კვლავ მომგებიანი იყოს. იმისთვის, რომ ასეთი რეზერვები მომგებიანი იყოს, აუცილებელია ფართომასშტაბიანი სამთომოპოვებითი მრეწველობის განხორციელება,

რომელშიც ჩართული იქნება დიდი რაოდენობით უმეტესად ტოქსიკური (ციანიდი, გოგირდმჟავა, და სხვა) ქიმიკატების და დიდი რაოდენობით წყლის გამოყენება, და ასევე უზარმაზარი რაოდენობის ნარჩენების დაგროვება.

ამ საქმიანობების გიგანტური მასშტაბი გარემოზე უზარმაზარ გავლენას ახდენს. მავნე ეფექტები არა მხოლოდ აღმოჩენისა თუ ექსპლუატაციის ფაზებში წარმოიქმნება, როდესაც დედამიწაზე გიგანტური ხვრელები ითხრება, ან როდესაც წიაღისეულის ამოღებისთვის ტოქსიკური ქიმიკატები გამოიყენება, არამედ მაშინაც, როდესაც მოპოვებული საქონელი გადაადგილდება, გავლენას ახდენს რა ფართო ტერიტორიების მთელ წყებებზე.

იმის გამო, რომ სამთომოპოვებითი მრეწველობის ნარჩენები წლების განმავლობაში გროვდება, შესაძლოა მოხდეს ნარჩენების გაჟონვა და გარემოს დაბინძურება, განსაკუთრებით მძიმე მეტალებისა თუ მთის ქანებში დაგროვილი მჟავე წყლის გაჟონვით. ეს უკანასკნელი მოვლენა, რომელიც შესაძლოა ათწლეულების განმავლობაში მიმდინარეობდეს, თავს იჩენს მაშინ, როდესაც წვიმის წყლი, ან თუნდაც ჰაერი კონტაქტში შედის მთის ქანებთან, რომლებიც მიწისქვეშეთიდან ზედაპირზე იქნა ამოტანილი და ნარჩენების გროვასთან ერთად თუ მალაროს კარიერებში დაგროვდა. ყოველთვის არსებობს მაღალი რისკი, რომ გოგირდოვანი მინერალები განიცდიან ჟანგვას წვიმის თუ ნესტიანი ჰაერის მიერ, რაც გამოიწვევს ქანებზედა წყალში მჟავიანობის მომატებას. ეს პრობლემა განსაკუთრებით ეხება ეკვადორში არსებულ სამთომოპოვებით რეზერვს, რადგან იქ არსებული გოგირდოვანი ქანები გამოირჩევიან მათი მაღალმჟავიანობით.

ამ ტიპის დაბინძურება წყალს განსაკუთრებულად აზიანებს. ხშირ შემთხვევაში, წყალი უვარგისი ხდება ადამიანის მოხმარებისთვის თუ სოფლის მეურნეობისთვის. წყლის პირველადი წყაროების დაბინძურება ასევე იწვევს ჯანდაცვის პრობლემებს, მათ შორის გონების განვითარების შემაფერხებელ და კანის დაავადებებს. და ეს ყველაფერი ჯერ კიდევ არ მოიცავს იმ უმნიშვნელოვანეს სოციალურ შედეგებს, რომელთაც მეგამომპოვებლური მრეწველობები იწვევენ.

სხვადასხვა მომპოვებლურ აქტივობას ძარცვის ხანგრძლივი და საყოველთაოდ ცნობილი ისტორია აქვს მთელს მსოფლიოში. მიუხედავად

ამისა, დღეს, როდესაც, განსაკუთრებით ინდუსტრიალიზებული ქვეყნებისთვის ბუნებრივი რესურსების ამოწურვის პროცესი ცხადი ხდება, იზრდება ზენოლა დაბალგანვითარებულ ქვეყნებზე, რომ მათ დათმონ საკუთარი მინერალებისა თუ ნავთობის რეზერვები. თავად გარემოსდაცვაზე მზარდი აქტენციც კი განვითარებულ საზოგადოებებში ზენოლას ახდენს გაღატაკებულ ქვეყნებზე, რომ მათ გახსნან თავიანთი ტერიტორია, რათა დააკმაყოფილონ მსოფლიო ეკონომიკის მოთხოვნა მინერალებზე.

აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ტრანსნაციონალური კომპანიები და მათი სახელისუფლებო მოკავშირეები, როგორც წესი, ხაზს მხოლოდ ნაპოვნი მინერალური და ნავთობის რეზერვების „უზარმაზარ“ რაოდენობას უსვამენ, რომელიც ფულად ღირებულებაშია ნაანგარიშევი. ამ ციფრებით, რომლებიც, როგორც წესი, ძალიან გადაჭარბებულია, ისინი ცდილობენ გავლენა მოახდინონ საზოგადოებრივ აზრზე და მოიპოვონ მხარდაჭერა სამთომოპოვებისთვის. თუმცა, ეს ხედვა ნაკლოვანია. ამ ციფრებში ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს ე.წ. დაფარული სოციალური და ეკოლოგიური ხარჯები, მაგალითად, დაბინძურების ეკონომიკური ღირებულება. ეს ის ეკონომიკური დანაკარგებია, რომლებიც, როგორც წესი, არ ჩანს მომპოვებლურ პროექტებში, თუმცა გადადის საზოგადოებაზე; გავისხენოთ ეკვადორის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარე ამაზონის რეგიონში მომხდარი სოციალური და ეკოლოგიური განადგურება, რაც მოგვიანებით კომპანია Chevron-Texaco-ს წინააღმდეგ სასამართლო პროცესამდე მივიდა. ხარჯების ჩამონათვალი ასევე უნდა შეიცავდეს ე.წ. ‘არაპირდაპირ სუბსიდიებს’, როგორიცაა მომპოვებლური ინდუსტრიებისთვის ელექტროენერჯის შეღავათიანი ფასი, იაფი ან უფასო წყლი, ან თუნდაც სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, რომელიც სამთომოპოვებით ინდუსტრიებს ეძლევათ (გუდინასი 2011). გინახავთ მსგავსი ხარჯების შეფასება? არა. ალბათ იმიტომ, რომ ამ ხარჯების აღიარება მნიშვნელოვნად შეამცირებდა ამ კომპანიების მომგებიანობას და გამოამჟღავნებდა იმ უმნიშვნელო სარგებელს, რომელიც სახელმწიფოს ხვდება წილად.

ეს მომპოვებლური საქმიანობები ასევე მწვავე სოციალურ დაძაბულობებს იწვევს იმ რეგიონებებში, სადაც ხდება ბუნებრივი რესურსების მოპოვება, რადგან, როგორც წესი, ადგილობრივი მოსახლეობიდან ძალიან ცოტაა ისეთი, რომელიც ახერხებს სამთო და ნავთობკომპანიებში დასაქ-

მებას. ეკონომიკური და სოციალური ზეგავლენა წარმოქმნის განხეთქილებებს ადგილობრივ საზოგადოებრივ ჯგუფებში, რაც იწვევს მათ შორის და ოჯახს შიგნით ჩხუბებს, ოჯახში ძალადობას, საზოგადოებრივი ერთობების და ადამიანის უფლებების (და)რღვევას, დანაშაულისა და ძალადობის ზრდას, მიწის მითვისებას და ა.შ.

ათწლეულების განმავლობაში, დაგროვების ექსტრაქტიულმა ფორმამ ნედლეულის ექსპორტიორ ეკონომიკების მქონე რეგიონებში წარმოშვა მაღალი დონის არასრული დასაქმების, უმუშევრობისა და სიღარიბის მაჩვენებლები, მაშინ როდესაც შემოსავლებისა და სიმდიდრის გადანაწილება კიდევ უფრო უთანასწორო გახდა. ეს ახშობს საშინაო ბაზრის გაფართოების შესაძლებლობებს, რადგან საკმარისი რაოდენობის სამუშაო ადგილები თუ შემოსავალი ვერ იქმნება (არანაირი 'ჩამოჟონვის ეფექტი' აქ არ არსებობს, და არც იარსებებს). მიუხედავად ამისა, გრძელდება ზენოლა, რათა ეკონომიკა რაც შეიძლება მეტად გახდეს ორიენტირებული საექსპორტო ბაზრისკენ, რადგან, როგორც ამ მოდელის დამცველები დაუღალავად ამტკიცებენ, „საშინაო ბაზარზე არავინაა, ვისთვისაც პროდუქციის მიყიდვა შესაძლებელია“.

მსგავსი „ექსპორტის მონო-მენტალიტეტი“ თრგუნავს ეროვნული ბიზნესის შემოქმედებითობას და ამცირებს მის მასტიმულირებელ ეფექტებს. ამგვარი პათოლოგიასთან მიახლოებული „პრო-საექსპორტო მენტალიტეტი“, რომელიც ეფუძნება ცნობილ სლოგანს – „გაიტანე ექსპორტზე, ან მოკვდი“, გვხვდება ასევე მთავრობაშიც და საზოგადოების ფართო სექტორებშიც; შედეგად, იკარგება ქვეყნის შიგნით არსებული უზარმაზარი შესაძლებლობები და პოტენციალი.

ნეოექსტრაქტივიზმი: მომპოვებლობის თანამედროვე ფორმა

დაარსებიდან დღემდე, ლათინური ამერიკის ნედლეულის ექსპორტიორმა რესპუბლიკებმა, ვერ შეძლეს შეექმნათ ისეთი განვითარების მოდელი, რომელიც მათ საშუალებას მისცემდა, თავი დაეღწიათ სიღარიბისა და ავტორიტარიზმის მახისგან. ეს დიდი პარადოქსია: ეს არის ქვეყნები, რომლებიც მდიდარნი არიან ბუნებრივი რესურსებით, და შესაძლოა დიდი

რაოდენობით ფულად შემოსავალსაც იღებენ, მაგრამ მათ ვერ შეძლეს საფუძველი ჩაეყარათ საკუთარი განვითარებისთვის და ისინი კვლავაც სიღარიბეში რჩებიან. და ისინი არიან ღარიბები სწორედ იმიტომ, რომ არიან მდიდარნი ბუნებრივი რესურსებით, იმიტომ, რომ მათ პრიორიტეტად დასახეს მსოფლიო ბაზრისთვის ამ ბუნებრივი რესურსების მოპოვება და გვერდზე გადადეს ღირებულების შექმნის სხვა ისეთი ფორმები, რომლებიც მეტადაა დაფუძნებული ადამიანის ძალისხმევაზე და ნაკლებადაა დამოკიდებული ბუნების დაუნდობელ ექსპლუატაციაზე.

ბოლო წლებში რეგიონის არაერთი ქვეყნის პროგრესულმა მთავრობამ გააცნობიერა ზემოთ აღწერილი სირთულეები და მომპოვებლური მოდელის გარკვეული ელემენტები მნიშვნელოვნად შეცვალა. თუმცა, ოფიციალური დისკურსისა და გეგმების გარდა, არაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ მათ მართლაც სურთ დაგროვების ამ მოდელის გადალახვა. ისინი იმედოვნებენ, რომ ამ ძალისხმევის შედეგად შეძლებენ გაუმკლავდნენ დიდი ხნის განმავლობაში უგულვებელყოფილ სოციალურ მოთხოვნებს და, რა თქმა უნდა, გაიმყარებენ საკუთარ ძალაუფლებას კლიენტალისტური ან თუნდაც ავტორიტარული პრაქტიკების მეშვეობითაც კი.

როგორც ედუარდო გუდინასი (2009b და 2010c) აღნიშნავს, სამხრეთ ამერიკის პროგრესული მთავრობებისთვისაც კი „განვითარების პოლიტიკის მთავარი ქვაკუთხედი კვლავაც მომპოვებლური მრეწველობაა“. გუდინასი აგრძელებს იმით, რომ სამხრეთ ამერიკის პროგრესულმა მთავრობებმა მართლაც „შექმნეს ახალი ტიპის მომპოვებლობა, როგორც მისი კომპონენტების ცვლილების მეშვეობით, ასევე ახალი და ძველი ატრიბუტების კომბინაციით“, თუმცა, მიუხედავად ამისა, დღევანდელი დაგროვების სტრუქტურა არსებითად არ არის შეცვლილი. შესაბამისად, ნეო-ექსტრაქტივიზმი კვლავაც გულისხმობს „საერთაშორისო ბაზარზე დაქვემდებარებული პოზიციით შესვლას, რაც ხელს უწყობს ტრანსნაციონალური კაპიტალიზმის გლობალიზაციას“. ის არა მხოლოდ ინარჩუნებს, არამედ უფრო მეტად ამწვავებს კიდევ „ტერიტორიების ფრაგმენტაციას და გლობალურ ბაზრებთან დაკავშირებული დაქვემდებარებული ტერიტორიებისა და მომპოვებლური ანკლავების საკითხს.“ ასევე, უცვლელი რჩება და „მოგ შემთხვევაში უარესდება კიდევ“ მომპოვებლური მრეწველობების სოციალური და ეკოლოგიური ეფექტები. გუდინასის მიხედვით, „გარდა რე-

სურსების მფლობელობისა, უცვლელი რჩება სამრეწველო პროცესის წესები და საქმიანობა, რომელიც ორიენტირებულია კონკურენტუნარიანობაზე, რენტაბელურობაზე, მოგების მაქსიმიზაციაზე და ეფექტების ექსტერნალიზებაზე“. ერთ-ერთი აღსანიშნავი ასპექტია „სახელმწიფოს მეტი ჩართულობა და პირდაპირი თუ არაპირდაპირი მოქმედებით მისი უფრო აქტიური როლი“. ერთადერთი, რაც ამ ნაციონალისტურ პოზიციას სურს მიაღწოს, არის სახელმწიფოს გაზრდილი ხელმისაწვდომობა და კონტროლი ბუნებრივ რესურსებზე თუ მათი მოპოვების შედეგად წარმოქმნილ სარგებელზე. ამ პერსპექტივიდან, კრიტიკის ობიექტი არა თავად მოპოვებაა, არამედ ბუნებრივი რესურსების ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ კონტროლირება. გარემოსთვის მიყენებული ზიანი თუ სერიოზული სოციალური ეფექტები კი მიიჩნევა, როგორც აუცილებელი საფასური მთელი საზოგადოების მიერ მიღებული სარგებლისთვის. ამის მისაღწევად „სახელმწიფო იკავებს (ან ცდილობს დაიკავოს) მეტი წილი მომპოვებლური მრეწველობის მიერ წარმოქმნილი მოგების მარჟიდან“. უფრო მეტიც, „ამ შემოსავლის ნაწილით ფინანსდება მნიშვნელოვანი და ფართომასშტაბიანი სოციალური პროგრამები, რაც სოციალური ლეგიტიმაციის ახალი წყარო ხდება“. და ამგვარად, მომპოვებლობა სიღარიბის დაძლევის და განვითარების ხელშეწყობის განუყოფელ პროცესად წარმოჩინდება.

გუდინასის დასკვნით ეჭვგარეშეა, რომ „ნეოექსტრაქტივიზმი სამხრეთ ამერიკული დეველოპმენტალიზმის თანამედროვე ვერსიის ნაწილია, სადაც მითი პროგრესისა და განვითარების შესახებ შენარჩუნებულია ახალი კულტურული და პოლიტიკური ჰიბრიდულობით“ (Gudynas 2009b და 2010c).

მიუხედავად იმისა, რომ მომპოვებლური საქმიანობის გაზრდილი სახელმწიფო კონტროლი მნიშვნელოვანია, ეს არ არის საკმარისი. ეროვნული ექსპორტის რეალური კონტროლი კვლავ მდიდარი ქვეყნების ხელში რჩება, მაშინაც კი, როდესაც მომპოვებლური საქმიანობა არ იღებს მნიშვნელოვან უცხოურ ინვესტიციებს. და მაინც, ნედლეულის ექსპორტიორ ეკონომიკებში, მრავალი სახელმწიფო საწარმო მხოლოდ უცხოურ მოთხოვნაზე რეაგირებს (რა თქმა უნდა, შესაბამის მთავრობებთან შეთანხმებულად). მშობლიურ ქვეყანაში ისინი ტრანსნაციონალური კორპორა-

ციების მსგავსი ლოგიკით მოქმედებენ: გარემოს განადგურება და საზოგადოების უპატივცემულობა მათი პრაქტიკისთვის არ არის უცხო. მოკლედ რომ ვთქვათ, ნედლეულის ექსპორტიორი ეკონომიკების განვითარების მახასიათებელია მათი წარმოების დაქვემდებარება და დამოკიდებულება გარე მოთხოვნაზე. საბოლოო ჯამში, ნეოექსტრაქტივიზმი ინარჩუნებს და კვლავწარმოებს ტრადიციული მომპოვებლობისთვის დამახასიათებელი იმ ძირითადი ელემენტებს, რომლებიც კოლონიური პერიოდებიდან გვხვდება.

ნავთობისა თუ სამთომომპოვების წყალობით, უფრო სწორად, ამ რესურსების ექსპორტის შედეგად მიღებული უზარმაზარი შემოსავლების წყალობით, პროგრესულ მთავრობებს ხშირად ჰგონიათ, რომ ისინი ხალხის ნებას ასრულებენ და ამით ცდილობენ დააჩქარონ ნანატრი ნახტომი მოდერნულობისაკენ. ფერნანდო კორონილის (2002) სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ ტიპის ეკონომიკებში „ჯადოსნური სახელმწიფო“ იქმნება, რომელიც „სასწაულების კულტურის“¹⁴ გამოყენებით ყვავის. სწორედ ეს არის ის, რასაც ბოლო წლებში ვხედავთ ვენესუელაში, ეკვადორში და ბოლივიაში.

ამ ქვეყნებში სახელმწიფომ დაიბრუნა საკუთარი ძალაუფლება. ნეოლიბერალური სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი მინიმალისტური სახელმწიფოს ნაცვლად, ვხვდებით საკმაოდ გამართლებულ მცდელობებს იმისა, რომ სახელმწიფომ აღიდგინოს აქტიური როლი და გააფართოვოს ქმედების არეალი. მაგრამ ამ ქვეყნებში, ჯერ-ჯერობით, არ ჩანს რეალური სიდრმისეული სტრუქტურული ცვლილებების განხორციელების სურვილი. წარმოებისა და ექსპორტის სტრუქტურები და ფუნდამენტური მახასიათებლები უცვლელი რჩება. ამ პირობებში, ძლიერი ბიზნეს სექტორები, მიუხედავად „რეველუციური დისკურსიდან“ მომდინარე კრიტიკის ქარ-ცეცხლისა, არ შეუწყვეტიათ კვლავაც უზარმაზარ მოგებას მოხვეჭა განახლებული მომპოვებლური საქმიანობით სარგებლობის შედეგად.

იმ ქვეყნებში, სადაც პროგრესულმა მთავრობებმა ნეოექსტრაქტივიზმის წესრიგი შექმნეს, ნავთობ- და სამთომომპოვებიდან შემოსული შემოსავლების უკეთესად გადანაწილებით მოსახლეობის ტრადიციულად გა-

14 ეს ავტორი განიხილავს ვენესუელაში განვითარებულ მოვლენებს გენერალ ხუან ვისენტ გომესის მთავრობიდან პოლკოვნიკ/კოლონელ ჰუგო ჩავეს ფრისის მთავრობამდე.

რიყულ ნაწილს შედარებით მაინც შეუმსუბუქდათ მდგომარეობა. თუმცა, შემოსავლებისა და სიმდიდრის რადიკალური გადანაწილება არ მომხდარა. ეს სიტუაცია შეიძლება აიხსნას იმით, თუ რამდენად მარტივია ბუნების სიკეთეებით მოგების ნახვა ისე, რომ არ გადავეშვათ სოციალურად და პოლიტიკურად რთულ გადანაწილების პროცესში.

როგორც წარსულში, ისე დღესაც, ამ ეკონომიკური ორიენტაციიდან მიღებული სარგებლის ლომის წილი მიდის მდიდარ, 'ბუნების იმპორტიორ' ქვეყნებში, რომლებიც ბუნების გადამუშავების და მზა პროდუქტებად გაყიდვის მეშვეობით, კიდევ უფრო მოგებას იხვეჭენ. ამ დროს, ის ქვეყნები, რომლებიც ნედლი საქონლის ექსპორტს ახდენენ, სამთო თუ ნავთობმოპოვების შემოსავლების ძალიან მცირე პროცენტს იკავებენ, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ისინი იხდიან ამ საქმიანობის შედეგად დამდგარ ეკოლოგიურ თუ სოციალურ საფასურს.

შესაბამისი ინსტიტუციონალური სტრუქტურების არარსებობის ფონზე, რომლებიც ამ მომპოვებლური საქმიანობის გარშემო გაჩენილ ეკოლოგიურ, სოციალურ თუ პოლიტიკურ კონფლიქტების ხარჯებს გაუმკლავდებოდა, უმნიშვნელო ხდება ის ეკონომიკური ხარჯებიც კი, რომელიც პოტენციური პროტესტების გაკონტროლებისთვის უშიშროების ძალების გამოყენების დროს წარმოიქმნება. გარდა ამისა, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ამ თითქმის გარდაუვალი სოციალური არასტაბილურობის გავლენა სხვა სამეწარმეო საქმიანობებზე, რომლებიც მომპოვებლური მრეწველობის გავლენის არეალშია – როგორცაა მაგალითად სამთომოპოვების შედეგად მცირე ფერმერების გარიყვა დაზიანებული ტერიტორიიდან.

ამ კონფლიქტებისა და ძალადობის შედეგებს ასევე გავლენა აქვს ადგილობრივ მთავრობებზეც. ისინი შეიძლება მოიხიბლონ ფართომასშტაბიან მომპოვებლური კომპანიებით და ცენტრალურ მთავრობაში მათი მოკავშირეებით, რომლებიც სხვადასხვა ფინანსურ დახმარებას სთავაზობენ. თუმცა, საბოლოო ჯამში, ადგილობრივ საზოგადოებრივ ერთობებს, კომპანიებსა და სახელმწიფოს შორის არსებული ამ რთული და კონფლიქტური ურთიერთობების შედეგად წარმოქმნილი ხარჯები საზოგადოებას დააწვება. ადგილობრივი განვითარების გეგმები რისკის ქვეშ მოექცევა, რამდენადაც სამთო და ნავთობის მოპოვება ყველა სხვა საქმიანობაზე უპირატესობას მოიპოვებს. საბოლოოდ, ადგილობრივი საზოგადოებების

ჩართულობით და მათი ინფორმირებული თანხმობით განერილი გეგმა გადანდურდება, გარემოსდაცვითი ვალდებულებები კი მომპოვებლური საქმიანობების ყველაზე მტკივნეული და ძვირადღირებული მემკვიდრეობა იქნება, რადგან ამ ვალდებულებებს, როგორც წესი, არ ითვალისწინებენ რესურსების ექსპლუატაციით დაკავებული კომპანები.

ცხადია, თუ ნავთობისა და მინერალების მოპოვების შედეგად მიღებული სოციალური, ეკოლოგიური და წარმოებასთან დაკავშირებული შედეგების ეკონომიკური ხარჯები დათვლილი იქნება, ამ საქმიანობისგან მიღებული ეკონომიკური სარგებლის დიდი ნაწილი უბრალოდ გაქრება.¹⁵ თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სრული დანახარჯები არ არის გამოთვლილი პროგრესული მთავრობების მიერ, რადგან მათ აქვთ ბრმა რწმენა ნედლეულის ექსპორტის ინდუსტრიის სარგებლიანობის შესახებ.

მოკლედ რომ ვთქვათ, ნეოექსტრაქტივიზმში ტრადიციული მომპოვებლობისთვის დამახასიათებელი პრობლემების დიდ ნაწილი შენარჩუნებულია.

ავტორიტარიზმი და დავა ბუნებისგან მიღებული მოგების შესახებ

ბუნებრივი რესურსების სიუხვის წყევლას, როგორც წესი, თან ახლავს ავტორიტარიზმის წყევლაც. არაგანახლებადი ბუნებრივი რესურსების ფართომასშტაბიანმა ექსპლუატაციამ ამ ქვეყნებში პატერნალისტური სახელმწიფოების ჩამოყალიბება გამოიწვია, რომელთა გავლენიანობა დამოკიდებულია მათ პოლიტიკურ უნარზე, ანარმონ მათთვის მომგებიანი მოლაპარაკებები სამთო თუ ნავთობის მოპოვების მრეწველობიდან მიღებული შემოსავლების მეტი წილის მისაღებად. ეს ის ქვეყნებია, რომლებმაც ბუნებრივ რესურსებზე მონოპოლიასთან ერთად, პოლიტიკურ ძალადობაზეც მონოპოლია დაამყარეს (კოროლინი, 2002).

მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება პარადოქსულად ჩანდეს, მაგრამ ამ ტიპის სახელმწიფომ, რომელმაც თავისი სოციალური ვალდებულებების

¹⁵ ნავთობის მრეწველობის ვალდებულებების შესახებ, იხილეთ, მაგალითად, ფანდერ ფალკონის (2004) ნაშრომები.

მნიშვნელოვან ნაწილს ხშირად ნავთობისა და სამთო მოპოვების კომპანიებს გადაულოცა (ამ სიტუაციის ცვლილება იწყება პროგრესული მთავრობების მქონე ქვეყნებში), საკუთარ უზარმაზარ რეგიონებს განვითარების მიღმა ტოვებს. და დეტერიტორიალიზაციის ამ პირობებში, როდესაც კომპანიებზე გადადის ის ვალდებულებები, რაც სახელმწიფომ უნდა შეასრულოს, ეს უკანასკნელი პოლიციურ სახელმწიფოდ იქცევა, რომელიც ამ სისტემის მსხვერპლთა რეპრესირებას ახდენს და უარს ამბობს საკუთარი სოციალური და ეკონომიკური ვალდებულებების შესრულებაზე. სასამართლო სისტემაც კი ექცევა კერძო თუ სახელმწიფო მომპოვებლური კომპანიების ინტერესთა ზენოლის ქვეშ.

ამ ანკლავურ ეკონომიკებში ფორმირებული პოლიტიკური დინამიკა და სტრუქტურები არა მხოლოდ ავტორიტარულია, არამედ მას გაუმადლობაც ახასიათებს. ბუმის პერიოდში ეს გაუმადლობა ხშირად სახელმწიფო ხარჯების არაპროპორციულ ზრდაში და საჭარო ფინანსების დისკრეციულ განაწილებაში გამოიხატება. ამგვარი პოლიტიკური პრაქტიკა ასევე აიხსნება მთავრობების განზრახვით, შეინარჩუნონ ძალაუფლება ან დააჩქარონ სტრუქტურული რეფორმების პროცესი, რომელიც, მათი აზრით, საზოგადოების გარდაქმნისთვის აუცილებელია.

სახელმწიფო ხარჯებისა და ინვესტიციების ზრდა ასევე განპირობებულია ყველაზე დიდი ძალაუფლების მქონე ჯგუფებს შორის გადანაწილების შესახებ წარმოქმნილი კონფლიქტებით. ეს სიტუაცია, რომელიც, ყველაზე მეტად, ბუმის პერიოდისთვისაა დამახასიათებელი, კარგად აქვს აღწერილი იურგენ შულდტს (2005), რომელიც ამბობს, რომ „ეს არის დინამიური, შეუზღუდავი ძალაუფლებრივი თამაში, რომელიც ბუმის შინაგანი მახასიათებლებიდანვე წარმოიქმნება. და სახელმწიფო ხარჯები, რომელიც დისკრეციულია, უფრო მეტად იზრდება, ვიდრე ეკონომიკური ბუმისგან წარმოშობილი შემოსავლები (პროციკლური ფისკალური პოლიტიკა).“

ეს „გაუმადლობის ეფექტი“ იწვევს ნედლეულის ექსპორტის სექტორში წარმოქმნილი მოგებისკენ ძლიერ ლტოლვას და მის უხემ მისაკუთრებასაც კი. მაშინ, როდესაც არ არსებობს ბუნებრივი რესურსების მართვის შესახებ ფართო ეროვნული შეთანხმება და მყარი დემოკრატიული ინსტიტუტები (რომლებიც მხოლოდ ფართომასშტაბიანი და უწყვეტი სამო-

ქალაქო ჩართულობის შედეგად შეიძლება აშენდეს)¹⁶, ჩნდება მრავალი ძლიერი უმართავი ჯგუფი, რომლებიც ყველაფერზე წავლენ, რათა ხელში მოიგდონ ნავთობის თუ სამთო მოპოვებიდან მიღებული მოსაკრებელი.

შესაბამისად, ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლის მიღებისთვის განეგ-გამოწვევაში ჩართულნი არიან, პირველ რიგში, ტრანსნაციონალური კომპანიები, რომლებიც პირდაპირად თუ ირიბად ერთვებიან ამ საქმი-ანობებში, და მათი მოკავშირეები: საერთაშორისო ბანკები, ფართო ბიზ-ნესი თუ ფინანსური სექტორი, შვიარალეული ძალებიც კი, მომგებიანი რენტით მოხიბლული ზოგიერთი ადგილობრივი მთავრობა, და საზოგა-დოების პოლიტიკურად გავლენიანი ნაწილები. პროფკავშირული ჯგუფე-ბიც, რომლებიც ამ მომპოვებლურ საქმიანობებთან კავშირში არიან და ცნობილნი არიან, როგორც „მშრომელთა არისტოკრატია“¹⁷, ასევე მნიშ-ვნელოვან სარგებელს იღებენ ამ პროცესებიდან. და, ადვილად მისახ-ვედრია, რომ ბრძოლა მოსაკრებლის გადანაწილებისთვის, რომელსაც მეტ-ნაკლები კონფლიქტურობა ახასიათებს, ახალ პოლიტიკურ დაძაბუ-ლობებს წარმოშობს.

ეს ყველაფერი ასუსტებს დემოკრატიულ მმართველობას, რადგან ხელს უწყობს ავტორიტარიზმის დამყარებასა და შენარჩუნებას და, ასევე, გა-უმძღარი და კლიენტალისტული კორპორაციების მმართველობას, რომელთაც არანაკლებ ახასიათებთ ავტორიტარული პრაქტიკები. მართ-ლაც, ეს ქვეყნები არ არის დემოკრატიის საუკეთესო მაგალითი. გარდა ამისა, მიღებული შემოსავლების მფლანგველური ხარჯვა და სტაბილური პოლიტიკის არარსებობა, როგორც წესი, ასუსტებს არსებულ ინსტიტუ-ციურ სტრუქტურებს ან ხელს უშლის მათ მშენებლობას.

ლათინურმა ამერიკამ ამ მხრივ საკმაოდ დიდი გამოცდილება დააგ-როვა. ამ რეგიონის მრავალი ქვეყნის მთავრობა აშკარა ავტორიტარულ

16 ეს არ გულისხმობს მხოლოდ ინდივიდუალურ/ლიბერალურ მოქალაქეობას, რადგან, კოლექტიური უფლებების თვალსაზრისით, შესაძლებელია კოლექტიური ან საზოგადოებ-რივი მოქალაქეობრიობის უზრუნველყოფა. ანალოგიურად, ბუნების უფლებები მოითხოვს და ასევე წარმოშობს ახალი ტიპის მოქალაქეობას, რომელიც აგებულია ინდივიდუალურ, კოლექტიურ და, აგრეთვე, ეკოლოგიურ სფეროებში. ეს პლურალური/მრავალმხრივი მოქა-ლაქეობაა, რადგან ისტორიებსა და გარემო პირობებს ეფუძნება და ითვალისწინებს გარე-მოსდაცვით სამართლიანობას, რაც ცდება სამართლიანობის ტრადიციულ იდეას. ედუარდო გუდინასი (2009) ამ ტიპის მოქალაქეობას „ეკოლოგიურ მეტა-მოქალაქეობას“ უწოდებს.

17 ერიკ ჰობსბაუმის თვალსაზრისის მიხედვით.

ნიშნებს ავლენს, რაც დაგროვების ამ მოდელის, ნედლეულის ექსპორტის შედეგია, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ის ემყარება სულ რამდენიმე ტიპის ბუნებრივ მინერალურ რესურსს.

ამგვარი რთული სიტუაცია მსოფლიოს სხვა ნაწილებშიც გვხვდება, განსაკუთრებით ნავთობისა და მინერალების ექსპორტიორ ქვეყნებში.¹⁸ ნორვეგია არის გამონაკლისი, რომელიც წესს ადასტურებს. განსხვავება ნორვეგიასა და ზემოთ აღწერილ შემთხვევებს შორის ის არის, რომ როდესაც ნორვეგიაში ნავთობის სამრეწველო ოპერაციები დაიწყო და გაფართოვდა, იქ უკვე არსებობდა მყარი დემოკრატიული პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუტები და სოციალური უთანასწორობის დონე ძალიან დაბალი იყო, განსხვავებით ნავთობსა და სამთომომპოვებაზე დაფუძნებული მესამე სამყაროს ეკონომიკებისგან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნორვეგიამ ნავთობის ინდუსტრია საკუთარ საზოგადოებასა და ეკონომიკაში მაშინ შემოიტანა, როდესაც უკვე განვითარებული ქვეყანა იყო.

ჩვენ ვერ მივალთ შევაჭამებამდე სიუხვის წყევლით დალდასმული ქვეყნებისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი ნიშნის ხსენების გარეშე: ძალადობის, რომელიც, როგორც ჩანს, მჭიდრო კავშირშია დემოკრატიის დამაზიანებელ მოდელთან. შესაძლოა, ამგვარ ძალადობას თვითონ სახელმწიფომ მიმართოს, და მომპოვებლური საქმიანობის გაგრძელების უზრუნველყოფისთვის ამ პროცესის წინააღმდეგ მიმართული მასობრივი პროტესტის კრიმინალიზება მოახდინოს იმ შემთხვევაშიც, თუ მას პროგრესული მთავრობა ჰყავს.

თვითონ მომპოვებლური საწარმოების მხრიდან ძალადობა, რომელსაც ხშირად სახელმწიფო მხარდაჭერაც გააჩნია, რეპრესიის განსხვავებული ფორმით ვლინდება. ლათინურ ამერიკაში ამ რეპრესიული თუ გენოცი-

18 მაგალითისთვის, საკმარისია გავაანალიზოთ სპარსეთის ყურის ქვეყნებში არსებული მდგომარეობა. ეს ქვეყნები, უზარმაზარი ფინანსური რესურსების დაგროვების და ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების მაღალი დონის გამო, შეიძლება ძალიან მდიდარ ქვეყნებად ჩაითვალოს. მიუხედავად ამისა, ისინი ვერანაირად ვერ მოხვდებიან განვითარებული ქვეყნების სიაში: მათთვის დამახასიათებელია უთანასწორობის არანორმალურად მაღალი დონე, თავისუფლების ამკარა ნაკლებობა, და პოლიტიკური და რელიგიური შეწყენარებლობა. მათი მთავრობების უმეტესობა არა მხოლოდ არადემოკრატიულია, არამედ ავტორიტარული პრაქტიკასაც მიმართავენ. საუდის არაბეთი, შუა საუკუნეების მახასიათებლების მქონე მონაქრია, ძალიან გრძელი სის პარადიგმული მაგალითი იქნებოდა.

დური ქმედებების ძალიან გრძელი სია ყველასთვის ცნობილია¹⁹. გარდა ამისა, გარკვეული ძალები სამოქალაქო²⁰ თუ ქვეყნებს შორის ომებს და იმპერიულ აგრესიასაც იყენებდნენ იმისთვის, რომ უზრუნველყოთ ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით ნავთობისა და გაზის), აუცილებლობის შემთხვევაში, ძალისმიერი გზით²¹ მიღება.

ეს კონფლიქტები, რომლებიც მუდმივი არასტაბილურობის პირობებში ვითარდება, მთელი რიგი მიზეზების გამო ეკონომიკურ ხარჯებს წარმოქმნის. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ მყარი ინსტიტუტების არარსებობით გამონწვეული მრავალი უარყოფითი ეფექტი: ნავთობისა და სამთომოპოვების კომპანიების მიერ ექსპორტის შემცირებულად შეფასება ან იმპორტის გადამეტებულად შეფასება საკუთარი გადასახადებისა და როიალტის შემცირების მიზნით; ტრანსნაციონალური სანარმოების მიერ საკუთარი პროდუქციის არაპროგნოზირებადი და მოულოდნელი შემცირება საკუთარი მოგების გაზრდის მიზნით; სხვადასხვა ტიპის შუამავლების მხარე ჩარევა წარმოების პროცესში, რაც ამ პროცესს უფრო რთულს ხდის, ხოლო გარიგებებს უფრო აძვირებს. საბოლოო ჯამში, ამ ტიპის პრობლემებმა, რომელთა სიაც უსასრულოა, შესაძლოა ამ სექტორში ინვესტიციების შემცირებაც გამოიწვიოს, სულ მცირე მნიშვნელოვანი კომპანიების მხრიდან.

19 პერუს სამთო მოპოვების რეგიონებში, ქვეყანაში, რომელსაც ხშირად მოიხსენიებენ, როგორც სამთო მოპოვებისთვის ღიაობის მაგალითს, ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევები არნახულად გაზრდილია. ამ ქვეყანაში სამთო და ნავთობის მრეწველობასთან, განსაკუთრებით სამთო მრეწველობასთან, დაკავშირებული კონფლიქტები მთლიანად აღრიცხული სოციალური კონფლიქტების 80% -ზე მეტს შეადგენს (De Echave, 2008, 2009). 2009 წელს ბაგუაში მომხდარი მოვლენები მხოლოდ ერთი კარგად ცნობილი მაგალითია ძალადობისა და სისტემატიურად ადამიანის უფლებათა დარღვევის გრძელი სიიდან. კოლუმბიაში, ქვეყანაში, რომელიც უზომოდ დააზარალა ხანგრძლივმა და სისხლიანმა სამოქალაქო ომმა, 1995-2002 წლებში მომხდარი იძულებითი გადაადგილების 70 % სამთო მოპოვების ადგილებს ეხებოდა. ეკვადორში, ბოლო წლებში ადამიანის უფლებების დარღვევის ყველაზე მძიმე შემთხვევები დაკავშირებულია ტრანსნაციონალურ მოპოვებელ კომპანიებთან და, რა თქმა უნდა, ნავთობის მრეწველობასთან.

20 ნიგერიის მაგალითი ადასტურებს ამ დებულებას: მან ჯერ ნავთობის კონტროლის გამო დაწყებული ხანგრძლივი და მტკიცე სამოქალაქო ომი გაიარა, შემდეგ კი ოგონების წინააღმდეგ მანკიერი რეპრესიები. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ძალადობა არ შეწყდა კავკასიის ქვეყნებშიც, რომლებიც ნავთობითა და გაზით მდიდარია: თურქმენეთში, ყაზახეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში, ოსეთში, დაღესტანში თუ ჩჩენეთში.

21 ამ უკანასკნელის დასამტკიცებლად საკმარისია ვახსენოთ აშშ-ის სამხედრო აგრესია ერაყისა და ავღანეთის წინააღმდეგ ამ ქვეყნების ნავთობისა და გაზის რეზერვების კონტროლის მიზნით. 2011 წელს ლიბიაში ნატო-ს ინტერვენციაც ასევე შეიძლება იყოს კლასიფიცირებული იმპერიულ აგრესიის აქტად ნავთობის და, ამ შემთხვევაში, მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი წყლის მარაგის გაკონტროლების მიზნით.

გარდა ამისა, ბუნების სიკეთეებზე ასეთი ძლიერი დამოკიდებულება ხელს უშლის სამეწარმეო ინოვაციებსა და მარკეტინგულ ინიციატივებსაც კი, და აძლიერებს ოლიგოპოლიურ, პატრიმონიალურ და მოსაკრებელზე ორიენტირებულ პრაქტიკებს. ჩვენ კი კარგად ვიცით, რომ ეს პრაქტიკები, მთავრობის ქმედებებში მომპოვებლური სანარმოების მხარდ ჩარევასთან ერთად, მცირე, მაგრამ დიდი ძალაუფლების მქონე ოლიგარქიულ ჯგუფებს აძლიერებს.

ამასთან ერთად, კლიენტალისტურ საქმიანობებზე მეტი სახელმწიფო რესურსის მიმართვა ამცირებს დემოკრატიზაციისკენ მიმართულ ლატენტურ ზენოლას. ეს ერთგვარი 'ფისკალური განტვირთვაა' (fiscal pacification) (შულდტი, 2005), რომელიც სოციალური პროტესტის ჩახშობისკენაა მიმართული. დიდი შემოსავლები მთავრობას შესაძლებლობას აძლევს, აღკვეთოს ოპოზიციის, დამოუკიდებელი ჯგუფების, თუ ძლიერი ფრაქციების ჩამოყალიბება, რომლებიც გააჩენდნენ პოლიტიკური თუ სხვა უფლებები მოთხოვნის შესაძლებლობას (ადამიანის უფლებები, სამართლიანობის აღსრულება, საზიარო მმართველობა და ა.შ.). მთავრობას ისიც შეუძლია, რომ დიდი თანხები თავისი შიდა კონტროლის გაძლიერებისთვის გამოეყოს, რაშიც ოპონენტების რეპრესირებაც იგულისხმება.

შედარებით უხვმა ფინანსურმა რესურსებმა შეიძლება შესაძლებელი გახადოს ექსპანსიური ეკონომიკური პოლიტიკა და მაღალი საგარეო დავალიანება. ეკონომიკის ფინანსირებისთვის დამატებითი სახსრების მუდმივ ძიებას საგარეო სესხებამდე მივყავართ.²² აქ ჩვენ კიდევ ერთხელ ვხვდებით „გაუმადლობის ეფექტს“, რომელიც გამოიხატება ბანკების, განსაკუთრების კერძო თუ მულტილატერული საერთაშორისო ბანკების, სურვილში, ჩართულნი იყვნენ შემოსავლების ბუშში; შესაბამისად, ამ პროცესის შედეგად წარმოქმნილი საგარეო დავალიანება ამ ბანკების ერთობლივი პასუხისმგებლობაა²³. ბოლო ხანებში ჩინეთი სულ უფრო მეტ

22 შესაბამისად, ახლადგამიდრებულ ნავთობპროდუქტების მწარმოებელ ეკვადორს ბევრად მარტივად შეეძლო სესხების აღება, ვიდრე ღარიბ ბანანის მწარმოებელ ეკვადორს. 1970-იანი წლების ეკონომიკური ბუმის შუა პერიოდში ეკვადორის სახელმწიფო ვალი და განსაკუთრებით მისი საგარეო ვალი ნავთობის ბუმთან შესაბამისობაზე ბევრად მეტად, არაპროპორციულად გაიზარდა (ამას ასევე კაპიტალის დაგროვების მოთხოვნით წარმოშობილი გარეგანი მიზეზიც განაპირობებდა).

23 იხილეთ ოსმელ მანზანო და რობერტო რიგოლანი (2001), ასევე ზემოთ ნახსენები ავტორები, რომლებიც მუშაობენ საგარეო ვალის საკითხზე.

სესხს გასცემს განუვითარებელ, განსაკუთრებით აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებზე იმ მიზნით, რომ მოიპოვოს კონტროლი მინერალები-სა თუ ნავთობის საბადოებზე თუ ფართო მასშტაბის სამეურნეო მიწებზე, ან ააშენოს მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები.

ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციის შედეგად მიღებული უზარმაზარი შემოსავლებისა და უცხოურ სესხებზე წვდომის სიმარტივის გამო, მთავრობები, როგორც წესი, ასუსტებენ საგადასახადო საქმიანობას და სტრუქტურას. ისინი ხშირად საგადასახადო ტვირთს მინიმუმამდე ამცირებენ და, შეიძლება, საერთოდ შეაჩერონ კიდევ გადასახადების, განსაკუთრებით საშემოსავლო გადასახადის აკრეფა (გარდა ამისა, ნეოლიბერალური იდეოლოგიის წყევლა აბრკოლებს საგადასახადო ტვირთის ნებისმიერი სახით ზრდას).²⁴

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი პროგრესული მთავრობა, მაგალითად ეკვადორში თუ ბოლივიაში, ცდილობს გააუმჯობესოს საგადასახადო შემოსავლების მობილიზების მექანიზმი და ის უფრო პროგრესული და სამართლიანი გახადოს.

ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც იურგენ შულდტი (2005) აღნიშნავს, საჭარო ფინანსების სუსტი მართვა მოქალაქეებს ცუდ ჩვევებს უვითარებს. კიდევ უარესიც: „ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოება არ მოითხოვს სახელმწიფო დანახარჯების ეფექტურობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობას, წარმომადგენლობას.“ ამ უსამართლო და ხარჯიანი სუბსიდიების შენარჩუნება, მაგალითად სანვავზე, სწორედ ამ ცუდი ჩვევებით შეიძლება აიხსნას, მიუხედავად იმისა, რომ ამას შეცდომით „ხალხის მიღწევად“ განიხილავენ ხოლმე.

შულდტი შეგვახსენებს, რომ სახელმწიფოში დემოკრატიული წარმომადგენლობის მოთხოვნა, როგორც წესი, გადასახადების ზრდის შედეგად გაჩნდა – მაგალითად ბრიტანეთში 400 წელზე მეტი ხნის წინ, საფრანგეთში კი მე-19 საუკუნის დასაწყისში. მოსაკრებლის მაძიებლური და კლიენტალისტური წარმოდგენები კი მოქალაქეობრიობის სანინააღმდეგოა და, შესაძლოა ხელი შეუშალოს და შეაფერხოს კიდევ მოქალაქეობრივი თვითშეგნების განვითარება.

24 1970იანი წლების ნავთობის ბუმის პერიოდში ეკვადორის სამხედრო მთავრობის ერთ-ერთმა ლიდერმა, გენერალმა გილერმო როდრიგეს ლარამ სიამაყით განაცხადა, რომ მისი მთავრობის ერთ-ერთი მიღწევა გადასახადების შეგროვების შეწყვეტა იყო.

ამ ნედლეულის ექსპორტიორი ეკონომიკების მთავრობებს არა მხოლოდ საკმარისი სახსრები აქვთ – განსაკუთრებით ბუმის პერიოდში – რათა გაატარონ აუცილებელი საჯარო სამსახური, არამედ მათ იმის შესაძლებლობაც აქვთ, რომ საჭირო ზომებსა და ქმედებებს მიმართონ ხალხის მეტად ჩასართავად მმართველობაში, რომ მათ შესაძლებლობა ჰქონდეთ წარადგინონ ის რეფორმები და ცვლილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ აუცილებლად. თუმცა კლიენტალიზმი მოქალაქეობრიობის განმტკიცებას შეუძლებელს ხდის. უფრო მეტიც, როდესაც კლიენტალისტული პრაქტიკა წაახალისებს ინდივიდუალიზმს და ისეთ სოციალურ პოლიტიკას, რომელიც ფოკუსირებულია ინდივიდზე (მაგალითად როგორცაა ნეოლიბერალური მთავრობების მიერ განხორციელებული პოლიტიკები, რომლებსაც პროგრესული მთავრობებიც აგრძელებდნენ), ამან კოლექტიური მოთხოვნებისა და კოლექტიური ქმედების განადგურებას შეიძლება გამოიწვიოს. ეს საბოლოოდ უარყოფით გავლენას ახდენს სამოქალაქო საზოგადოებაზე და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, საზოგადოებრივ ცნობიერებაზე.²⁵

ეს ყველაფერი ხშირად მმართველობის ავტორიტარულ და მესიანისტურ ფორმამდე მიდის, რომელიც, საუკეთესო შემთხვევაში, იმის უკან იმალება, რასაც გილერმო ო'დონელმა „დელეგატიური დემოკრატია“ უწოდა, ან, რაც დღეს პლებისციტურ დემოკრატიადაა ცნობილი.

გარდა ამისა, ამ ტიპის ჰიპერპრეზიდენტული მთავრობები (ნეოლიბერალური თუ პროგრესული), რომლებიც სოციალურ მოთხოვნებს კლიენტალისტული ფორმით პასუხობენ, სოციო-პოლიტიკური კონფლიქტების ახალ ფორმებს უყრიან საფუძველს. ეს იმიტომ, რომ სიღარიბისა და გარიყულობის სტრუქტურულ მიზეზებს ხელშეუხებელს ტოვებენ. ნავთობისა და სამთომომპოვებიდან მიღებული შემოსავლის რაღაც ნაწილის გადანაწილდება, მაგრამ არ მიმდინარეობს შემოსავლისა და სიმდიდრის გადანაწილების სიღრმისეული პროცესი. ასევე, ამ ფართომასშტაბიანი მომპოვებლური საქმიანობების მნიშვნელოვანი სოციალური და ეკო-

25 ცნობიერად თუ არაცნობიერად, ეკვადორის „სამოქალაქო რევოლუციის“ მთავრობის მრავალ Socio País პროექტს სწორედ ეს ეფექტი აქვს. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ ეს მთავრობა ღიად ცდილობს დაასუსტოს და დაანაწევროს ძლიერი სოციალური მოძრაობები, განსაკუთრებით კი ადგილობრივთა მოძრაობები, რომლებიც სასტიკად ეწინააღმდეგებიან მომპოვებლური მრეწველობების გაფართოებას.

ლოგიური ეფექტები, რომლებიც ასევე არათანაბრად ნაწილდება, ზრდის უმართავობის დონეს, რაც, თავის მხრივ, ახალ ავტორიტარულ რეაგირებებს საჭიროებს.

ენტონი ბეთბინგტონის რეკომენდაციის გათვალისწინებით, მდგრადობის იდეის კონსტრუირება – თუნდაც მხოლოდ ტრანზიციასთან მიმართებაში – დემოკრატიულად უნდა მოხდეს. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ამით არაგანახლებადი ბუნებრივი რესურსების შინაგანი არამდგრადობის პრობლემა გადაიჭრება. განვითარების ლიმიტები სამოქალაქო საზოგადოებასთან და მის თანამონაწილეობასთან უნდა იყოს დაკავშირებული, და არ უნდა განისაზღვრებოდეს იმ მოდელებით, რომელშიც ყველაზე ძლიერი მოთამაშეები – ხშირად ტრანსნაციონალური ორგანიზაციები და შემდეგ სახელმწიფო – იღებენ გადაწყვეტილებებს. ამგვარ მოცემულობაში, ბუნებრივი რესურსების გამოყენება დისკუსიის საგანი გახდებოდა, რაც მომპოვებლობასთან დაკავშირებულ ანტიდემოკრატიულ ვითარებას გადაჭრიდა.

ერთი სიტყვით, არაგანახლებად ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებულება ხშირად ამყარებს ავტოკრატიულ და ავტორიტარულ მმართველობებსაც კი, რაც შემდეგი ფაქტორებითაა გამოწვეული:

- ▶ სახელმწიფო ინსტიტუტები ზედმეტად სუსტია იმისთვის, რომ გააკონტროლოს კანონის აღსრულება თუ მთავრობის ქმედებები;
- ▶ კანონიერებისა და გამჭვირვალობის არარსებობა ახალისებს დისკრეციულობას საჯარო ფინანსებისა და საჯარო სიკეთების გამოყენების პროცესში;
- ▶ მოსაკრებლის განაწილების შესახებ ძალაუფლების მქონე ჯგუფებს შორის კონფლიქტები, მოსაკრებლის-მაძიებლობისა და პატრიმონიალიზმის გამყარებით, ამცირებს გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას და ინვესტიციებს;
- ▶ სახელმწიფო პოლიტიკა მოკლე ვადებზეა გათვლილი და არ არის კარგად დაგეგმილი;
- ▶ საზოგადოების ფართო სექტორის თუ მთავრობების გენეტიკის ნაწილი ხდება ილუზია ბუნებრივი რესურსების ფართომასშტაბიანი ექსპლუატაციისა და ექსპორტის შედეგად წარმოქმნილი მარტივი და უხვი სიმდიდრის შესახებ.

მოდველებული დეველოპმენტარიზმიდან პოსტ-ექსტრაქტივიზმამდე

არასწორი წარმოდგენებისა თუ უცოდინრობის გამო, ვილაცას შეიძლება ეგზოტიკური იდეა გაუჩნდეს, რომ რადგან ნედლეულის ექსპორტიორი ეკონომიკა მუდმივ განუვითარებლობას წარმოქმნის, გამოსავალი ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციის შეწყვეტა იქნებოდა. ეს, რა თქმა უნდა, მცდარი დასკვნაა.

რესურსების წყველა არა ფატალური ბედისწერაა, არამედ არჩევანი. გამოწვევა ისეთი სტრატეგიის პოვნაში მდგომარეობს, რომელიც არა-განახლებადი ბუნებრივი რესურსების გამოყენების მეშვეობით „კარგად ცხოვრებას“ გახდიდა შესაძლებელს, და შესაბამისად, ბუნებრივ რესურსებს „კურთხევად“ აქცევდა (სტიგლიცი, 2006).

აქედან გამომდინარე, ჩვენი ამოცანა ისეთი განსხვავებული გზის არჩევაა, რომელიც დაგვაშორებს რესურსების თუ ორთოდოქსული შეხედულებების წყველას, რომელიც ტრანსნაციონალური ძალების სუბორდინაციაში გვამყოფებს. ერთ-ერთი ყველაზე რთული ამოცანა, შესაბამისად, ისეთი სტრატეგიის შემუშავება და განხორციელებაა, რომელიც პოსტ-ექსტრაქტივისტულ ეკონომიკამდე მიგვიყვანს.

ამგვარი ახალი ტიპის ეკონომიკა ერთ ღამეში ვერ შეიქმნება. ასევე, ძნელი წარმოსადგენია ამ დროისთვის მოქმედი ნავთობის საბადოებისა თუ მალაროების მოულოდნელი დახურვა. მაგრამ ეს ტრანზიცია არასდროს გახდება რეალობა, თუ მომპოვებლური საქმიანობა კვლავაც განაგრძობს გაფართოებას და თუ არ იარსებებს სწორად დაგეგმილი ცვლილებების პროცესით მისი თანდათანობით შემცირების კონკრეტული ალტერნატივა. რა თქმა უნდა, ამ ტრანზიციის განხორციელება ადვილი არ იქნება კაპიტალისტურ სამყაროში, რომლის წარმოდგენაც შეუძლებელია ისეთი მომპოვებლური მრეწველობების გარეშე, როგორცაა ნავთობი და სამთო თუ სატყეო მეურნეობა. დღევანდელობისთვის ამ ტრანზიციის განხორციელება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ამოცანაა და მოითხოვს კრიტიკული აზროვნების, გამომგონებლობისა და შემოქმედებითობის მაქსიმუმს საზოგადოებისგან თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისგან. გლობალური სამხრეთის ძალისხმევა, მიუახლოვდეს პოსტ-ექსტრაქტიულ ეკო-

ნომიკას, უნდა ემთხვეოდეს გლობალური ჩრდილოეთის ეკონომიკურ „უკუ-ზრდას“,²⁶ ან, სულ მცირე, მის სტაციონარულ ზრდას. ეს საკითხი სულ უფრო შემამოფოთებელი ხდება ბევრი ინდუსტრიალიზებული ქვეყნისთვის.

მომპოვებლური ეკონომიკის გადალახვა, გარკვეული დროის განმავლობაში, მომპოვებლობის სხვადასხვა ფორმასთან თანაარსებობასაც მოიცავს, თუმცა მისი საკვანძო საკითხი უნდა იყოს მომპოვებლობის გეგმიური შემცირება. ეს ხელს შეუწყობს მდგრადი საქმიანობის განხორციელებას ისეთ სფეროებში, როგორცაა გადამამუშავებელი წარმოება, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი და განსაკუთრებით, ცოდნის წარმოების პროცესი. ბუნება მეტად არავითარ შემთხვევაში აღარ უნდა დაზიანდეს. სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და ეკოლოგიური ტრანზიციის თვალსაზრისით, ამ ტიპის სტრატეგიების წარმატება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად თანმიმდევრული იქნება ისინი და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, თუ რა დონის სოციალურ მხარდაჭერას მოიპოვებს ეს სტრატეგიები.

იდეა იმაში მდგომარეობს, რომ წარსულს ჩავაბაროთ არამდგრადი, დაქვემდებარებული მომპოვებლური ეკონომიკები, რომლებიც ნედლი საქონლის ექსპორტს ეფუძნება, ზედმეტად ორიენტირებულია ექსპორტის ბაზარზე, არ არის ინდუსტრიალიზებული, ახასიათებს სიღარიბისა და გარიყულობის მაღალი დონე, შემოსავლები და სიმდიდრე კონცენტრირებულია რამდენიმეს ხელში, და ანადგურებს და აბინძურებს გარემოს. მიზანი მდგრადი, დივერსიფიცირებული ეკონომიკების მშენებლობაა, რომელშიც ინდუსტრიალიზებული და მომსახურებაზე ორიენტირებული პროდუქციისა და ბაზრების ფართო სპექტრი იარსებებს, რომელსაც ექნება უნარი, შექმნას მაღალი ხარისხის სამუშაო ადგილები, რომელიც იქნება სამართლიანი და პატივს სცემს კულტურებსა და ბუნებას. ამ მხრივ, კარგი იქნებოდა გადაგვეხედა მკვიდრი მოსახლეობის იმ მსოფლმხედველობისთვის, რომელშიც ადამიანები არა მარტო ბუნებასთან ერთად ჰარმონიაში თანაცხოვრობენ, არამედ მის ნაწილსაც წარმოადგენენ.

ამ ტიპის, აუცილებლად მრავალმხრივი ტრანზიციის განსახორციელებლად, არსებითად მნიშვნელოვანია ახალი, ძლიერი სახელმწიფო

26 გლობალურ სამხრეთში ისეთი მოაზროვნეებიც გვხვდება, რომლებიც ეკონომიკის შემცირების წინადადებით შემოდიან, იხ. ლეფი (2008).

ინსტიტუტების შექმნა, ეკონომიკის ახლებურად ორგანიზება, და ასევე, მსოფლიო ბაზარში ჩართულობის შესახებ სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბება. შესაბამისად, ეს პროცესი მოითხოვს მარეგულირებელ ღონისძიებებსა და ორგანიზაციებს, ისევე, როგორც მართებულად დადგენილ მექანიზმებს, რაც შესაძლებელს გახდის ამ ტრანზიციის განხორციელებას.²⁷

მაშასადამე, ჩვენ ვლაპარაკობთ ახალი ტიპის მწარმოებლურ სპეციალიზაციაზე, რომელიც დაეფუძნება სხვადასხვა ინტერესებს შორის ფართო კონსენსუსს და ქვეყნებს შესაძლებლობას მისცემს, მიაღწიონ შინაგან მდგრადობას. ამ მიზნის მისაღწევად, აუცილებელია ქვეყნის შიდა ბაზრისა და მწარმოებლური აპარატის გაძლიერება, აგრეთვე წარმოების ტრანზიციის სტრატეგიის შემუშავება, რაც თავის მხრივ შეამცირებს მომპოვებლური მრეწველობის მნიშვნელობას ეკონომიკისთვის.

დღის წესრიგის კიდევ ერთი პრიორიტეტული საკითხი ბუნებასთან ხელახლა შეხვედრას – ეს ნიშნავს იმ მოდელებისა და პრაქტიკების უკუგდებას, რომლებიც ორიენტირებულია ბუნების ექსპლუატაციასა და მითვისებაზე. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ მთელი კაცობრიობა ვალდებულია შეინარჩუნოს ბუნებრივი პროცესების მთლიანობა, რომელიც უზრუნველყოფს ბიოსფეროში ენერჯიებისა და ნივთიერებათა ნაკადებს. ეს გულისხმობს პლანეტის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას. ამ ცივილური ტრანსფორმაციის მისაღწევად, როგორც ჩანს, ბუნების დეკომერციალიზაცია არსებითი მნიშვნელობისაა. ეკონომიკური მიზნები უნდა დაექვემდებაროს ბუნებრივი სისტემების ფუნქციონირების კანონებს ისე, რომ არ დაივიწყოს ადამიანური ღირსება და საზოგადოებების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების აუცილებლობა.

ეს აუცილებელს ხდის იმ ტერიტორიების შენარჩუნებას (განადგურების თავიდან აცილებას), რომელთაც ეკოლოგიური და სოციალური თვალ-

27 ბოლო წლებში სულ უფრო ფართო დისკუსია მიმდინარეობს იმ საკითხზე, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ეს ტრანზიციები. ამ დისკუსიის ფარგლებში ბევრმა ავტორმა სხვადასხვა იდეები და შემოთავაზებები წამოაყენა, მათ შორის არიან ედუარდო გუდინასი, ჯონ მარტინეს ალიერი, ენრიკე ლეფი და რობერტო გიმარაესი. კონკრეტული მაგალითისთვის, იხილეთ შერუში გამოცემული რამდენიმე ავტორის კრებული ალექსანდრა ალაიზას და ედუარდო გუდინასის რედაქტორობით (2011). ტრანზიციის განხორციელებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ შემოთავაზებას შეგიძლიათ გაეცნოთ ოქსფამის კვლევაში (2009). ასევე, მეც განავითარე შემოთავაზებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აშენდეს პოსტ-ნავთობის ეკონომიკა (აკოსტა 2000 ან 2009). აღსანიშნავია ისიც, რომ 2000 წელს რამდენიმე ავტორმა გამოაქვეყნა შემოთავაზებები „პოსტ-ნავთობისეული ეკვადორის“ მშენებლობის შესახებ.

საზრისით დიდი ღირებულება გააჩნიათ და სადაც ბიომრავალფეროვნების ყველაზე მაღალი დონეა კონცენტრირებული: ამის გლობალური მაგალითია იასუნი- ITT ინიციატივა ეკვადორში.²⁸ ამასთან ერთად, ყალიბდება ძლიერი მდგრადობის კონცეფცია (რომ ეკონომიკურმა კაპიტალმა მთლიანად არ უნდა შეცვალოს „ბუნებრივი კაპიტალი“), როგორც საზოგადოების ორგანიზების ახალი პარადიგმა. ეს ასევე გულისხმობს კონვენციური მაკროეკონომიკური გათვლების ახალი მაჩვენებლებითა და მდგრადობის ინდექსებით ცვლილებასაც.

ანალოგიურად, ფართომასშტაბიანი და გულწრფელი სოციალური ჩართულობა საჭირო ფართომასშტაბიან მომპოვებლობასთან საბრძოლველად. ეს აუცილებლად გულისხმობს მოპოვებისა და ნავთობის მრეწველობიდან მიღებული შემოსავლების, თუ ეკონომიკაში არსებული სხვა შემოსავლისა და აქტივების, მკაცრ და რადიკალურ გადანაწილებას. უთანასწორობებს²⁹ ბოლო უნდა მოეღოს, რადგან სწორედ ეს არის ნებისმიერი სახის ავტორიტარიზმის საფუძველი ადამიანური ცხოვრების ყველა სფეროში.

პირველ რიგში, აუცილებელია პირველადი საქონლის ექსპორტზე დაფუძნებული მომპოვებლური ეკონომიკური მოდელის გავრცელებისა და ინტენსიფიკაციის შეჩერება. ნედლეულის ექსპორტზე დამყარებული დაგროვების ამ მოდელის პრიორიტეტად დასახვას, რომელიც ბუნებისგან მიღებულ მოგებას გადაჭარბებულად, ხოლო ადამიანურ შრომას შემცირებულად აფასებს, რომელიც სისტემატიურად ანადგურებს გარემოს და მნიშვნელოვან ნეგატიურ გავლენას ახდენს სოციალურ და საზოგადოებრივ სტრუქტურებზე, რომელიც პრიორიტეტად ისახავს საექსპორტო ბაზარს და უყურადღებოდ ტოვებს შიდა ბაზარს, რომელიც წაახალისებს სიმდიდრის კონცენტრაციას და უგულვებელყოფს თანასწორობას, ჭერ არცერთი ქვეყანა არ დაუყენებია განვითარების გზაზე. შესაბამისად, ის ვერც

28 იხილეთ მარტინესი და აკოსტა (2010). ეს ინიციატივა წარმოიშვა მორატორიუმის წინადადებიდან, რომელიც ეკვადორში ამაზონის რეგიონის სამხრეთით მდებარე ნავთობის მოპოვებას ეხებოდა და რომელიც 2000 წელს რამდენიმე ავტორის წიგნში, El Ecuador Post Petrolero-ში გამოქვეყნდა.

29 განსაკუთრებით ეკონომიკური, სოციალური, თაობათაშორისი, გენდერული, ეთნიკური, კულტურული და რეგიონალური უთანასწორობები.

პოსტ-დეველოპმენტარისტული 'კარგად ცხოვრების'³⁰ მშენებლობისკენ მიმავალი გზა გახდება.

კონცეპტუალურად მაინც, 'კარგად ცხოვრება' ის გზაა, რომელიც განვითარების სხვადასხვა „ალტერნატივებს“ მიღმა, ცდილობს შემოგვთავაზოს „ალტერნატივა, განვითარების მაგივრად“. ერთი სიტყვით, ეს გზა რადიკალურად განსხვავდება ყველა განვითარების იდეიდან. ის მწარმოებლობის საკუთარ ვერსიას პროგრესის იდეიდანაც კი ათავისუფლებს. შესაბამისად, 'კარგად ცხოვრება' შესაძლებლობას იძლევა, შეიქმნას სხვა ტიპის საზოგადოება, რომელიც, თითოეული ქვეყნისა და მთელ მსოფლიოში არსებული კულტურული ფასეულობების აღიარების საფუძველზე, გამოირჩევა ადამიანური თანაცხოვრების უნარით მრავალფეროვნებაში და ბუნებასთან ჰარმონიაში. ამ შემოთავაზების მთავარი ელემენტი, რომელიც შეიძლება გლობალურად განხორციელდეს, მდგომარეობს დიდი რევოლუციური ნაბიჯის გადადგმაში, რათა ხელი შეეწყოს ანთროპოცენტრული მსოფლმხედველობიდან სოციო-ბიოცენტრულ მსოფლმხედველობაზე გადასვლას, მისი თანმხლები პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური შედეგებით.

„მოძველებული დეველოპმენტარიზმის“ (მარტინეზ ალიერი, 2008) გზის არჩევით კი, მომპოვებლობის შენარჩუნებით ან, კიდევ უარესი, მისი ინტენსიფიკაციით, ჩვენ ნამდვილად ვერ ვიპოვით გამოსავალს იმ საზოგადოებების რთული დილემიდან, რომლებიც, ერთი მხრივ, მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, მაგრამ, ამავე დროს, გაღატაკებულია.

30 ამ საკითხის შესახებ არსებული მზარდი ლიტერატურიდან უნდა ვახსენოთ ორი ნაშრომი: აკოსტა და მარტინესი (2009), და აკოსტა (2010). კიდევ ერთი ტექსტი, რომელიც ამ საკითხს უფრო ფართო კონტექსტში განიხილავს, არის ტორტოსას ნაშრომი (2011).

სინთეზური შესავალი

მომპოვებლურ/მწარმოებლური დიქტომიის გადააზრება ნეოლიბერალიზმის პირობებში

ანა დიაკონიძე

სონია კილორან-მაკკიბინისა და ანა ზალიკის სტატია უაღრესად საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ექსტრაქტივიზმის (იგივე მომპოვებლობის) ფენომენს განიხილავს ძალიან ფართო პერსპექტივაში. კერძოდ, ტექსტში გაკრიტიკებულია ვიწრო ფოკუსი, რაც გარემოსა და სამუშაო ძალის ექსპლუატაციაზე გადის და აქცენტი კეთდება ექსტრაქტივიზმის, როგორც ნეოკოლონიალიზმის განმტკიცების ერთ-ერთ მექანიზმზე.

გუდინასის თეორიაზე დაყრდნობით, ავტორები განასხვავებენ ორი ტიპის ეკონომიკას: მომპოვებლურს (რომელიც, ძირითადად ბუნებრივი წიაღისეულის მოპოვებითა და ექსპორტითაა დაკავებული) და მწარმოებლურს (რომელიც ბუნებრივი წიაღისეულის მიმღები და გადამამუშავებელი ქვეყნებია). ამასთანავე, ხაზგასმულია ის, რომ ექსტრაქტივიზმი (იგივე მომპოვებლობითი მრეწველობა) ძირითადად გლობალურ სამხრეთშია გავრცელებული, ხოლო გლობალური ჩრდილოეთი (განვითარებული სამყარო) კი მოპოვებული ნედლეულით აწარმოებს მრეწველობას. სწორედ ეს წარმოადგენს ნეოკოლონიალიზმის ერთ-ერთ თანამედროვე გამოვლინებას.

ავტორების მთავარი არგუმენტი იმაში მდგომარეობს, რომ წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული დიქტომია მომპოვებლური და მწარმოებლური ეკონომიკების შესახებ მცდარია: მომპოვებლობა, იგივე ექსტრაქტივიზმი, გარკვეული დოზით მოიცავს წარმოებას თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ იგი ადამიანის შრომის შედეგია; ამასთანავე მწარმოებლური ეკონომიკები დღეს უფრო და უფრო მეტად ექსტრაქტიული ხდებიან. აღნიშნულის მაგალითად ავტორებს მოჰყავთ სოფლის მეურნეობის სექტორი, რომელშიც საკვები პროდუქტების წარმოება უფრო მეტად ორიენტირებულია ექსპორტზე (ჩრდილოეთის ქვეყნების დაკმაყოფილებისთვის).

ფილებზე), მაშინ, როდესაც ადგილობრივად (გლობალური სამხრეთის ქვეყნებში) შეიძლება საკვები პროდუქტების დეფიციტი არსებობდეს.

განსაკუთრებით საინტერესოა დისკუსია „ნეო-ექსტრაქტივიზმის“ შესახებ, რომელიც ასევე გუდინასის მიერ შემოტანილი კონცეპტია, და რომელიც სახელმწიფოს მხრიდან ექსტრაქტიული პრაქტიკის ნაციონალური მიზნებისთვის გამოყენებაზე აკეთებს აქცენტს. ტექსტში განხილულია სამხრეთ ამერიკის რამდენიმე ქვეყნის (ბოლივია, ეკვადორი) მაგალითი, სადაც მემარცხენე მთავრობებმა ახალი დატვირთვა მიანიჭეს წიაღისეულის მოპოვებას და გაზარდეს მომპოვებლური კომპანიებისათვის გადასახადები იმ მიზნით, რომ ამოღებული თანხა სოციალურ პროგრამებზე მიემართათ. ზოგიერთ შემთხვევაში კი მათ დაიწყეს მოპოვებითი ინდუსტრიების ნაციონალიზაცია. ავტორები აკრიტიკებენ მსგავს მიდგომას, რადგან, მათი აზრით, ეს არ ცვლის ექსტრაქტივიზმის ექსპლუატაციურ ბუნებას – სახელმწიფო და ტრანსნაციონალური კომპანიები ამ შემთხვევაში ერთმანეთის ლეგიტიმაციას ეწევიან და იცვლება დისკუსიის ფოკუსი: ნაცვლად იმისა, რომ საუბარი იყოს იმაზე, თუ რა როლი აქვს ექსტრაქტიულ ინდუსტრიებს ქვეყნის განვითარებაში, საუბარი მიდის იმაზე, თუ როგორ გამოვიყენოთ მისგან მიღებული შემოსავალი.

მთავარი პრობლემა, რაც საინტერესოა ყველა სხვა განვითარებადი ქვეყნისთვის, იმაში მდგომარეობს, რომ დავინახოთ აღნიშნული სექტორის როლი ქვეყნის განვითარებაში, თუკი ასეთი საერთოდ შეიძლება არსებობდეს. სწორედ, ამ ჭრილშია საინტერესო საკითხის ანალიზი საქართველოს შემთხვევაშიც.

მომპოვებლური მრეწველობები საქართველოში

ბუნებრივი წიაღისეულის მოპოვებას ქართულ ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, თუმცა, ის არ მიეკუთვნება იმ ქვეყნების რიცხვს, რომლებიც ე.წ. ჰოლანდიურ დაავადებას ან „resource curse“-ს განიცდიან. ამის მიუხედავად, უაღრესად მნიშვნელოვანია გავიაზროთ რა სტრატეგიით ხდება წიაღისეულის მოპოვება ქვეყანაში, ვის ხელშია ეს ინდუსტრია? (ეროვნული თუ ტრანსნაციონალური კომპანიების) და შე-

საბამისად, ვინ იღებს სარგებელს ამ საქმიანობისგან? (მთავრობა, მასში დასაქმებული ადამიანები თუ მფლობელი კომპანია?).

საქართველოში საუბარიც კი არ მიდის ნეო-ექსტრაქტივიზმზე. პირიქით, ბოლო პერიოდში მოპოვებითი ინდუსტრიის სფეროში მიმდინარე გაფიცვებზე სახელმწიფოს გამომხაურება ის იყო, რომ გადასახადებს და ჯარიმებს ვერ გაუზრდიდნენ/დაუნესებდნენ კომპანიებს მათი ქვეყნიდან გაქცევის შიშით. სექტორში დასაქმებულთა სამუშაო პირობების ანალიზი, ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და გარემოზე მიყენებული ზიანისა და კულტურული მემკვიდრეობის ნგრევის ფაქტებს თუ გავითვალისწინებთ ცხადია, რომ, ექსტრაქტივიზმი საქართველოში ექსპლუატაციურია ყველაზე მკაცრი გაგებით!

აღნიშნულის ფონზე ცხადია, მნიშვნელოვანია იმის გააზრება, თუ რა ადგილი უნდა ეჭიროს ამ ინდუსტრიას ზოგადად ქვეყნის ეკონომიკაში და მისი განვითარების სტრატეგიაში. ეს განსაკუთრებით საინტერესოა იმის ფონზე, რომ სფეროში მიმდინარე კვლევები მიუთითებენ ექსტრაქტიულ ეკონომიკებში არსებულ სტრუქტურულ ფაქტორებზე, რომლებიც ხელს უშლიან მოპოვებითი ინდუსტრიებიდან მიღებული რესურსების სოციალური მიმართულებით გადამისამართებას. ექსტრაქტივიზმში, სოციალური ტრანსფორმაცია და დეკოლონიზაცია სტრუქტურულად შეუთავსებელი მოვლენებია – სწორედ ეს დასკვნები/არგუმენტები არის უმნიშვნელოვანესი ქართულ (და არამართო) კონტექსტში მდგომარეობის ანალიზის დროს.

მომპოვებლურ/მწარმოებლური დიქტომიის გადააზრება ნეოლიბერალიზმის პირობებში

ავტორები: ანა ზალიკი და სონია კილორან-მაკკიბინი

მთარგმნელი: თორნიკე ჭუმბურიძე

რესურსებზე წვდომის მიზნით სულ უფრო მზარდმა გეოპოლიტიკურმა მანევრირებამ, და ჭარბი კაპიტალის ფინანსებიდან საქონლისკენ მიმართვამ, გამოიწვია მზარდი საზოგადოებრივი და აკადემიური ინტერესი იმის მიმართ, თუ როგორია მოპოვებით მრეწველობაზე გლობალური წვდომა. მოპოვების ტრანსნაციონალური მონყობა წარმოაჩინეს როგორც გლობალურ ჩრდილოეთსა და სამხრეთ შორის არსებულ დაყოფის სიძლიერეს, ასევე სწრაფ ცვლილებებს სამთომპოვებით ეკონომიკებში, რაც დაკავშირებულია როგორც ფინანსიალიზაციასთან, ისე BRICS¹-ების აღმასვლასთან. მომპოვებლობის გავრცელება და ინტენსიფიკაცია სულ უფრო ხშირად იწვევს ლოკალურ კონფლიქტებს სამრეწველო საქმიანობის უბნებზე. ეს ცვლილებები მოითხოვს ნეოლიბერალური კაპიტალიზმის პერიოდში კონსტრუირებული მომპოვებლური პროცესების ხელახლა გამოკვლევას.

ეს სტატია ნეოლიბერალურ პერიოდში არსებული მომპოვებლური ეკონომიკების უახლესი ისტორიის განხილვით იწყება, რათა წარმოაჩინოს მწარმოებლურ და მომპოვებლურ მრეწველობებს შორის განსხვავება. ამის შემდეგ გადავდივართ მომპოვებლობის ახალი მეთოდების მიმოხილვაზე, და რესურსებზე სუვერენიტეტის მოთხოვნასთან მათი კავშირიზე. აქ ჩვენ მოვიყვანთ მაგალითებს ლათინური ამერიკიდან და სხვა ქვეყნებიდან, რათა გამოვიკვლიოთ, ემიჯნება თუ არა გუდინასის (Gudynas, 2010a) „პროგრესული მომპოვებლობის“ ცნება რესურსების ექსპლუატა-

1 BRICS – ხუთი ყველაზე დიდი „ამომავალი“ ეკონომიკის – ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, სამხრეთ აფრიკა – ასოციაცია. ორგანიზაციის შეკრებები, არსებითად ეკონომიკური ფორუმები, ყოველწლიურად იმართება. (მთ. შენ.)

ციის ისტორიულ ფორმებსა და ნეოლიბერალიზაციის პროცესებს. ამ საფუძველზე, ჩვენ წარმოვადგენთ წარმოებასა და მომპოველობას შორის ურთიერთობის ახლებურ ხედვას, რომელიც ითვალისწინებს მის გარდაქმნას ნეოლიბერალიზმის პირობებში.

ჩვენ გამოვიკვლევთ ორ ურთიერთგამომდინარე პროცესს, რომლებიც წარმოაჩენენ, რომ ბუნების გლობალური დანაწილება კვლავაც აქტუალურია პოლიტიკური ეკონომიკების დაყოფისას შედარებით უფრო „მწარმოებლურ“ და შედარებით უფრო „მომპოველურ“ ეკონომიკებად, სადაც პირველი შემთხვევაში განვიხილავთ ურთიერთობას საწარმოო პროცესების ორგანიზებების (შრომის/ბუნების ჩათვლით) მიმართებებს შორის, რომელიც ქმნის მეტად თუ ნაკლებად შესაფერის მოპოვებით გარემოს მეტად თუ ნაკლებად სუვერენისტული მარეგულირებელი და ფისკალური სტრუქტურების მეშვეობით; მაშინ როდესაც, მეორეს შემთხვევაში, ამის საპირისპიროდ, წარმოდგენილი იქნება თუ რა ზომით იძენენ ტიპურად მწარმოებლური სფეროები, დაწყებული სოფლის მეურნეობიდან საფეიქრო მრეწველობამდე, მოპოვებითი წარმოების მახასიათებლებს ნეოლიბერალიზმის პირობებში. ამის საფუძველზე, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს ნეოლიბერალიზმის სპეციფიკურად მოპოვებით ფორმას და მოხდეს მოპოვების უფრო ფართო გაგება, იმდენად რამდენადც ის შედგება ადამიანური შრომის და გარემოს კატეგორიებით. მართლაც, მოპოვებითი ფრონტები, მრავალი სხვადასხვა აზრით, იმიტირებს ნეოლიბერალიზაციის პრაქტიკებს: ის ბუნებრივი გარემოს კომოდიფიკაციის მძალვრი მექანიზმია, ხოლო, ტერიტორიის შემოფარგვლით და ფინანსიალიზაციასთან კავშირით, ის ატარებს იმ მახასიათებლებს, რაც ზოგს ესმის, როგორც თანამედროვე „დაგროვება მიტაცებით“ (Harvey 2003).

მომპოვებითი ინდუსტრიების ისტორია და დებატები მის გარშემო

სანამ წარმოვადგენთ ჩვენს არგუმენტს ნეოლიბერალიზმში მოპოვების როლის შესახებ, აუცილებელია განვმარტოთ ტერმინი და ავხსნათ მისი ღირებულება, როგორც ანალიტიკური ჩარჩოსი. ბუნებიდან რესურსების

მოპოვება და მათი ექსპორტირება სხვა ქვეყნების ეკონომიკებში ცენტრალური მნიშვნელობის იყო კოლონიზაციისთვის (Frank 1969; Girvan 1978; Amin 1977; Clark and Foster 2009) და მიიჩნეოდა როგორც ბარიერი, რომელსაც გლობალური სამხრეთის სახელმწიფო ეკონომიკები იყენებდნენ, რათა დაეძლიათ სიღარიბე ეროვნული განვითარების პროცესების ხელშეწყობით (Prebisch 1950; Sunkel and Paz 1970). ნედლი რესურსების ექსპორტის პრობლემა ბევრნაირად თეორიზდა: დანყებული დამოკიდებულების მკლევარების (dependency scholars) შეხედულებიდან ცენტრალურ და პერიფერულ ეკონომიკებს შორის მიმოცვლის თაობაზე (Baran 1968; Frank 1969), დამთავრებული ლათინურ ამერიკული სტრუქტურალისტური ინტერპრეტაციებით შიდა ბაზრების განვითარების საჭიროების შესახებ (Prebisch 1950; Furtado 1976). ამასთან, თავად ინსტიტუციური თეორიის და კონვენციური ეკონომიკის შიგნით, „რესურსების წყევლის“ თეორია აცხადებდა, რომ ბუნებრივი რესურსების სიმრავლე აფერხებს ეროვნულ განვითარებას, წაახალისებს რა გადასახადის მოკრებისკენ მიმართულ ქცევას (Auty 1993; Karl 1997).

მიუხედავად იმისა, რომეს მიდგომები ძლიერ განსხვავდება, მათ აერთიანებთ ფოკუსი სახელმწიფოს ცენტრალურობაზე და ანალიზი მწარმოებელი ქვეყნის შიდა ეკონომიკასთან მიმართებით. ვირჩევთ რა ანალიტიკურ ჩარჩოდ მოპოვებას, ჩვენ ვცდილობთ გავცდეთ სახელმწიფოებს, რათა ყურადღება იმ აქტორებს მივაპყროთ, რომლებსაც გააჩნიათ მოთხოვნა რესურსებზე და იმ ისტორიულ პოლიტიკურ ეკონომიკას გლობალურ დინებებს დავაკვირდეთ, რომლის ნაწილსაც ეს აქტორები წარმოადგენენ. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო საკვანძო მნიშვნელობისაა მოპოვების მართვაში, სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის ერთგვაროვანი მახასიათებლების არსებობა მიაჩნდება, რომ მოპოვება განაპირობებს გამოცდილებების ერთგვაროვან წყებას, რომლებიც შემოისაზღვრება არა ქვეყნის სპეციფიკით, არამედ მოპოვების ტრანსნაციონალური განზომილებით. (Campbell 2003). შესაბამისად, სახელმწიფოზე ფოკუსირებამ შეიძლება გადაფაროს ლოკალურ დონეზე არსებული საკითხები და ცალკეული რესურსების მატერიალურობა. ამიტომაც მოპოვებაზე ფოკუსირებისას, ცალკეული სახელმწიფოების ქმედებება-უმოქმედობიდან ჩვენ ყურადღება მრავალდონიან ანალიზზე გადაგვაქვს, რომელიც არა მხო-

ლოდ შრომისა და რესურსების მოპოვების ნაკადების გლობალური სამხრეთიდან გლობალური ჩრდილოეთისკენ გადატანას აკვირდება, არამედ ასევე ადგილობრივ გამოცდილებებსაც ითვალისწინებს.

ტერმინს **მოპოვებითი** („ექსტრაქტული“) აქ ვიყენებთ იმისათვის, რომ აღვნიშნოთ ბუნების (რაც მოიცავს როგორც ადამიანურ შრომას, ისე არა-ადამიანურ რესურსებს) იმგვარი ჭარბი ექსპლუატაცია, რომელიც დროთა განმავლობაში ძირს უთხრის თავად ამ ექსპლუატაციის არსებობის პირობებს, ოკონორის (O'Connor, 1988) „კაპიტალიზმის მეორე წინააღმდეგობრიობის მსგავსად“. სწორედ ასეთმა ჭარბმა ექსპლუატაციამ გამოიწვია ეკოლოგიური კრიზისები, რაც გამომდინარეობდა წარმოების საძირკველიდან რესურსზე ადამიანური მოთხოვნის გამოცალკევების, ანუ რაც მეტაბოლურ ნაპრაღად (metabolic rift) მოიხსენიება (Marx 1993; Foster 1999; Burkett 1999). მკვლევარების ხაზს უსვამდნენ, რომ ეს დინამიკა ურბანულ-რურალულ დაყოფებს სცდება და სივრცულად დისტანცირებულ კოლონიური რესურსების ფრონტებსაც მოიცავს, მაგალითად შაქრის პლანტაციებს და ვერცხლის მოპოვებას ამერიკის კონტინენტებზე (Moore 2000; 2003). სხვადასხვა სააზროვნო სკოლები მიანიშნებენ იმაზე, რომ ინდუსტრიულ წარმოებას გააჩნია უნარი, თვალსაჩინო გახადოს ეკოლოგიური საზღაურები, რაც თავის მხრივ გზას უხსნის უფრო ინტენსიურ მოპოვებას და, ამავდროულად, აჩენს გრძელვადიან ეკოლოგიურ პრობლემებს, მათ შორის როგორცაა კლიმატის ცვლილება. მაგალითისთვის, კორპორატიულ ფირმებს შორის ტრანზაქციებზე ეკონომიკის აქცენტმა (Coase 1997, 1998) ხელი შეუწყო იმის თეორიზებას, თუ როგორ ხდება ამავე ფირმების მიერ ეკოლოგიური საზღაურის გადატანა საჯარო სივრცეებზე (Powell and Di Maggio 2012). ეს პერსპექტივა წლების განმავლობაში მიიჩნეოდა ნეოლიბერალური ენვაირომენტალიზმის მთავარ საფუძვლად. ამის მიუხედავად, როგორც კაპიტალიზმის მეორე წინააღმდეგობრიობის და მეტაბოლური ნაპრაღის თეორიები, ისე მეოცე საუკუნეში აღმოცენებული „ეკონომიკური საზრისის“ კონსტრუქტივისტული ანალიზი (Escobar 1995; Mitchell 1998) აკლენს, რომ მოპოვებითი საქმიანობები „ანკლავირებულია“ როგორც სივრცულად, ასევე ფორმალური პოლიტიკის თვალსაზრისითაც.

საკულისხმოა, რომ მარქსისტული თეორიის შიგნით, გაკრიტიკებულია ის მიდგომები, რომლებიც კონცენტრირდებიან ბუნებრივი რესურსების მო-

პოვებაზე, რადგან ისინი ყურადღებას მხოლოდ სავაჭრო ურთიერთობებზე და სივრცით მიმოცვლაზე ამახვილებენ, და არა მაგალითად შრომით ექსპლუატაციაზე. ბრენერი დამოკიდებულების თეორიას (dependency theory) და მსოფლიო სისტემების თეორიას (World system theory) ბრალს სდებდა შრომის საკითხისადმი არასაკმარის ყურადღებაში (Brenner 1977), რამაც ბლაუტს (Blaut 1994) უბიძგა გულმოდგინე კრიტიკა მიეძღვნა მისთვის ევროცენტრულობის გამო. ძირითადი პროდუქტების კანადურ თეორიას (staples theory), რომელიც თავის მხრივ შთაგონებულია დამოკიდებულების ანალიზებით და იმპერიალიზმისადმი სივრცითი მიდგომებით, მოუწია აეტანა კრიტიკა, რომელიც მას „სასაქონლო ფეტიშიზმად“ აცხადებდა იმის გამო, რომ ის ყურადღებას შრომითი ექსპლუატაციის ნაცვლად, მოპოვებით ფრონტებს მიაპყრობდა (McNally 1981). ამ კრიტიკების გათვალისწინებით, და, ამასთან ანთროპოცენტრიზმი და ევროცენტრიზმი თავიდან არიდების მიზნით, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ *ექსტრაქცია* (იგივე მოპოვება) შეიძლება მოიცავდეს ისეთ პროცესებს, რომელთა მეშვეობითაც მშრომელებისგან სამუშაო ძალის ექსტრაქცია ხდება. ნეოლიბერალური გლობალიზაციის ეპოქამ შესაძლებელი გახადა გლობალური სამხრეთის ქვეყნებიდან სამუშაო ძალის მზარდი ექსტრაქცია ექსპორტის გადამამუშავების ზონების² ჩამოყალიბებით და ჰიპერ-ექსპლუატაციური სამუშაო პირობების მხარდაჭერით.

ნეოლიბერალიზმის პირობებში, მოპოვებითმა ინდუსტრიებმა ახალი მახასიათებლები შეიძინეს, რამაც ისინი გლობალური ვაჭრობის დინამიკისთვის საკვანძო მნიშვნელობის გახადა იმ ფორმით, რომელიც კლასიკური იმპერიალიზმს მოგვაგონებს (ამ უკანასკნელზე იხ. Moore 2003). მინერალებით მდიდარი ქარღვებისა და დაბალნახშირბადიანი წიაღისეული სანავის ამონურვასთან ერთად, ინდუსტრია სულ უფრო ხშირად მიმართავს ზოლოვან მოპოვებას³. ეს ენერგოინტენსიური და სივრცეში

2 ექსპორტის გადამამუშავების ზონა (export processing zone) – გლობალური სამხრეთის ნეოლიბერალურ მთავრობებში პოპულარული „სპეციალური ეკონომიკური ზონის“ ერთ-ერთი ვარიანტი. მსოფლიო ბანკის თანახმად, ექსპორტის გადამამუშავების ზონა არის „ინდუსტრიული ნაკვეთი.... რომელიც სპეციალიზდება ექსპორტისთვის წარმოებაზე. ის სთავაზობს ფირმებს თავისუფალი ვაჭრობის პირობებს და ლიბერალურ სარეგულაციო გარემოს“. 2003 წლისთვის, 116 ქვეყანაში მოქმედ ექსპორტის გადამამუშავების ზონებში 43 მილიონი ადამიანი იყო დასაქმებული. (მთ. შენ.)

3 ზოლოვანი მოპოვება (strip mining) – მოპოვებითი მეთოდი, რომელიც გულისხმობს მადანის მოსაპოვებლად მის თავზე, ზედაპირთან და მის ახლოს მდებარე მიწისა და კლდის ფენის მოშორებას. ძირითადად გამოყენება ქვანახშირის მოსაპოვებლად (მთ. შენ.)

განვლილი პროცესები უზარმაზარი ოდენობის ნარჩენებს და ვრცელ სივრცით კვალს ტოვებენ (Bridge 2004). განსხვავებით, ქვანახშირის წარმოების ზენიტისგან, რომლის დროსაც, კაპიტალის დაბალმა ორგანულმა შემადგენლობამ⁴ ლიბერალური დემოკრატიის პირობებში ინდუსტრიული წარმოების წილის ზრდით მშრომელთა ძალაუფლების გაზრდა განაპირობა, თანამედროვე მოპოვებითი პროცესები უფრო ტექნოლოგიურად და „ბუნებითად“ ინტენსიურები გახდნენ. ეს ტენდენცია კიდევ უფრო გააღრმავა წინა ათწლეულში საქონელზე ფასების, ხოლო სპეკულაციასა და ფინანსიალიზაციაში რესურსების როლის ზრდამ. ამ ექსპანსიასთან ერთად, სახეზეა მოპოვების ცვალებადი ტრანსნაციონალურ მახასიათებლები, რომელთა პირობებშიც, მოპოვებითი კაპიტალი სტრატეგიულად პოზიციონირდება ისეთ ქვეყნებში, როგორცაა კანადა, სადაც ხელსაყრელი სარეგულაციო გარემოა (Deneault and Sacher 2012). „რბოლა ქვევით“ (race to the bottom)⁵ ეკონომიკური კონცეპტის კვალდაკვალ, ფინანსიალიზაციის პირობებში არსებული კორპორატიული სტრატეგია ცდილობს ჯერ ჩამოაყალიბოს, და ამის შემდგომ ფული დააბანდოს დაბალხარჯიან გარემოში, რათა შეამციროს მოპოვებასთან დაკავშირებული რისკი. (Emel and Huber 2008).

ამასთან, როგორც კრიტიკულად განწყობილი მკვლევარები აღნიშნავენ, გლობალურ ბაზრებში დაბალი ხელმისაწვდომობის შენარჩუნება გამოიყენებოდა ფასის ქვედა ზღვრის შესანარჩუნებლად, რაც ერთგვარი უსაფრთხოების ბალიშის ფუნქციას ასრულებდა მოგების წილის ვარდნის შემთხვევაში (Mitchel 2002; Bina 2006; Labban 2008; Bridge and Le

4 კაპიტალის ორგანული შემადგენლობა – კარლ მარქსის ტერმინი. გულისხმობს თანაფარდობას ცვლად კაპიტალს (სამუშაო ძალის ღირებულებას) და მუდმივ კაპიტალს (მასალები და ფიქსირებული ხარჯები) შორის. მარტივად რომ განვმარტოთ, რაც უფრო მაღალია სამუშაო ძალის ღირებულება – მშრომელებისთვის გადახდილი ხელფასი – და რაც უფრო დაბალი – ტექნიკური და ტექნოლოგიური ხარჯები, მით უფრო დაბალია კაპიტალის ორგანული შემადგენლობაც. აქაც სწორედ ეს იგულისხმება – რაკი ქვანახშირზე დაფუძნებული ეკონომიკის ზენიტში ტექნოლოგია ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ განვითარებული, და სამუშაო ძალა წარმოების ბევრად მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენდა, მშრომელებს მეტი ძალაუფლება ჰქონდათ კაპიტალისგან მიმართებაში. აღსანიშნავია, რომ მარქსის თანახმად, კაპიტალის ორგანული შემადგენლობა, თავად კაპიტალიზმის ბუნებიდან გამომდინარე, აუცილებლად იზრდება ტექნოლოგიებისა და დისციპლინური მეთოდების გაუმჯობესების მეშვეობით. (მთ. შენ.)

5 ეკონომიკური პრინციპი, რომლის პირობებშიც, მთავრობები ცდილობენ, მიიზიდონ ინვესტორები ან/და უფრო „კონკურენტუნარიანი“ გახადონ ადგილობრივი კომპანიები მათთვის გადასახადების შემცირებით და რეგულაციების შერბილებით. (მთ.შენ.)

Billon 2012). მაგალითისთვის, ნავთობის სექტორში Achnacarry-ს შეთანხმების მსგავსი კორპორატიული-კარტელური გარიგებები შედგა, რათა საბაზრო დეფიციტი შენარჩუნებულიყო. კრიტიკული ანალიზის თანახმად, OPEC⁶-ის შექმნამ გააძლიერა გლობალური სამხრეთის რესურსული სუვერენულობა (Coronil 1997; Mommer 2002), გაზარდა რა მისი წევრების უნარი, გავლენა მოეხდინათ გლობალურ ფასებზე და ამგვარად შეენარჩუნებინათ მაღალი მოსაკრებელი. თუმცა, საბოლოო ჯამში, მაღალი ფასები ხელს აძლევდა ტრანსნაციონალურ კომპანიებსაც, რომლებიც პარასახელმწიფოებრივ ნავთობის კომპანიებთან თანამშრომლობდნენ (Nitzan and Bichler 1995). ნავთობისა და ბუნებრივი აირის ფასების ბოლოდროინდელი ვარდნა, იმის გათვალისწინებით, რომ აშშ ფიქალური⁷ მოპოვების განვითარებით გადადის ჰიდროკარბონატული ენერჯის დამოუკიდებლობაზე, ცვლის როგორც ნავთობისა და ბუნებრივი აირის, ასევე სხვა მოპოვებული საქონლის წარმოების სტრატეგიულ ლანდშაფტსაც.

ნეოლიბერალიზმის მომპოვებლური ფორმა

ჩვენ ვუერთდებით მომპოვებლური ინდუსტრიების იმ მრავალ კრიტიკულ მკვლევარს, რომლებიც სკეპტიკურად უყურებენ როგორც რესურსების წყველის თეორიას, რომელიც ტკბილად ფანტაზირებს სახელმწიფოს ინსტიტუციებზე და ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს ამ დინამიკების ჩამოყალიბებაში კორპორატიული ფორმისა და კაპიტალისტური ეკონომიკური ურთიერთობების როლს, ისე კორუფციისა და მოსაკრებელის-ძიების დისკურსების დიდ წილში იმპლიციტურად მოაზრებულ ლატენტურ რასიზმს. (Watts 2004). მიუხედავად ამისა, აქვე ვალიარებთ რომ, გარკვეულ

6 OPEC – ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაცია. 1960 წელს დაარსეს ირანმა, ქუვეითმა, ერაყმა, საუდის არაბეთმა და ვენესუელამ, ნავთობის ფასებზე მეტი კონტროლის ქონის მიზნით. ამჟამად ითვლის 15 წევრს, რომელთა უმეტესობაც გლობალური სამხრეთის წარმომადგენელია. (მთ.შენ.)

7 ფიქალური მოპოვება (shale gas/oil extraction/fracking) – ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვების არაკონვენციური გზა. სულ უფრო აქტუალური ხდება განსაკუთრებით აშშ-ში ტექნოლოგიების განვითარების გამო და 2018 წელს საშუალება მისცა ქვეყანას, გამხდარიყო ნავთობის უმსხვილესი მწარმოებელი მსოფლიოში. მეთოდს ხშირად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ მოპოვების პროცესი ძლიერ უარყოფითად აისახება ბუნებრივ გარემოზე. (მთ.შენ.)

ნიშან-თვისებები, რომლებზეც რესურსების წყველის თეორია მიანიშნებს, ემპირიულად მოკვლევადია – მაგალითისთვის, საგარეო ვაჭრობის მაღალი ხვედრითი წილი ქვეყნის სამრეწველო სექტორებთან შეფარდებით მართლაც ამცირებს მთავრობების შესაძლებლობას, მოიპოვონ საჯარო ლეგიტიმაცია გადასახადების შესაგროვებლად. ასევე ელიტების ძალაუფლება, რომელიც ეფუძვნება ექსპორტზე დამოკიდებულ სასაქონლო სექტორებთან მათ კავშირს, ამცირების ჰეგემონიის განსაზღვრაში ხალხის როლს და გზას უკაფავს ადამიანის უფლებების დარღვევას რესურსების მოპოვების უზრუნველსაყოფად. ამგვარადვე, გლობალური ფინანსიალიზაციის პირობებში, არსებობს ე.წ. „ჰოლანდიური დაავადების“ საფრთხე, რაც გულისხმობს მაღალფასიანი მინერალების ექსპორტის შედეგად ეროვნული ვალუტის ღირებულების ჭარბ ზრდას, რამაც შეიძლება ძირი გამოუთხაროს ქვეყნის ეკონომიკის სხვა სექტორების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას, მათ შორის ისეთებისაც, რომლებიც მსხვილი დამსაქმებლები არიან.

მომპოველური ინდუსტრია ხშირად ექსპორტზე ორიენტირებული საქმიანობაა, რომელიც შემოგარენი ეკოლოგიური ზონის მატერიალურ დეგრადაციას იწვევს. ამ ინდუსტრიის მოთხოვნა შრომაზე ან კაპიტალ ინტენსიურობა ტექნოლოგიების ცვლილებასთან ერთად ისტორიულად ცვალებადია, და ასევე სპეციფიკური რესურსების მატერიალური თვისებებიდან გამომდინარეც განსხვავდება. ჩვენ ვეყრდნობით ბანქერის (Bunker 1984) ხედვას მოპოვების მოდელების თაობაზე, რომლის თანახმადაც, მოპოვებითი ეკონომიკები განსხვავდებიან მწარმოებლური ეკონომიკებისგან და აქვთ უნიკალური მახასიათებლები, როგორც სივრცულად, ისე ინტენსიურობის თვალსაზრისით. მიუხედავად ბანქერის ამტკიცებისა, რომ მომპოველური და მწარმოებლური სისტემები ურთიერთდამოკიდებულია, ის უპირისპირდებოდა განვითარების დომინანტურ თეორიებს, რომლებიც, მისი თვალსაზრისით, არასაკმარის ყურადღებას უთმობდნენ მოპოვების უნიკალურ ბუნებას, და განვითარებაზე მის გავლენას. წარმოებისა და მოპოვების ურთიერთდაკავშირებულობის მიუხედავად, ბანქერი მიანიშნებდა იმაზე თუ როგორ დაშორდნენ ეს პროცესები ერთმანეთს გეოგრაფიულად, რამაც მსოფლიოს ერთი ნაწილი მომპოვებლობის არეალში მოაქცია, ხოლო მეორე წარმოებაზე

კონცენტრირდა. მართლაც, დროთა განმავლობაში, გარკვეული საქონელზე მოთხოვნის გლობალურმა ცვლილებებმა წარმოების ორგანიზების ცვლილებაც გამოიწვია. დასაწყისში, ბანქერი მიზნად ისახავდა თავიდან აეცილებინა მოპოვების და წარმოების ადგილებთან დაკავშირებული ურთიერთობების აისტორიული ფანტაზირება, ამტკიცებდა რა, რომ წარმოებისა და მოპოვების ყოველი ადგილობრივი მოდელი უნდა განვიხილოთ, როგორც ცალკეული (Bunker 1984). ამგვარად, მისი უფრო გვიანდელი ნაშრომი პოლ ჩიკანტელთან (Paul Ciccantell) ერთად, გლობალიზაცია და რბოლა რესურსებისთვის (Globalization and the Race for Resources), გვთავაზობს უფრო რელატიურ ხედვას, რომელიც კონცენტრირდება იმ საწარმოო განზომილებებზე, რომლებიც დაკავშირებულია ცალკეულ ბუნებრივ რესურსებთან, მათ ტრანსპორტირებასთან და ცვლილებასთან დროთა განმავლობაში, სადაც ის ასკვნის, რომ მომპოვებლური ეკონომიკები „უფრო განივრცო, ხოლო მწარმოებლური ეკონომიკები კი უფრო დაჯგუფდა“ (Bunker and Ciccantell, 2005, 12). აქ ნაშრომში გადამწყვეტი ის განსხვავებული გზაა, რომლითაც სივრცისა და დროისადმი დეფანტაზირებული და ამასთან ისტორიზებული მიდგომა ჩამოყალიბებული.

ამ დაკვირვებების მიუხედავად, და ნეოლიბერალიზმის პირობებში გლობალური პოლიტიკური ეკონომიკის ცვლილების კვალდაკვალ, მოპოვებისა და წარმოების ბუნება შეიცვალა და ამ პროცესების ურთიერთდამოკიდებულება განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. ჩვენ გარკვეული ცვლილებები შეგვაქვს მწარმოებლურ და მომპოვებლურ ეკონომიკებს შორის განსხვავებების ბანქერისეულ ხედვაში. ამისთვის ვითვალისწინებთ, რომ თვით მომპოვებლური ინდუსტრიების შიგნითაც კი ეკონომიკები შეიძლება იყოს შედარებით მომპოვებლური ან მწარმოებლური, იქიდან გამომდინარე, თუ როგორია მათი მიმართება გლობალურ ეკონომიკასთან, და ეროვნულ ცნობიერებასთან, და ასევე როგორ ეწყობიან მშრომელებს თავად ამ ეკონომიკური რეჟიმის შიგნით. ბოლო ნახევარ საუკუნეში, ის, რაც შეგვიძლია გავიგოთ, როგორც დაყოფა მოპოვებასა და წარმოებას შორის გარდაიქმნა: მოპოვება მოიცავს ბუნების წარმოების სპეციფიკურ ფორმებს, ხოლო ყოფილმა მწარმოებლურმა ინდუსტრიებმა სულ უფრო მეტად შეიძინეს მომპოვებლური ბუნება.

მიუხედავად იმისა, რომ მარქსისტი კრიტიკოსებისთვის საწარმოო და მოპოვებითი სისტემების გამიჯვნა ერთმნიშვნელოვნად სამუშაო ძალის როლზეა დაფუძნებული, მოპოვაობაზე, როგორც წარმოებისგან სრულიად განცალკევებულ პროცესზე მეტისმეტ აქცენტირება დაკავშირებულია რისკთან ყურადღების მიღმა დაგვრჩეს შრომა, რომელიც ჩართულია მოპოვების პროცესში. ამ ნაკლოვანებებზე გამოსახმაურებლად, ჩვენ ხაზს ვუსვამთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ბუნების წარმოების თეორიზება. სმიტი (Smith 2007) ყურადღებას ამახვილებს იმ მიდგომაზე რომლითაც რესურსებიც ისევე იწარმოება, როგორც სავაჭრო საქონელი, რაც აბუნდოვნებს მოპოვებით და საწარმოო პროცესებში შორის დაყოფას. ის ხაზს უსვამს, რომ კაპიტალისტური ბუნება „ყოველთვის კომოდიფიცირებული იყო“, რაკი სახმარი ღირებულება ერთი უბნიდან ამოიღება და მეორეში გადაინაცვლებს ისეთი პროცესის გავლით, რომელიც გარდაქმნის მიწას და მშრომელებს, ხოლო დაშორებული ადგილებს ტრანსპორტითა და ვაჭრობის მეშვეობით ერთმანეთთან აკავშირებს (25). როგორც ქორონილი (Coronil 1997) ამტკიცებს, წარმოება მიემართება როგორც მატერიალურ, ისე საქონლის შექმნასთან დაკავშირებულ კულტურულ პროცესებს და ამ პროცესებში ჩართულ სოციალურ აგენტებს. ამის საფუძველზე, საქონელი, რომელიც მოპოვებითი პროცესის შედეგია, მართლაც რომ წარმოებული საქონელია, მაგრამ ეს წარმოება თავისი არსით ერთდროულად მატერიალური, სოციალური და სამართლებრივ-პოლიტიკურია. იმას, რაც „მოპოვებით“ საქონლად მოიხსენიება, ქორონილი აღწერს როგორც „მოსაკრებლის-მომხვეჭელ“ ან „ბუნება-ინტენსიურს“ (Coronil 2000), რათა ამით აღწეროს ის, როგორც არადაამიანური ბუნებების ექსპლუატაციაზე ძლიერ დამოკიდებული კომპონენტების ერთობლიობა. შესაბამისად, ამ სექტორის წვლილი ნაციონალურ და რეგიონალურ ეკონომიკურ ზრდაში, როგორც ქვემოთ განვიხილავთ, განპირობებულია მისი მფლობელობის სტრუქტურით (Zalik 2008a).

მიმართება ბუნების მოპოვებას და მის კომოდიფიკაციას, ტრანსპორტირებას და ბაზარზე გატანას შორის, დროთა განმავლობაში და სხვადასხვა გეოგრაფიულ წერტილში, მნიშვნელოვან გამოწვევებს უქმნიდა მომპოვებლობაზე დამოკიდებულ ეკონომიკებს. სხვადასხვა განაზრებები სხვადასხვაგვარად ცდილობს განიხილოს როლი, რომელსაც მოპოვება თამაშობს

ბუნების გლობალურ დაყოფაში და ასევე გამოკვეთოს ის თავისებურებები, რაც მას სანარმოო პროცესებისგან განასხვავებს. ამის მიუხედავად, ჩვენ აქ მიზნად ვისახავთ ხაზი გავუსვათ მწარმოებლური და მომპოვებლური პროცესების არა სხვაობას, არამედ მათ ურთიერთდამოკიდებულებას და იმას, რომ როგორც ნეოლიბერალური წარმოება ემყარება მოპოვებით შრომით ურთიერთობებს, ასევე რესურსების მოპოვებაც ემყარება წარმოების სპეციფიკურ ურთიერთობებს. გლობალური იმპერიალიზმის და კოლონიალიზმის თეორიებში რესურსების მოპოვების და მისი სივრცეში ტრანსპორტირების ცენტრალური როლის გათვალისწინებით, მათი თეორიზება ნეოლიბერალიზმის კონცეპტუალიზებისთვის ცენტრალურად მიგვაჩნია. ეს არსებითია როგორც იმ გამოწვევების გასაგებად, რომელსაც მოპოვების ახალი ფორმების შესახებ მოსაზრებები ეჩვენებოდა, ასევე იმ წინააღმდეგობრივობის გასაგებად, რომელიც თან სდევს სოციალურად ორიენტირებულ ნაციონალიზმულ მოპოვებით ინდუსტრიებს.

რესურსების სუვერენულობა და ნეოექსტრაქტივიზმი

ახალი ექსტრაქტივიზმის კონცეპტმა, ყველგან და განსაკუთრებით კი ლათინურ ამერიკაში, დებატები წარმოშვა რეველუციური ცვლილებების შესაძლებლობასთან დაკავშირებით, რომელიც ექსპორტზე ორიენტირებულ მომპოვებლურ მოდელს უკავშირდება. ჰენრი ველტმაიერი და ჯეიმს პეტრასი (Veltmeyer and Petras 2014) ახალ ექსტრაქტივიზმს განსაზღვრავენ როგორც „ფორმას, რომელიც მომპოვებლურმა კაპიტალმა და იმპერიალიზმმა შეიძინა კრიზისში მყოფი ამჟამინდელი ცვალებადი სისტემის (კაპიტალიზმის) და მოდელის (ნეოლიბერალიზმის) პირობებში“. ახალი ექსტრაქტივიზმი ცდება სამთო მოპოვების ფარგლებს და თავის თავში მოიცავს ბუნებრივი რესურსების იმგვარ აპროპრიაციას და ინტენსიური გადაუშავებას, რომელიც გაზარდის ექსპორტს სექტორების მთელ წყბაში. გუდინასი (Gudynas 2010a), ამ ტერმინის ავტორი, მიანიშნებს კლასიკურ ექსტრაქტივიზმსა და ამ „ახალ“ ფორმას შორის არსებულ განსხვავებაზე, მიუთითებს რა სახელმწიფოს როლზე, როგორც მთავარ განმასხვავებელ ასპექტზე. გუდინასი ამტკიცებს, რომ ბოლოდროინდელმა ცვლილებამ

ლათინურ ამერიკაში მძლავრად მემარცხენე სახელმწიფოები აქცია მომპოველელ აქტორებად, რომლებიც ცდილობენ ბუნებრივი რესურსების მოპოვების შედეგად მიიღონ მოსაკრებელი, რომელსაც ისინი სოციალურ პროგრამებზე მიმართავენ. მიუხედავად იმისა, რომ ეს სახელმწიფოები ნეოლიბერალიზმთან დაპირისპირებაში მყოფებად პოზიციონირდებიან, ექსტრაქტივიზმის ზღუდეები და კომოდიფიკაციის ის დონე, რომელსაც ეს პროცესი მოითხოვს, გუდინასის აზრით ნეოლიბერალური მიმოცვლის მექანიზმს იმეორებს.

მოცემულ ნაშრომში ერთმანეთთან აკავშირებს ბოლოდროინდელ და მზარდ სამეცნიერო ინტერესს ლათინურ ამერიკულ ნეოსტრუქტურალიზმთან და მასთან ასოცირებულ ნეოდევლოპმენტალიზმის ფორმებთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს მარცხნივ გადახრილ სოციალური პოლიტიკების წყებას და მასში შემავალ სახელმწიფოს მხრიდან რესურსებზე სუვერენულობის გამტკიცების პოლიტიკას (Leiva 2008). ეს უკანასკნელი (რესურსებზე სუვერენულობა) მიღწეული იქნა ერთის მხრივ როგორც ტრანსნაციონალური ფირმების მიერ გადასახდელი მოსაკრებლის და პრივილეგიის საფასურის გაზრდით, ისე პირდაპირ ნაციონალიზაციის გზით. ამ მხრივ, ყველაზე მეტის ყურადღება მორალესის ჩილემ და ჩავესის ვენესუელამ მიიპყრო, მაგრამ მსგავსი მაგალითები ეკვადორიდან და არგენტინიდანაც შეგვიძლია მოვიხმოთ. ეს პოლიტიკა, მოპოვებითი ინდუსტრიებიდან ამონაგები სარგებლის სოციალურ ინვესტირებაში მიმართვის გზით, მიზნად ისახავდა დაპირისპირებოდა ე.წ. „რესურსების წყველას“. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ამ სახელმწიფოების მთავრობები განუხრელად მისდევდნენ მომპოველობიდან მიღებული ამონაგების სოციალური პროგრამებში რეინვესტირების გადანყვეტილებას, დანარჩენები აკრიტიკებენ მათ, როგორც ჩრდილოური იმპერიალისტური დინამიკების გამგრძელებლებს.

ბოლივიაში ბუნებრივი აირის სექტორის ნაციონალიზების და სამთო მოპოვების კანონმდებლობის რეფორმირების პოლიტიკა, და ვენესუელაში მოპოვებაზე ლიცენზიის საფასურის გაზრდა, შეგვიძლია დავახასიათოთ, როგორც ახალ ექსტრაქტივიზმის პოლიტიკა, რადგან ორივე მათგანი გულისხმობს გადასახადებისა და ამონაგების საფასურის მეშვეობით ექსპორტიდან მეტი პირდაპირი სარგებლის მიღებას, და დასაქმების

მეტი შესაძლებლობის შექმნას მოსახლეებისთვის. სუბსაჰარულ აფრიკაში, „სამთო მოპოვების აფრიკული ხედვაც“ მსგავს მცდელობას ასახავს – მიაღწიონ უფრო პროგრესული შედეგს წიაღისეულ საქონელზე გლობალური ფასების ზრდის შედეგად (Graham 2013). ერთი შეხედვით ასეთი პოლიტიკები მიზნად ისახავენ დაუპირისპირდნენ ადამიანის უფლებების და გარემოსთან დაკავშირებული უფლებების დარღვევებს, მათ შორის გამოუძიებელ მკვლევლობებსაც, რომლებიც სამთო-მოპოვებით სექტორში უცხოური ინვესტიციის ზრდის თანმსდევნი მოვლენა იყო ლათინურ ამერიკაში და სხვაგანაც (ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითები გვატემალა, მექსიკა, პერუ, ტანზანია და პაპუა ახალი გვინეა), მაგრამ როგორც გუდინასი (Gudynas 2010a) და სხვებიც აღნიშნავენ, და როგორც ბოლო დროის კვლევებიც აჩვენებს, ექსპორტზე მიმართულ სამთო-მოპოვებით ინდუსტრიის დინამიკა, პროგრესული მისწრაფებების მიუხედავად, შესაძლოა კვლავაც ძლიერ ექსპლუატაციური დარჩეს. ეს დინამიკა, სადაც ადგილობრივ ფირმები თუ ცალკეული მალაროელები არიან ჩართულნი, გულისხმობს ისეთ შიდა კონკურენციას და „თვით რეგულაციას“, რომელიც ნეოლიბერალიზმისთვის სახასიათო ინდივიდუალიზებულ და თვითნებურ სოციო-ეკონომიკური მოტივაციების სტრუქტურას იმიტირებს.

ექსტრაქტივიზმის ამგვარი კრიტიკისგან ყველაზე მხურვალე დამცველი ბოლივიის ვიცე პრეზიდენტი ალვარო გარსია ლინერა იყო (Alvaro Garcia-Linera 2012). მის თანახმად, ისინი, ვინც ბოლივიის სოციალური მოძრაობის (MAS) პროგრამებს აგდებით ახასიათებდნენ, როგორც ექსტრაქტივისტულს, ძირს უთხრიდნენ რევოლუციურ მთავრობებს, ზღუდავდნენ რა მათ უნარს, გადაენაწილებინათ დოვლათი, და რესურსები ექსპლუატაციის მიღმა შეექმნათ საფუძველი უფრო თანასწორი სოციალური თუ ეკონომიკური ურთიერთობებისთვის. გარსია-ლინერა ამტკიცებდა, რომ ნედლი რესურსის ინდუსტრიების აქტიურ სახელმწიფო კონტროლს გააჩნდა შესაძლებლობა გაეუმჯობესებინა ბოლივიელების საცხოვრებელი პირობები, მათ შორის მოსახლეობაში განათლების დონე შიდა ინდუსტრიალიზაციის პროცესების დასაძრავად (Garcia Linera 2012, 109). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ექსტრაქტივიზმის ზეეკონომიკური ბუნება და მის მასშტაბთან თუ ინტენსივობასთან დაკავშირებული საკითხები გარსია-ლინერას ხედვებში გათვალისწინებული არ იყო.

ბოლივიის შემთხვევაში, საკითხს აპრობლემებდა ნედლი რესურსების სექტორში მთავრობის შეზღუდული ჩართულობაც, მიუხედავად რესურსებთან დაკავშირებით მისი ნაციონალისტური დისკურსისა. ასე მაგალითად, სამთო-მოპოვებით სექტორში ბრუნვის ყველაზე დიდი წილი ტრანსნაციონალურ კომპანიებზე მოდის, თუმცა ადგილობრივი მალაროელების უმეტესობა პარტიზანული ტიპის კოოპერატიულ საწარმოებშია დასაქმებული (Francescone 2015). ეს ერთსა და იმავე დროს განაპირობებს დამოკიდებულებას უცხოურ კაპიტალზე, როგორც ეკონომიკის მთავარ ხერხემალზე, და სახიფათო, დეცენტრალიზებულ კუსტარულ მოპოვებაზე, როგორც დასაქმების ძირითად წყაროზე. ამ ვითარებამ, სხვა ფაქტორებთან ერთად, მკვლევარებს უბიძგა ეჭვქვეშ დაეყენებინათ რამდენად შეესაბამება ლათინური ამერიკის ახალი მემარცხენე მთავრობებს „პოსტ-ნეოლიბერალურის“ იარლიყი, იმ მსგავსების გათვალისწინებით, რომელიც მათ კონსერვატორულ მოპოვებითი რეჟიმების მქონე რეგიონებთან უფრო აახლოვებს (Bebbington 2012). უფრო მეტიც, კოლი და ფართინგი (Kohl and Farthing 2012) მიანიშნებენ მოპოვებითი ეკონომიკების ისტორიის განმავლობაში არსებულ სტრუქტურულ წინააღმდეგობაზე, რომელიც ზღუდავდა შესაძლებლობას, მომხდარიყო ნედლი რესურსებიდან მიღებული ამონაგების მიმართვა ნაციონალური დონის სოციალური ცვლილებებისკენ. უცხოური ინვესტიციების მონაწილეობის და ბუნებრივი სამყაროს კომოდიფიკაციის გათვალისწინებისას, ნათელი ხდება, რომ ექსტრაექტივიზმი სტრუქტურად შეუთავსებელია სოციალური ტრანსფორმაციის და დეკოლონიზაციის დისკურსებთან – განსაკუთრებით კი ბოლივიასა და ეკვადორში არსებულ ისეთ მიდგომასთან, როგორებიცაა *vivir bien* ან *buen vivir*⁸.

ის, თუ როგორ მიემართება ექსტრაექტივიზმი სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, გარემოს დაცვით თუ კულტურულ განზომილებებს მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად რთულია მისი გაკეთილშობილება, და სავსეა ისეთი შინაგანი წინააღმდეგობებით, რომელსაც მემარცხენე მთავრობები

8 *Vivir bien/buen vivir* – (ესპ.) ცხოვრება კარგად/კარგად ცხოვრება. ბოლივიასა და ეკვადორში, მათ შორის მკვიდრი ჯგუფების, მაგალითად კეჩუას და აიმარას, წარმომადგენლების მიერ პოპულარიზებული კონცეპტი, რაც ადამიანებისა და ბუნების ჰარმონიულ თანაარსებობას გულისხმობს, და, შესაბამისად, შეუსაბამოა ექსპორტის მიზნით რესურსების ჭარბ მოპოვებასთან. (მთ. შენ.)

ამ პროცესში წააწყდნენ (Lander 2014). ჩვენი შემოთავაზებაა, რომ მეტი ყურადღება დაეთმოს მომპოვებლური ეკონომიკების მრავალსახოვან ბუნებას. სვამპამ (Svampa 2012) დაამკვიდრა „სასაქონლო კონსენსუსის“ ტერმინი, რომელიც აღწერს საქონლით ვაჭრობის გადაქცევას ვაშინგტონის კონსენსუსის შემდგომ ეკონომიკურ მოდელად. ეს მოდელი უფრო მეტია, ვიდრე ნეოლიბერალურ ეპოქის სტრუქტურული გარდამქმნები. ის თავად ერი-სახელმწიფოებს უბიძგებს მეტი მოქნილობისკენ, რათა ხელი შეეწყოს ექსპორტზე ორიენტირებული ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციას. ფაქტიურად, ამ პირობებში მოპოვება არა მხოლოდ წარმოების ფორმად, არამედ სოციალური ორგანიზების ფორმის განსაზღვრელადაც გვევლინება.

ნეოეპრაქტივისტული მიდგომები რესურსების სუვერენულობაზე მონოდებებს, ისევე როგორც ამონაგების მოთხოვნას, დაბეგვრის გაზრდას, ანდაც ლიცენზიების გაზრდილი ტარიფებით დაბეგვრას რესურსების ნაციონალიზების დისკურსს აფუძნებენ. ეს დისკურსი, თავის მხრივ, საზრდოობს მფლობელობაზე არსებული იმ წარმოდგენებით, რომლშიც შენარჩუნებულია კერძო საკუთრების კონცეფცია და მინერალების თუ წიაღის ისეთი აღქმა, რომელიც მათ უცილობლივ ექსპლუატირებისთვის მზა რესურსებად მოიაზრებს, რაც კვლავანარმოებს და ამკვიდრებს გარემოსადმი კომოდიფიცირებულ დამოკიდებულებას (Mommer 2002). როგორც გუდინასი (Gudynas 2010b) ამტკიცებს, სახელმწიფო და მომპოვებელი საწარმოები, მოპოვებითი ინდუსტრიების მიერ დაფინანსებული სოციალური პროგრამების გენერირებით, ერთმანეთის უერთიერთლეგიტიმაციას ეწევიან. ეს დინამიკა მოითხოვს დებატების არენის ხელახლა შემოსაზღვრას – „მოპოვებაზე დისკუსიები მახინჯდება, გზას სცდება დავებით იმის თაობაზე, თუ როგორ გამოვიყენოთ მოგება მაშინ, როდესაც უკანა პლანზე რჩება კრიტიკული ანალიზი იმაზე, თუ რა როლს თამაშობენ მოპოვებითი ინდუსტრიები განვითარების სტრატეგიებში“ (Gudynas 2010b, 9). მეტიც, სავსებით პრაქტიკული თვალსაზრისით, ბევრ შემთხვევაში ეს იდეალები რიტორიკის დონეზე რჩება და კვლავაც ნარჩუნდება, თუნდაც ნაკლებად ხილული ან მცირე როლით, დამოკიდებულება უცხოური კაპიტალის მონაწილეობაზე, რომელიც შერეული საწარმოო სქემებით განხორციელებული მცირემასშტაბიანი ნაციონალიზების გვერდიგვერდ მიმდინარეობს.

ნეოლიბერალიზმის პირობებში მოპოვებითი/საწარმოო დიქტომიის გადააზრება

მკვიდრი მოსახლეობის ეკოლოგიური მოსაზრებები (Berkes 2008), აქტორ-ქსელის თეორია (Latour 2007) და ცხოველთა კრიტიკულ კვლევებთან (Haraway 2007) დაკავშირებული არაერთი ნაშრომი მეტი ყურადღების დათმობას მოითხოვს იმის ხელახლა გასააზრებლად, თუ როგორ ვნერება ადამიანი ბუნებაში და როგორია მისი მიმართება ბუნებისადმი. მარქსისტული პოლიტიკური ეკოლოგიის ბოლოდროინდელი კრიტიკული ნაშრომები აქცენტს ადამიანი-ბუნების დიქტომიის „კარტეზიანული“ კვლავნარმოების საფრთხეებზე სხვამს (Moore 2011). მკაცრი გამიჯვნა მოპოვებით და საწარმოო სისტემებს შორის, მართლაც რომ კვლავნარმოებს ამ დიქტომიას. შეიძლება ისიც ვამტკიცოთ, რომ სწორედ ამ ბინარობით გახდა შესაძლებელი ინდუსტრიული საქმიანობების შედეგების „ექსტერნალიზება“ ბუნებრივ და ადამიანურ ბუნებაზე. ადამიანური შრომისა და ეკოსისტემების განუყოფელობის კონცეპტუალიზების სირთულე აჩენს კითხვას, საერთოდ შესაძლებელია თუ არა მომპოვებლობის, როგორც მწარმოებლობისგან სრულად განცალკევებული კატეგორიის გამოყოფა. რამდენად არის მოპოვებისა და წარმოების გამიჯვნა უბრალოდ ე.წ. „ბუნებრივი რესურსების“ ფენტიზაციის ხელშეწყობა?

ლათინური ამერიკის მემარცხენე მთავრობების პასუხისმგებლობის მიუხედავად, სტრუქტურული გამოწვევები, რომლებიც მომპოვებლურ ტიპის ნაციონალურ ეკონომიკაზე ტრანზიციას და მასთან დაკავშირებულ ექსპლუატაციის განგრძობას უკავშირდებოდა, მიანიშნებს მომპოვებლობის და მასთან დაკავშირებული ბუნების თუ ადამიანური შრომის (როგორც ბუნების ნაწილის) გარკვეულ ექსპლუატაციურ თვისებებზე. ზემოთ ჩვენ გამოვთქვით მოსაზრება, რომ მოპოვებისთვის განკუთვნილი გარემო, ბუნება და რესურსები აქტიურად ინარმოება პოლიტიკურ-ლევალური სტრუქტურების მეშვეობით. თუმცა დიალექტიკური, ურთიერთგანმაპირობებელი კავშირი მომპოვებლურ ინდუსტრიასა და წარმოებით ფორმებს შორის აქ არ სრულდება: წარმოება, როგორც ადამიანური შრომის ექსპლუატაციური მოპოვებისგან შემდგარი პრო-

ცესი, ნეოლიბერალიზმის პირობებში უფრო მეტად მოპოვებლურ ბუნებას იძენს.

ამ ტენდენციის ყველაზე ცხადი მაგალითი, კლასიკური სახით, იქნებოდა სოფლის მეურნეობა, რომელიც თანამედროვე, პოსტ-კეინზიანური ტენდენციების და მასთან დაკავშირებული მიწის მფლობელობის გარდაქმნების პირობებში (ეს განხილულია გლობალური „მიწის მიტაცების“ შესახებ დებატებში [ib. Borrás and Franco (2012)], უფრო მეტად გადაიქცა მომპოვებლური ხასიათის მქონე ეკონომიკად. ეს განპირობებულია სოფლის მეურნეობის ბაზრების სულ უფრო მზარდი როლით არა რეგიონულ, არამედ ტრანსნაციონალური ბაზრების მომსახურებაში, და მასთან დაკავშირებული შესაძლო შედეგით, რაც ადგილობრივ დონეზე საკვების ხელმისაწვდომობის შეზღუდაზე აისახება. რეზინის დამუშავების და ვერცხლით ადრეული ვაჭრობის კვლევები ცხადად გვახსენებენ ამ ტენდენციებს, ასახავენ რა ეკონომიკურ იმპერიალიზმს ინდუსტრიალიზაციის პირველადი ტალღების პირობებში (Crosby 1986). ფართომასშტაბიანი სოფლის მეურნეობები, რომელთათვისაც საექსპორტო ბაზრის არსებობა ცენტრალურია და [მიწათმოქმედების] მიდგომები, რომლებიც მიწის გამოფიტვას მოიაზრებენ, ისეთ მომპოვებელ ინდუსტრიებს განასახიერებენ, როგორიცაა სამთო-მოპოვება თუ ნავთობის ექსპლუატაცია. ჩვენ სერიოზულად ვუდგებით ამ ერთგვარ პოსტ-კარტეზიანიზმს (Moore 2012), მათ შორის აქტორ-ქსელის თეორიას (Castree 2002), ვამტკიცებთ რა, რომ არათუ მოპოვება, როგორც კაეტგორია არის თავისთავად ფეტიშისტური, არამედ ნეოლიბერალიზმის პირობებში დანახული ინდუსტრიული წარმოების ფორმა იძენს სულ უფრო მეტად „მოპოვებითი“ განზომილებას. ეს კი გვიბიძგებს უფრო ყურადღებით მოვეპყროთ კაპიტალიზმის ტენდენციას ძირი გამოუთხაროს თავისივე არსებობის საფუძველს, როგორც „მეორე წინააღმდეგობრივობის“ თეზისში (O’connor 1988) – ფაქტორს, რომელიც კლიმატის ცვლილებაზე ამჟამინდელმა შფოთვამ წინა პლანზე წამოწია.

როგორც ზემოთ განვიხილეთ, ეს დინამიკები მოიცავს გადაჭარბებულ მოპოვებას და ადამიანის და ბუნებების ექსპლუატაციას. სოციალური თუ გარემოსდაცვით საფასურთან დაკავშირებული ხარჯების „ექსტერნალიზაცია“, გლობალური სავალუტო ქსელების გავლით (მაგალითად

როგორცაა მაკილადორების⁹ ან ექსპორტს გადამუშავების ზონები) ადამიანური შრომის ჰიპერ-ექსპლუატაცია, და ბოლოდროინდელი Rana Plaza¹⁰-ს კატასტროფა ამის მაგალითებია. ეს მაგალითები, ჯერ კიდევ იმპერიალიზმის დოირდელ „ადგილმდებარეობის ფიქსაციის“ (Harvey 2006) მახასიათებელს ეფუძვნება, დღეს კი გლობალიზაციის პირობებში მიღწეული სივრცითი დისტანციებით ხდება შესაძლებელი, რომლის უკუ-ეფექტი სულ უფრო ცხადი გახდა მეოცე საუკუნის ბოლოდან მოყოლებული. ნეოლიბერალიზმის პირობებში კაპიტალისტური შრომის პროცესის, პოლიტიკურ-სამართლებრივი ჩარჩოების გამოყენებით, სულ უფრო მეტად იმეორებს მომპოვებლურ ხასიათს, რომლიც უფრო მეტად უწყობს ხელს ექსპორტზე ორიენტირებულ წარმოებას. როგორც ანკლავებში მენარმეობა, ისე მოპოვებითი უბნები სულ უფრო მეტად ეჩეხებიან შრომითი და გარემოსდაცვით ვალდებულებების თუ კორპორატიულ გადასახადების შემცირებას, რაც უფრო მეტად ამძაფრებს გარემოსთვის მიყენებულ ზიანს.

ამ საკითხთან კავშირში, რაითი (Wright 1999) აღწერს სამუშაო ძალის მიმართ შეცვლილ აღქმას მაკილადორას საწარმოებში, როცა წერს, რომ მექსიკელი ქალის „სამუშაო ძალა, შედეგად, ნაკლებად ღირებულია, ვიდრე მისი შრომა ბევრი სხვა სახით, სწორედ იმის გამო, რომ მისი შრომა ღირებულებას მხოლოდ სამუშაო პროცესიდან მისი გარდაუვალი გამოთიშვის შედეგად იძენს“ (Wright 1999, 454). ის ხაზს უსვამს, თუ როგორ მოიხმარება მაკილადორას ინდუსტრიებში ქალების სამუშაო ძალა. კერძოდ, მენეჯერები ავითარებენ სტრატეგიებს, რათა მიიღონ მაქსიმალური სარგებელი ფემინიზებული მშრომელთა ძალისგან, და ამავდროულად ამ ძალის რეპროდუქციასთან დაკავშირებულ ყოველგვარი ხარჯის ექსტერნალიზებას ახდენენ. ამგვარად, ქალები საწარმოო საშუალებიდან

9 მაკილადორა ან მაკილა – კომპანია, რომლის პროდუქციაც ტარიფების, გადასახადებისა და რეგულაციებისგან თავისუფალია და ძირითადად ექსპორტზეა ორიენტირებულია. ასეთი კომპანიები, მხარდაჭერილი ადგილობრივი კანონმდებლობის მიერ, გვხვდება ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით მექსიკაში, სალვადორში და ნიკარაგუაში. (მთ. შენ.)

10 Rana Plaza – მრავალსართულიანი კომპლექსი დაკავშირებულია, ბანგლადეშში, სადაც განლაგებული იყო სხვადასხვა კომერციული დაწესებულებები, ბანკი, სამკერვალო ფაბრიკები და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ შენობა ავარიული იყო და მას ცხადად ეტყოდომა ბზარები, ფაბრიკის მენეჯერებმა მშრომელებს უბრძანეს სამუშაოდ მისულიყვნენ. შედეგად, 2013 წლის 24 აპრილს შენობის ჩამოქცევას 1134 ადამიანი ემსხვერპლა, 2500-მდე კი დაშავდა.

გარდაიქმნებიან სანარმოო ნარჩენებად, და სწორედ ეს გარდაქმნის უნარია დამსაქმებლებისთვის ყველაზე მიმზიდველი (გვ. 470). ადამიანური შრომის სანარმოო ნარჩენად გარდაქმნა, ბუნებრივი რესურსების სანარმოო ნარჩენებად გარდაქმნის პარალელურად მიმდინარეობს, როდესაც ადგილი აქვს ღირებულების მქონე საქმონლის გამოაცალკევებას იმისგან, რაც საბოლოოდ სანარმოო ნარჩენი ხდება. სამუშაო პროცესის იქამდე დაყვანა, სადაც თავად მშრომელები გარდაიქმნებიან ღირებულების მატარებელი ფორმიდან ნარჩენებად, მიანიშნებს მომპოვებლობის ადაპტაციის უნარზე სამუშაო ძალის უზრუნველსაყოფად. სამეცნიერო ნაშრომების ყურადღება ნარჩენებისა და მათი განკარგვისადმი, რომელშიც ჩაქსოვილია ადამიანური შრომის უშუალო ღირებულებაც (Gidwani 2013), კიდევ უფრო აპრობლემებს ადამიანური შრომის პროდუქტის კატეგორიზებას საქონლად, და გვეხმარება მოპოვების, როგორც ნეოლიბერალური კატეგორიის თეორიულ და მეთოდოლოგიურ ნიუანსირებაში.

და ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ მომპოვებლურ და მწარმოებლურ სისტემებს შორის არსებული განსხვავებების თეორიებამ მნიშვნელოვანი ყურადღება მიაპყრო რესურსების ექსპლუატაციის ცალკეულ ფორმებს, ფორმებზე მსჯელობამ შეიძლება შენიღბოს მომპოვებელ საქმიანობებში ადამიანური შრომის როლი და გაამყაროს დიქტომიები ადამიანურ და არაადამიანურ ბუნებას შორის. ამის საპირისპიროდ, ადამიანური შრომის ღირებულებაზე მაღალმა კონცენტრირებამ, იმის გათვალისწინების გარეშე, თუ როგორ ქმნიდა სივრცულად დისტანცირებული ბუნებების მოპოვება ისტორიის მანძილზე როგორც არა-ადამიანურ ბუნების კონცეფტს, ისე ადამიანურ შრომას კატეგორიას, აძლიერებს ბუნების ანთროპოცენტრულ აღქმას. საბოლოო ჯამში, როგორც ზემოთ ვამტკიცებთ, ნეოლიბერალიზმის მოპოვებითი ბუნების გათვალისწინება და იმის კრიტიკა, თუ როგორ შექმნეს ბუნებისადმი კარტეზიანულმა მიდგომებმა პირობები ეკოლოგიური კრიზისებისთვის, გვეხმარება მწარმოებლურ და მომპოვებლურ საქმიანობებს შორის მკვეთრი გამიჯვნების პრობლემატიზებაში. ადამიანური შრომისა და ბუნების, როგორც ურთიერთამგები კატეგორიების გაერთიანება, წაახალისებს თეორიას და კვლევას, რომელიც ერთდროულად განიხილავს წარმოებისა და მოპოვების კატეგორიების სოციალურ და სივრცით გავლენებს.

დასკვნა

მომპოვებლური ინდუსტრიების გარშემო მიმდინარე მზარდი დებატები მრავალგვარი პოლიტიკური ანალიზიდან გამომდინარეობს და ბუნებრივი რესურსების სწორი მართვის სხვადასხვა პოლიტიკური მიდგომებს ადვოკატირებს. ბოლო წლებში, კვლევითი სფერო გაფართოვდა და მოიცვა ფინანსიალიზაციის და სპეკულაციის როლი მომპოვებელი ინდუსტრიების მხარდაჭერაში. უკვე ცხადია, რომ რესურსების ექსპლუატაცია ვერ დაიყვანება განვითარების თეორიებამდე ან საშინაო პოლიტიკის ვიწრო მიდგომებამდე, რომლებიც მიზნად ისახავენ დაუპირისპირდნენ მოსაკრებელის ძიების მიდრეკილების ტენდენციებს. ამის სანაცვლოდ, მეცნიერულმა ყურადღებამ ნათელი მოჰფინა მოპოვებითი დინების გლობალურ ბუნებას და მოითხოვა რესურსების გეოპოლიტიკური მნიშვნელობის, ისევე როგორც მათი შიდა პოლიტიკური, კულტურული და სოციალური კავშირების ანალიზი. ვაცნობიერებდით რა მოპოვებითი ინდუსტრიების ექსპანსიას და თანამედროვე გლობალურ პოლიტიკონომიურ და ეკოლოგიურ საკითხებთან მათ ურთიერთდაკავშირებულობას, აქ განვიხილეთ ე.წ. მომპოვებლური და მწარმოებლური ეკონომიკების ურთიერთგანმამპირობებელი ბუნება, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ნეოლიბერალიზმის პირობებში არსებული გლობალური კაპიტალისტური ურთიერთობების მრავალდონიანი აღქმა.

მომპოვებლური ინდუსტრიების მწარმოებლური ინდუსტრიებისგან გამიჯნით, მეცნიერებამ დროთა განმავლობაში ყალბი დიქტომია შექმნა. დიქტომია, რომელიც ყურადღების მიღმა ტოვებს შრომის როლს რესურსების მოპოვებაში და ეყრდნობა ადამიანურ შრომასა და ბუნებას შორის ფანტაზირებულ დაყოფას. ზემოთ ჩვენ გამოვავლინეთ მრავალი შესაძლებლობები საწარმოო და მოპოვებითი სტრუქტურების ურთიერთაგების ანალიზისთვის, რომელიც ნათელს მოჰფენს როგორც მომპოვებლობის ბუნება-ინტენსიური ფორმის კლასიკურ გაგებას, ასევე წარმოების ნეოლიბერალურ ფორმებს. როგორც ჩანს, გლობალიზებული წარმოების ჭაჭვები იმიტირებენ მომპოვებლურ პროცესებს როდესაც ახდენენ საბოლოო პროდუქტის სხვადასხვა კომპონენტების ერთმანეთისგან იზოლირებას, მათ შორის ადამიანური შრომისაც, და შედეგად ამოიცინობენ

მათი მოპოვების დისკრეტულ მეთოდებს. ამ ჯაჭვების კოლექტიური ანალიზი, რომელიც ხელშეწყობილია საქონლის გლობალური ჯაჭვის ანალიზის მიდგომებით (Gereffi 1999, Bridge 2008, Zalik 2008b), გვეხმარება გავაერთიანოთ მოპოვება და წარმოება როგორც უცილობლად გადაჭვული პროცესები. ამგვარად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ბუნებრივი“ რესურსების, და მასთან დაკავშირებული მომპოვებლური ინდუსტრიების კონცეპტუალიზება სასაქონლო წარმოებად, რომელთა განმასხვავებელი თავისებურებებიც არ მიემართება მათი წარმოების ფორმებს, შეიძლება მცდარი დაშვება იყოს, იმ პირობებში, როდესაც მომპოვებლობა განსხვავდება მთელი რიგი წარმოების ფორმებისგან. ეს დილემები ცხადად აჩვენებენ, რომ საჭიროა თანამედროვე ნეოლიბერალიზმის პირობებში მოპოვებითი და საწარმოო პრაქტიკების მეტი კომპარატიული და რელაციონალისტური თეორიზება.

ბიბლიოგრაფია

- Amin, S. 1977. *Imperialism and Unequal Development*. New York: Monthly Review Press.
- Auty, R.M. 1993. *Sustaining Development in Mineral Economies: The Resource Curse Thesis*. London and New York: Routledge.
- Baran, P.A. 1968. *Political Economy of Growth*. New York: Modern Reader Paperbacks.
- Bebbington, A. 2012. *Underground Political Ecologies: The Second Annual Lecture of the Cultural and Political Ecology Specialty Group of the Association of American Geographers*. *Geoforum*, 43.6: 1152–62.
- Berkes, F. 2012. *Sacred Ecology*. New York: Routledge.
- Bina, C. 2006. *The Globalization of Oil: A Prelude to a Critical Political Economy*. *International Journal of Political Economy*, 35.2: 4–34.
- Blaut, J.M. 1994. *Robert Brenner in the Tunnel of Time*. *Antipode*, 26.4: 351–74.
- Borras, S.M., and Franco, J.C. 2012. *Global Land Grabbing and Trajectories of Agrarian Change: A Preliminary Analysis*. *Journal of Agrarian Change*, 12.1: 34–59.
- Brenner, R. 1977. *The Origins of Capitalist Development: A Critique of Neo-Smithian Marxism*. *New Left Review*, 104. August: 25–92.
- Bridge, G. 2004. *Contested Terrain: Mining and the Environment*. *Annual Review of Environment and Resources*, 29.1: 205–59.
- . 2008. *Global Production Networks and the Extractive Sector: Governing Resource-Based Development*. *Journal of Economic Geography*, 8.3: 389–419.
- Bridge, G., and Le Billon, P. 2012. *Oil*. Cambridge and Malden, MA: Polity.
- Bunker, S.G. 1984. *Modes of Extraction, Unequal Exchange, and the Progressive Underdevelopment of an Extreme Periphery: The Brazilian Amazon, 1600–1980*. *American Journal of Sociology*, 89.5: 1017–64.
- Bunker, S.G., and Ciccantell, P.S. 2005. *Globalization and the Race for Resources*. Baltimore, MD: Johns Hopkins University Press.
- Burkett, P. 1999. *Marx and Nature*. London: St Martin's Press.
- Campbell, B. 2003. *Factoring in Governance is Not Enough: Mining Codes in Africa, Policy Reform and Corporate Responsibility*. *Minerals and Energy – Raw Materials Report*, 18.3: 2–13.
- Castree, N. 2002. *False Antitheses? Marxism, Nature and Actor-Networks*. *Antipode*.
- Clark, B., and Foster, J.B. 2009. *Ecological Imperialism and the Global Metabolic Rift: Unequal Exchange and the Guano/Nitrates Trade*. *International Journal of Comparative Sociology*, 50.3–4: 311–34.
- Coase, R.H. 1937. *The Nature of the Firm*. *Economica*, 4.16: 386–405.

- . 1998. The New Institutional Economics. *The American Economic Review*, 88.2: 72–4.
- Coronil, F. 1997. *The Magical State: Nature, Money, and Modernity in Venezuela*. Chicago, IL: University of Chicago Press.
- . 2000. Toward a Critique of Globalcentrism: Speculations on Capitalism's Nature. *Public Culture*, 12.2: 351–74.
- Crosby, A.W. 1986. *Ecological Imperialism: The Biological Expansion of Europe, 900–1900*.
- Deneault, A., and Sacher, W. 2012. *Imperial Canada Inc.: Legal Haven of Choice for the World's Mining Industries*. Vancouver: Talonbooks.
- Emel, J., and Huber, M.T. 2008. A Risky Business: Mining, Rent and the Neoliberalization of 'Risk'. *Geoforum*, 39.3: 1393–407.
- Escobar, A. 1995. *Encountering Development: The Making and Unmaking of the Third World*. Princeton, NJ: Princeton University Press.
- Foster, J.B. 1999. Marx's Theory of Metabolic Rift: Classical Foundations for Environmental Sociology. *American Journal of Sociology*, 105.2: 366–405.
- . 2002. Capitalism and Ecology II: The Nature of the Contradiction. *Monthly Review*, 54.4: 6–16.
- Francescone, K. 2015. Cooperative Miners and the Politics of Abandonment in Bolivia. *The Extractive Industries and Society*, 2.4: 746–55.
- Frank, A.G. 1969. *Capitalism and Underdevelopment in Latin America*. Rev. and enlarged edn. New York: Monthly Review Press.
- Furtado, C. 1976. *Economic Development of Latin America: Historical Background and Contemporary Problems*. 2nd edn. Cambridge: Cambridge University Press.
- Garcia Linera, A. 2012. *La Geopolítica de La Amazonia*. La Paz: Vicepresidencia del Estado.
- Gereffi, G. 1999. *A Commodity Chains Framework for Analyzing Global Industries*. Institute of Development Studies. Retrieved from <http://www.ids.ac.uk/ids/global/pdfs/gereffi.pdf>
- Gidwani, V. 2013. Six Theses on Waste, Value, and Commons. *Social & Cultural Geography*, 14.7: 773–83.
- Girvan, N. 1978. *Corporate Imperialism: Conflict and Expropriation: Transnational Corporations and Economic Nationalism in the Third World*. New York: Monthly Review Press.
- Graham, Y. 2013. *The Africa Mining Vision: Looking beyond the Boom, Bust and Boom of Global Mineral Markets towards Structural Transformation*. Paper presented at the Conference on the South in the Global Economic Crisis, Geneva, 31 January. Retrieved from http://www.southcentre.int/wp-content/uploads/2013/08/Ev_130201_YGraham.pdf
- Gudynas, E. 2010a. El Nuevo Extractivismo Progresista. *El Observador Del OBIE*, 8: 1–10.

- . 2010b. *The New Extractivism of the 21st Century: Ten Urgent Theses about Extractivism in Relation to Current South American Progressivism*. Washington, DC: Center for International Policy.
- Haraway, D.J. 2007. *When Species Meet*. Minneapolis: University Of Minnesota Press.
- Harvey, D. 2003. *The New Imperialism*. Oxford: Oxford University Press.
- . 2006. *Spaces of Global Capitalism*. London: Verso.
- Karl, T.L. 1997. *The Paradox of Plenty: Oil Booms and Petro-States*. Berkeley: University of California Press.
- Kohl, B., and Farthing, L. 2012. Material Constraints to Popular Imaginaries: The Extractive Economy and Resource Nationalism in Bolivia. *Political Geography*, 31.4: 225–35.
- Labban, M. 2008. *Space, Oil and Capital*. New York: Routledge.
- Lander, E. 2014. *Neoextractivismo Como Modelo de Desarrollo En America Latina y Sus Contradicciones*. Heinrich Boll Stiftung. Retrieved from boell.org/sites/default/files/edgardolander.pdf
- Latour, B. 2007. *Reassembling the Social: An Introduction to Actor-Network-Theory*. 1st edn. New York: Oxford University Press.
- Leiva, F.I. 2008. *Latin American Neostructuralism: The Contradictions of Post-Neoliberal Development*. Minneapolis: University of Minnesota Press.
- Marx, K. 1993. *Capital: A Critique of Political Economy, Vol. 3*. Fernbach, D, trans. London: Penguin Classics.
- McNally, D. 1981. Staple Theory as Commodity Fetishism: Marx, Innis and Canadian Political Economy. *Studies in Political Economy*, 6: 35–63.
- Mitchell, T. 1998. Fixing the Economy. *Cultural Studies*, 12.1: 82–101.
- . 2002. McJihad: Islam in the US Global Order. *Social Text*, 73: 1–18.
- . 2011. *Carbon Democracy: Political Power in the Age of Oil*. New York: Verso.
- Mommer, B. 2002. *Global Oil and the Nation State*. New York: Oxford University Press.
- Moore, J.W. 2000. Environmental Crises and the Metabolic Rift in World-Historical Perspective. *Organization & Environment*, 13.2: 123–57.
- . 2003. The Modern World-System as Environmental History? Ecology and the Rise of Capitalism. *Theory and Society*, 32.3: 307–77.
- . 2011. Ecology, Capital, and the Nature of Our Times: Accumulation and Crisis in the Capitalist World-Ecology. *American Sociological Association*, 27.1: 107–46.

—. 2014. The Capitalocene Part I: On the Nature and Origins of Our Ecological Crisis. Retrieved from

http://www.jasonwmoore.com/uploads/The_Capitalocene__Part_I__June_2014.pdf

Nitzan, J., and Bichler, S. 1995. Bringing Capital Accumulation Back In: The Weapondollar□ Petrodollar Coalition-Military Contractors, Oil Companies and Middle East 'Energy Conflicts'. *Review of International Political Economy*, 2.3: 446–515.

O'Connor, J. 1988. Capitalism, Nature, Socialism a Theoretical Introduction. *Capitalism Nature Socialism*, 1.1: 11–38.

Powell, W.W., and Di Maggio, P.J. 2012. *The New Institutionalism in Organizational Analysis*. Chicago, IL: University of Chicago Press.

Prebisch, R. 1950. *The Economic Development of Latin America and Its Principal Problems*. New York: United Nations Department of Economic Affairs.

Rosales, A. 2013. Going Underground: The Political Economy of the 'Left Turn' in South America. *Third World Quarterly*, 34.8: 1443–57.

Smith, N. 2007. Nature as Accumulation Strategy. *Socialist Register*, 43: 16.

Sunkel, O., and Paz, P. 1970. *El Subdesarrollo Latinoamericano y la Teoría del Desarrollo*. Madrid: Siglo Veintiuno de España.

Svampa, M. 2012. Consenso de los Commodities, Giro Ecoterritorial y Pensamiento Crítico en América Latina. *Observatorio Social de América Latina*, 32.November: 15–38.

Veltmeyer, H., and Petras, J. 2014. *The New Extractivism: A Post-Neoliberal Development Model Or Imperialism of the 21st Century?* London: Zed.

Watts, M. 2004. Resource Curse? Governmentality, Oil and Power in the Niger Delta, Nigeria. *Geopolitics*, 9.1: 50–80.

Wright, M.W. 1999. Dialectics of Still Life: Murder, Women, and Maquiladoras. *Public Culture*, 11.3: 453–74.

Zalik, A. 2008a. Oil Sovereignties in the Mexican Gulf and Nigerian Niger Delta, in Omeje, K., ed.

Extractive Economies in the Global South: Multi-Regional Perspectives on Rentier Politics. London: Ashgate:181–98.

—. 2008b. Liquefied Natural Gas and Fossil Capitalism. *Monthly Review*, 60.6: 41–53.

II ნაწილი
კაპიტალის დაგროვების სოციალური
და ეკოლოგიური ეფექტები

სინთეზური შესავალი

კუმშვადი ქალაქები: გლობალიზაციის ურბანული გამოწვევები

დათო გოგიშვილი

სიმჭიდროვე და კონცენტრაცია – მოსახლეობის, კაპიტალის და შრომის ის კომპონენტებია, რომლებიც ხშირად ასოცირდება ურბანიზაციასთან და აღნიშნავს საქალაქო მოსახლეობის რაოდენობის და სიმჭიდროვის ზრდას. თუმცა, ეს უნივერსალური პროცესი არ არის და წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებს, გვერდს უვლის მსოფლიოს ბევრ ქალაქს და ხშირად მხოლოდ მეგაპოლისებსა და დიდ ქალაქებში გვხვდება, რომელთა რაოდენობა არც ისე დიდია. უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე საქალაქო მოსახლეობის წილის გლობალურად მასშტაბური, შეუქცევადი, ზრდის მიუხედავად მაინც ვხვდებით ადამიანების ქალაქიდან იძულებით გადაადგილების და საქალაქო გარემოს მკვეთრი გაუარესების შემთხვევებს. საშუალო და მცირე ზომის საქალაქო დასახლებები ხშირად კარგავენ მაცხოვრებლებს. ეს მნიშვნელოვანი ცვლილება გლობალიზაციის და მსოფლიო ეკონომიკური სისტემის ცვლილების გავლენით ხდება და გამოკვეთილ სივრცით და დემოგრაფიულ ხასიათს ატარებს. თუმცა, ეს პროცესი არათანაბარი, სივრცობრივად უთანასწოროა.

მსოფლიოში ქალაქების ზრდა და შეკუმშვა ხშირად პარალელურად ხდება და მრავალი ურთიერთდაკავშირებული ფაქტორის ზეგავლენის შედეგია. გლობალიზაცია ადამიანების გადაადგილების მასტიმულირებელ ფაქტორებს წარმოქმნის. შედეგად ზოგიერთი ქალაქი მოსახლეობის მაღალი კონცენტრაციის ადგილი ხდება, როდესაც უამრავი სხვა ქალაქი და რეგიონი ხალხისგან იცლება. მეოცე საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს ახალ გლობალურ ეკონომიკურ წყობაზე თანდათანობით გადასვლამ და მასთან ერთად წარმოების, დისტრიბუციისა და მოხმარების ახალმა შესაძლებლობებმა წარმოშვა ახალი საქალაქო ფორმა. დაბები, ქალაქები და მთლიანი რეგიონები, რომლებიც ტრადიციული წარმოების ცენტრებს

წარმოადგენდნენ, განიცდიან კაპიტალის და ადამიანური რესურსის გადინებას, და ხასიათდებიან სამეწარმეო აქტივობის შემცირებით, ინოვაციების და ინტელექტუალური ჩართულობის დაბალი მაჩვენებლით. ქალაქები, რომლებიც დაფუძნებული იყვნენ ცალკეულ (მონო) ინდუსტრიებზე, ან წარმოადგენდნენ ერთ სექტორში მოთავსებული სფეროების კონცენტრაციას, განსაკუთრებით დაზარალებულნი. კრისტიანა მარტინეს-ფერნანდესი, ივონე აუდირაკი, სილვიე ფოლი და ემანუელე კანინგამ-საბო სწორედ ასე იწყებენ საკუთარ სტატიას კუმშვადი ქალაქების ფენომენის შესახებ, რომელიც 2012 წელს ურბანისტიკის დარგში ნამყვანი კრიტიკული გამოცემის *ურბანული და რეგიონალური კვლევის საერთაშორისო ჟურნალის* კუმშვად ქალაქებზე წარმოებული კვლევებისგან შემდგარ სპეციალურ ნომერს დაერთო.

კუმშვადი ქალაქები საერთაშორისო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ქალაქგეგმარებით პრობლემას წარმოადგენს. როდესაც ქალაქები იკუმშება, ისინი ხშირად ავლენენ საერთო მახასიათებლებს, რომელსაც რეკიენი და მარტინეს-ფერნანდესი „კუმშვის იდენტობის“ ქვეშ აერთიანებენ. კუმშვადი ქალაქი ეს არის საქალაქო დასახლება – ქალაქი, ქალაქის ნაწილი, აგლომერაცია ან დაბა – რომელიც განიცდის მოსახლეობის შემცირებას, ეკონომიკურ დაღმასვლას, უმუშევრობის ზრდას და სხვა სოციალურ პრობლემებს, როგორც სტრუქტურული კრიზისის მახასიათებელ სიმპტომებს. ურბანული შეკუმშვა არის მასშტაბური ფენომენი, რომელიც გამოირჩევა მრავალმხრივი ეფექტებით და გააჩნია ეკონომიკური, დემოგრაფიული, გეოგრაფიული, სოციალური და ფიზიკური განზომილება.

ქალაქების კუმშვა გლობალიზაციის სივრცითი გამოვლინებაა, რომელიც განსაკუთრებით კარგად აისახება ადგილობრივ დონეზე. წარმოების შემცირებასთან ერთად მცირდება დასაქმების საშუალებები, რაც თავის მხრივ ქალაქის მაცხოვრებლებს ემიგრაციისკენ უბიძგებს. მცირდება ქალაქის მაცხოვრებლების და ათვისებული საცხოვრებელი სივრცის რაოდენობა. ამ დროს ქალაქის ზოგიერთ ნაწილში იკლებს მოთხოვნა საზოგადოებრივ ტრანსპორტზე და შესაბამისად მისი ახალ რეალობასთან ადაპტირება ხდება საჭირო, რაც ხშირად რიყავს ქალაქის დარჩენილი მოსახლეობის ნაწილს საქალაქო გარემოდან. ვინაიდან საქალაქო მოსახლეობის შემცირება ხშირად მოსახლეობის დაბერებასაც იწვევს არსე-

ბობს მაღალი რისკი, რომ მოხუცთათვის განკუთვნილ სერვისებზე მოთხოვნა განსაკუთრებით გაიზარდოს. ამის საპირისპიროდ, შემცირებული მოთხოვნის გამო, შეიძლება დაიხუროს საჯარო სკოლები და ბაღები. უძრავ ქონებაზე მოთხოვნის შემცირებამ შეიძლება შეამციროს მისი ფასი, მაგრამ ასევე მნიშვნელოვნად გააუარესოს საქალაქო გარემო. მცირდება მოთხოვნა საქალაქო ინფრასტრუქტურაზე და ის საბიუჯეტო რესურსები, რომელიც ამ ინფრასტრუქტურის გამართულ ფუნქციონირებას, და ზოგადად, კუმშვად ქალაქში ახლად წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ქალაქს სჭირდება.

წარმოდგენილი სტატიის ავტორები აღნიშნავენ, რომ შემცირებადი ქალაქების კონცეფციის განხილვა შეუძლებელია ამერიკული და გერმანული გამოცდილების ხსენების გარეშე. სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი დისკუსიებს აკადემიურ და პოლიტიკის სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკული ქალაქები ამ პროცესის „პიონერები“ არიან, ისინი ნაკლებად ასახავენ იმ რეალობას, რომელიც გერმანიისა და პოსტ-სოციალისტური ქვეყნების შემთხვევაში ქალაქების მასშტაბის რადიკალურ შემცირებას უკავშირდება. ამერიკაში 1950-იანი წლებიდან ზოგიერთი ქალაქის ან ქალაქის (ძირითადად ცენტრალური) ნაწილის მოსახლეობის თავდაპირველი შემცირება უფრო მეტად რასობრივ კონფლიქტებსა და სუბურბანიზაციის პროცესთან არის დაკავშირებული, და ნაკლებად ეკონომიკურ ტრანსფორმაციასთან, რომელიც უკვე 1970-იანი წლებიდან გავლენას ახდენს ამერიკულ ქალაქებზეც. პოსტ-ფორდისტული ეკონომიკური წარმოების პრინციპებზე გადასვლას, რომელიც გლობალური ჩრდილოეთის ქვეყნებში მეტ-ნაკლები თანმიმდევრობით განხორციელდა, სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში, და მათ შორის საქართველოშიც, „შოკური თერაპიის“ სახე ჰქონდა, და განსაკუთრებით დააზიანა ინდუსტრიული ქალაქები. ამასთან ერთად, გვემიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა და მას მოყოლილი საჯარო რესურსების მასობრივი პრივატიზაცია პოსტ-საბჭოთა ქალაქების შეკუმშვის ერთ-ერთი ძირითადი მამოძრავებელი ფაქტორი გახდა. ამ ფაქტორების კომბინაციის შედეგად, ქალაქების დიდმა ნაწილმა ვერ შეძლო წარმატებული ტრანსფორმაცია და კონკურენტულ თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური სისტემაში საკუთარი თავის დამკვიდრება.

რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ საქართველოში და რატომ არის მნიშვნელოვანი ეს ნაშრომი ქართული კონტექსტის უკეთ გასააზრებლად? სხვა პოსტ-საბჭოთა ქალაქების მსგავსად 1991 წლიდან საქართველოში არაერთი ქალაქი შემცირდა სხვადასხვა მახასიათებლით და აქ ნათლად ვხედავთ იმ პროცესებს, რომლებიც კუმშვად ქალაქებში ვითარდება.

საქართველოს მოსახლეობა მცირდება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. ეს შემცირება განსაკუთრებით ნათელია იმ ქალაქებში, რომლებიც საკვანძო ეკონომიკური მნიშვნელობას ატარებდნენ საქვეყნო ან საკავშირო მასშტაბით და სხვადასხვა ტიპის წარმოების ცენტრებს წარმოადგენდნენ. შემცირება განსაკუთრებით მკვეთრად იყო გამოხატული იმერეთისა და ქვემო ქართლის იმ ქალაქებში სადაც სხვადასხვა ინდუსტრიები დასაქმების და ძირითად ქალაქწარმომქმნელ ფაქტორს წარმოადგენდა. ამ ქალაქებმა მრავალმხრივი შემცირება განიცადა (ზოგიერთ შემთხვევაში მოსახლეობა ორჯერ და მეტჯერ შემცირდა), რომელიც პირველ რიგში ეკონომიკური ბაზის/ფუნქციის, და შესაბამისად სამუშაო ადგილებისა და მოსახლეობის რაოდენობის რადიკალურ კლებაში გამოიხატა.

დღევანდელი მონაცემებით, საბჭოთა პერიოდთან შედარებით ინდუსტრიის სფეროში დასაქმებულთა რიცხვი სულ ცოტა ნ-ჯერ არის შემცირებული და დაახლოებით ნახევარი მილიონი ადამიანი ამ სფეროს მიღმა დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ამ მიმართულებით ჩატარებული საფუძვლიანი კვლევები, სტატისტიკური მონაცემების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ უმუშევრად დარჩენილ ადამიანთა დიდმა ნილმა დატოვა საკუთარი ქალაქი და სავარაუდოდ საქართველოდან ემიგრაციაში წავიდა. მეორეს მხრივ, მაცხოვრებელთა მნიშვნელოვანი წილი მძიმე ეკონომიკური პირობების გამო იძულებული გახდა სოფლის მეურნეობაში ჩართულიყო. ამ პროცესმა ცალსახად ხელი შეუწყო დე-ურბანიზაციის პროცესს, რომელიც ქალაქების კუმშვის ერთ-ერთ გამოვლინებად შეიძლება ჩაითვალოს.

არსებული მდგომარეობის მიუხედავად, ამ პროცესის შემადგენელი სხვადასხვა ასპექტები და მათი შედეგები ქალაქში, იშვიათად გამხდარა მსჯელობის საგანი საზოგადოებრივი პოლიტიკისა თუ აკადემიურ სფეროში. ამაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ არ არსებობს ჩამოყალიბებული და დამკვიდრებული ტერმინი, რომლითაც ზემოთ განხილულ პროცესს

აღვწერდით. კუმშვადი ქალაქების თემაზე ადგილობრივი გამოცდილების უკეთ შესასწავლად აუცილებელია საქართველოში არსებული შემთხვევების სიღრმისეული კვლევა და ჩარევა დაგროვებული ცოდნის საფუძვლებზე, რომლებიც საქალაქო გარემოს და არსებული სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის გააზრებასა და რადიკალურ გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. ამასთან ერთად ეს ცოდნა გაამდიდრებს მსოფლიო ურბანულ თეორიებს, რომლებიც კუმშვადი ქალაქების შესახებ ინარმოება და ძირითადად ევროპული და ამერიკული ქალაქების შეზღუდული წილის გამოცდილებით იკვებება.

საქართველოში მდებარე კუმშვად ქალაქებსა და დაბებში არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად შესაბამისი გადანაცვებების გატარებისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ ნაბიჯების ამოსავალი წერტილი არა მხოლოდ საქალაქო მოსახლეობის და ამ ქალაქში არსებული წარმოების ზრდა, არამედ ალტერნატიული მდგრადი გადანაცვებების ძებნა უნდა იყოს, რომელიც მომავალში მსგავს კრიზისულ მდგომარეობას აარიდებს ქალაქს. ასეთივე მოწოდებით ასრულებენ მარტინეს-ფერნანდესი და მისი თანაავტორები საკუთარ სტატიას შემცირებადი ქალაქების ფენომენზე. მათი აზრით, აუცილებელია პარადიგმის ცვლილება ქალაქგეგმარებაში საქალაქო ზრდიდან შეზღუდულ (ინკლუზიურ) ზრდასა თუ ქალაქის ზრდის შემცირებაზე მიმართული მიდგომით, რათა ეფექტურად შევერკინოთ მსოფლიოს ქალაქებში გავრცელებულ ფენომენს, რომელიც უკვე ერთნაირად ნაცნობია გლობალური ჩრდილოეთისა თუ გლობალური სამხრეთის ეკონომიკებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ის განსხვავებული სიმწვავეთ არის გამოვლენილი.

კუმშვადი ქალაქები:

გლობალიზაციის ურბანული გამოწვევები

ავტორი: კრისტინა მარტინეს-ფერნანდესი

მთარგმნელი: ნინო მიქაშავიძე

ურბანული შეკუმშვა არ არის ახალი ფენომენი. ის ფართოდ არის წარმოდგენილი და დოკუმენტირებული ლიტერატურაში, რომელიც ანალიზებს სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებს, რომლებმაც მოსახლეობის მასობრივ გადინებას მისცეს ბიძგი, რამაც, უარეს შემთხვევებში, საცხოვრებელი კვარტლებისა და სამეზობლოების მიტოვება გამოიწვია. ურბანული შეკუმშვის ანალიზისას უნდა გავითვალისწინოთ ახალი მიდგომა, რომ ამჟამად ეს ფენომენი გლობალური და მრავალგანზომილებიანია, თუმცა ცოტას ესმის მისი ყველა სახის გამოვლინება. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიოს მოსახლეობა სულ უფრო მეტად ურბანული ხდება, ურბანული დაცემის შესახებ საყოველთაოდ მიღებული შეხედულებები გადასინჯვას საჭიროებს. ეს სიმპოზიუმი მოიცავს იმ ათი ურბანული ანალიტიკოსის სტატიებს, რომლებიც 30 სხვადასხვა ქალაქზე მუშაობენ. ეს ანალიტიკოსები კუმშვადი ქალაქების საერთაშორისო კვლევით ქსელს (SCIRN) მიეკუთვნებიან და მათი ერთობლივი მუშაობის მიზანია ქალაქების სხვადასხვა სახის შეკუმშვის გაანალიზება და ამ ქალაქების რეგენერაციაში განსხვავებული მიდგომების, პოლიტიკისა და სტრატეგიების როლის დადგენა. ამგვარად, სიმპოზიუმი წარმოაჩენს, როგორც ფართო სპექტრის ანალიტიკურ პერსპექტივებს, ისე ქვეყნის მასშტაბით წარმოებულ კვლევებს იმ გამოწვევების შესახებ, რომელთა წინაშეც კუმშვადი ქალაქები დგანან. სიმპოზიუმი, ასევე, გაავრცელებს ბოლო 3 წლის მანძილზე SCIRN-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს.

შესავალი

კუმშვადი ქალაქები მზარდი, საერთაშორისო „ეპოქის დასასრულის“ ფენომენია (Oswalt, 2006). გასული ათწლეულების მანძილზე გლობალიზაცია რესურსების, წამყვანი ინფრასტრუქტურისა და ინტელექტუალური მემკვიდრეობის კონცენტრირებას ახდენდა „გლობალურ ქალაქებში“, რომლებიც მაგნიტივით იზიდავდა მოსახლეობასა და შესაძლებლობებს (Sassen, 2001). ახალ გლობალურ ეკონომიკურ წესრიგზე თანმიმდევრულმა გადასვლამ (Castells, 2000; Harvey, 2000; Soja, 2000; Graham and Marvin 2001; Sassen, 2001; Dicken, 2003; Swyngedouw, 2004; Gereffi, 2005) გლობალური წარმოების, მანუფაქტურის, დისტრიბუციისა და მოხმარების ახალი სისტემის წარმოქმნა გამოიწვია, რამაც ბიძგი მისცა ახალი ურბანული ფორმების ჩამოყალიბებას, რაც ლოჯისტიკური და ტექნოლოგიური რევოლუციის შედეგად გახდა შესაძლებელი (Audirac, 2005). ამის კვალდაკვალ, სხვა დიდი თუ პატარა ქალაქები და მთლიანი რეგიონები კაპიტალისა და ადამიანური რესურსის გადინებას განიცდიან და მენარმეობის ნაკლებობის, ინოვაციისა და ინტელექტუალური საქმიანობის დაბალი დონის გამო ზარალდებიან (Martinez-Fernandez and Wu, 2007). გლობალიზაციის ამ პროცესებმა განსაკუთრებით იმოქმედა ისეთ ქალაქებზე, რომელთა განვითარებაც ერთ ინდუსტრიას ან ერთ სექტორში კონცენტრირებულ საქმიანობას ეფუძნებოდა, (Friedrichs, 1993; Bontje, 2004; Lang, 2005) და, მუდმივად მზარდი კონკურენციისა და მასშტაბის გაფართოების გამო, ზოგიერთი ქალაქი არახელსაყრელ და წამგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდა (Cunningham-Sabot and Fol, 2007).

ქალაქების ნელი ზრდისა თუ დაცემის ეს ფენომენი ყველა კონტინენტზე აღინიშნება და შესაძლოა განხილულ იქნეს, როგორც საერთაშორისო დონის პოლიტეკონომიკური და დაგეგმარების საკითხი. მართლაც, როდესაც ქალაქები იკუმშებიან, ისინი საერთო მახასიათებლებს ატარებენ, რასაც შეიძლება „კუმშვის იდენტობა“ ვუწოდოთ (Reckien and Martinez-Fernandez, 2011). „კუმშვადი ქალაქი“ შეგვიძლია დავახასიათოთ, როგორც ურბანული სივრცე – ქალაქი, ან ქალაქის ნაწილი, ან დედაქალაქის მთლიანი რაიონი – რომელმაც განიცადა მოსახლეობის გადინება, დასაქმების კლება და სოციალური პრობლემები. ტერმინი „ურ-

ბანული შეკუმშვა“ გამოიყენება იმის ხაზგასასმელად, რომ ეს ფენომენი მრავალგანზომილებიანი პროცესია, მრავალშრიანი ეფექტებით და მას გააჩნია ეკონომიკური, დემოგრაფიული, გეოგრაფიული და ფიზიკური განზომილებები, რომლებიც არამხოლოდ ახალი გლობალური და ლოკალური რეალობის შედეგად ვითარდებიან, არამედ გავლენას ახდენენ თეორიებზე, კვლევების შედეგად მიღებულ ანალიზზე, პროგნოზსა და გამოსავალზე. ეს ტერმინი აფართოებს ჩვენს წარმოდგენას „დაცემაზე“, რამდენადაც სცდება იმ სწორხაზოვან გაგებას, რაც ძირითადად დედნდუს-ტრიალიზაციას გასდევს.

ამ ნაშრომის მასალებში ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ეკონომიკის გლობალიზაცია, გლობალური ფინანსური ნაკადები და წარმოების პროცესების ინტერნაციონალიზაცია მრავალი ინდუსტრიული ქალაქის შეკუმშვის გამომწვევ ძირითად მიზეზებს წარმოადგენენ; ქალაქებისა, რომელთაც ვერ შეძლეს საკუთარი ნიშის პოვნა ამაჟამად არსებულ კონკურენტუნარიან საერთაშორისო ეკონომიკურ გარემოში (იხილეთ, ამავე სიმპოზიუმში, Martinez-Fernandez et al., 2012; also Audirac et al., 2012).

ქალაქებში მოსახლეობის რაოდენობის ცვლილება გლობალიზაციის ერთ-ერთი სიმპტომაა. ერთი მხრივ, გლობალიზაცია ხელს უწყობს ადამიანების გადაადგილებას ქვეყნებსა და რეგიონებში, სადაც ზოგიერთი თემი „გამცემი მხარეა“ (ინვესსს რა საკუთარი მოსახლეობის შემცირებას), ხოლო სხვა რეგიონები კი სუფთა მოგებას ნახულობენ (მაგ., დედაქალაქები და რეგიონული ცენტრები). მეორე მხრივ, თემები და საერთოდ მთელი ქვეყნები, მაგალითად, იაპონია ან გერმანია, რომელთაც შობადობის დაბალი მაჩვენებელი აქვთ, სწრაფად ბერდებიან და ამ პროცესს ხშირად თან ერთვის ახალგაზრდების გადინება, რაც კიდევ უფრო აჩქარებს შეკუმშვას (იხ. Wiechmann and Pallagst, 2012, ამავე სიმპოზიუმში). ურბანული შეკუმშვის ეს მრავალი ასპექტი ითხოვს ტერმინის კრიტიკულ დეკონსტრუქციასა და მრავალგანზომილებიან რეკონსტრუქციას, რომელიც მის ყველა ძირითად გამოვლინებას განმარტავს.

ბოლო ხანებში ფინანსურმა კრიზისმა წინა პლანზე წამოწია არსებული ეკონომიკური განვითარების მოდელების მონყვლადობა და მანამდე მყარი და სტაბილური შრომის ბაზრების წარუმატებლობა (მაგ., ჩრდილოეთ ამერიკა, ევროპა). კუმშვადი ქალაქების შესახებ მიმდინარე ინტენსიური

დებატები, რომლებიც გერმანიასა და ჩრდილოეთ ამერიკაში დაიწყო, პარადიგმის ცვლილების აუცილებლობაზე მიუთითებს, რომელიც ურბანული ზრდისა და ცვლილების ტრადიციული თეორიებიდან (Audirac, 2009), ურბანული ცხოვრების სხვა გზებით დაგეგმვაზე გადაინაცვლებს და რომელიც კონცენტრირებული იქნება სივრცის ხარისხსა და ზრდის უფრო ნელ და გონივრულ ტემპზე. ამ ნაშრომში ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ურბანული ზრდის მოდელი აღარ არის გამოსადეგი ქალაქებისა და რეგიონების მდგრადი განვითარებისათვის და, რომ თავად დაგეგმარების დისციპლინაც განსაკუთრებით საჭიროებს იმ მიდგომების გადახალისებას, რომლებიც ქალაქის განვითარების ინსტრუმენტებსა და მექანიზმებს მიემართება. ეს კი ისე უნდა მოხდეს, რომ მხედველობაში ვიქონიოთ, ურბანული შეკუმშვის მრავალი განზომილება და მასთან დაკავშირებული ურბანული რეგენერაციის სტრატეგიები, რომლებიც დაგეგმარების პრაქტიკიდან მომდინარეობს.

შესავალში ჩვენ ჯერ მიმოვიხილავთ ურბანული ცვლილების თეორიებსა და ლიტერატურას ურბანული შეკუმშვის გამომწვევი მიზეზების შესახებ სხვადასხვა კონტექსტებში. შემდგომ, გავანალიზებთ ურბანულ შეკუმშვას, როგორც გლობალიზაციის სივრცით გამოვლინებას, და საბოლოოდ, მოვითხოვთ, ახლანდელი „ზრდაზე“ კონცენტრირებული ურბანული დაგეგმარების პარადიგმის ფარგლების გაფართოებას, ისეთ პარადიგმად, რომელშიც „ზრდა და დაცემა“ ინტეგრირებულია, როგორც ერთდროული და ურთიერთდამოკიდებული ურბანული პროცესები.

ურბანული ცვლილების თეორიები

დღეს ურბანული შეკუმშვის გაგება შეუძლებელია ამერიკული და გერმანული დისკურსების განხილვის გარეშე (Audirac, 2009; Baron et al., 2010; Fol and Cunningham-Sabot, 2010). ტერმინები, რომლებსაც ურბანული შეკუმშვის აღსაწერად ვიყენებდით, დროთა განმავლობაში შეიცვალა. ამერიკულ ურბანულ ისტორიაში, ამ პროცესის აღსანიშნავად „ურბანულ დაცემას“ იყენებდნენ (Beauregard, 2003), თუმცა არაერთ ავტორს გამოყენებული აქვს ტერმინები „ურბანული შეკუმშვა“ და „კუმშვადი ქალაქე-

ბი“ – იმ ურბანული რღვევისა და დეგრადაციის დასახსიათებლად, რომელიც უფრო ძველი ჩრდილო-დასავლეთის ქალაქების მოსახლეობისა და ეკონომიკური ბაზისის შემცირებას უკავშირდებოდა (Weaver, 1977; Breckenfield, 1978; Rybczynski and Linneman, 1999). გერმანიაში ტერმინი ‘*schrumpfende Städte*’ (კუმშვადი ქალაქები) ჰოისერმანმა და სიბელმა (1988) შემოიტანეს, როგორც მეტაფორა, მოსახლეობისა და ეკონომიკური ბაზისის შემცირების დასახსიათებლად, რასაც გერმანული ქალაქები დეინდუსტრიალიზაციის შედეგად განიცდნენ. 1980-იანებში, დასავლეთ გერმანიაში მიმდინარე დებატები ამ თემის (‘*die schrumpfenden Städte*’) გარშემო ეფუძნებოდა იმ გაგებას, რომ დემოგრაფიული ტენდენციების და ეკონომიკური რესტრუქტურის გაერთიანებული შედეგები გამოიწვევდა სტრუქტურულ ცვლილებას ქალაქების განვითარებაში. იმის ნაცვლად, რომ დასავლეთის ქალაქების დაცემა დროებით და შექცევად ფენომენად აღეყვათ, ორივე მხარემ – მეცნიერებმაც და საჯარო აქტორებმაც, დაიწყეს მისი აღქმა, როგორც სტრუქტურული და ხანგრძლივი პროცესის. დღესდღეობით *städtische Schrumpfung* პროცესი ფართოდ განიხილება და ანალიზდება აღმოსავლეთ გერმანიის ქალაქებთან კავშირში, რომელთაც 1989 წლის შემდეგ მოსახლეობის საოცარი შემცირება და დეინდუსტრიალიზაცია განიცადეს. „კუმშვადი ქალაქების“ თაობაზე მედიისა და პოლიტიკის ინტერესის ახალი ტალღის აგორებას, განსაკუთრებით აშშ-ში (იხილეთ არაერთი სტატია გაზეთებში დეტროიტის, ფლინტის და იანგსთაუნის შესახებ, რომლებიც 2009 წლის ზაფხულის შემდეგ გამოქვეყნდა), ბოლო პერიოდის ფინანსური კრიზისის შედეგებმაც მისცა ბიძგი. აქ ტერმინი „კუმშვადი“ გამოყენებულია არამხოლოდ იმ პროცესის ასაღწერად, რომლის წყალობითაც ქალაქებში მცირდება მოსახლეობისა და დასაქმების მაჩვენებელი, არამედ იმისათვის, რომ განისაზღვროს ახალი სტრატეგიები, რომლებიც ცარიელი შენობების ნგრევასა და ქალაქის „დაპატარავებაში“ მდგომარეობს (Baron et al., 2010).

ურბანული შეკუმშვა ახალი ფენომენი არ არის. ქალაქებისა და ქალაქთა ცენტრების განვითარება და დაცემა, ჩიკაგოს ურბანული სოციოლოგიის სკოლის შემდგომ, როგორც ბუნებრივი პროცესი, ისე განიხილებოდა, რომლის თანახმადაც ურბანულ ცვლილებები სასიცოცხლო ციკლიდან გამომდინარეობდა, რომელიც გარდაუვალი დაცემით სრულდება. ურბა-

ნული კვარტლებისა და უბნების მასშტაბებზე დაკვირვებით ჰოიტმა (1939) ურბანული ცვლილებისადმი ციკლური მიდგომა ჩამოაყალიბა. ამერიკული ქალაქების საცხოვრებელი კვარტლების სტრუქტურისა და ზრდის შესახებ კვლევაში, მან დაასკვნა, რომ საცხოვრებელი ურბანული სივრცეები გარდაუვალ ევოლუციას განიცდიან დაცემისაკენ, რაც ნაკლებად შეძლებული მოსახლეობის შემოდინების შედეგად, უძრავი ქონების გაუფასურებას უკავშირდება (Lang, 2000). ურბანული სასიცოცხლო ციკლის ეს გაგება იმეორებს ეკონომიკის „ციკლურობის თეორიას“. კონდრატიევის თეორიის (1984) თანახმად, ეკონომიკა გადის ზრდისა და ვარდნის ტალღებს, რომლებიც თავიდან ხასიათდება მძლავრი განვითარებით, რაც ფასების ზრდაზე აისახება, შემდგომ კი, განვითარების შენელებით, რასაც ფასების დაწვევა ახლავს თან. შუმპეტერის (1934) მიხედვით, კაპიტალიზმის ევოლუციას ახასიათებს „კრეატიული დესტრუქციის“ პროცესი – პერიოდულად ახალი ტექნოლოგიების გამოჩენა, მათი გავრცელება და საბოლოოდ, ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით მისი ეფექტების გაქრობა. პიტერ ჰოლმა (1988) შუმპეტერის „კრეატიული დესტრუქციის“ პროცესი სივრცითი საკითხების განხილვაში ჩართო, და აჩვენა, რომ ეს პროცესები, რომლებიც თავდაპირველად შეიძლება არა სივრცითი მოგვეჩვენოს, სინამდვილეში სივრცით ეფექტებს წარმოშობენ. მართლაც, პროდუქტების სასიცოცხლო ციკლის თეორიის მიხედვით, ნებისმიერი პროდუქტი გადის განვითარების ერთსა და იმავე თანმიმდევრულ ეტაპებს – პირველადი განვითარება, ზრდა, სიმწიფე, დაკნინება, მოძველება (Friedrichs, 1993). ამგვარად, პროდუქტის „სიცოცხლის“ მანძილზე, განვითარების სანეისი ეტაპის შემდგომ, წარმოების პირობები სტანდარტიზებული ხდება და პროდუქტის წარმოება ნებისმიერ ადგილზე შესაძლებელი. შედეგად მიღებული კონკურენცია უბიძგებს ბიზნესს საწარმოო ხარჯების შემცირებისკენ ლოკაციის შეცვლის მეშვეობით, სხვა პროდუქტზე გადასვლით ან საწარმოო პროცესში ინოვაციების შემოტანით. ამგვარად, რეგიონებისა და ურბანული აგლომერაციების განვითარება გვესახება, როგორც ამ განვითარების ციკლების თანხმლები პროცესი, რომელიც მოიცავს სწრაფი ზრდის პერიოდებს, რომელთაც მოსდევს შენელებული ზრდისა და დაკნინების პერიოდი. ამდენად, რეგიონული და ურბანული განვითარების თითოეული ტალღა წარმოჩინდება, როგორც იმ ინდუსტრიების სასი-

ცოცხლო ციკლით განსაზღვრული, რომლებიც მას მიეკუთვნებიან (Booth, 1987). ოდირაკი, ფოლი, კანინგჰემ-საბო და მორაისი ამ საკითხში სამი მთავარი გლობალური მასშტაბის ინდუსტრიულ-რესტრუქტურზაციული ციკლის იდენტიფიცირებას ახდენენ: მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს ქარხნული სისტემიდან მოყოლებული დღევანდელი გლობალური წარმოების ქსელებით დამთავრებული, თითოეული სხვადასხვა ფორმის ინდუსტრიულ ურბანიზმთანაა მჭიდროდ დაკავშირებული (Soja, 2000). ავტორები იყენებენ ამ ციკლურ ჩარჩოს, რათა დაახასიათონ გარეუბნების ინდუსტრიული შეკუმშვის სამი ისტორიული ტიპი, რომლებიც გლობალურ ჩრდილოეთში გვხვდება – პარიზსა და გლაზგოში – და გლობალურ სამხრეთში – სან-პაულუში, ბრაზილიასა და გვადალახარაში, მექსიკაში.

1980-იანებში კვლევათა მთელი სერია ცდილობდა ჩამოეყალიბებინა მოდელები ციკლური პერსპექტივის მიხედვით, რომლებიც ევროპული ქალაქების ევოლუციის ასახსნელად. ჰოლის და ჰეის (1980) პიონერული კვლევის შემდეგ, რომელმაც ხაზი გაუსვა ევროპული ურბანული განვითარებისთვის დამახასიათებელ ზრდისა და დაცემის რეგულარულ ხასიათს, ვან დერ ბერგმა და სხვებმა (1982) ჩამოაყალიბეს მეტროპოლიტური ევოლუციის თეორია, რომელიც განვითარების ოთხ თანმიმდევრულ ეტაპს მოიცავს: ურბანიზაცია, სუბურბანიზაცია, დეურბანიზაცია და რეურბანიზაცია. ამ თვალსაზრისის მიხედვით, დაცემა ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის ინტერპრეტაციიდან წარმოშობილი, ეკონომიკური აგენტების სტრატეგიებით გამოწვეული, გარდაუვალი პროცესია. ვან დერ ბერგისა და სხვების (1982) მიერ ჩამოყალიბებული მოდელი არაერთი მკვლევრის მიერ იქნა უარყოფილი, რომელთაც აჩვენეს, რომ ქალაქების ევოლუციური გზები სხვადასხვაგვარი და რთულია, და ურბანული ცვლილების ერთ მოდელში ვერ მოექცევა (Cheshire and Hay, 1989; Cheshire, 1995; Champion, 2001; Buzar et al., 2007). ურბანული ცვლილების ნეოკლასიკური ინტერპრეტაციის კრიტიკისას, სმიტმა და სხვებმა (2001: 498) აჩვენეს, რომ „ეკონომიკური დისინვესტირება – განაშენიანებულ გარემოში კაპიტალდაბანდებების სტაბილური და სისტემატური შეწყვეტა – ყველაზე მნიშვნელოვანია სამეზობლოების დაცემის ასახსნელად“; ეს განმარტება მათ ურბანული და სუბურბანული დაცემის ასახსნელად გამოიყენეს.

სუბურბანიზაცია და ქალაქების დაცემა

ჩრდილო-ამერიკულ ლიტერატურაში ურბანული შეკუმშვის შესახებ დომინირებს ურბანული დაცემის პერსპექტივები, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ ურბანული სიღარიბის კონცენტრირებაზე, ურბანულად წარმოდგენილი დაბალი ფენების ზრდაზე, ჯურღმულებსა და დეგრადაციაზე, რასობრივ სეგრეგაციასა და იმიგრაციაზე. კლასიკური ეკონომიკური თვალსაზრისი ხაზს უსვამს ადამიანთა პრეფერენციებს და კომპრომისებს მიწასთან, სამგზავრო ხარჯებთან თუ საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით. ეს თვალსაზრისი ასევე ქალაქების ცენტრებში ურბანულ დაცემასა და პერიფერიების განვითარებას პროგნოზირებს: იქიდან გამომდინარე, რომ შეძლებულ მომხმარებლებს შეუძლიათ მეტი მიწებისა და საცხოვრებლის შეძენა ქალაქის განაპირას და გადაადგილებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვა, ღარიბი და დაბალი შემოსავლის მქონე მოსახლეობის კონცენტრირება ხდება ურბანული ბირთვის გარშემო, სადაც, სავარაუდოდ, სამგზავრო და საცხოვრებელი ხარჯები შედარებით დაბალია. გადინება ან გაფილტვრა ურბანული დაცემის კიდევ ერთი გავრცელებული მაჩვენებელია. ქალაქის ბირთვში არსებული უფრო ძველი საცხოვრებლები, რომლებიც უფრო ხელმისაწვდომია, დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახებს იზიდავს. დროთა განმავლობაში, ძველ ქალაქებსა და პირველი რგოლის გარეუბნებში დიდი ოდენობით კონცენტრირდება ღარიბი, დაბალი შემოსავლის მქონე, ადგილობრივი და იმიგრირებული მოსახლეობა, და ზოგიერთი უბანი ფიზიკურად იწყებს გაპარტახებას, რადგან ბინის დაბალი გადასახადის გამო მეპატრონეები უგულებელყოფენ ბინების მოვლა-შენახვას, რაც კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს უძრავი ქონების დეგრადაციას.

ანთროპო-ეკოლოგიური მიდგომა დაცემის გავრცელებას საშუალო კლასის უბნებში ღარიბი და მცირე შემოსავლის მქონე მოსახლეობის შეჭრასა და მათ მიერ საშუალო კლასის მოსახლეობის ადგილის დაკავებას უკავშირებს, რაც იწვევს თეთრკანიანი საშუალო კლასის მოსახლეობის შემდეგი რგოლის შორეულ გარეუბნებში გადაბარგებას (Lucy and Philips, 2000). ისტორიულად, აშშ-ში, 1940-იანი წლების შემდეგ, ურბანული ცვლილება უმეტესწილად ხასიათდებოდა მასობრივი რასობრივი ტრანზიციით,

თეთრკანიანი მოსახლეობის ჩანაცვლება ხდებოდა შავკანიანით, რაც წარმოადგენდა თეთრკანიანების მხრიდან ეკონომიკური და რასობრივი დისკრიმინაციული პრაქტიკების შედეგს (Fishman, 1987; Downs, 1997). გარდა ამისა, სხვა ფაქტორებმა, როგორებიცაა მსუბუქ და სატვირთო ავტომანქანებზე დაფუძნებული მობილობის ახალი რეჟიმი, რომელსაც მხარს უჭერდა ფედერალური დონეზე სუბსიდირებული საცხოვრისი და ავტომანქანების მშენებლობის პროგრამები, ასევე, ომის შემდგომი, ურბანული დაცემის წინააღმდეგ მიმართული ჩარევები (მაგ., ცენტრალურ ქალაქებში მასობრივი ურბანული განახლების პროექტების მშენებლობა), დიდი წვლილი შეიტანა ამერიკული კომპანიებისა და თეთრკანიანი მოსახლეობის სუბურბანიაში (Jackson, 1985). რადგანაც კომპანიებმა და საშუალო შემოსავლის მქონე მოსახლეობამ ადგილსამყოფელი შეიცვალეს, ცენტრალურმა ქალაქმა და პირველი რგოლის გარეუბნებმა უფრო მძაფრად განიცადა დაცემა, რომელიც გამწვავდა ფინანსური რესურსების სიმწირის, სოციალური პრობლემების (დანაშაული, საზოგადოების დაუცველობა, დაბალი ხარისხის საჯარო სკოლები), ინფრასტრუქტურის მწყობრიდან გამოსვლის და ფართო მასშტაბის არაქმედითი საჯარო ბიუროკრატიის გამო, რომელიც დარჩენილ ძალიან ღარიბ აფრო-ამერიკელ, ლათინოამერიკელ და იმიგრანტ მოსახლეობას ემსახურება (Downs, 1997; 1999). გარდა ამისა, დაუნსი (1999) ურბანული დაცემის გამომწვევ ფაქტორებად მიიჩნევს ღარიბებზე მიმართული რედისტრიბუციული პოლიტიკის მიმართ ამერიკულ ანტიპათიასა და მუნიციპალური მშენებლობის რეგულაციების ხელშეწყობის შედეგად, ხელმისაწვდომი საცხოვრებლის უკმარისობას.

ჰარვარდის ურბანული ეკონომისტები, კლასიკური „შვტრა-დაკავების“ ინტერპრეტაციის თანახმად, 1970-იანი წლების შემდეგ, აშშ-ს ცენტრალურ ქალაქებსა და ძველ გარეუბნებში იმიგრანტების სეგრეგაციის აღორძინებას ავტომობილზე დამოკიდებულ სუბურბანიზაციას უკავშირებენ (Cuttler et al., 2005). ეს ავტორები კუმშვად ქალაქებს ძველი ბინადრების მიერ მიტოვებული და ღარიბი, დაბალკვალიფიციური იმიგრანტების მიერ ხელახლა ათვისებულ სივრცეებად აღიქვამენ. იმიგრანტების მჭიდრო ხელახალი განსახლება ძირითადად მოხდა ქალაქის იმ ნაწილებში, სადაც მასობრივი საზოგადოებრივი ტრანსპორტი გამართულად მუშაობდა, და

ტრანსპორტირების რეალური ალტერნატივის გარდა, იაფფასიანი საცხოვრებლის შოვნა იყო შესაძლებელი (Glaeser and Gyourko, 2005).

პარაზიტული ურბანიზაცია და დეინდუსტრიალიზაცია

მეცნიერთა ნაწილმა სუბურბანიზაცია გაანილიზა, როგორც ცენტრალური ქალაქების ხარტზე განხორციელებული პროცესი. ბორეგარი (2006) ამ პროცესს „პარაზიტულ“ ურბანიზაციას უწოდებს. მისთვის ომის შემდგომი სუბურბანიზაცია პარაზიტული იყო, რადგან მისი აღმასვლა და გაფართოება ამერიკული ურბანიზაციის ისტორიასთან წყვეტას, და ბიზნესისა და შინამეურნეობის დეცენტრალიზაციის შესახებ ახალი პარადიგმის გაჩენას უკავშირდებოდა. ზრდის ეს პარადიგმა ხეირობდა ინდუსტრიული და ცენტრალური ქალაქების ხარტზე, ამონურა მათი ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა, საშუალო კლასის მოსახლეობა და ინვესტიცია. ამან ზიანი მიაყენა მათ მთავრობებს, დატოვა რა ურბანული სიღარიბის, რასობრივი უმცირესობების, ხანგრძლივი უმუშევრობის, მიტოვებული ინდუსტრიული ობიექტების, აჭედო-ფანჯრებიანი სამეზობლოებისა და ჯურღმულად ქცეული ქალაქის საქმიანი ცენტრების კონცენტრაცია.

სუბურბანული კაპიტალდაბანდებების შემცირება, დეინდუსტრიალიზაციასა და მის შედეგებთან ერთად (როგორც სხვა სექტორებსა და მსოფლიოს სხვა ნაწილებში კაპიტალის მასობრივი გადატანის მაგალითი, რომელიც მუშათა კლასის უწინდელ გარეუბნებზე 1970-იანი წლებიდან ახდენდა გავლენას), არაერთი მეცნიერის მიერ (Beauregard, 1993; Hill et al., 1995; Phelan and Schneider, 1996; Lucy and Philips, 1997; Smith et al., 2001) იყო იდენტიფიცირებული, როგორც მეტროპოლიური რესტრუქტურისაციის ყოვლისმომცველი პროცესის ნაწილი. მიუხედავად ამისა, საბინაო სუბურბანიზაციაზე ხაზგასმის ნაცვლად, კალიფორნიის სკოლის გეოგრაფები (Storper, 1997; Scott, 1998; Soja, 2000) აქცენტს ინდუსტრიული წარმოების რესტრუქტურისაციასა და ეკონომიკურ გეოგრაფიაზე აკეთებენ. თუ, ამ საკითხს სოუჯას (2000) ინდუსტრიული ურბანიზმის ლინზით შევხედავთ, დავინახავთ, რომ კუმშვადი ქალაქები კაპიტალისტური წარმოების კრიზისით გამოწვეული დეგენერაციული ძალების ზემოქმედებით

დების შედეგია. ოდირაკი და სხვები (2012, this issue) ამტკიცებენ, რომ პოსტფორდისტულმა გარდაქმნებმა, ევროპასა და ლათინურ ამერიკაში, ინდუსტრიულ გარეუბნებზე დიდი გავლენა მოახდინა. მაშინ, როდესაც ინდუსტრიული ურბანიზმის სხვადასხვა ეტაპებმა (Soja, 2000) ქალაქებისა და მათი პერიფერიების განვითარების ფორმირება მოახდინეს, გლობალური მასშტაბით მიმდინარე წარმოების თანამედროვე რესტრუქტურიზაცია, შრომის ახალ საერთაშორისო დანაწილებაზე დაყრდნობით, ძირითადი ფაქტორია, რომელმაც წვლილი შეიტანა უწინდელი ინდუსტრიული გარეუბნების შეკუმშვაში, როგორც ევროპაში, ისე, ლათინურ ამერიკაში.

Die schrumpfenden Städte, როგორც პოსტ-სოციალისტური გარდაქმნების შედეგების მაგალითი

აღმოსავლეთ გერმანიაში დეინდუსტრიალიზაციის, სუბურბანიზაციის, პოსტსაბტოთა გარდაქმნების ერთობლივმა შედეგებმა და დემოგრაფიულმა ფაქტორებმა ურბანული დაცემის აქამდე უცნობი კონტექსტი შექმნეს (Oswalt, 2006). ამ შემთხვევაში, ტრანზიციის ჰიპოთეზა, რომელიც პოსტფორდისტული მოდერნიზაციის პროცესების უბრალო კორექტირებას მოიაზრებდა, გზას უთმობს ანალიზს, რომელიც აქცენტს აკეთებს „სხვადასხვა პროცესებისა და სტრუქტურის ერთდროულობაზე, ურთიერთდამოკიდებულებასა და გადაფარვაზე“ სვამს (Steinführer and Haase, 2007), რაც აღმოსავლეთ ევროპასა და მის ქალაქებში მიმდინარე ეკოლუციას „უნიკალურ“ ხასიათს ანიჭებს (Boren and Gentile, 2007; Steinführer and Haase, 2007). აღმოსავლეთ გერმანიაში, 1990-იანი წლების დასაწყისში, სოციალისტური რეჟიმის დაცემისა და გაერთიანების პროცესის შედეგად წარმოქმნილი ეკონომიკური ძვრები უაღრესად სწრაფად მოხდა. ბიზნესის პრივატიზაციას თან ახლდა ნაძალადევი წინსვლა მოდერნიზაციისაკენ, რამაც ინდუსტრიულ სექტორში მკვეთრი კლება გამოიწვია. პოსტფორდისტული გარდაქმნა, რომელიც დასავლეთის ქალაქებში საკმაოდ უმტკივნეულოდ წარიმართა, აღმოსავლეთის ქალაქებზე „მოკური თერაპიის“ მსგავსად იმოქმედა (Bontje, 2004:14). აღმოსავლეთ გერმანიას, რომელიც ზოგიერთი ავტორის მიხედვით, დასავლეთ გერმანიაზე დამოკი-

დებულ პერიფერიულ ინდუსტრიულ რეგიონად იქცა (Prigge, 2006), დღეს ინდუსტრიული დასაქმების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს ევროპაში, ხოლო უმუშევრობის საერთო მაჩვენებელი დასავლეთ გერმანიისას ორჯერ აღემატება (Glock and Häußermann, 2004). აღმოსავლეთ გერმანიის ქალაქებმა, რომლებიც ინვესტორების მისაზიდად მთავარ ევროპულ ცენტრებთან შედარებით მეტისმეტად პერიფერიულები აღმოჩნდნენ, მასობრივი იმიგრაცია განიცადეს, უმეტესად ახალგაზრდა, კვალიფიციური, ანაზღაურებადი მუშახელის (განსაკუთრებით ქალების) გადინების სახით, რომელთაც სამუშაოს საძებნელად დასავლეთს მიაშურეს.

დღესდღეობით, აღმოსავლეთ გერმანიის ქალაქები, ისევე, როგორც აღმოსავლეთ ევროპის ქალაქების უმეტესობა, განიცდიან სტრუქტურულ გარდაქმნებს, დასავლელ ანალოგებში მიმდინარე ცვლილების მსგავსად: ისინი ცდილობენ გაუმკლავდნენ დეინდუსტრიალიზაციას, სოციო-სივრცით პოლარიზაციასა და ურბანული განტოტვის განვითარებას (Steinführer and Haase, 2007; Florentin et al., 2009). თუმცა, აღმოსავლეთ გერმანიის ქალაქებში იკვეთება დაცემის ისეთი მახასიათებლები, რომლებიც მათთვისაა სპეციფიკური ან, ნებისმიერ შემთხვევაში, უფრო გამობატული, ვიდრე ის ცვლილებები, რომლებსაც დასავლეთი განიცდის. ვაიხმანი და პალაგასტი (2012, this issue) აღმოსავლეთ გერმანიისა და აშშ-ს კუმშვადი ქალაქების შედარების მეშვეობით ამ თემაზე მიმდინარე დებატებსა და სადავო პოლიტიკებს წინა პლანზე წევნ.

გლობალიზაცია და ურბანული დაცემა

ინდუსტრიალიზებულ ქვეყნებში, გლობალიზაციას (Amin and Thrift, 1994; Scott and Storper, 2003) თან ახლდა დეინდუსტრიალიზაცია და სუბურბანიზაცია. დღესდღეობით ურბანული შეკუმშვა შესაძლოა განვიხილოთ, არა როგორც გამონაკლისი ან გადაცდომა, არამედ როგორც გლობალური და სტრუქტურული ფენომენი (Oswalt, 2006). თუმცა, ადგილობრივი აქტორები ურბანულ დაცემას უყურებენ, როგორც ერთგვარ ინტერვალს, რომელიც რაც შეიძლება მოკლევადიანი უნდა იყოს, იმის მტკიცე რწმენით, რომ გაუმჯობესება მოსალოდნელია (Bontje, 2004).

მნიშვნელოვანია ხელახლა განვიხილოთ ეს ვარაუდი, რათა ურბანული შეკუმშვა ურბანული განვითარების მტკიცე, სტრუქტურულ შემადგენელ ნაწილად წარმოვიდგინოთ.

ურბანული დაცემის კლასიკური მოდელები, როგორც ზემოთ ვნახეთ, ეკონომიკური განვითარების სპეციფიკური ფორმის კონტექსტში, კერძოდ, ფორდისტული ინდუსტრიალიზაციისას ჩიასახა. ეს მოდელები გაცილებით არარელევანტური აღმოჩნდა ეკონომიკური და ურბანული განვითარების ახლანდელ კონტექსტში, რომლის ფარგლებშიც ქალაქებს ინტენსიური ეკონომიკური რესტრუქტურის პერიოდის გადალახვა უნევთ (Bontje, 2004). ამგვარად, რადგან ურბანული დაცემა განიხილება, როგორც ბუმისა და ჩავარდნის ციკლური პროცესის სტადია (Van den Berg et al., 1982; Booth, 1987; Friedrichs, 1993), უფრო მართებული იქნებოდა გვევარაუდა, რომ „კუმშვადი ქალაქები“ „აკუმულაციის ახალი რეჟიმის“ დამკვიდრების თანმდევი გლობალური პროცესის სივრცითი გამოვლინებაა (Aglietta and Boyer, 1986). ეს პროცესი ისეთი მასშტაბისაა, რომ ზრდისა და დაცემის ციკლურ განმარტებას სცდება (ან მოიცავს მას), რადგან წარმოების მთლიანი სისტემის რესტრუქტურის ხდება, რაც განსაკუთრებულად შესამჩნევ სივრცით შედეგებს წარმოშობს (Peck and Tickell, 1992).

ურბანული შეკუმშვა, როგორც გლობალიზაციის სივრცითი გამოვლინება

ჰარვის (2000) მიხედვით, კომპანიები მიმართავენ „სივრცით ფიქსაციას“ მოგების კრიზისის დასაძლევად, სამეწარმეო ერთეულების გეოგრაფიული ადგილმდებარეობის შეცვლით და მათი დაბალანაზღაურებად ლოკაციებზე გადატანით. ეს მეტწილად ნათელს ჰფენს მსოფლიოს მასშტაბით ურბანული დაცემის გამოვლინებას ისევე, როგორც მისი განვითარების ტემპს. მართლაც, კაპიტალისა და უცხოური ინვესტიციების, რომელთა მოსაპოვებლადაც ქალაქებს შორის ინტენსიური მეტოქეობა მიმდინარეობს, მერყეობისა და არასტაბილურობის ტემპი და მასშტაბი უპრეცედენტოა. მოქნილი დაგროვების, საერთაშორისო აუთსორსინგის და არასაკმარის

სი წარმოების ეპოქაში (Soja, 2000; Scott and Storper, 2003), მოქნილმა კომპანიებმა მიატოვეს მოძველებული ინდუსტრიული საწარმოები და ინფრასტრუქტურა, ურბანული ტერიტორიები და ადგილი დაუთმეს პოსტინდუსტრიულ ქალაქს, რომლის ეკონომიკური ბაზისი ძირითადად მომსახურების სფეროზეა ორიენტირებული. თუმცა, ოდირაკი, კანინგჰემ-საბო, ფოლი და მორაისი ამ პუბლიკაციაში მსჯელობენ, რომ ბევრგან, სადაც ტრადიციულად ინდუსტრიული წარმოება დომინირებდა, მომსახურების სექტორში დასაქმების ზრდამ მაინც ვერ უზრუნველყო ინდუსტრიის სფეროში არსებული სამუშაო ადგილების დაკარგვის კომპენსირება.

გლობალიზაციის პროცესი ინვესტ მცირე რაოდენობის „გლობალური ქალაქების“ განვითარებას (Amin and Thrift, 1994; Sassen, 2001; Dicken, 2003), რომლებიც გარს იკრებენ მაღალი დონის ფინანსურ და მომსახურების სფეროს აქტივობებს, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ქსელებს. კერძო სექტორის ინვესტიციები კონცენტრირებულია იმ რეგიონებსა და ქალაქებში, რომელთაც მაღალი ხარისხის ინფრასტრუქტურა, მაღალი დონის ადამიანური რესურსები და ეკონომიკის მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული ქსელები გააჩნიათ (Lang, 2005). პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ინსტიტუტების კონცენტრაციით განსაკუთრებით დედაქალაქებსა და მეტროპოლიურ რეგიონებს შეუძლიათ მიიღონ სარგებელი (Amin and Thrift, 1994). და პირიქით, გლობალიზაცია ასევე მრავალი ინდუსტრიული ქალაქის დაცემის გამომწვევი მიზეზია. ქალაქების, რომელთაც ვერ შეძლეს კაპიტალისათვის საერთაშორისო ეკონომიკურ კონკურენციაში საკუთარი ნიშა ეპოვნათ.

ამის კვალდაკვალ გაანალიზებულია სამთო-სამრეწველო ქალაქები, როგორც ინდუსტრიული ცვლილების უმთავრესი მაგალითი და როგორც შეკუმშვის დეტერმინანტი. სამთო-სამრეწველო ქალაქებში გლობალიზაციის პროცესების ამოცნობა ადვილია, რადგან მათი ფიზიკური, ფინანსური, დასაქმებისა და კულტურული ხასიათის შედეგები კაპიტალისტური სამყაროს სხვა ქალაქებთან ბევრ მსგავსებას იზიარებს. სტატია ხაზს უსვამს მიმდებ სამთო-სამრეწველო ქალაქში ინოვაციის, ცოდნის დამაკავშირებელი აქტივობებისა და ახალი უნარების განვითარების ნაკლებობას. ის წარმოგვიდგენს კუმშვად სამთო-სამრეწველო ქალაქს, როგორც უპირატესად გათიშულს დახვეწილი, სრულყოფილი, მაღალტექნოლოგიური

ინოვაციური სისტემებისაგან, რომლებიც სამთო-სამრეწველო კორპორაციებს გააჩნიათ, რაც მარტინეს-ფერნანდესისა და ვუს (2007) მიერ მანამდე განხილულ მოსაზრებებს განავრცობს. ამ ქალაქების ეკონომიკური პარადოქსი და მათი ორსახოვანი ინოვაციური სისტემა ეწინააღმდეგება იქ მაცხოვრებლების, როგორც წესი, მაღალ საზოგადოებრივ ჩართულობას, რომლებიც ცდილობენ შეინარჩუნონ მდგრადი განვითარების კურსი თავიანთი ქალაქებისათვის. ქალაქები, სადაც კვლევა ჩატარდა, მაუნტ-აიზა – ავსტრალიაში, სედბერი – კანადაში, იუბერი – იაპონიაში და სერო სან პედრო – მექსიკაში, იმ წარმატებებისა და წარუმატებლობების ილუსტრირებას წარმოადგენენ, რასაც დღესდღეობით შეგვიძლია „გლობალური კუმშვადი სამთო-სამრეწველო ქალაქი“ ვუწოდოთ.

კუმშვადი ქალაქები და ნეოლიბერალური პროექტი

კუმშვადი ქალაქები სმითისათვის (2000) ნეოლიბერალური ურბანიზმის ფორმაა, რაც განაშენიანებულ გარემოში თანამედროვე კაპიტალიზმის „შემოქმედებითი დესტრუქციის“ გამოვლინებაა (Harvey, 2005). გლობალური ნეოლიბერალური პროექტის პოლიტიკონომიკურ პრინციპებზე დაყრდნობით, რაც „ვაშინგტონის კონსენსუსის“ თავისუფალი ვაჭრობის, სახელმწიფო დევილუციისა და საბაზრო დერეგულაციის დოქტრინაში ჩამოყალიბებული, სმითსა და სხვ. (2001) ემპირიული გამოცდილების საფუძველზე, ეჭვი შეაქვთ ურბანული შეკუმშვისა და დაცემის ტრადიციულ ფორმულირებებში, შეჭრა-დაკავების პროცესების კუთხით ან იმ თვალსაზრისით, თუ ვინ გადმოდის და გადადის სამეზობლოდან.

თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებებში, ნეოლიბერალური პოლიტიკა მიზნად ისახავს აღადგინოს და შეინარჩუნოს ეკონომიკური და პოლიტიკური პრივილეგია მაღალ ეკონომიკურ კლასებში, ეკონომიკური ცხოვრების ყველა ასპექტის პრივატიზაციის, რისკისა და ვალის ფინანსიალიზაციის, ფინანსური კრიზისისა და სახელმწიფოს რედისტრიბუციული ტაქტიკის მართვისა და მანიპულაციის მეშვეობით. შედეგად აღმოცენებული ნეოლიბერალური პროექტის ფიზიკური და ეკონომიკური დაცემა, უმცირესობის მიერ, მასების მზარდი გაძევების მეშვეობით, სიმდიდრის

დაგროვების ახალი პროცესების შედეგია (Harvey, 2005). ამ გადმოსახედიდან, კუმშვადი ადგილების მაცხოვრებელთა უნარები, კულტურული, საგანმანათლებლო ან სხვა სივრცითი შეუსაბამობა ან წუნი პრობლემის წყაროს სულაც არ წარმოადგენს. არამედ, მთავარი ბრალეულობა მიუძღვის განაშენიანებულ გარემოში კაპიტალის სპეკულაციურ მიმოქცევას, მაგალითად, მძარცველურ იპოთეკურ დაკრედიტებას და მის სექიურიტიზაციას გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე. ამჟამინდელი და ადრინდელი ფინანსური და უძრავი ქონების კრაზი ნათელს ჰფენს, რომ ამ სპეკულაციურმა პროცესებმა გამოიწვია კაპიტალბანდებების შემცირებისა და უძრავი ქონების გაჩანაგების არაერთ სამეზობლოზე გავრცელება, და ამასთან, რეგიონულ და გლობალურ ურბანულ ლანდშაფტში ეკონომიკური შეკუმშვისა და ფიზიკური დაცემის გავრცელებას შეუწყო ხელი.

კუმშვადი ქალაქები: გლობალური ქსელებიდან „გამოთიშული“ ადგილები

ურბანული და გლობალური რესტრუქტურიზაციის შემსწავლელი მეცნიერები (Bluestone and Harrison, 2000; Soja, 2000; Sassen, 2001; Gereffi, 2005) შრომის საერთაშორისო დანაწილებას ისეთ პროცესებს უკავშირებენ, როგორცაა სამრეწველო სამუშაოების განვითარებული ქვეყნებიდან განვითარებად ქვეყნებში მასობრივ გადატანა და გლობალური სანარმოო ქსელების წარმოქმნა. მაშინ, როდესაც განვითარებულ სამყაროში გლობალური ქალაქები, როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში გლობალური ეკონომიკის წარმმართველი და მაკონტროლებელი ცენტრები არიან (Sassen, 2001), აღმოცენდა გლობალურ ქსელში ჩართული ქალაქების თანავარსკვლავედები, რომლებიც ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ ორგანიზებულ გლობალური წარმოების ჯაჭვში არიან გადახლართულნი (Gereffi, 2005). ამ გლობალურ სისტემაში, სპეციფიკურ ინდუსტრიებში (მაგ., ელექტრონიკა, ავტომობილები, საბანკო საქმე და სხვა) მიმდინარე ქსელების რესტრუქტურიზაციაზე დამოკიდებული ქალაქები ექვემდებარებიან დროებითი ან მუდმივი დაცემის ახალ ფორმას. მანუელ კასტელსის (2000) „ქსელურ საზოგადოებაში“, გლობა-

ლური ქსელების რესტრუქტურირება – „ნაკადების სივრცე“ – პირდაპირ გავლენას ახდენს „ადგილების სივრცეზე“, რომელსაც ეს ქსელები ერთმანეთთან აკავშირებს ან გვერდს უვლის. ქსელური საზოგადოების პერსპექტივა ურბანული დაცემის სკალარულ ხედვას ხდის შესაძლებელს – მის ჩვენებას „ახლო ხედით“ ლოკალურიდან გლობალურამდე, და „შორი ხედით“ – გლობალურიდან ლოკალურამდე. ამ უკანასკნელის შემთხვევაში, „ინფორმაციული საზოგადოების“ მიერ დამკვიდრებული სამუშაოს ფრაგმენტაციისა და ქსელებთან წვდომის ადგილობრივი სივრცითი და სოციალური ცვალებადობა გავლენას ახდენს ქალაქების განვითარებაზე, რადგან ზოგიერთი მათგანი შესაძლებელია დროებით ან სტრუქტურულად მონყვეტილი იყოს „ნაკადების სივრცეს“. გლობალური ქსელებისგან უგულვებელყოფილი კუმშვადი ქალაქები განვითარების საერთაშორისო მექანიზმებიდან მეტაფორული მნიშვნელობით „გამოთიშულები“ აღმოჩნდნენ. სკოტისა და სტორპერის მიხედვით (2003), ჩვენ ვხედავთ მზარდ უთანასწორობას იმ ქალაქებსა და რეგიონებს შორის რომლებიც გლობალურ ქსელებში ინტეგრირებულნი არიან, იმ ქალაქებსა და რეგიონებთან შედარებით, რომლებიც არ არიან ინტეგრირებულნი. ინოვაცია და ცოდნის ეკონომიკა, ერთსა და იმავე დროს, ადგილობრივი განვითარების მექანიზმიცაა და კვანძიც გლობალურ ქსელურ აგლომერაციებში, რომელთა მომავალზეც, ახლა, როგორც არასდროს, ტრანსნაციონალური კორპორაციების სტრატეგიები ახდენენ გავლენას. ამგვარად, თუ ზოგიერთი სივრცე ინვესტიციებისა და ყველაზე კვალიფიციური მუშახელისთვის ხდება მიმზიდველი, ამავედროულად სხვები კარგავენ ეკონომიკურ ბაზისს, დასაქმების შესაძლებლობას და, შესაბამისად, მოსახლეობას.

კუმშვადი ქალაქების დაგეგმარებისა და პოლიტიკის საკითხები

დიდი ხანია, რაც დაგეგმარების პარადიგმები ურბანულ განვითარებაზე კონცენტრირდებიან, მმართველობა კი ყოველთვის ეყრდნობოდა ქალაქებს, როგორც „ზრდის მანქანებს“ (Logan and Molotch, 1987). თუმცა, ზოგიერთი პატარა ზომის ქალაქი, ასეც ბენდინერად გრძნობს თავს (მაგ., ოქსფორდი დიდ ბრიტანეთში, სალამანკა ესპანეთში). ის ინდუსტრიული

ქალაქები, რომლებიც ნელა ვითარდებიან, ან მათი ჩამქრალი დიდება დაცემის პირასაა, გარკვეულწილად სტიგმატიზირებული არიან. ქალაქები, რომლებიც სწრაფად ვითარდებიან, აღიქმებიან, როგორც „წარმატებული, სასურველი, ალტაცების საგანი“, ხოლო ნელი განვითარების ტემპის მქონე და დაცემის პირას მყოფი ქალაქების მაცხოვრებელნი თავიანთ თავს „გაუფასურებული თვითღირებულების მქონე“ ადგილის მობინადრეებად აღიქვამენ (Leo and Anderson, 2006). „ადგილის“ ამგვარი აღქმა ადგილობრივ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღებებს უბიძგებს, რომ თავიანთი ქალაქებისა ან რეგიონებისთვის ეკონომიკური განვითარების ალტერნატიულ კურსზე იფიქრონ. ურბანული რეგენარაციის და დაგეგმვის სტრატეგიები მრავალფეროვანია, იქნება ეს ინვესტიციების მოზიდვა, რადიკალური გამოცოცხლება, საბინაო ბაზრის ინფრასტრუქტურის მოდიფიკაცია თუ ქალაქის ცენტრების გაცოცხლება სივრცის გამწვანების მეშვეობით. ამ სტრატეგიებს სხვდასხვაგვარი წარმატება ხვდათ წილად.

მაშინ, როცა ბევრი ქალაქი ცდილობს დაცემის აღმოფხვრას ინვესტიციებისა და წახალისების მეშვეობით, სხვები აღარ ცდილობენ ქალაქის ძველი დიდების დაბრუნებას და ქალაქის კვალის შემცირებაზე ახდენენ კონცენტრირებას. სკოტი (2006) ეწინააღმდეგება ყურადღების გამახვილებას მხოლოდ ერთი სახის ინიციატივაზე, მაგალითად, როგორცაა უცხოური კაპიტალის მოზიდვა ან კულტურის განვითარებისთვის ხელის შეწყობა – სტრატეგიები, რომლებმაც შესაძლოა იმუშაონ, მაგრამ არა ექსკლუზიურად და არა განცალკევებით. მაგალითად, გლობალური მობილური კაპიტალის მოზიდვის დაჩქარებამ, იმის ნაცვლად, რომ მდგრადი კურსი შექმნას, რომლის მიღწევასაც ქალაქები ცდილობენ, შესაძლოა მხოლოდ ილუმორული განვითარება გამოიწვიოს (Fol and Sabot, 2003; Friedmann, 2006). ამ სიმპოზიუმის ფარგლებში ოდირაკი, კანინგჰემ-საბო, ფოლი და მორაისი იკვლევენ ახალი ინვესტიციების მოზიდვასა და მდიდარ მოსახლეობაზე ფოკუსირებული ურბანული პოლიტიკის წინააღმდეგობრივ სოციოსივრცით შედეგებს.

პოლიტიკური პრაქტიკა ასევე ყურადღებას ამახვილებს საბინაო ფონდის საკითხზე, რადგან კუმშვად ქალაქებში სახლების ვაკანტურობა და მიტოვება ფართოდ არის გავრცელებული. რამდენიმე ევროპულმა ქალაქმა (განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპაში) სცადა საბინაო ბაზრის

გამოცოცხლება საბინაო ფონდის მიტოვებული შენობების დანგრევით, მათ ადგილას კი რეკრეაციული ზონებისა და ღია სივრცეების უზრუნველყოფით, იმ ვარაუდით, რომ გაუმჯობესებული გარემო ქალაქს საშუალებას მისცემდა დაებრუნებინა სიცოცხლისუნარიანობა და მოეზიდა მოსახლეობა (Lötscher et al., 2004; Bernt, 2006; Oswalt, 2006; Wiechmann and Siedentop, 2006). როგორც სიმპოზიუმის ფარგლებში შექმნილი, ვაიხმანის და პალაგასტის ნაშრომი ამტკიცებს, ასეთი ზომები უმეტესწილად სიმპტომებს კურნავს და არა გამომწვევ მიზეზებს. მიტოვებულ შენობებს გამორჩეული ხილვადობა აქვთ, განსაკუთრებით პატარა ქალაქებში, და ხარისხიან ცხოვრებაზე მავნე ზემოქმედებების (უძრავი ქონების ღირებულების დაცემის, დანაშაულის მაჩვენებლის ზრდის, მავნე გარემო ფაქტორების, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მზარდი პრობლემების) სიმპტომს წარმოდგენენ, რაც, თავის მხრივ, ქალაქში კაპიტალდაბანდებების შემცირებას იწვევს. ვაკანტური სახლების მაღალი მაჩვენებელი არა მხოლოდ ამცირებს ქალაქის საგადასახადო ბაზისს, არამედ იწვევს ქალაქის ცენტრში აქტივობების კლებას, როგორცაა მაღაზიებში საყიდლებზე სიარული, სპორტული და კულტურული ღონისძიებები. მსგავსი გარემო მანკიერ წრეს წარმოქმნის და მოსახლეობის სხვაგან გადაბარგების შანსებს ზრდის (Friedrichs, 1993; Bontje, 2004; Glock and Häußermann, 2004; Lang, 2005).

ადგილობრივი ინსტიტუციები და განვითარების სააგენტოები ასევე განიცდიან შეკუმშვის შედეგებს ურბანული ინფრასტრუქტურის განხრით. რადგან კუმშვად ქალაქებში საექსპლუატაციო ხარჯები იზრდება და ფინანსური ბაზისი მცირდება, გარკვეული შედეგები ცხადი ხდება: ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა ნელდება; მოსახლეობის სიმჭიდროვის შემცირება მუნიციპალური სერვისების გაძვირებას იწვევს; სოციალური და საცალო ვაჭრობის აქტივობა იკლებს; სოციალური ენერჯია და დინამიკა იკლებს; მოსახლეობის უსაფრთხოების განცდა ქვეითდება, ურბანული ქსოვილი იკარგება და დანაწევრებული, გათიშული ურბანული სივრცეები გარშემორტყმულია „ველური ზონებით“, სადაც კანონსაწინააღმდეგო ქმედებები და ვანდალიზმი ყვავის (Rybczynski and Linneman, 1999). ამგვარად, ეკონომიკური აქტივობების და მოსახლეობის შემცირება უდიდეს ფიზიკურ და სოციალურ გავლენას ახდენს შედეგად აღმოცენებულ „პერ-

ფორირებულ ქალაქზე“ ისევე, როგორც მის ხარისხსა და სიცოცხლისუნარიანობაზე (Lütke-Daldrup, 2001). კუმშვად ქალაქებში ვითარდება კიდევ ერთი უხმაურო, მაგრამ მძლავრი პროცესი, რომელიც ხაზს უსვამს ვაკანტური კვარტლებისა და მიტოვებული სივრცეების ცხად გამოვლინებას, თუმცა პოლიტიკისა და დაგეგმარების მხრივ სათანადო ყურადღებას არ იმსახურებს: უნარების, ცოდნისა და ინოვაციის გაქრობა, რადგან მაცხოვრებლები, რომლებსაც ისინი გააჩნია უფრო შეძლებულ ქალაქებში გადადიან საცხოვრებლად (Martinez-Fernandez and Wu, 2007). ადგილობრივი ცოდნის ბაზაზე უნარების ამგვარი ცვალებადობის ზეგავლენა და უნარებისა და დასაქმების ხელახალი განვითარებისათვის საჭირო პროცესები უმეტესწილად უცნობია. უნარებისა და ნიჭის დაკარგვა უმალ ზემოქმედებს ადგილობრივ ინოვაციურ სისტემებზე, აცალკევებს მათ გაბატონებული გლობალიზაციისგან და განსაკუთრებულ ზიანს აყენებს პატარა და საშუალო ზომის საწარმოებს (SME), რადგან მათი არსებობა მეტწილად კვალიფიციურ მუშახელზე დამოკიდებული (OECD, 2005; 2008; 2010; Martinez-Fernandez, 2008). მსგავსი ქალაქებისათვის კვალიფიკაციისა და დასაქმების სტრატეგიების შემუშავება, მზარდი ქალაქების მხრიდან, სადაც კვალიფიციური მუშახელის უკმარისობა მძლავრ ინდუსტრიულ მოთხოვნას უკავშირდება, სხვადასხვანაირ მიდგომას საჭიროებს. დაცემის პირას მყოფმა ქალაქებმა უფრო მეტი უნდა იმუშაონ კვალიფიციური მუშახელისა და მათი ოჯახების მოსაზიდად, რათა მათ შესთავაზონ ცხოვრების სტილის მრავალფეროვანი არჩევანი და დინამიკური ბიზნეს გარემო. ასევე, ძნელია ზოგადი ხასიათის სტრატეგიების, პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავება ნიჭის მოსაზიდად და უნარების განსავითარებლად დაცემის პირას მყოფ ქალაქებში, რადგან ქალაქები სხვადასხვა ფუნქციების და ისტორიების მქონე ტერიტორიული სისტემის ნაწილები არიან. მაგალითად, დაცემის პირას მყოფი ქალაქი ან რაიონი, რომელიც მზარდი ქალაქისგან სატრანსპორტო მანძილზე დაშორებული სხვანაირ მიდგომას მოითხოვს, ვიდრე ისეთი ადგილი, რომელიც სხვა ურბანული ცენტრებისგან იზოლირებული და განცალკევებულია. ქალაქებში შესაძლოა არსებობდეს სიღარიბისა და უმუშევრობის კერები, რომლებიც ქალაქის დანარჩენი სივრცეებისგან განსხვავებულია, მიუხედავად მათი გეოგრაფიული სიახლოვისა. ამგვარად, უნარების განსავითარებელი

სტრატეგიების და პოლიტიკისა შემუშავება მრავალგამომილებიან პროცესია, რომელიც, პირველ რიგში, ქალაქის განვითარებისა და დაცემის პროცესებსა და ციკლებს ეხება; ხოლო, მეორე მხრივ, ადგილის ტერიტორიულ დინამიკას და მის ეკონომიკურ და სოციალურ ტრანსფორმაციებს.

მრავალი წელია, რაც დაგეგმარების დისციპლინა ურბანულ დაცემას შეისწავლის და ლიტერატურა ნაყოფიერად იღებს გაკვეთილებს როგორც ძველი ინდუსტრიალიზებული აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის ქალაქების, ისევე, აღმოსავლეთ გერმანიის ბოლოდროინდელი გამოცდილებიდან. მაგრამ, როდესაც საქმე სხვადასხვა პოლიტიკური ინიციატივებისა და დაგეგმარების სტრატეგიების ანალიზსა თუ გავლენას ეხება, მონაცემები მწირია. შესაბამისად, ადგილობრივი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღებთა და დაგეგმარების სპეციალისტების გამოცოცხლების ხელშეწყობისათვის პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავების გამოწვევები შემაშფოთებელია. კლასიკური დეინდუსტრიალიზებული ქალაქების ფარგლებს გარეთ ნაცადი პოლიტიკური ზომების, მათი რაციონალური საფუძვლების, მათი შედეგების (არსებობის შემთხვევაში) და ინვეტიციების მასშტაბის უფრო სკურპულოზური ანალიზი მეტად დაეხმარებოდა ადგილობრივ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღებებსა და პრაქტიკოსებს. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ქალაქი და რეგიონი სხვადასხვანაირია, საუკეთესო მეთოდებისა და მოწინავე პრაქტიკის მაგალითები ურბანული შეკუმშვის სირთულესა და კომპლექსურობას ნათელს მოჰყენდა.

ამ სიმპოზიუმის ფარგლებში შექმნილი ნაშრომების კრებული მიზნად ისახავს გასაგები გახადოს ზემოთხსენებული საკითხები და, ამავდროულად, ცდილობს ეჭვი შეიტანოს ურბანული განვითარების მთავარ პარადიგმაში, რომელზეც თანამედროვე დაგეგმარებაა დაფუძნებული. შესაძლოა აუცილებელი გახდეს ზრდაზე კონცენტრირებული ურბანული დაგეგმარების პარადიგმის ცვლილება ისეთით, რომელიც შეზღუდულ ზრდას ან შეკუმშვას მოიცავს, რათა გავუმკლავდეთ იმას, რაც უკვე გლობალური ფენომენის სახეს იძენს, როგორც ჩრდილოეთში, ისე სამხრეთში.

ბიბლიოგრაფია

- Aglietta M. and R. Boyer (1986) *Capitalisme fin de siècle*. PUF, Paris.
- Amin A. and N. Thrift (1994) *Globalization, institutions and regional development in Europe*. Oxford University Press, Oxford.
- Audirac, I. (2005) Information technology and urban form: challenges to smart growth. *International Regional Science Review* 28.2, 119–45.
- Audirac, I. (2009) Urban shrinkage and fast metropolitan growth (two faces of contemporary urbanism). In K. Pallagst et al. (eds.), *The future of shrinking cities — problems, patterns and strategies of urban transformation in a global context*. Monograph Series, Center for Global Metropolitan Studies, Berkeley, CA, Institute of Urban and Regional Development, University of California, Berkeley and the Shrinking Cities International Research Network [WWW document]. URL http://www.rop.tudortmund.de/cms/Medienpool/Downloads/The_Future_of_Shrinking_MG-2009-01.pdf (accessed 13 September 2011).
- Audirac, I., E. Cunningham-Sabot, S. Fol and S. Torres Moraes (2012) Declining suburbs in Europe and Latin America. *International Journal of Urban and Regional Research* 36.2, 226–44.
- Baron M., E. Cunningham-Sabot, C. Grasland, D. Rivière and G. Van Hamme (2010) *Villes et régions européennes en décroissance: maintenir la cohésion territoriale?* Éditions Hermès, Paris.
- Beauregard, R. (1993) Representing urban decline: postwar cities as narrative objects. *Urban Affairs Review* 29.2, 187–202.
- Beauregard, R. (2003) *Voices of decline. The postwar fate of US cities*. Blackwell, Malden, MA.
- Beauregard, R. (2006) The radical break in late twentieth-century urbanization. *Area* 38.2, 218–20.
- Bernt, M. (2006) Demolition program East. In P. Oswalt (ed.), *Shrinking cities, Volume 1, International research*, Hatje Cantz Verlag, Ostfildern-Ruit, Germany.
- Bluestone, B. and B. Harrison (2000) *Growing prosperity: the battle for growth with equity in the 21st century*. Houghton Mifflin Company, Boston.
- Bontje, M. (2004) Facing the challenge of shrinking cities in East Germany: the case of Leipzig. *Geojournal* 61.1, 13–21.
- Booth, D. (1987) Regional long waves and urban policy. *Urban Studies* 24.6, 447–59.
- Boren, T. and M. Gentile (2007) Metropolitan processes in post-communist states: an introduction. *Geografiska Annaler B* 89.2, 95–110.
- Breckenfield, G. (1978) Coping with city shrinkage. *Civil Engineering* 48.11, 112–13.

Buzar S., P. Ogden, R. Hall, A. Haase, S. Kabisch and A. Steinführer (2007) Splintering urban populations: emergent landscapes of reurbanisation in four European cities. *Urban Studies* 44.4, 651–77.

Castells, M. (2000) *The rise of the network society*. Blackwell Publishers, Malden, MA.

Champion, A. (2001) A changing demographic regime and evolving polycentric urban regions: consequences for the size, composition and distribution of city populations. *Urban Studies* 38.4, 657–77.

Cheshire, P. (1995) A new phase of urban development in Western Europe? The evidence for the 1980s. *Urban Studies* 32.7, 1045–63.

Cheshire P. and D. Hay (1989) *Urban problems in Western Europe*. Unwin Hyman, London.

Cunningham-Sabot, E. and S. Fol (2007) *Schrumpfende Städte in Westeuropa: Fallstudien aus Frankreich und Grossbritannien [Shrinking cities in Western Europe: case studies from France and Great Britain]*. *Berliner Debatte Initial* 2007.1, 22–35.

Cutler, D.M., E.L. Glaeser and J.L. Vigdor (2005) Is the melting pot still hot? Explaining the resurgence of immigrant segregation. Discussion Paper 2071, Harvard Institute of Economic Research, Harvard University, Cambridge, MA.

Dicken, P. (2003) *Global shift: reshaping the global and economic map in the 21st century*. Guilford Press, New York.

Downs, A. (1997) The challenge of our declining big cities. *Housing Policy Debate* 8.2, 359–408.

Downs, A. (1999) Some realities about sprawl and urban decline. *Housing Policy Debate* 10.4, 955–74.

Fishman, R. (1987) *Bourgeois utopias: the rise and fall of suburbia*. Basic Books, New York.

Florentin, D., S. Fol and H. Roth (2009) La 'stadtschrumpfung' ou 'rétrécissement urbain' en Allemagne: un champ de recherche émergent. *Cybergeo, Espace, Société, Territoire* [WWW document] URL <http://www.cybergeo.eu/index22123.html> (accessed 12 December 2011).

Fol, S. and E. Sabot (2003) La revalorisation des espaces industriels, Issy-les Moulineaux en France et North Lanarkshire en Écosse. *Les Annales de la Recherche Urbaine* 93, 23–32.

Fol S. and E. Cunningham-Sabot (2010) Déclin urbain et shrinking cities: une évaluation critique des approches de la décroissance urbaine. *Les Annales de Géographie* 674, 359–83.

Friedmann, J. (2006) *The wealth of cities: towards an assets-based development of newly urbanizing regions*. UN-Habitat Award Lecture, University of British Columbia, Vancouver.

Friedrichs, J. (1993) A theory of urban decline: economy, demography and political elites. *Urban Studies* 30.6, 907–17.

- Gereffi, G. (2005) The global economy: organization, governance, and development. In N.J. Smelser and R. Swedberg (eds.), *The handbook of economic sociology*, Second edition, Princeton University Press and the Russell Sage Foundation, Princeton, NJ.
- Glaeser, E.L. and J. Gyourko (2005) Urban decline and durable housing. *Journal of Political Economy* 113.2, 345–400.
- Glock, B. and H. Häußermann (2004) New trends in urban development and public policy in eastern Germany: dealing with the vacant housing problem at the local level. *International Journal of Urban and Regional Research* 28.4, 919–29.
- Graham, S. and S. Marvin (2001) *Splintering urbanism: networked infrastructures, technological mobilities, and the urban condition*. Routledge, New York.
- Hall, P. (1988) The geography of the fifth Kondratieff. In D. Massey and J. Allen (eds.), *Uneven re-development: cities and regions in transition*, Hodder and Stoughton, London.
- Hall, P. and D. Hay (1980) *Growth centres in the European urban system*. Heinemann Educational, London.
- Harvey, D. (2000) *Spaces of hope*. Edinburgh University Press, Edinburgh.
- Harvey, D. (2005) *A brief history of neoliberalism*. Oxford University Press, Oxford.
- Häußermann H. and W. Siebel (1988) Die schrumpfende Stadt und die Stadtsoziologie [The shrinking city and urban sociology]. In J. Friedrichs (ed.), *Soziologische Stadtforschung, Kölner Zeitschrift für Soziologie und Sozialpsychologie* 29, 78–94
- Hill, E.W., H.L. Wolman and C.C. Ford (1995) Can suburbs survive without their central cities? Examining the suburban dependence hypothesis. *Urban Affairs Review* 31.2, 147–74.
- Hoyt, H. (1939) *The structure and growth of residential neighborhoods in American cities*. Federal Housing Administration, Washington, DC.
- Jackson, K. (1985) *Crabgrass frontier: the suburbanization of the United States*. Oxford University Press, New York.
- Kondratieff, N. (1984) *The long wave cycle*. Richardson and Snyder, New York.
- Lang, R. (2000) Did neighborhood life-cycle theory cause urban decline? *Housing Policy Debate* 11.1, 1–6.
- Lang, T. (2005) *Insights in the British debate about urban decline and urban regeneration*. Working Paper, Leibniz-Institute for Regional Development and Structural Planning (IRS), Eckner [WWW document]. URL http://www.irs-net.de/download/wp_insights.pdf (accessed 12 December 2011). Leo, C. and K. Anderson (2006) Being realistic about urban growth. *Journal of Urban Affairs* 28.2, 169–89.
- Logan, J.R. and H. Molotch (1987) *Urban fortunes: the political economy of place*. University of California Press, Berkeley, CA.

- Lötscher, L., F. Howest and L. Basten (2004) Eisenhüttenstadt: Monitoring a shrinking German city. DELA 21, cities in transition. Department of Geography, University of Ljubljana.
- Lucy, W. and D. Philips (1997) The post-suburban era comes to Richmond: city decline, suburban transition, and exurban growth. *Landscape and Urban Planning* 36.4, 259–75.
- Lucy, W. and D. Philips (2000) *Confronting suburban decline*. Island Press, Washington, DC.
- Lütke-Daldrup, E. (2001) Die perforierte Stadt. Eine Versuchsanordnung [The perforated city. A test arrangement]. *Stadtbauwelt* 150, 40–5.
- Martinez-Fernandez, C. (2008) Australia, local employment strategies that address diversity. In S. Giguère (ed.), *More than just jobs: workforce development in a skills-based economy*, OECD, Paris.
- Martinez-Fernandez, C. and T. Wu (2007) *Stadtenwicklung in einer differenten Wirklichkeit. Schrumpfende Städte in Australien [Urban development in a different reality: shrinking cities in Australia]*. *Berliner Debatte Initial* 1, 45–60.
- Martinez-Fernandez, C., C.T. Wu, L.K. Schatz, N. Taira and J.G. Vargas-Hernández (2012) The shrinking mining city: urban dynamics and contested territory. *International Journal of Urban and Regional Research* 36.2, 245–60.
- OECD (2005) *SMEs and entrepreneurship outlook*. OECD, Paris.
- OECD (2008) *More than just jobs: workforce development in a skills-based economy*. OECD, Paris.
- OECD (2010) *SMEs, entrepreneurship and innovation*. OECD, Paris.
- Oswalt, P. (ed.) (2006) *Shrinking cities, Volume 1, International research*. Hatje Cantz Verlag, Ostfildern-Ruit, Germany.
- Peck, J. and A. Tickell (1992) Local modes of social regulation? Regulation theory, Thatcherism, and uneven development. *Geoforum* 23, 347–64.
- Phelan, T.J. and M. Schneider (1996) Race, ethnicity, and class in American suburbs. *Urban Affairs Review* 31.5, 659–80.
- Prigge, W. (2006) On the origins of shrinkage. In P. Oswalt (ed), *Shrinking cities, Volume 1, International research*, Hatje Cantz Verlag, Ostfildern-Ruit, Germany.
- Reckien, D. and C. Martinez-Fernandez (2011) Why do cities shrink? *European Planning Studies* 19.8, 1375–97.
- Rybczynski, W. and P. Linneman (1999) How to save our shrinking cities. *Public Interest* 135, 30–44.
- Sassen S. (2001) *The global city: New York, London, Tokyo*. Princeton University Press, Princeton, NJ.
- Schumpeter, J.A. (1939) *Business cycles*. McGraw-Hill, New York.

- Scott, A. (1998) *Regions and the world economy: the coming shape of global production, competition, and political order*. Oxford University Press, Oxford.
- Scott, A. (2006) Creative cities: conceptual issues and policy questions. *Journal of Urban Affairs* 28.1, 1–17.
- Scott, A. and M. Storper (2003) Regions, globalization, development. *Regional Studies* 37.6/7, 579–93.
- Smith, N. (2002) New globalism, new urbanism: gentrification as global urban strategy. *Antipode* 34.3, 434–57.
- Smith, N., P. Caris and E. Wylie (2001) The Camden syndrome and the menace of suburban decline: residential disinvestment and the discontents in Camden County, New Jersey. *Urban Affairs Review* 36.4, 497–531.
- Soja, E. (2000) *Postmetropolis: critical studies of cities and regions*. Blackwell, Oxford.
- Steinführer, A. and A. Haase (2007) Demographic change as future challenge for cities in East Central Europe. *Geografiska Annaler B* 89.2, 95–110.
- Storper, M. (1997) *The regional world: territorial development in a global economy*. Guilford Press, New York and London.
- Swyngedouw, E. (2004) Globalisation or glocalisation? Networks, territories and rescaling. *Cambridge Review of International Affairs* 17.1, 25–48.
- Van den Berg, L., R. Drewett, L. Klaasen, A. Rossi and H. Vijverberg (1982) *Urban Europe: a study of growth and decline*. Pergamon Press, Oxford.
- Weaver, R. (1977) The suburbanization of America or the shrinking of the cities. *Civil Rights Digest* 9.3, 2–11.
- Wiechmann, T. and S. Siedentop (2006): Chancen des Schrumpfens – Stadtumbau als kommunale Gestaltungsaufgabe [Opportunities in shrinking — urban transformation as a communal exercise in reshaping]. In Bertelsmann Stiftung (ed.), *Wegweiser demographischer Wandel 2020. Analysen und Handlungskonzepte für Städte und Gemeinden* [Guide to demographic change 2020. Analyses and action plans for towns and communities], Bertelsmann, Guetersloh.
- Wiechmann, T. and K.M. Pallagst (2012) Urban shrinkage in Germany and the USA: a comparison of transformation patterns and local strategies. *International Journal of Urban and Regional Research* 36.2, 261–80.

სინთეზური შესავალი

„ჩამორთმევა დაგროვებით? წიაღისეული, წყალი და მიწის კონცესიები ბოლივიის ალტიპლანოში“

გიორგი ცინცაძე

სამთო-მოპოვებით მრეწველობას ადგილობრივი ბუნებრივი გარემოსთვის მძიმე და ხშირ შემთხვევაში შეუქცევადი ზიანის მიყენება შეუძლია. წიაღისეულის დამუშავება და მისი საბაზრო პროდუქტად გარდაქმნა არა მხოლოდ ეკონომიკური და სოციალური, არამედ ეკოლოგიური პროცესიცაა. ამიტომ ექსტრაქტივისტული ინდუსტრიის სრულად გააზრებისთვის აუცილებელია მისი ადგილობრივი ეკოსისტემების ჭრილში განხილვა. ტომ პეროს სტატია „გასხვისება დაგროვების საშუალებით? წიაღისეული, წყალი და მიწის კონცესიები ბოლივიის ალტიპლანოში“ ამ მიზანს ემსახურება. სტატიაში ავტორი ბოლივიის მაღალმთიანი რეგიონის მაგალითს ეყრდნობა, სადაც ას წელზე მეტია კალასა და ოქროს საბადოებს ამუშავებენ. ტექსტში მოპოვებითი მრეწველობის გარემოზე ზემოქმედების გასაგებად პერო ახალ და მოხერხებულ ანალიტიკურ ჩარჩოს გვთავაზობს.

ტომ პეროს ეს სტატია ქართველი მკითხველის საინტერესო არაერთ საკითხებს ეხება. სამთო-მოპოვებითი ინდუსტრიის ქართულ კერებთან ახლოს – ტყიბულსა და ჭიათურაში, ბოლნისსა და მათ შემოგარენში – დიდი ხანია ჰაერის, წიადაგისა და ჰიდროქსელის საგანგაშო დაბინძურება შეინიშნება. მიუხედავად ამისა, გარემოზე ზემოქმედების ისეთი კვლევები, რომლებიც ადამიანის ჯანმრთელობასა და საარსებო საშუალებებზე წიაღისეულის მოპოვების გრძელვადიან გავლენას შეაფასებდა არ ტარდება. კიდევ უფრო მწვავეა ისეთი კვლევების ნაკლებობა, რომლებიც ეკონაკვალიფს ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებს დაუკავშირებდა.

სტატიაში პერო წერს, რომ კაპიტალის აკუმულაციის პარალელურად ბოლივიის ალტიპლანოში კიდევ რამდენიმე დაგროვებითი პროცესი მიმდინარეობს. მისი აზრით იქ კაპიტალთან ერთად, რომელსაც მოპოვებითი მრეწველობა კრებს, ბუნებრივი გარემოსთვის მიყენებული ზიანიც გროვდება. ადგილობრივ ეკოლოგიას ზიანი თავის მხრივ ორი განსხვავებული გზით

ადგება: ალტიპლანოს მდინარეები წიაღისეულის მოპოვების შედეგად წარმოქმნილი ტოქსიკური ნარჩენებით ბინძურდება, წიაღაგში კი გარემოსა და ადამიანისთვის საფრთხის შემცველი მძიმე მეთალები ილექება. არანაკლებ მნიშვნელოვანია მომპოვებლის განკარგულებაში – პირდაპირი კონცესიებისა თუ გამოყენების უფლებების მიჩვევის საშუალებით – გადასული ტერიტორიების დაგროვებაც.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წყალთან დაკავშირებული პრობლემები. ყველგან სადაც წიაღისეულს მოიპოვებენ წყლის დაბინძურების საფრთხე წარმოიშვება. წყლის საკითხების სოციალური პროცესებისგან განცალკევება შეუძლებელია. რადგან წყლის რესურსების ათვისება ძალთა არსებულ განდანაწილებას ექვემდებარება, აუცილებელია წყლის პრობლემის „ჰიდროსოციალურ“ ჭრილში დანახვა. მოპოვებითი მრეწველობა წყალს დიდი რაოდენობით მოიხმარს და, სოფლის მეურნეობისგან განსხვავებით, გამოყენებულ წყალს სხვა მომხმარებლებისთვის უვარგისს, უარეს შემთხვევაში კი საზიანოს ხდის. ამის მაგალითია სტატიაში განხილული ჰუანუნის მდინარე, რომელშიც წიაღისეულის მოპოვების შედეგად დაგროვებული კადმიუმის, ტყვისა და დარაობხანის შემცველი ნარჩენები ჩაედინება. ბუნებრივი სელიმენტაციისა და მდინარის სარწყავი წყლის წყაროდ გამოყენების შემდეგ ეს ჭანმრთელობისთვის უალრესად დამაზიანებელი ელემენტები წიაღაგში, შემდგომში კი საკვებში ხვდება.

შედეგად მიწა, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა საძოვრად ან მეურნეობისთვის იყენებდა მათთვის უვარგისი, ან, უარეს შემთხვევაში, მომწამვლელი ხდება. რეგიონის მდინარეები კი, რომელიც მანამდე მოსახლეობას სასმელი და სარწყავი წყლით ამარაგებდა, წიაღისეულის მოპოვების ნაწილი ხდება და მის მიერ წარმოქმნილი უვარგისი ან სულაც საფრთხის შემცველი ნარჩენების გადაადგილების სამსახურში დგება. ამასთან რეგიონში ჩნდება წყლის საგანგაშო უკმარისობაც, რაც საფრთხეს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ კვლავწარმოებას უქმნის.

პეროს ანალიზი იმ ფართოდ გავრცელებულ მოსაზრებას უპირისპირდება, რომლის მიხედვითაც ექსტრაქტივისტული ინდუსტრია ადგილობრივ ეკონომიკას ასაზრდოებს – ამ გადმოსახედიდან ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობა წიაღისეულის მოპოვებაზე დამოკიდებული. მოპოვებითი მრეწველობის მნიშვნელობასა და მასზე ადგილობრივი მოსახლეობის დამო-

კიდებულებაზე მსგავს მოსაზრებებს ხშირად გამოთქვამენ საქართველოშიც. ბოლივიის ალტიპლანოს მაგალითი საპირისპირო რეალობისკენ მიგვიბრუნებს: ბუნებრივი რესურსის ათვისება ადგილობრივ მოსახლეობას არ ასაზრდოებს, პირიქით – წიაღისეულის მოპოვება ადგილობრივი მოსახლეობის ხარჯზე მიმდინარეობს. მოპოვებითი მრეწველობის არსებობის საშუალებას მკვიდრი მოსახლეობის საარსებო საშუალებების მიტაცება ქმნის. ალტიპლანოში ექსტრაქტივისტული ინდუსტრია არსებულ ადგილობრივ ეკონომიკას კი არ ამატებს, არამედ ანაცვლებს.

პეროს ორმაგი აკუმულაციის კონცეფცია – ერთი მხრივ კაპიტალის, მეორე მხრივ კი ეკოლოგიური ზიანის დაგროვება – მარქსისა და დევიდ ჰარვის თეორიებს ეხმიანება. მარქსისთვის პრიმიტიული აკუმულაცია ის პირველადი პროცესია, რომლის შედეგადაც კაპიტალის მიერ აუთვისებელი რესურსი საკუთრების ფორმას იღებს და ინდუსტრიული წარმოების პროცესში ერთვება. ჰარვი მარქსის ამ პროცესს კონცეპტუალურად აფართოებს და გამოყოფს „აკუმულაციას გასხვისების საშუალებით.“ ჰარვის მიხედვით კაპიტალის გასხვისების – ანუ მანამდე სხვის, საერთო ან სულაც არაფორმალურ მართვაში არსებული რესურსის მიტაცების – ხარჯზე დაგროვება არა ერთგვარად მოვლენა, არამედ რეგულარი პროცესია. კაპიტალის აკუმულაცია ასეთ რეჟიმში კრიზისებისას შედის, როცა ჭარბი კაპიტალის პირობებში მას ახალი, აუთვისებელი სივრცე ან არსებული წარმოების ფაქტორების ჩანაცვლება ესაჭიროება.

პეროს აზრით, ჰარვის მიერ შემუშავებული მოდელი საინტერესოა ჭარბი კაპიტალის პრობლემის არარსებობის შემთხვევაშიც. კაპიტალის აკუმულაციის ასეთი მიმტაცებლური რეჟიმი შეინიშნება განვითარებად ქვეყნებშიც და არა მხოლოდ პირველადი აკუმულაციის პირობებში, არამედ რეგულარულად და, ზოგიერთ შემთხვევაში მუდმივადაც კი. ამით პეროს ანალიზი, რომელიც განვითარებადი ქვეყნის, ბოლივიის მაგალითს ეფუძნება, საინტერესო ქართველი მკითხველისთვისაც ხდება. საქართველოში ჭარბი კაპიტალის პრობლემა არ არსებობს, მაგრამ, როგორც პეროს მაგალითი ცხადჰყოფს, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ კაპიტალის აკუმულაცია, განსაკუთრებით მრეწველობაში, წართმევის ხარჯზე არ მიმდინარეობს.

პეროს „გასხვისება დაგროვების საშუალებით“ ჰარვის მიერ გამოყოფილი პროცესის ანარეკლია. პეროს აზრით ბუნებრივი გარემოს როლს კაპიტალის აკუმულაციისა და გასხვისების პროცესებში მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს.

მოპოვებითი საქმიანობის ეკოლოგიური შედეგების გასააზრებლად, ექსტრაქტივისტული ინდუსტრიისა და ბუნებრივ გარემოს შორის არსებული კავშირების უკუთ დასანახად ის გვთავაზობს ჩარჩოს, რომლის მიხედვითაც გასხვისება ტოქსიკური ნარჩენების დაგროვების გზით მიმდინარეობს. ამგვარად, გასხვისების პროცესი სემანტიკურად კაპიტალის აკუმულაციის პროცესს იმეორებს – მიწისა და წყლის გასხვისება ნიადაგსა და მდინარეებში ტოქსიკური ნარჩენების დაგროვების შედეგად ხორციელდება. გამოდის, რომ გასხვისება აკუმულაციური პროცესების შედეგია – და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ბუნებრივ რესურს კაპიტალი ევატრონება, არამედ იმიტომაც, რომ საარსებო საშუალებების ხელყოფას ეკოლოგიური ზიანის დაგროვება იწვევს.

პეროს ტექსტი მნიშვნელოვანი იმითაცაა, რომ ის ეჭვქვეშ აყენებს ეგრედ წოდებული „ნეო-ექსტრაქტივიზმის“ პოლიტიკასაც. ამ მიდგომის მიხედვით, რომელიც განვითარებად ქვეყნებში – განსაკუთრებით კი გლობალურ სამხრეთში – მზარდი პოპულარობით სარგებლობს, სახელმწიფო აქტიურად მონაწილეობის ბუნებრივი წიაღისეულის მოპოვებაში, ხშირად კი, სახელმწიფო კომპანიების საშუალებით, პროცესს თვითონვე უძღვება. ბოლივიის ალტიპლანოს სტატიაში განხილულ რეგიონშიც წიაღისეულს სახელმწიფო კომპანია მოიპოვებს, რომლის არსებობასაც ცენტრალური ხელისუფლება შექმნილი ეკონომიკური სარგებლის საჭარო საკუთრებაში არსებობით ამართლებს. თუმცა, პეროს ანალიზის მიხედვით, სახელმწიფოს მიერ მართული ექსტრაქტივისტული ინდუსტრია ადგილობრივი მოსახლეობისთვის მიყენებული სოციალური და ეკოლოგიური ზიანის მიხედვით არც იმ კერძო კომპანიებისგან განსხვავდება, რომელიც რეგიონში რესურსის ნაციონალიზაციამდე არსებობდნენ, და არც კიდევ უფრო ადრინდელი, კოლონიალური რეჟიმისგან.

მოპოვებითი მრეწველობის ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური შედეგების ერთობლივი კვლევა საქართველოში იშვითად ან საერთოდ არ ტარდება. იქ, სადაც ცოდნის ადგილობრივი წარმოება შეზღუდულია, არსებული საერთაშორისო გამოცდილებისა და მასთან დაკავშირებული ლიტერატურის ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება. ტომ პეროს ამ სტატიის ქართულ ენაზე გამოცემა ამ კუთხით სასარგებლო დანამატია. სავარაუდოა, რომ ქართველი მკითხველი ამ ტექსტში არაერთ ნაცნობ პრობლემას ამოიკითხავს, ავტორის შემოთავაზებული თეორიული ჩარჩო კი მათ ახლებურად დანახვას შეუწყობს ხელს.

ჩამორთმევა დაგროვებით?

სამთო მრეწველობა, წყალი და კონცესიის თავისებურება ბოლივიის ალტიპლანოში

ავტორი: ტომ პერო

მთარგმნელი: თამარ გოგია

ამ ნაშრომში შესწავლილია პირვანდელი დაგროვებისა და საარსებო საშუალებათა ჩამორთმევის პროცესები ბოლივიის ალტიპლანოში. სამთო-სამრეწველო ნარჩენების სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების ემპირიული შესწავლის საშუალებით სტატიაში ნაჩვენებია, რომ მკვიდრ კამპენსინოთა თემის წევრები მათი საარსებო საშუალებების ჩამორთმევის პრობლემის წინაშე დგანან. ეს ჩამორთმევა კი ხორციელდება სამი ურთიერთდაკავშირებული დაგროვების ფორმით: ტოქსიკური დანალექების დაგროვება სასოფლო-სამეურნეო მიწებზე; წყლისა და წყალზე უფლების დაგროვება სამთო კომპანიების მიერ; და ტერიტორიული ერთეულების დაგროვება სამთო-სამრეწველო სამუშაოების მიერ. წინამდებარე შესასწავლი საკითხი არ არის სრული პროლეტარიზაციის შემთხვევა, ხოლო ჩამორთმევის პროცესები არ არის ჭარბდაგროვების კრიზისის „მოგვარების“ საშუალება. ნაშრომი მოითხოვს, მეტი ყურადღება დაეთმოს ბუნების მატერიალურობის პირობით როლს ჩამორთმევის და დაგროვების პროცესებში.

შესავალი

შორიდან თუ შევხედავთ, ბოლივიის ჰუანუნის ხეობა სასოფლო დასახლებას ჰგავს. ხეობაში ბინადრობს კეჩუას ენაზე მოლაპარაკე ბევრი მკვიდ-

რი *კამპენსინო* თემი,¹ რომელთა მაცხოვრებლებსაც მოჰყავთ კარტოფილი, კინოა, ცერცვი და ანდების სხვა მარცვლოვანი კულტურა. ხეობის რელიეფი ადგილობრივთა ფერმებითა და ტალახის აგურისაგან ნაშენი სახლებითაა მოფენილი, ხოლო მათი ცხვრები, ლამები და მსხვილფეხა რქოსნები შემოგარენ მინდვრებში ბალახობენ. ხეობა ჰუანუნის მდინარით ირწყვება, რომელიც თავისი სათავიდან ჩრდილო-დასავლეთით, კორდილერა დე ლოს ფრაილესში, მიედინება და მარილიან, თავთხელურ-ურუს ტბაში ჩაედინება. მიუხედავად ასეთი გარეგნული მხარისა, ამ ხეობის ისტორია მშვიდი და უშფოთველი არ ყოფილა. და მართლაც, ლანდშაფტი დაპყრობებისა და დაქვემდებარების განუწყვეტელი ტალღის ნაკვალევს ატარებს: ინკები, რომლებიც ურუ ჩიპაიასა და აიმარას ხალხებზე ბატონობდნენ, ხეობას თითქმის ერთი საუკუნე მართავდნენ, სანამ ფრანგებმა არ განდევნეს 1500-იანი წლების დასაწყისში. ფრანგები კი 300 წლის მერე, ბოლივარის რევოლუციის დროს დამარცხდნენ, რამაც გზა გაუხსნა რესპუბლიკის ხანის ასიენდების² შექმნას. ასიენდები სასოფლო-სამეურნეო მამულები იყო, რომლებსაც მცირე ზომის კრეოლი³ (თეთრი) ელიტა მართავდა. ხეობის ამჟამინდელ მაცხოვრებელთა ახლო წინაპრები პონგოები იყვნენ – მკვიდრი მინათმოქმედი დაკაბალებული მუშები, რომლებიც 1945 წელს პეონაჟისგან⁴ გათავისუფლდნენ და 1953

1 ტერმინი *კამპენსინო*, რომელიც ინგლისურში არასწორადაა ინტერპრეტირებული, როგორც „გლეხი“, სინამდვილეში აღნიშნავს წვრილ-მესაკუთრე მინათმოქმედს. ბოლივიის ანდების ხეობასა და ალტიპლანოში *კამპენსინოები* ძირითადად კეჩუასა და აიმარაზე მოლაპარაკე მკვიდრი (*originario*) ხალხია. ბოლივიაში გავრცელებული გამოყენების მსგავსად, ამ სტატიამაც ორ ტერმინს ვიყენებ ერთმანეთის პარალელურად, იმის აღსაღნიშნად, რომ ჰუანუნის ხეობის მაცხოვრებლები მკვიდრნი არიან თავიანთი ეთნიკურიდან გამომდინარე და *კამპენსინოები* თავიანთი საქმიანობისა და კლასობრივი იდენტობიდან გამომდინარე. ხეობის მაცხოვრებლები თავიანთ თავს ჩვეულებრივ მოიხსენიებენ, როგორც „campesino originario“ (მკვიდრი წვრილ-მესაკუთრე მინათმოქმედი). ესპანური *originario*-ს ნაცვლად ვიყენებ ტერმინს „მკვიდრი“, ვინაიდან ეს უფრო ხშირად გამოიყენება აკადემიურ ლიტერატურაში. მეტი ინფორმაციისთვის ბოლივიის მკვიდრი მოსახლეობის შესახებ, იხ. პეროუ და გრინი (მალე გამოქვეყნდება).

2 მსხვილი მამული ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანაში, შეესაბამება არგენტინისა და ჩილეს ესტანსისა და ბრაზილიის ფანენდას. (უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2006)

3 ესპანურ, პორტუგალიურ და ფრანგულ კოლონიებში დაბადებული ევროპელი კოლონიზატორების შთამომავლები. (ბიოლოგიური და სამედიცინო ტერმინები და ცნებების ლექსიკონი, 2011)

4 პეონი – გლეხი, რომელიც მემამულეზე კაბალური დამოკიდებულების შედეგად მევალე მონად გადაიქცა. პეონაჟი – პეონებისადმი კაბალური დამოკიდებულება ვალის გადაუხდელობის გამო. (უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1989)

ნლის აგრარული რეფორმის შემდეგ მიწები გადაეცათ, რამაც ასიენდები და მათგან მომდინარე რასისტული ბატონყმური სისტემაც გააუქმა.

1952 წლის სოციალური რევოლუციის შედეგად ასიენდას მიწები პონგოს თემებს შორის გადანაწილდა. ამ რევოლუციამ ხეობის მაღლა, მთებში, სამთო საქმის მეტად აქტიურ ამუშავებასაც შეუწყო ხელი. აგრარული რეფორმის შედეგად ადგილობრივ წვრილ-მესაკუთრე მინათმოქმედებს (შემდგომში *კამპენსინოებს*) წყალსა და მიწაზე მიენიჭათ უფლება. თუმცა ეკოლოგიური მდგომარეობის უკიდურესი გაუარესების გამო ამ ახლადმიღებულ უფლებათა უპირატესობები მალევე ჩაბარდა წარსულს. ხეობაში მე-20 საუკუნიდან მოყოლებული სამთო-სამრეწველო საქმიანობა და მასთან დაკავშირებული დაბინძურება ხან იკლებს, ხან კი მატულობს. ბოლო ათწლეულია, კალის ფასის ზრდასა და სახელმწიფო სამთო კომპანიის (COMIBOL) ხელახლა ამუშავებასთან ერთად, დაბინძურების ხარისხმა განსაკუთრებულად იმატა. სანამ ჰუანანის ხეობაში დაეშვება, მდინარე კალის სახელმწიფო მალაროსთან ჩივილის და წყლით ამარაგებს მას. მალარომდე მდინარე საკმარისად სუფთა და ვარგისია მარცვლეულის მოსარწყავად, თუმცა როგორც კი მალაროს სცდება, კუპრივით შავი მოედინება. მდინარე დაბინძურებულია მალაროს გადამამუშავებელი ქარხნის დანალექებისაგან, ქიმიური ნივთიერებებისგან, ჩამდინარე წყლებისგან, გადავსებულია მძიმე ლითონითა და მყარი ნარჩენებით. წვიმიან სეზონზე (ოქტომბრიდან თებერვლის ჩათვლით) ადიდებული მდინარე მომწამვლელ შლამს ნაპირებსა და ველებზე რიყავს, ინვევს ნიადაგის არაპროდუქტიულობას – მოსახლეობას უწევს მაღლობზე, მდინარის ნაპირიდან მოშორებით გადასახლება. ჭები დანამლულია, ცხოველები ავადდებიან. მაცხოვრებლები სხვადასხვაგვარი დაავადებებით იტანჯებიან, მათ შორის, სასუნთქი გზების დაავადებებით, რაც განსაკუთრებით მწვავედება ზაფხულში, რადგან დანალექი ქანების ნამწვს აგვისტოს ქარები ჰაერში ავრცელებს. ვინაიდან მაცხოვრებლებს აქვთ მიწისა და წყლის დანაკარგის, მარცვლეულის მოყვანისა და შინაური საქონლის მოვლის პრობლემა, ისინი ტოვებენ თავიანთ თემს და სამსახურის საძებნელად ბოლივიის დიდ ქალაქებში, ან მეზობელ არგენტინასა და ბრაზილიაში მიდიან.

ჰუანუნის ხეობის ჰიდრო-სოციალური ურთიერთობები დიდწილად სამთო მრეწველობითაა ფორმირებული. მდინარის დაბინძურების შედეგები და მისი დინების მიმართულება განაპირობებს და აწარმოებს ისტორიულად

დალექილ უთანასწორო ძალაუფლებრივ ურთიერთობებსა და სოციალურ ექსკლუზიას. მარქსისეული ტერმინებით თუ ვიმსჯელებთ, ჰუანუნის ხეობის მაცხოვრებლები მუდმივად განცალკევებულნი არიან თავიანთი წარმოების საშუალებებისა და სოციალური კვლავწარმოებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ ეს მიმდინარე პროცესი თვისებრივად განსხვავდება მარქსის მიერ აღწერილ ეგრეთ წოდებულ „პირვანდელ დაგროვებასთან“ დაკავშირებულ სათემო მიწების კონცესიებისაგან, დამონებისა და სახელმწიფო ვალის ტყვეობისაგან, ის მაინც უდავოდ არის, ერთი მხრივ, ძალდატანებითი გაუცხოება შრომისა მიწისაგან, ხოლო მეორე მხრივ, ადგილობრივ წვირლ-მესაკუთრეთა პროლეტარიზაცია. ჰარვის (2003) ძალისხმევა, განეხილებინა მარქსისეული რედაქცია, დღეს უკვე სამკაოდ ცნობილია. ამ კონცეფტუალიზაციაში, პირვანდელი დაგროვებისათვის ნიშანდობლივი ჩამორთმევის ფორმები არ არის მხოლოდ „კაპიტალიზმის პირველქმნილი ცოდვა“⁵, როგორც ამას მარქსი ასკვნის, არამედ მიმდინარე პროცესი, რომელიც დაგროვებისთვისაა აუცილებელი და გატარებულია, როგორც ჭარბდაგროვების პერიოდული კრიზისის საპასუხო სტრატეგია. ჰარვისთვის „დაგროვება ჩამორთმევით“ არის დაგროვების უმთავრესი ხერხი ნეოლიბერალური კაპიტალიზმის პირობებში. თუმცადა, რამდენადაც კოლექტიური უფლებებისა და წყალზე ხელმისაწვდომობის ჩამორთმევას უმეტეს შემთხვევაში აიგივებენ პრივატიზაციასა და მარკეტიზაციასთან (eg Swyngedouw 2005), წყლის ჩამორთმევამ შეიძლება სხვა ფორმებიც მიიღოს, როგორცაა მისი დაბინძურება და მონამვლა, რაც ინვესტ კიდევ მისი საჯაროობის მოსპობასა და მის ეფექტურ „კონცესირებას“. ამ სტატიაში ვცდილობ არგუმენტირებულად წარმოვადგინო გაფართოებული გაგება პირვანდელი დაგროვებისა, რომელიც პასუხისმგებელია: ერთი მხრივ, ბუნების დაქვემდებარებულ როლზე დაგროვებისა და ჩამორთმევის გზის გაკვალვის საქმეში (Sneddon 2007); ხოლო მეორე მხრივ იმაზე, თუ როგორ განსაზღვრავს და განაპირობებს ჩამორთმევა სოციალური კვლავწარმოების ფორმებსა და მისი განხორციელების შესაძლებლობებს (Roberts 2008).

ამ სტატიაში ვცდილობ გამოვარკვიო რთული ურთიერთკავშირი მომწინაველი დანალექების დაგროვებასა და კაპიტალის დაგროვებით გამონვეულ ჩამორთმებას შორის. ამას ვანალიზებ შემდეგი საკითხების

5 მინიშნებაა ადამის პირველქმნილ ცოდვაზე (მთარგმნელის შენიშვნა).

კვლევის საშუალებით: ბოლივიაში, მდინარე ჰუანუნის ხეობაში, სამთო მრეწველობით გამოწვეული წყლის დაბინძურება და ამ დაბინძურების გავლენა ჰუანუნის მაღაროს დაბლა, მდინარის მიმართულებით დასახლებული 14 ადგილობრივი კამპენსინო თემის სოციალურ კვლავნარმოებაზე. უფრო კონკრეტულად, ამ სტატიაში ჰარვის ცნებას „**დაგროვება ჩამორთმევით**“ ვიყენებ შემობრუნებული მნიშვნელობით და შევისწავლი, თუ როგორ ჩამოართვეს სოფლის მაცხოვრებლებს კუთვნილი საარსებო საშუალებები დაგროვების სამი ცალკეული პროცესის საშუალებით. დაგროვების ეს პროცესებია: მომწამვლელი დანალექების დაგროვება ჭალებში, რომლებიც წინათ მოსავლიანი იყო; წყალისა და წყალზე უფლებისა დაგროვება სამთო მრეწველობისთვის ინტენსიური გამოყენების მიზნით; მიწის დაგროვება, რამდენადაც სამთო საქმიანობის სივრცობრივი „ნაკვალევი“ დღითიდღე იზრდება.⁶ სიტყვათშეთანხმების „**ჩამორთმევა დაგროვებით**“ გამოყენებისას არ მინდა არარსებული პარალელები გავავლო: აშკარაა, რომ მარქსის მიერ შესწავლილი „კაპიტალის დაგროვება“ განსხვავდება წყალზე უფლების, მიწისა და დანალექების დაგროვებისაგან. ნაცვლად ამისა, ჩემი მიზანია, გამოვავლინო ის პირობითი და წრიული ურთიერთკავშირი, რაც არსებობს, ერთი მხრივ, წყალზე უფლების, მიწისა და დანალექების დაგროვებასა და, მეორეს მხრივ, სახელმწიფოს მიერ მართულ კაპიტალისტურ დაგროვებას შორის; ურთიერთკავშირი, რომლის გამოსობითაც მკვიდრ კამპენსინო ხალხს ჩამოერთვა საკუთარი ქონება და რესურსები (cf Sneddon 2007). სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, მინდა შევისწავლო, ბუნების სპეციფიკურ ფორმათა მატერიალურობა – წყალი და დანალექები – როგორ აყალიბებს ჩამორთმევის პროცესს მათი დაგროვების გზით. შემდეგ ქვეთავში მიმოვიხილავ პირვანდელი დაგროვებისა და ჰიდროსოციალური ურთიერთობების კონცეფციებს, რომელთა გაანალიზებაც სარგებლიანია მითვისების პროცესის გასაგებად ჰუანუნის ხეობაში. შემდეგ კი განვიხილავ ხეობის საარსებო საშუალებათა ჩამორთმევას წყალზე უფლების, ტერიტორიისა და მომწამვლელი დანალექების

6 დაგროვების მეოთხე ფორმა, რომელიც საჭიროებს აღიარებას და მოითხოვს ანალიზს, არის მძიმე მეტალებისა და სხვა მომწამვლელი ნივთიერებების დაგროვება ადამიანთა სხეულებსა და მათ შინაურ ცხოველებში. ასეთი კვლევა მოითხოვს ეპიდემიოლოგიურ ანალიზს, რომლის ჩატარების შესაძლებლობაც არ მომეცა და რომლის შესახებაც ბოლივიიდან სანდო მონაცემები არც არსებობს.

დაგროვების გზით. სტატია მთავრდება პირვანდელი დაგროვებისა და სასოფლო საარსებო საშუალებათა ჩამორთმევის პროცესების განახლებული გაანალიზებით თანამედროვე ბოლივიის – სამთო მრეწველობასთან დაკავშირებული ბუნებრივი გარემოს დეგრადაციის – კონტექსტში.

დაგროვების დანაწევრება, პირვანდელი დაგროვება და სხვა

პროლეტარიზაცია ასპარეზზე ბრუნდება. ბოლო ათწლეულია სამეცნიერო ინტერესი განახლდა კაპიტალის დაგროვების ფუნდამენტური თუ ფენომენოლოგიური შემადგენლებისა და ისეთი სამეცნიერო შესწავლის ობიექტებისადმი, როგორცაა გლეხთა გალატაკება, მათი გასაქონლება და სოფლებიდან გამოდევნა, საჯარო სიკეთეების პრივატიზაცია, მიწის მითვისება და „კონცესირების თანამედროვე ფორმები“ (Levien 2012). ამ პროცესების ყველაზე ცნობილი გაანალიზება და დამუშავება უდავოდ ჰარვის მსჯელობაა საკითხზე – „დაგროვება ჩამორთმევით“. ეს არის ავტორის ძალისხმევა, განახლოს და გააფართოვოს მარქსისეული „პირვანდელი დაგროვების“ ცნება (Harvey 2003; for critiques, see Ashman and Callinicos 2006; Hall 2012). ამ გაშლილ და ფართომასშტაბიან დისკუსიაში ჰარვის პოზიცია ამგვარია: პროლეტარიზაციისა და ჩამორთმევის პროცესები არ არის ერთგვარადი, პირველსაწყისი მოვლენები, როგორც ამას მარქსი გვთავაზობს. ნაცვლად ამისა, ესენია განუწყვეტელი, მუდმივმოქმედი პროცესები, რომლებიც კაპიტალიზმის სტრუქტურულად განუყოფელი მახასიათებლებია. მეტიც, ჰარვის მტკიცებით, პროცესთა ეს ვრცელი კატეგორია კონკრეტულად ნეოლიბერალური კაპიტალიზმისთვისაა ნიშანდობლივი და სწორედ ნეოლიბერალიზმისავე ფარგლებში არის „დაგროვების დომინანტური ფორმა“ (დაგროვების გადაფარვა გაფართოებული კვლავწარმოების გზით; Harvey 2003:153).⁷

7 ამ სტატიაში ნეოლიბერალიზმს განვიხილავ, როგორც პოლიტიკური ეკონომიის პროექტს, რომლის მიზანია ბაზრისა და ინვესტიციების ლიბერალიზაცია და გლობალიზაცია; სახელმწიფოს მიერ ბაზრისათვის, ინვესტიციისა და წარმოებისათვის დაწესებული შეზღუდვების მინიმალიზაცია (მაშინ, როცა დაგროვების გაადვილებისას სახელმწიფოს როლი შენარჩუნებულია); სახელმწიფოსთვის ფისკალური დისციპლინის დაწესება; სამუშაო ძალის უფლებათა შეზღუდვა (იხ. Perreault and Martin 2005). როგორც ჰარვი (2007) აღნიშნავს, ნეოლიბერალიზმი, უპირველეს ყოვლისა, არის პროექტი, რომლის მიზანია კაპიტალისტური კლასის ძალაუფლების აღდგენა. ბოლივიაში ნეოლიბერალური პოლიტიკა პირველად გატარდა 1980-90-იან წლებში და უკუიქცა (თუმცა არცთუ ბოლომდე) ევო მორალესის მთავრობის მიერ.

პირვანდელი დაგროვების შესახებ მარქსის მსჯელობისაგან განსხვავებით, ჰარვის განზრახვა კაპიტალიზმის პირველსაწყისების გამოვლენა კი არ არის, არამედ იმის ახსნა, თუ როგორ სძლევს კაპიტალი ჭარბდაგროვების მუდმივად განმეორებად კრიზისს, რაც სწორედ ნეოლიბერალიზმისთვისაა (და არამხოლოდ) ნიშანდობლივი (Hall 2012). სხვათა (იქნება ეს სახელმწიფო, გლეხი, ადგილობრივი თემი თუ, ზოგადად, საზოგადოება) კუთვნილი ქონების პრივატიზების, გასაქონლებისა და გაუფასურების საშუალებით იქმნება ახალი შესაძლებლობები ინვესტირებისა და დაგროვებისათვის.

თუმცა ჰარვი თავადაც აღიარებს, რომ საკითხის ამგვარი ხედვა არც თუ ისე ახალია. როზა ლუქსემბურგმა (1968) საუკუნის წინ ამოიციწო, რომ კაპიტალიზმი გარე ძალასაც საჭიროებს, რათა უზრუნველყოს მზარდი დაგროვება. მისი მიგნება დაგროვების გარეეკონომიკური ფაქტორების შესახებ დღემდე საკმაოდ გავლენიანია. და მართლაც, კაპიტალიზმსა და კაპიტალიზმამდელ თუ გარეკაპიტალისტურ ძალებს შორის ურთიერთკავშირი დაქვემდებარებულობის თეორიათა ქვაკუთხედი და მსოფლიოს სისტემათა გააზრების საფუძველია (Amin 1974). როგორც ჰარვი ამტკიცებს, თუ ნეოლიბერალური კაპიტალიზმის პირობებში დაგროვებას მართლაც ახასიათებს განსაკუთრებული თავისებურება, მაშინ ისიც უნდა დავუშვათ, რომ ჩამორთმევის, კონცესირების, გასაქონლებისა და პროლეტარიზაციის პროცესები უკვე დიდი ხანია არის კაპიტალისტური დაგროვების არსებითი და განუყოფელი პირობა (Perelman 2000).

და მართლაც, როგორც ჰოლი აღნიშნავს, პირვანდელი დაგროვების ყოველი გაგება მოიცავს კაპიტალიზმის „შიდა“ და „გარე“ მოცემულობების თეორეტიზებას იმის გააზრებით, რომ არაკაპიტალისტური სოციალური ურთიერთობები და წარმოების პირობები კაპიტალიზმისთვის ფუნქციურია იმდენად, რამდენადაც ისინი კაპიტალს უქმნიან შესაძლებლობას: სანარმოო ხარჯების ექსტერნალიზაცია მოახდინოს (მაგალითად, როგორც ეკოლოგიური პრობლემების შემდგომი „მოგვარება“ დაბინძურებისა და ბუნებრივი გარემოს დეგრადირების საშუალებით) და თავი დაიძვრინოს სამუშაო ძალის კვლავწარმოების ხარჯებისაგან (see Bakker 2009; Glassman 2006; Roberts 2008). მსგავს გაგებას გამოხატავს დე ჯანვრის (1981) დარგობრივი დანაწევრებისა და ფუნქციური დუალიზმის „ტყუპი“ ცნებები. ეს იმგვარი ფაქტორებია, რომელთა საშუალებითაც ექსპორტ-

ზე ორიენტირებული კაპიტალისტური სექტორი თანაარსებობს საარსებო საშუალებათა შიდასამეურნეო სექტორთან. გალატაკებული საარსებო საშუალებათა შიდასამეურნეო სექტორი (ჯანვრისა და ჩემს შემთხვევაში, გლუხთა ეკონომიკა) ერთი მხრივ გათიშულია, ხოლო მეორე მხრივ, სარგებლობს როგორც მისივე იაფი მუშახელისა და სოციალური კვლავნარმოებისგან, ისე ექსპორტზე ორიენტირებული ინდუსტრიული სექტორისაგან. ამგვარად, საარსებო საშუალებათა შიდასამეურნეო სექტორიც, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივია ჩაბმული კაპიტალისტურ ურთიერთობებში, ემსახურება კაპიტალის დაგროვების საქმეს. სწორედ ამგვარი შემთხვევაა ჰუანუნის ხეობა, სადაც ნახევრად შიდა-სამომხმარებლო, დაბალანაზღაურებადი, მიგრაციული სამუშაო ძალა გარკვეულწილად ხელს უწყობს ურბანულ კაპიტალსა და სამთო მრეწველობას.

საკითხის ამგვარი გააზრება ააშკარავებს ჩამორთმევის, დაგროვებისა და პროლეტარიზაციის სხვადასხვაგვარ გამოვლინებებს. მიუხედავად იმისა, რომ მარქსი პირვანდელ დაგროვებას არ უკავშირებს ჭარბდაგროვებისათვის დამახასიათებელ კრიზისს (როგორც, ჰარვი აკავშირებს მათ თავისი კონცეფციით – „დაგროვება ჩამორთმევით“), ის მაინც აღიარებს, რომ პირვანდელი დაგროვება უწყვეტი პროცესია, ნაირგვარი ისტორიითა და გეოგრაფიით (Perelman 2000). დაგროვების ცნების ანალიზისას დე ანჯელისი (2001:11) ერთმნიშვნელოვნად ამტკიცებს, რომ მარქსისეული პირვანდელი დაგროვების ცნება ბევრ ფორმას გულისხმობს და არ შემოიფარგლება მხოლოდ მიწის პირდაპირი კონცესიით. დე ანჯელისი (2004:68) სხვა ნაშრომშიც წერს ამ ორ ურთიერთდაკავშირებულ საკითხზე:

ერთი მხრივ, პირვანდელი დაგროვება არის მწარმოებელისა და საწარმოო საშუალებათა განცალკევების საწყისი წერტილი (ex-novo). მეორე მხრივ, ის გულისხმობს, რომ კონცესია განსაზღვრავს და განაპირობებს სოციალურ ძალებს შორის გადანაწილებულ სტრატეგიულ რელიეფს. ამ სტრატეგიაში კი თამაშვარე და გავლენამოცლილ პოზიციას, რა თქმა უნდა, ისტორიული, გეოგრაფიული, კულტურული და სოციალური კონტექსტი განაპირობებს... კონცესირების პროცესი არის საფუძველი, წინასწარი ვარაუდი და აუცილებელი წინაპირობა კაპიტალის დაგროვებისათვის.

მოკლედ, მარქსის (1967:714) განმარტებით, პირვანდელი დაგროვება სხვა არაფერია, თუ არა „ისტორიული პროცესი მწარმოებლის განცალკევებისა და ჩამოშორებისა წარმოების საშუალებებისაგან“, რაც არის კიდევ კაპიტალის დაგროვების წინაპირობა. ამ საკითხთან დაკავშირებით მცირედი შეუთანხმებლობა არსებობს. პირვანდელი დაგროვების სტრატეგიული ელემენტი – რასაც დელ ანჯელისიცი აღნიშნავს და რაც ჰარვის მსჯელობის საფუძველმდებარე დაშვებაა – იმსახურებს ხელახალ განხილვას. ეჭვგარეშეა, რომ კონცესირებული საძოვრებიდან გლეხების გამოძევება და სათესლე მასალის ნაირსახეობათა პატენტის პრივატიზაცია მართლაც არის კაპიტალის დაგროვების ერთ-ერთი სპეციფიკური სტრატეგია. თუმცა ისიც მართალია, რომ პროლეტარიზაციის პროცესი ორ ცალკეულ საფეხურს მოიცავს: ერთია, მუშახელის ჩამორთმევა [სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან] და მეორეა, მათი შთანთქმა სამუშაო ძალაში (რა პროცესებიც შეიძლება დროსა და სივრცეში საკმაოდ განცალკევებული იყოს). თვითონ მარქსი ამ საკითხზე არაპირდაპირ მინიშნებას აკეთებს თავის მსჯელობაში „სისხლიანი კანონმდებლობა ქონებაჩამორთმეულთა წინააღმდეგ“, რომელსაც აანალიზებდა მათხოვრების, მძარცველებისა და უსახლკაროების მაგალითზე რამდენიმე საუკუნის ისტორიულ კონტექსტში (Marx 1967). ჩამორთმევა გარკვეულ დროს საჭიროებს და შესაძლოა არც ჰქონდეს კავშირი საკუთრებაჩამორთმეულთა დასაქმების სამომავლო პერსპექტივასთან. ჰუნუნის ხეობაც ისეთი ადგილია, სადაც კაპიტალი მთლიანად მოიხმარს მიწასა და ბუნებრივ რესურსებს, თუმცა ადგილობრივ მახცოვრებელთა სამუშაო ძალას მხოლოდ მცირედით თუ იყენებს.

რამდენადაც ჰარვი (2003) ყურადღებას ამახვილებს კონცესირების პროცესზე პროლეტარიზაციასთან შეპირისპირებით, მარქსის ჰარვისეული გადამუშავება მართლაც რომ გამოსადეგი ანალიტიკური საშუალებაა მიწის, წყლისა და სხვა ბუნებრივი რესურსების ჩამორთმევის შესასწავლად. როგორც გლასმენი (2006) და ლევიენი (2012) აღნიშნავენ, კონცეფციას „დაგროვება ჩამორთმევით“ სწორედაც რომ მისი გარეეკონომიკურ ხასიათი მატებს ანალიტიკურ წონას, რამდენადაც ამ პროცესებს განარჩევს გაფართოებული კვლავწარმოებით დაგროვებისაგან. ჩემი მტკიცებით, სიღრმისეულ გაანალიზებას საჭიროებს გარეეკონომიკური საშუალებები, რომელთა გავლითაც ვლინდება ჩამორთმევა. უფრო კონკრეტულად კი,

შესასწავლია, ბუნება რა ფორმითაა „გარეული“ ამ პროცესებში. ამგვარი მიდგომა ცხადყოფს, რომ კონცესიის ნებისმიერი პროექტი გარდაუვლად და თანადროულადაა ბუნებრივ გარემოსთან დაკავშირებული პროექტიც (Sneddon 2007). ეს მიდგომა არის ანალიტიკური კარიბჭე, რომელიც ჰარვიმ შეალო, თუმცა შიგნით თვითონ აღარ შეუბიჯებია. შემდგომში განვიხილავ, თუ რატომაა მეტი ყურადღება დასათმობი იმ გაუთვალისწინებელ და დაქვემდებარებულ როლზე, რასაც ბუნების მატერიალურობა თამაშობს ჩამორთმევის პროცესში. სწორედ ამას ვუნოდებ „ჩამორთმევას დაგროვებით“, რომელიც არც თუ იმდენად კრიტიკა, რამდენადაც გაგრძელებაა ჰარვის იდეებისა. ამ პროცესებს განსაკუთრებით თვალნათელს ხდის ჰუანუნის ხეობაში ისტორიულად დაღეჭილი ჰიდრო-სოციალურ ურთიერთობები, რომლებსაც შემდგომ ქვეთავებში განვიხილავთ.

ჰიდროსოციალური ურთიერთობები და წყლის პირვანდელი დაგროვება

ბოლო წლებში ბევრი რამ დაინერა ე.წ. ჰიდროსოციალური ციკლის შესახებ: „მილსადენების, წყლის რესურსების სამართლის, მრიცხველების, ხარისხის სტანდარტების, ბადის შლანგების, მომხმარებლების, ჟონვადი ონკანების კომპლექსური ქსელებისა და ასევე ატმოსფერული ნალექების, აორთქლება-ამოქრობისა და წყლის დონის დაცემის შესახებ“ (Bakker 2002:774; see also Budds 2008; Swyngedouw 1999). ამგვარი გაგებით, წყალი არის „სოციო-ბუნებრივი“ მოცემულობა – სოციალური ბრძოლისა და ბუნება-ადამიანის ურთიერთმიმართების კომპლექსური განლაგების მედიუმიც და შედეგიც (Swyngedouw 2004:25). ამ ნაშრომის მიზანია ცხადყოფს, თუ როგორ ასახავს და აწარმოებს სოციალურ ძალაუფლებრივ ურთიერთობებს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა წყალზე უფლება და ხელმისაწვდომობა, მისი დინების მიმართულება, მისი ხარისხი და რაოდენობა. ამ მნიშვნელობას კარგად გამოხატავს ბადის და ინოხობას (2012:124) მიერ შემუშავებული ცნება „წყლის პანორამა“, რაც ასახავს იმას, თუ როგორ „ურთიერთიკვეთებიან წყლის დინების მიმართულება, ძალაუფლება და კაპიტალი და აწარმოებენ“ უთანასწორო სოციო-ბუნებრივ ურთიერთობებს, „რომელშიც სოციალური ძალაუფ-

ლება ჩამენებული და ფორმირებულია წყლის მატერიალური დინებითა და მისი სიმბოლური მნიშვნელობით“ (იხ. ასევე Perreault, Wraight and Perreault 2012). თუმცა, რამდენადაც წყლის ცირკულაციის ჰიდროსოციალურ ტრილში გააზრებამ გამოავლინა მისი როგორც პროდუქტიული, ისე პროვოკაციული ხასიათი, ყველაფერი, რაც წყალთანაა დაკავშირებული, ერთნაირად არ ცირკულირებს. თვითონ წყალი (H₂O) ცირკულირებს, ხოლო ჰიდროსოცი-ალური სისტემის სხვა ელემენტები დაგროვებისკენაა მიდრეკილი; მათ შო-რის წყლისგან გაჩენილი დანალექები, ბიოტოქსინები, უფლება წყალზე და წყალთან დაკავშირებული ცოდნის სხვადასხვა ფორმა. შესაბამისად, მარტ-სის მიერ შესწავლილი ვაპიტალისტური პროცესების მსგავსად, თუმცა არა იდენტურად, დაგროვება (ნარჩენების, მომწამვლელი ნივთიერებების, წყალ-ზე უფლების და სხვ.) გულისხმობს (თვითონ წყლის) ცირკულაციასაც.

ეს ყველაფერი მხოლოდ სიტყვებით თამაში არ არის. ბუნების მატერიალუ-რობა უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს პირვანდელი დაგროვების პრო-ცესში, თუმცა ეს როლი თეორიულად არასაკმარისადაა შესწავლილი. მაშინ ამგვარი კითხვაც უნდა დავსვათ: რა ცვლილება შეაქვს ბუნებას დაგროვების პროცესში, და მეტიც, ბუნების გარკვეულ ფორმათა (წყლის, დანალექების, მი-ნერალების, ბიოტოქსინების და სხვ.) მატერიალურობა როგორ განსაზღვ-რავს ჩამორთმევის პროცესს. სნედონის (2007:186) სიტყვებით თუ ვიტყვით, „დაგროვების პროცესი ყოველთვის იწვევს ბუნების ტრანსფორმაციას. ეს ხდება მრავალგვარი გზით, ხოლო იმ სპეციფიკური ბიოფიზიკური ურთიერ-თობების გაანალიზება, რომლებიც ასეთი ტრანსფორმაციითაა განპირობე-ბული და დაზიანებული, არის აუცილებელი წინაპირობა იმ კონფლიქტების გასაგებად, რომლებიც ბუნებრივი გარემოს ცვლილებებს მოჰყვება ხოლმე“. მინისა და წყლის ჩამორთმევის, ბუნების დაბინძურების, სედიმენტაციისა და ბიოაკუმულაციის – ყოველი იმ პროცესის შესწავლა, რომლებიც სამთო მრეწველობასთანაა დაკავშირებული, ააშკარავებს ჩამორთმევის პირობით ბუნებას, როგორც ჰუანუნის ხეობაში ისე სხვაგანაც. ამგვარი ძალისხმევა სა-სარგებლოა, რამდენადაც ეს პროცესები ნათელს ხდის, თუ როგორ იწვევს პირვანდელი დაგროვება არამართო სანარმოო საშუალებათა პრივატიზა-ციას. როგორც მაკარტი აღნიშნავს, საერთაშორისო სავაჭრო შეთანხმების შემთხვევაში, პირვანდელი დაგროვება იწვევს „წარმოების ეკოლოგიური მდგომარეობის პრივატიზებასაც. მარტივად თუ ვიტყვით, [სავაჭრო შეთანხ-

მებების] საფუძველზე დადგენილი „საკუთრების უფლება“ რეალურად არის ზოგიერთი კომპანიისთვის მინიჭებული უფლება – დააბინძურონ გარემო, გამოიწვიონ ეკოლოგიური ზიანი და გარემოზე მავნე ზემოქმედება, რაც ადგილობრივ მაცხოვრებლებზე აისახება“. ეს ხდება ჰუნუნის ხეობასა და სხვა ადგილებში, სადაც სამთო მრეწველობა დომინირებს ადგილობრივ ეკონომიკაზე; სადაც არა-მოპოვებითი საარსებო საშუალებები და მათზე დამოკიდებული ადამიანები სამთო სამრეწველო სექტორის დაგროვებით მოთხოვნებზე არიან დაქვემდებარებულნი. სწორედ ამ პროცესებს განვიხილავთ მომდევნო ქვეთავში.

სამთო მრეწველობის, წყლისა და საარსებო საშუალებათა გეოგრაფია ბოლივიის ალტიპლანოში

სამთო მრეწველობა დიდი ხანია არის ბოლივიის პოლიტიკური ეკონომიისა და ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელი ფაქტორი. პოტოსის ვერცხლის საბადო ერთ დროს ყველაზე მდიდარი იყო ესპანეთის იმპერიაში. მეოცე საუკუნის დასაწყისში კი, ორუროს საბადოების წყალობით, ბოლივია თუნუქის მთავარი ექსპორტიორი გახდა, თუნუქის ბარონი სიმონ პატინო კი – ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი მსოფლიოში (Nash 1993). დღესდღეობით, მიუხედავად იმისა, რომ სამთო მრეწველობის ეროვნული მნიშვნელოვნობა ბუნებრივმა გაზმა დაჩრდილა, ის მაინც მთავარი ეკონომიკური საქმიანობაა პოტოსსა და ორუროში, ხოლო სამთო სამრეწველო საიჯარო ქირა პრეზიდენტ ევო მორალესის სოციალური პოლიტიკის დაფინანსებას უწყობს ხელს (Gudynas 2009; Kohl and Farthing 2012). მიუხედავად იმისა, რომ ბოლივიის მთავრობა დიდი ხანია დამოკიდებულია რესურსების მოპოვებაზე, ამ საქმიანობამ მხოლოდ მცირედი წვლილი თუ შეიტანა ადგილობრივ და რეგიონალურ განვითარებაში. მეტიც, პოტოსი და ორურო დღესდღეობით ყველაზე ღარიბი რეგიონებია ქვეყანაში. ბოლივიის პირველი მკვიდრი პრეზიდენტის, ევო მორალესის, დაპირება იყო ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და ქვეყნის მკვიდრ და წვრილ-მესაკუთრე მიწათმოქმედთა (კამპეზინინოთა) პოლიტიკური ხმის გაჟღერება. ის ემხრობა ქვეყნის მინერალური რესურსების

განვითარებას, რომელთა უმრავლესობაც (თუ ყველა არა) მკვიდრი მოსახლეობის ან მათ მოსაზღვრე ტერიტორიაზეა. სინამდვილეში კი, ბევრი მკვიდრი წვრილი მინათმოქმედი ასეთი წინააღმდეგობის წინაშე აღმოჩნდა – ერთ მხარესაა მთავრობის დანაპირები გაძლიერებული ეკონომიკისა და მეტი პოლიტიკური შესაძლებლობის შესახებ, ხოლო მეორე მხარესაა რეალობა – მათ მიწებზე რესურსების გაფართოებული მოპოვებისა და მასთან დაკავშირებული დაბინძურების საფრთხე.

ეს დილემა მეტყველებს „ახალი ექსტრაექტივიზმის“ (Bebbington 2009; Gudynas 2009) გამოუვალ მდგომარეობაზე, როდესაც ანდების რეგიონში მთავრობა და დანარჩენი პოლიტიკური სპექტრი უფრო და უფრო მეტად ხდებიან დამოკიდებულნი მოპოვებით ინდუსტრიაზე, რათა მოახერხონ მოსაკრებლის გენერირება. და მართლაც, კოლონიური პერიოდიდან მოყოლებული, რესურსების მოპოვება ლათინური ამერიკის ეკონომიკის უმთავრესი საყრდენია. თუმცა გლობალური სასაქონლო ფასების ბოლოდროინდელი ზრდა და ტექნოლოგიური მიღწევები ისეთ ადგილებსა და ისეთი მასშტაბებით მოპოვების საშუალებას იძლევა, რაც აქამდე შეუძლებელი იყო. ეს კი მთავრობებზე გენოლის საფუძველი ხდება, რომ უცხოურ ინვესტიციებს სამთო მრეწველობის, გაზისა და ნავთობის მოპოვების ნებართვა მისცენ (Gudynas 2009). ანდების რეგიონის მთავრობები ამა თუ იმ მასშტაბით ახერხებენ ნახშირბადისა და სამთო მრეწველობისაგან მიღებული იჭარა სოციალური კეთილდღეობის პროგრამების დაფინანსებისთვის გამოიყენონ, რაც ზოგისთვის (გააჩნია პერსპექტივას) ახალი სოციალური კონტრაქტისთვის განეულ ძალისხმევად აღიქმება, ზოგისთვის კი – ემშაკთან დაზავებად (Bebbington et al 2008). მემარცხენე და მემარცხენეობისაკენ ორიენტირებული მთავრობების მიერ, (ვენესუელა, ეკვადორი, ბოლივია და არგენტინა) გემოსხნებულ პოლიტიკა „პოსტ-ნეოლიბერალური“ პოლიტიკის საფარქვეშ ხორციელდება (Bebbington and Humphreys Bebbington 2010). მათთვის სასურველი პრეფიქსების მიუხედავად, ამ მთავრობებმა მხოლოდ ნაწილობრივ თუ შეძლეს თავი დაეხსნათ თავიანთი ნეოლიბერალური ატრიბუტებისაგან, რამდენადაც დავალებულნი არიან როგორც სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის წარსული გამოცდილებით (Kaup 2010), ისე რესურსებზე დაუძნებელი ეკონომიკის მდგრადი სტრუქტურული დაქვემდებარებულობით (Kohl and Farthing 2012).

ბოლივიაში ევო მორელესმა და მისმა პარტიამ „სვლა სოციალიზმისკენ“ ლარიბებისთვის, მოხუცებისა და ბავშვებისათვის სუბსიდიები დაანწესა, რასაც გამზისა და (უფრო ნაკლებად) სამთო მრეწველობისაგან მიღებული იჯარით ფარავენ. ასევე გაძლიერდა სახელმწიფო კონტროლი საკვანძო მოპოვებით სექტორებზე, გარდა ამისა, განახლდა სახელმწიფო სამთო სამრეწველო კომპანია „კომიბოლი“ (COMIBOL). ამ ნაბიჯებმა, რაც საერთაშორისოდ მაღალ სასაქონლო ფასებთანაა გადაჭაჭვული, გაზარდა მთავრობის ფისკალურად დამოკიდებული მდგომარეობა მოპოვებით ინდუსტრიებზე. თუმცა მთავრობა იმავენაირად დამოკიდებული რჩება საგარეო ინვესტიციებსა და ტექნოლოგიებზე, რათა შეძლოს ნახშირბადისა და სასარგებლო წიაღისეულის მარაგის ათვისება. ეს კი ამწვავებს ამ საქმიანობებთან დაკავშირებული ფასების, პრივილეგიებისა თუ კეთილდღეობის უთანასწორო გადანაწილებას; ზღუდავს სახელმწიფოს შესაძლებლობებს, მოპოვებითი ინდუსტრიიდან გადაინაცვლოს რესურსების ათვისების მეტად სამართლიან და გრძელვადიან ფორმებზე (Gudynas 2009; Laing 2012). ეს შედეგები განსაკუთრებით თვალნათელი ხდება ჰუანანის ხეობის სამთო მრეწველობისა და მითვისების მაგალითზე, რასაც შემდეგ ქვეთავში გავაანალიზებთ.

სამთო მრეწველობა, წყალი და საარსებო საშუალებები მდინარე ჰუანუნის ხეობაში⁸

მდინარე ჰუანუნი ჩაედინება ურუ-ურუს ტბაში, რომელიც პოპოს გაუმდი-


8 ამ ქვეთავში წარმოდგენილი ინფორმაცია ეფუძნება ბოლივიაში 2009-20011 წლებში ჩატარებულ 8 თვიან სავლე კვლევას, აქედან 6 თვიანი კვლევითი სამუშაო 2011 წელს ჩატარდა. სავლე კვლევა მოიცავდა 125 შიდამურწეობის ანკეტირებას იმ 14 მკვიდრი თემიდან, რომლებიც სამთო მრეწველობით გამოწვეული დაბინძურებით არიან დაზარალებულნი. ყველა ანკეტირება პირადად ჩავატარე ესპანურ ენაზე (რამდენიმე შემთხვევაში კეჩუაზე ადგილობრივი კვლევითი ასისტენტის დახმარებით). სავლე სამუშაო ასევე მოიცავდა: 36 სიღრმისეულ ნახევრად-სტრუქტურირებულ ინტერვიუს სამთო კომპანიებისა და სახელმწიფო სამსახურების წარმომადგენლებთან, თემის ლიდერთან, მკვლევრებსა და აქტივისტებთან; წყლისა და მიწის ლაბორატორიული ანალიზს – სინჯები ავიღეთ მდინარე ჰუანუნიდან და მისი შენაკადიდან, მდინარე სანტაფედან (სინჯების ანალიზი გაკეთდა სპექტროლაბში, ორუროს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ანალიზის ლაბორატორიაში); და ჩართულ დაკვირვებას თემის შესვენებებზე, საჯარო ფორუმებზე, სამთო ინსპექტირებებსა და სხვა ღონისძიებებზე. ყველა მკვიდრი კამპენსინო თემის სახელი ფსევდონიმია.

ნარი ტბის ჩრდილოეთ გაგრძელებაა და მდებარეობს ბოლივიის ცენტრალურ ალტიპლანოში (იხ. რუკა 1). პოპოს ტბა „ეკოლოგიურად მგრძობიარე“ ზონაა. ჰუანუნი ერთ-ერთია იმ ორი დარჩენილი მაღაროდან, რომლებსაც სახელმწიფო კომპანია „კომიბოლი“ მართავს (COMIBOL – *Corporación Minera de Bolivia*. ბოლივიის სამთო სამრეწველო კორპორაცია). ეს კომპანია მძიმე მეტალებით, ქიმიური ნივთიერებებითა და გამონაჟონი მუავებით გამონვეული დაბინძურების ყველაზე დიდი წყაროა ქვეყანაში. კომპანია თითქმის 100 წელია მუშაობს და არასდროს ჰქონია შესაბამისი ტევადობის აღჭურვილობა სამრეწველო ნარჩენებისათვის. ნაცვლად ამისა, კომპანია სამრეწველო ნარჩენებს პირდაპირ მდინარე ჰუანუნიში ყრის, რომელიც 10-ზე მეტი მკვიდრი კაპმენსინო თემის დასახლებაში მიედინება და ბოლოს ურუ-ურუს ტბაში ჩაედინება. კუინტალინას და გრაციას (2009) კვლევამ დაადგინა, რომ პოპოს წყალგამყოფის ყველა მდინარე შეიცავს ისეთ მძიმე ლითონებს, როგორიცაა ტყვია, არსენიკუმი, კადმიუმი, რკინა და ცინკი. ყველა ამ მდინარის შემთხვევა აჭარბებს ბოლივიის კანონის მიერ დადგენილ დასაშვებ დაბინძურების ზღვარს. ასეთივე შედეგები გამოვლინდა მონტოიას და სხვების (2010) კვლევაში, რომლის მიხედვითაც ჰუანუნის მდინარეში დაფიქსირდა კადმიუმის, ცინკის, ტყვიისა და რკინის ზღვარს გადაჭარბებული რაოდენობა და წყალბადის დაბალი მაჩვენებელი [pH (3.5)].

ჰუანუნი სამთო მრეწველობის ცვალებად ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს, ვნახავთ, რომ მან გამოიარა: ნაციონალიზაცია (1952 წლის სოციალური რევოლუციის დროს), დახურვა (პირველი ტალღის ნეოლიბერალური რეფორმებისას 1985-ში) და პრივატიზაცია (როდესაც მთავრობამ საბოლოოდ ინვესტორი იპოვა 1990-იანებში). სამთო მრეწველობა ყველაზე მეტად ბოლო ათწლეულია გააქტიურდა. 2002 წელს „კომიბოლმა“ მაღაროზე მმართველობა დაიბრუნა მას შემდეგ, რაც მოკლევნიანი შეთანხმება შეაჩერა ბრიტანულ კომპანია „ელაიდ დიალსთან“ (L'opez et al 2010). კომიბოლმა მუშაობა შემცირებული სამუშაო ძალით განაახლა, იმ სამთო სამრეწველო კოოპერატივებთან თანამშრომლობით, რომლებმაც მაღაროს სექციებს თხრიდნენ. 2006 წელს „კომიბოლისა“ და „კოოპერავისტას“ მაღაროელების დაპირისპირებას 17 ადამიანი შეეწირა, მთავრობამ კოოპერატივები შეიერთა, ხოლო „კომიბოლის“ სამუშაო ძალა

დაახლოებით 700 მუშიდან 4500-მდე გაიზარდა (Howard and Dangl 2006). გაზრდილი სამუშაო ძალის გამო შესაძლებელი და აუცილებელიც გახდა პროდუქციის გაზრდა: 2006 წელს ყოველდღიურად მოიპოვებდნენ 400 ტონა მადანს, 2010-ში კი – 1000 ტონაზე მეტს. ამ ცვლილებას თუნუქის ფასის საერთაშორისო დონეზე ზრდამაც შეუწყო ხელი (L'opez et al 2010; MMM 2009).

რუკა 1: მდინარე ჰუანუნის ხეობა (კარტოგრაფი – ჯო სტოლი, სირაკუზის უნივერსიტეტის კარტოგრაფიის ლაბორატორია)



ერთი მხრივ, ჰუანუნის მალაროს განახლება შეიძლება საკეთილდღეო იყოს მალაროელებისთვის, კომიბოლისა და სახელმწიფო ხაზინისთვის, თუმცა მეორე მხრივ, გაზრდილი წარმოება დაბინძურების ზრდასაც ნიშნავს იმ მკვიდრი კამპენსინო თემებისათვის, რომლებიც მალაროს დაბლა, მდინარის დინების მიმართულებით არიან დასახლებულნი. მალაროდან მოპოვებული მადანი გადამუშავდება ორიდან ერთ-ერთ გამამდიდრებელ ქარხანაში: სანტა ელენას ქარხანას, რომელიც მალაროსვე ესაზღვრება, დღიურად 1200 ტონა მადნის გადამუშავება და შესაბამისი რაოდენობის

მადნის ნაყარის მართვა შეუძლია. ნაკლები რაოდენობა იტვირთება ყოველდღიურად მაჩაკამარკას გამამდიდრებელ ქარხანაში, რომელსაც დღიურად 200 ტონის გადამუშავების შესაძლებლობა აქვს. ეს ქარხანა კი მდებარეობს მდინარის ნაკადისავე მიმართულებით, მალაროსაგან დაახლოებით 15 კილომეტრის დაშორებით. სანტა ელენას ქარხანას არასდროს ჰქონია სათანადო შემაკავებელი რეზერვუარი გადამუშავებული და მომწამვლელი დანალექებისათვის. ნაცვლად ამისა, მადნის გადამუშავების შედეგად მიღებულ, მძიმე მეტალებისა და ქიმიური ნივთიერებების შემცველ დანალექებს პირდაპირ ჰუნუნის მდინარეში ცლიან. დანალექების ნაწილი კი ქალაქ ჰუნუნის მახლობლად გადააქვთ და მდინარის ნაპირებზე ცლიან, რათა ისინი „რელავროებმა“⁹ გადამუშაონ („რელავროები“ დანალექების გადამუშავებაზე მუშაობენ, რათა ის დარჩენილი 15% მინერალებიც გამოდევნონ, რაც გამამდიდრებენ ქარხანაში გადამუშავების შემდეგ მაინც რჩება დანალექებში). მათ ეს დანალექები გადააქვთ ავგებში, სადაც გოგირდის მჟავასთან, ნახშირწყალბადთან (უფრო კონკრეტულად, ნავთთან), გამოყენებული ძრავის ზეთთან და სხვა ქიმიურ ნივთიერებებთან ურევენ, რათა ბოლომდე გამოდევნონ ის მინერალები, რაც გადამუშავების შემდეგ მაინც რჩება დანალექებში (Moeller 2002). ბუნების, მუშების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით არანაირი ზომები არ ტარდება, ამ ქიმიურ ნივთიერებებს კი პირდაპირ მდინარეში უშვებენ. სანტა ელენას გადამამუშავებელი ქარხნისაგან განსხვავებით, მაჩაკამარკას ქარხანას აქვს შემაკავებელი რეზერვუარი, რომელიც ამჟამად თითქმის მაქსიმალური დატვირთვით მუშაობს. რელავროების მცირერიცხოვანი ჯგუფი ხელმეორედ ამუშავებს იმ გადამუშავებულ დანალექებს, რაც წლების მანძილზე გროვდება რეზერვუარის ქვეშ. რევალოების სამუშაოებისა და შემაკავებელი რეზერვუარიდან განონაჟონი წყლის გამოისობით დანალექები ქვევით, პირდაპირ ჰუნუნის მდინარისკენ მიედინება, რომელიც კილომეტრზე ნაკლებითაა დაშორებული ამ ტერიტორიიდან.

ჰუნუნის სამთო მოპოვებითი სამუშაოების მიერ გამოწვეული გარემოს

9 „რელავროები“ (relaves) დანალექების გადამუშავებაზე მუშაობენ, რათა ის დარჩენილი 15% მინერალებიც გამოდევნონ, რაც გამამდიდრებენ ქარხანაში გადამუშავების შემდეგ მაინც რჩება დანალექებში.

დაბინძურება უკიდურესად მძიმეა. წყლისა და მიწის ანალიზმა წყალბადის უკიდურესად დაბალი, ხოლო კადმიუმის, სპილენძის, ცინკისა და სულფატის (SO₄) ძალიან მაღალი ნიშნული აჩვენა. სინჯები აღებული იყო მდინარე ჰუანუნის სამი ადგილიდან და მდინარე სან-ტაფეს ერთი ადგილიდან, რომელიც ჰუანუნის შესართავიდან მაღლა მიედინება. მდინარე ჰუანუნის შესახებ ასეთივე ანგარიში წარადგინეს მონტოიამ და სხვებმა (2010). სან-ტა ელენას გადამამუშავებელი ქარხნის ნარჩენების გადმოცლამ გაზარდა მდინარის დანალექი ქანები, გამოიწვია მდინარის კალაპოტის დაღარვა და ეროზია (Zamora et al 2010). ქალაქ ჰუანუნის მაღაროდან მყარი ნარჩენები და ჩამდინარე წყლები პირდაპირ მდინარეში იცლება და მდინარის დინების მიმართულებით მცხოვრები მოსახლეობის წყლის ხარისხს ვნებს.¹⁰ როგორც კი ჰუანუნის მაღაროს გასცდება, მდინარე უკიდურესად დაბინძურებულია. მდინარე ვერ ასაზრდოებს ვერც მცენარეებსა და ვერც ცხოველებს, უკიდურესი ზიანი ადგება წყალბადის დაბალი მაჩვენებლით, მძიმე მეტალებით დაბინძურებითა და უჟანგბადობით. წყალს სარწყავად ვეღარ გამოიყენებენ, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვაგვარ საყოფაცხოვრებო მოხმარებაზე. გარდა ამისა, მაცხოვრებლებმა თვალყური უნდა ადევნონ ცხვარს, ლამასა თუ სხვა საქონელს, რომ ისინი მდინარის დასაღვეად არ ჩავიდნენ. მომწამვლელი ნივთიერებების მიწასა და წყალში დაგროვებამ, მაღაროს მავნე შედეგების სივრცობრივმა ექსპანსიამ თითქოს პირი შეკრეს კამპენსინოთა თემის მიწების, წყლისა და საარსებო საშუალებების ჩამორთმების საქმეში. ეს პროცესი ააშკარავებს ურთიერთკავშირს ბუნების გარკვეული ფორმების (ამ შემთხვევაში წყლის, დანალექებისა და ბიოტოქსინების) ბიოფიზიკურ მახასიათებლებსა და ჩამორთმევას შორის. გარდა ამისა, ეს პროცესები ააშკარავებს იმ როლს, რასაც პირვანდელი დაგროვება თამაშობს სოციალური კვლავნარმოების გეოგრაფიული რელიეფის ფორმირებაში (და პირიქითაც Roberts 2008). შემდეგ ქვეთავში დეტალურად აღვწერ, თუ როგორი სამი ფორმით ვლინდება ის პროცესი, რომელსაც „ჩამორთმევა დაგროვებით“ ვუწოდებ.

10 ქალაქ ჰუანუნის არ აქვს არც დაბინძურებული წყლისა და არც მყარი ნარჩენების გადამამუშავებელი საშუალებები. ქალაქის საკანალიზაციო მიწებიდან და მდინარის ნაპირას მდებარე შენობებიდან საკანალიზაციო წყლები პირდაპირ მდინარეში ჩაედება. მყარ ნარჩენებსაც მდინარეში ყრიან.

„ჩამორთმევა დაგროვებით“ მდინარე ჰუანუნის ხეობაში

მომნამვლელი დანალექების დაგროვება სასოფლო-სამეურნეო მიწებსა და ადიდებული მდინარის ჭალებში

ბოლივიის ანდეში ჭარბნალექიანობა და ნიაღვარი სეზონური პროცესებია. ჭარბნალექიანობა და მასთან დაკავშირებული წყალდიდობები ზაფხულის თვეებისთვისაა დამახასიათებელი. სექტემბრიდან მარტამდე, აპრილსა და აგვისტოში წვიმა ძალიან იშვიათად ან საერთოდ არ მოდის (PPO 1996). სანტა ელენას ქარხნისაგან მომდინარე დანალექების მაღალი მაჩვენებელი მდინარეში იწვევს მეჩეჩისა (მდინარის ნაყარი ნაპირზე) და დატბორილი დაბლობების გაფართოებას. ქალაქ ჰუანანიდან ჩამორიყული პლასტმასის ნარჩენების გარდა, მდინარის ნაპირებზე, მეჩეჩებსა და ჭალებში მძიმე მეტალების მქონე დანალექები გროვდება. მდინარის ნაპირებიდან აღებული დანალექების ანალიზი აჩვენებს კადმიუმის, სპილენძის, ვერცხლისწყლისა და ცინკის მაღალ დონეს (იხ. ცხრილი 1). მშრალი სეზონის განმავლობაში ამ გამომშრალ დანალექებს ძლიერი ქარი ჰაერში დააქროლებს.

მდინარის მიმდებარე მიწები ერთ დროს ყველაზე სასურველი იყო როგორც სასოფლო სამეურნეო მიზნებისთვის, ისე საცხოვრებლად. ამას მონშობს ის ფაქტი, რომ ასიენდას სახლების ნანგრევების უმრავლესობა ან მდინარე ჰუანუნის მახლობლადაა, ან მისი მთავარი შენაკადების – ვეზადა მაიუსა და სანტა-ფეს – მიდამოებში. ასიენდას მფლობელებს საუკეთესო მიწებსა და სამშენებლო ტერიტორიებზე ჰქონდათ პრეტენზია, ნაკლებად სასურველ მიწის ნაკვეთებს კი მათ მუშებს, პონგოებს, უთმობდნენ. დღესდღეობით მდინარის ახლოს მდებარე სახლები უნაყოფო და მიტოვებული მიწებითაა გარშემორტყმული. შიდასამეურნეო ინტერვიუებისას თემის წევრები, რომელთა მიწებიცა და სახლებიც მდინარის მახლობლადაა, ჩიოდნენ მოუსავლიანობისა და მონამლული ნიადაგის შესახებ. ამ დაბინძურებას მდინარე და გამომშრალი შლამის ქარის საშუალებით გავრცელება იწვევს. მდინარის უკიდურესმა დაბინძურებამ ის სარწყავად გამოუსადეგარი გახადა, უამრავი არხია დამშრალი და მიტოვებული. მეტად სუფთა წყლისა და ნაყოფიერი მიწის ძიებაში მდინარისპირა მოსახლეობის უმრავლესობამ სახლები დატოვა და მალლობებში გადასახლდა,

მდინარის ნაპირისაგან მოშორებით. როგორც კუიშსა მაიუს თემის ერთ-ერთმა მკვიდრმა ნახევრად-ხუმრობით აღნიშნა, „აქ ორი ტიპის მიწაა: მიწა, რომელიც მოწამლულია, და მიწა, რომელიც სადაცაა მოიწამლება“ (ინტერვიუერის ანონიმურობა დაცულია, 6 აპრილი, 2011 წელი).

ცხრილი 1. დაბინძურების ხარისხი მდინარე ჰუანუნის დანალექებში (მილიგრამებში / ლიტრებში, გარდა წყალბადის მაჩვენებლისა (pH))

	ავტორის მონაცემები (2011) დიაპაზონი (მინ. – მაქს.)	მონტოია და სხვ. (2010)	B კლასის სტანდარტი
წყალბადის მაჩვენებელი (pH)	2.7–2.8	3.5	6–9
კადმიუმი (Cd)	1.03–1.09	2.06	0.005
სპილენძი (Cu)	1.33–1.34	–	1.0
ცინკი (Zn)	43.14–45.28	74.94	0.2
რკინა (Fe)	–	283.77	≤ 0.3
სულფატი (SO ₄)	468.3–553.8	–	≤400

ქვედინების მიმართულებით, ალკუმარკას თემში, მდინარის ტალღები ყველაზე ფართოდაა გაშლილი, შესაბამისად, წყალდიდობისა და მომწამვლელი დანალექი ნივთიერებების პრობლემა ყველაზე მწვავედ აქ დგას. ამ ტერიტორიაზე, სადაც სეზონურ ნიაღვრებს დანალექები უხვად ჩამოაქვს, დაადგინეს, რომ მაღაროს მომწამვლელი ნარჩენები ნიადაგში ერთი მეტრის სიღრმეზეა ჩასული (Montoya et al 2010). ალკუმარკა მთელს ხეობაში ერთადერთი თემია, რომელიც მაჩაკამარკას გამამდიდრებელი ქარხნის დაბლა, მდინარის დინების მიმართულებითაა დასახლებული. შედეგად, ეს თემი სხვებთან შედარებით ყველაზე მეტად ზარალდება დანალექებითა და მომწამვლელი ნივთიერებებით. მდინარის ტალღები აქ ყველაზე ვრცელი და თან უნაყოფია, ბალახი კი დაზიანებული და დამწვარია. ბოლო ათწლეულებია სასოფლო-სამეურნეო წარმოება მკვეთრად შემცირდა ბევრი მიზეზისდა გამო. უფრო კონკრეტულად, ჭებში მარილის მაჩვენებლის უკიდურესი მატების, მათი პერიოდული დაშრობისა და, ზოგადად, სარწყავ სისტემებსა და სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქ-

ტურაში კაპიტალდაბანდების ნაკლებობის გამო. ეჭვგარეშეა, რომ ადგილობრივი თემის უმთავრეს პრობლემებს იწვევს დაბინძურება, რომელიც მდინარის დანალექებიდან სასოფლო სამეურნეო მიწებზე ვრცელდება. ალკუმარკაში, როგორც ერთმა კაცმა მითხრა „ადრე, ჩემს ბავშვობაში, პროდუქტი კარგი იყო, კარტოფილიც, ცერცვიც, კუინოაც. ახლა ისეთი აღარაა. ახლა აღარც იზრდება“. მეტიც, თითქმის ყველა რესპოდენტმა აღნიშნა, რომ მათ ბავშვობაში (ე.ი. 1950-70-იან წლებში) მათი ოჯახები ხშირად თევზაობდნენ ურუ-ურუს ტბაში, ბატის კვერცხებს აგროვებდნენ, ფრინველებსა და ცხოველებზე ნადირობდნენ ტბის ჭაობიან ნაპირებზე. რესპოდენტები იმასაც აღნიშნავდნენ, რომ ამ პრაქტიკებს მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ოჯახის კვების რაციონში (განსაკუთრებით პროტეინის მხრივ). დღესდღეობით გარემოს დაბინძურებისა და გვალვების გამო ხალხი ამ საქმიანობას ვეღარ მისდევს.

საბოლოო ჯამში, ერთი მხრივ, სანტა ელენასა და მაჩაკამარკას გადამამუშავებელი ქარხნების დანალექებისაგან, ხოლო მეორე მხრივ, მდინარე ჰუანუნის წყალგამყოფთან ჯაპოს, მოროკოლაკასა და სანტა ფეს სამთომოპოვებითი ცენტრების სამუშაოებისაგან, მთლიანობაში ყოველდღიურად 1200 ტონა დანალექი გროვდება მდინარე ჰუანუნიში. ეს დანალექები კი, რომლებიც მძიმე მეტალებისა და სხვა მომწამვლელი მინარევეებისაგანაა დაბინძურებული, წვიმიან სეზონზე მდინარის ნაპირებსა და ადიდებული მდინარის ჭალებში გროვდება და ნიადაგის უნაყოფობას იწვევს.

წყალზე უფლებისა და წყლის დაგროვება

სასოფლო-სამეურნეო და სამთო-მოპოვებით ეკონომიკას შორის ფუნდამენტური წინააღმდეგობა გამომდინარეობს მათი წყლის რესურსზე დამოკიდებულებიდან. ორივე საქმიანობა დიდი რაოდენობით წყალს მოითხოვს, ამიტომაც წყალზე წვდომა მათთვის უმნიშვნელოვანესი საკითხია, განსაკუთრებით ისეთ ნახევრად-გვალვიან რეგიონებში, როგორც ბოლივიის ალტიპლანოა. ორივე წყლის მოპოვებაზე დამოკიდებული როგორც მიწისზედა, ისე მიწისქვეშა ტერიტორიებიდან. კამპენსინოთა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა წვიმასა და (იშვიათ შემთხვევაში) მცირემასშტაბიან სარწყავ

სისტემაზე დამოკიდებული და, შესაბამისად, მცირე რაოდენობით წყალს მოიხმარს. სამთო-მოპოვებითი საქმიანობა კი დიდი რაოდენობით წყალს საჭიროებს. ჰუანუნის მაღარო 28 მილიონზე ლიტრზე მეტ წყალს მოიხმარს დღეში. ამ მაჩვენებლით ის მეორეა ბოლივიაში – პოტოსის ღია-კარიერული მაღარო დღიურად დაახლოებით 46 მილიონ ლიტრ წყალს მოიხმარს. მეტიც, კამპენსინოს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისგან განსხვავებით, რომელიც გაცილებით ნაკლებ ქიმიურ საშუალებებს იყენებს, სწორედ სამთო სამუშაოებია პასუხისმგებელი წყლის დაბინძურებასა და მონამვლაზე. მაღაროდან და კუდსაცავებიდან გამონაჟონი მუავების, გადამამუშავებელი ქარხნის დანალექებისა და მომწამვლელი ნივთიერებების (როგორცაა ვერცხლისწყალი, გოგირდმჟავა, ნავთობ-ქიმიური ნივთიერებები) გამოყოფა და გაჟომონვა იწვევს წყლის უკიდურეს დაბინძურებასა და მონამვლას (L´opez et al 2010; Montoya et al 2010; Zamora et al 2010). სასოფლო სამეურნეო საქმიანობებისთვის წყლის საჭიროება სეზონურია და მოსავლის სხვადასხვა ციკლზეა მოკიდებული. ამისგან განსხვავებით კი, სამთო საქმეში მუდმივადაა წყლის საჭიროება. შესაბამისად, წყლის მინისქვეშა მოპოვება ჭებიდან და მინისზედა მოპოვება მდინარეებიდან და წყაროებიდან უარყოფითად აისახება წყალზე წვდომაზე იმ მომხმარებლებისთვის, ვინც ამ ტერიტორიებიდან მდინარის ქვედინების მიმართულებითაა დასახლებული. შესაბამისად, წლის მინისქვეშა მოპოვება ჭებიდან და მინისზედა მოპოვება მდინარეებიდან თუ წყაროებიდან უარყოფითად აისახება მოსახლეობის წყალზე წვდომაზე. განსაკუთრებით კი იმათზე, ვინც მდინარის დინების მიმართულებითაა დასახლებული. ეს გემოქმედება განსაკუთრებით მძიმეა მდინარე ჰუანუნის ხეობაში, რადგანაც ეს მდინარე სარწყავად აღარაა ვარგისი, ხოლო ბოლო 30 წელია რევიონში დიდხნიანი და განმეორებითი გვალვები იცის (PPO 1996). მთელს ხეობაში (სოციალურად შექმნილი) წყლის დეფიციტია. კვლევის თანახმად, ოჯახების დაახლოებით 36%-ს არ აქვს სუფთა წყლის წყარო, მაშინც როდესაც 64%-მა აღნიშნა, რომ ყოველდღიური საჭიროებებისთვისაც კი არ აქვთ საკმარისი წყალი (იხ. ცხრილი 2). გამოკითხული შინამეურნეობების 40% ყოველდღიური მოხმარებისათვის სახლში წყალს სხვა ადგილებიდან ეზიდება. ამ შინამეურნეობების უმრავლესობა (თუმცა, არა ყველა) ალკუმარკას მკვიდრია, სადაც წყლის დეფიციტი ყველაზე გავრცელებული და მძიმეა. ადგილობრივი თემები, რომლებსაც დასალევ წყალზე

არ აქვთ წვდომა, ძირითადად მდინარის ნაპირებთან არიან დასახლებულები, სადაც მიწისქვეშა წყლები და სასოფლო-სამეურნეო მიწები მდინარის წყლითაა მონამლული. 40%-ზე მეტმა აღნიშნა, რომ წყლის მოზიდვა სხვა ადგილებიდან უნევთ – შორი ჭიდან ან მეზობელი ქალაქიდან. ამ ძალიან მძიმე საქმის შესრულება ძირითადად ქალებზე ტყდება, რადგანაც კაცები, უმეტეს შემთხვევაში, სახლს გარეთ მუშაობენ.

ცხრილი 2: შინამეურნეობების წვდომა წყალზე

	რაოდენობა	%
აქვთ საოჯახო ჭა	99	78.6
აქვთ ჭა სასმელი წყლით	59	46.8
რეგულარულად ზიდავენ წყალს სხვა ადგილიდან	52	41.2
არ აქვთ სასმელი წყალი ოჯახში	45	35.7
არ აქვთ საკმარისი წყალი ოჯახში	81	64.3
ადამიანის დაავადების შემთხვევა სასმელი წყლისგან	71	56.4
ცხოველის დაავადების შემთხვევა ან სიკვდილი სასმელი წყლისგან	85	73.9

მონაცემები შიდასამეურნეო გამოკითხვიდან (n = 115)

ცხრილი 3: წყლის მოხმარება ყოველდღიურად ერთი სული მოსახლისა და შიდასამეურნეობის მიხედვით

წყლის მოხმარება ერთ ოჯახზე (საშუალოდ)	35.8
წყლის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე (საშუალოდ)	10.3
დეფიციტური მოხმარება – ერთ სულ მოსახლეზე ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დადგენილ მინიმალურ 20 ლიტრზე ნაკლები	9.7
დეფიციტური მოხმარება – ერთ სულ მოსახლეზე ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დადგენილ მინიმალურ 50 ლიტრზე ნაკლები	39.7

მონაცემები ეფუძნება შიდასამეურნეო გამოკითხვის პასუხებს და არა – პირდაპირ დაკვირვებას (n = 105).

არ არის გასაკვირი, რომ წყლის დეფიციტი განისაზღვრა, როგორც წყლის მოხმარების ძალიან დაბალი მაჩვენებელი. გამოკითხული 14

ადგილობრივი თემიდან თითოეული მოსახლე დღეში საშუალოდ მხოლოდ 10,3 ლიტრ წყალს მოიხმარს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) დადგენილი მინიმალური სტანდარტი დღეში 20 ლიტრია ერთ სულ მოსახლეზე, ხოლო რეკომენდირებული სტანდარტი დღეში 50 ლიტრია (Howard and Bartram 2003; see Table 3). 105 გამოკითხული ოჯახიდან მხოლოდ 8 აღმოჩნდა ისეთი, რომელიც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ განსაზღვრულ მინიმალურ სტანდარტზე მეტ წყალს მოიხმარს, რეკომენდირებულ სტანდარტს კი ვერც ერთი ოჯახი ვერ აღწევს. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, გამოკითხული შიდამეურნეობებისა და ინდივიდების დიდი უმრავლესობას წყლის დეფიციტის პრობლემა აქვს. უმრავლეს შემთხვევაში მოხმარების ეს მაჩვენებელი ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დადგენილი მინიმალური სტანდარტის დაახლოებით ნახევარია. წყალზე წვდომისა და მისი მოხმარების მაჩვენებელი (ლიტრებში) ცვალებადია და არაერთგვაროვანია თემებისა და ოჯახების მიხედვით, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი კი ალკუმარკაში გამოვლინდა. შესაბამისად, როგორც რობერტსმა აღნიშნა (2008), პირვანდელმა დაგროვებამ არამხოლოდ პროლეტარიზაცია დააჩქარა, არამედ სოციალური კვლავწარმოების გეოგრაფიული რელიეფის საფუძვლიანი და გამყარებული ფორმირება მოახდინა, მკაფიოდ გამოხატული გენდერიზებული შედეგებით.

წყალზე წვდომისა და მისი მოხმარების დაბალი მაჩვენებელი არაერთი მიზეზითაა განპირობებული, მათ შორის, პერიოდული გვალვითა და წყლის სისტემის ინფრასტრუქტურის არარსებობით. უშუალოდ მდინარის მახლობლად დასახლებული 7 ადგილობრივი თემის (გამოკითხული 14 ადგილობრივი თემიდან) შემთხვევაში აშკარაა, რომ წყალზე წვდომის შეზღუდვის მთავრი მიზეზი სამთო-მოპოვებითი სამუშაოებისგან გამონვეული დაბინძურებაა. შიდამეურნეობებთან ჩატარებულ ინტერვიუებში უფროსი თაობა გვიყვება, რომ მდინარე ჰუანუნი არამხოლოდ სარწყავად გამოიყენებოდა, არამედ მასში თევზიც ბინადრობდა და მათი ან მათი მშობლების ახალგაზრდობისას მდინარე დასალევდაც ვარგისი იყო. დღესდღეობით მდინარე ველარც ამ სარგებელის მომტანია. მეტიც, ის არათუ სასმელადაა ვარგისი, არამედ წამლავს სასოფლო-სამეურნეო მიწებს და რეალური საფრთხეა ადგილობრივი თემის წევრების ჯანმრ-

თელობისა და ძირითადი საარსებო საშუალებებისათვის. გამოკითხული შიდამეურნეობებიდან 74%-ს ერთი ცხოველი მაინც მონამვლია, 47%-ს კი ერთი ცხოველი მაინც მოკვდომია ზედაპირული წყლის მოხმარებისაგან. ამგვარად, გადამუშავებული დანალექების, გამონაჟონი მჟავისა და ქიმიური მომნამვლელი ნივთიერებების გადმოცლით, მუდმივი დიდ-მასშტაბიანი მიწისზედა და მიწისქვეშა მოპოვებითი სამუშაოებით სამთო მრეწველობამ წყლისა და წყალზე უფლების უზურპაცია მოახდინა. ამ სიკეთებით კი წინათ მდინარის ქვედინების მიმართულებით დასახლებული ადგილობრივი კამპენსინო თემი სარგებლობდა.

ეს ფაქტი ალბათ ყველაზე თვალნათელია ტორაკუილა ჰამპას თემში, რომელიც წყლით ამარაგებს მაჩაკამარკას გამამდიდრებელ ქარხანას. ძველი ასინდას სახლის ჭაბურღილიდან სუფთა წყალი ღია არხით ჩაედინება რამდენიმე კილომეტრში მდებარე ქარხანამდე. ახლომდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწებს არ აქვთ სარწყავი წყალი, რამდენადაც თემის წევრებს არ აქვთ უფლება წყაროს წყალზეც კი, ხოლო მდინარე – რომელიც სამთო სამუშაოებითაა დაბინძურებული – სარწყავად გამოუსადეგარია. ამგვარად, წყალი და წყალზე უფლება სამთო-მოპოვებითმა მრეწველობამ მიითვისა და დააგროვა. თემის მიერ წყლის მოხმარების პრაქტიკა და მასთან დაკავშირებული ისტორიული ადგილობრივი ჩვეულებითი სამართალი კი თანდათანობით შესუსტდა და წარსულს ჩაბარდა.

მიწის დაგროვება და ტერიტორიული ექსპანსია სამთო მრეწველობის მიერ

სამთო-მოპოვებითი საქმიანობა, მისი ბუნებიდან გამომდინარე, რადიკალურად ასხვაფერებს და გარდაქმნის ლანდშაფტს. ამ საქმიანობის ყველა ფორმა გარდაუვლად აწარმოებს დიდი რაოდენობით ნარჩენებს, რაც დედამიწის სიღრმეებიდან ამოაქვთ და, იქიდან გამომდინარე, რომ მაღალი თითქმის ყოველთვის ადგილზე მუშავდება, ნარჩენები მალაროს მიმდებარედ გროვდება (Bridge 2004). დიდი ზომის ნაყარის გროვა აფართოებს სამთო საქმიანობის სივრცობრივი ზემოქმედების არეალს, ვრცელდება რა პოტენციურად კულტივირებად მინდვრებზე, წყაროებზე, მდინარეებსა

და მათ შენაკადებზე. ჯაპოსა და სანტა ფეს მალაროების ნაყარის გროვე-ბიდან გამომდინარე ზედაპირული წყლები მდინარე ჰუანუნის წყალგამყოფამდე აღწევს და მიმდებარე ქალაქების დიდ უმრავლესობაზე ვრცელდება. თუმცა, სამთო მრეწველობის გავლენა ლანდშაფტზე და მისთვის მიყენებული ზიანი არ შემოიფარგლება მხოლოდ შლაკებისა და ნაყარის სივრცობრივი გავრცელებით, შემაკავებელი რეზერვუარებით, შენობებითა და სხვა ამგვარი სამუშაოებით. სამთო მრეწველობის ტერიტორიული გაფართოება მოწინავეა სამთო-მოპოვებითი კონცესიის აკუმულაციისა და გარემოს დაბინძურების მხრივაც. და მართლაც, ბოლო ათწლეულებია ანდების სახელმწიფოებში ძალიან მოხშირდა სამთო-მოპოვებითი კონცესია, – ეს ხელშეკრულება გაფართოვდა როგორც რაოდენობრივად, ისე თვისებრივად (Bebbington 2009). რამდენადაც სამთო საქმე აქამდე ისეთი სისწრაფით და მასშტაბებით არ გაფართოვებულა ბოლივიაში, როგორც პერუსა და კოლუმბიაში, ბოლო წლებია რამდენიმე დიდმასშტაბიანი სამთო-მოპოვებითი ოპერაცია დაიგეგმა და დაიწყო. 2006 წლიდან გაზრდილი წარმოებით ჰუაპუნის მალარომ საქმიანობა გააფართოვა როგორც ვერტიკალურად (მალაროს შახტების გაფართოება მიწის ქვემოთ ახალი ბუდობების აღმოსაჩენად), ისე ჰორიზონტალურად (ახლომდებარე ზონებში ახალი მალაროების გახსნა). ახალი დანადგარების კონსტრუირებამ (როგორცაა, მაგალითად, დროებითი შემაკავებელი რეზერვუარები) და ხეობის მეორე მხარეს ახალი მალაროების გახსნამ გააფართოვა სამთო-მოპოვებითი საქმიანობის ტერიტორიული არეალი და, შესაბამისად, მისი „ნაკვალევი“ ლანდშაფტზე. მეტიც, მისი ზეგავლენა მდინარის ქვედინებას მიჰყვება, ფართოვდება და იშლება ტორაკუილასა და ალკუ-მარკას ჭალებში. მალაროს გავლენა სივრცობრივად იჭრება ქვედინების მიმართულებით არსებულ სათემო მიწებში და თანდათანობით იტაცებს მათ. ეს კი იმის გამო ხდება, რომ მდინარეში დანალექების სიჭარბემ გამოიწვია ჭალების გაფართოება, მდინარის კალაპოტისა და ახლომახლო სასოფლო-სამეურნეო მიწების ეროზია. მდინარისპირა სახლებისა და სავარგულების იძულებითმა მიტოვებამაც გაამწვავა ეს პროცესი – სარწყავი წყლის დანაკარგმა, ამის შედეგად კი შემცირებულმა მოსავლიანობამ მაცხოვრებელთა ნაწილი აიძულა მიეტოვებინათ თავიანთი სასოფლო-სამეურნეო მიწები. ირონიულია, რომ ჰუანუნის სამთო კომპანიის, კომი-

ბოლის (COMIBOL), მცდელობები – შეემცირებინა გარემოზე მავნე ზეგავლენა – ადგილობრივ თემთან კონფლიქტის მიზეზი გახდა. შემთავებელი რეგერვუარები ზომითაც უზარმაზარია და თან სახიფათო: 1996 წელს პოტოსში პორკოს მალაროს დამბის გახეთქვის შედეგად გადმოიღვარა 235 000 ტონა ტოქსიკური ნივთიერება, რომელიც შეიცავდა დარიშხანს, ცინიდს, ტყვიასა და ცინკს. ამ შემთხვევამ უმძიმესად დააბინძურა მდინარე პილკომაიო (García-Guinea and Harffy 1998). გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ჰუანუნის ინიციატივას, მალაროს მახლობლად დასახლებულ თემში გაეკეთებინათ დიდმასშტაბიანი შემთავებელი რეგერვუარი, მაცხოვრებლებმა წინააღმდეგობა გაუწიეს. ერთი მხრივ, ეს წინააღმდეგობა მომდინარეობდა გარემოზე მავნე ზემოქმედების რისკიდან გამომდინარე, ხოლო მეორე მხრივ, მოსახლეობას არ სურდა, გაეყიდა რეგერვუარის ასაშენებლად საჭირო მიწები.

თუ შევაჯამებთ, სამთო-მოპოვებითი საქმიანობა თავისი ბუნებითაა სიცრვობრივად ექსპანსიური, მისი ტერიტორიული გაფართოება კი დროზე დამოკიდებული. მეტიც, სამთო საქმე გრძელვადიან გავლენას ახდენს ლანდშაფტსა და წყლის ნაკადებზე, რა გავლენაც ათწლეულები ან საუკუნეები გაგრძელდება. კუდსაცავების შემოუზღუდავი გროვებიდან და ღია მალაროდან გამონაჟონი მუავეები მას შემდეგაც გააგრძელებს ახლომდებარე წყლის ნაკადებზე მავნე ზემოქმედებას, როცა მალაროებს უკვე დასრულებული ექნებათ სამუშაო. ჰუანუნის მალაროდან მომდინარე დანალექებმა და დაბინძურებამ გამოიწვია წყლის დაბინძურების მწვავე პრობლემა. მდინარის კალაპოტებისა და ჭალების დაბინძურებამ მავნე ზემოქმედება იქონია მდინარის ქვედინების მიმდებარე ტერიტორიებზე, მდინარის ნაპირას მდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწებზე. ამგვარად, სამთო-მოპოვებითი საქმიანობის მიერ ტერიტორიის განუწყვეტელი დაგროვება მდინარის ქვედინების მიმართულებით დასახლებული მკვიდრი კამპენსინო თემის ხარჯზე ხორციელდება. გიდვანისა და რედის (2011) მიერ ინდოეთში ნარჩენების ციკლის შემთხვევის შესწავლილის მსგავსად, ჰუანუნის ხეობის შემთხვევაც გამოირჩევა ურთიერთშეპირისპირებული სოციალური და ბუნებრივი მახასიათებლებით: ნარჩენების ერთი ნაწილი შეფასებულია, როგორც მაღალი ღირებულების მქონე (ამ ცნების როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური და ნორმატიული მნიშვნელობით),

რომელიც მომწამვლელ ნარჩენებს აწარმოებს. ამის საპირისპიროდ კი, მეორე ნაწილი დაბალი ღირებულების მქონე და ადვილად „მოცილება-დი“ ნარჩენებია, რომელიც ყოველთვის „მალაროს ექსკრემენტად“ იქნება ჩამოქვეითებული.

რას ნიშნავს „ჩამორთმევა დაგროვებით“?

რა მნიშვნელობას ვანიჭებთ ჰუანუნის ხეობაში სამთო საქმესთან დაკავშირებულ წყლის უკიდურესი დაბინძურების სოციალურ გავლენებს? ეჭვგარეშეა, რომ ადგილი აქვს საარსებო საშუალებათა ჩამორთმევას. მკვიდრი კამპენსინო თემი აწყდება მოსავლის შემცირების, ცხოველთა დაავადების, ჭების დაბინძურების, მინების ჩამორთმევის პრობლემებს. ამ პრობლემათა საფუძველმდებარე და უშუალო მიზეზები კომპლექსური და მრავალგვარია. რომ დავაზუსტოთ, ეს შეიძლება იყოს როგორც გარემოს გრძელვადიანი ცვლილებები (მაგალითად, გვალვა და მიწაში მარილის მაჩვენებლის უკიდურესი მატება), ისე წყლის დაბინძურება სამთო მრეწველობისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით (მაგალითად, ქალაქ ჰუანუნის საკანალიზაციო წყლები და მყარი ნარჩენები). თუმცა, ხეობაში წყლის დაბინძურების უმთავრეს მიზეზად ჰუანუნის მალაროდან მუავების გამოწვეული (დრენაჟი), ნარჩენების ინტენსიური გადმოცლა, ქიმიური დამაბინძურებელი ნივთიერებები რჩება. ხეობას, ჰუაჰუნის მალაროსთან შედარებით, ნაკლებად აზიანებს მოროკოლაკას, სანტა ფესა და ჯაპოს მალაროების საქმიანობა და ნაყარის გროვები. საარსებო საშუალებათა ჩამორთმევის ეს პროცესი არც თუ ისე ზუსტად ერგება ჰარვის ცნებას – „დაგროვება ჩამორთმევით“. ჰარვისთვის (2003) ჩამორთმევა (საარსებო საშუალებების, საჭარო სიკეთეებისა თუ კოლექტიური სიმდიდრის) ხელსაყრელ პირობებს ქმნის ჭარბნაგროვები კაპიტალის ინვესტირებისთვის და ის უმთავრესი საშუალებაა, რომლითაც კაპიტალი ნეოლიბერალიზმში რეალიზდება. ჩამორთმევა მეორეული პათოლოგიური მოვლენა კი არ არის, არამედ – გარდაუვალი შედეგია. ის არის დაგროვების გარკვეულ ფორმათა სტრატეგიული საშუალება.

ჰუანუნის ხეობის მდგომარეობა ამ სქემაში ადვილად არ თავსდება.

სანარმოო ნარჩენების პირდაპირ მდინარეში გადაყრა კომპანია „კომიბოლს“ წარმოების ხარჯების ექსტერნალიზების საშუალებას აძლევს. ეს პრაქტიკა შეესაბამება ბაკერის (2009; cf Castree 2007) ცნებას „ეკოლოგიური ფიქსაცია“. ეს არის კონცესიის ერთ-ერთი ფორმა, რომელსაც დე ანჯელისი (2004:77, 78) განმარტავს, როგორც „დაგროვების უნებლიე თანმდევ შედეგს“, რაც იწვევს „ადგილობრივი თემის, დამოუკიდებელი მენარმეების, მკვიდრი მოსახლეობისა თუ ფერმერების გაღლეცასა და გაკოტრებას“. თუმცა ჰარვის მიერ განხილული შემთხვევისაგან განსხვავებით (2003), ამ შემთხვევაში არ არსებობს მზა დასაბანდებელი კაპიტალი, რომლის საშუალებითაც ამ პროცესებისგან „გამოთავისუფლებულ“ მიწებსა და რესურსებს საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენებდნენ. გარკვეულწილად, ბოლივიის ამ ნაწილში ეს არის მიწის მფლობელობის ფორმებისა და სამთო კაპიტალის დამსახურება. 2002 წლიდან „კომიბოლისა“ და „ელაიდ დიალსის“ ერთობლივი სანარმოს გაუქმების შემდეგ ჰუანუნის მალაროს მხოლოდ ბოლივიის სახელმწიფო მართავს; შეთანხმება, რომელიც მხოლოდ თუ გაამყარა და გააძლიერა 2006 წელს კომიბოლის სამუშაოების განახლებამ და ჰუანუნის სამთო ოპერაციების გაფართოებამ. შესაბამისად, სანამ კერძო საკუთრებაში იყო, ძირითადად ტრანსნაციონალური სამთო კომპანიები იყვნენ პასუხისმგებელნი მადნის მოპოვებაზე მთელს ბოლივიაში (პასუხისმგებელნი როგორც მოსაპოვებელი მადნის რაოდენობაზე, ისე საექსპორტო ღირებულებაზე; Espinoza Morales 2010; Ribera Arismendi 2010). დღესდღეობით ჰუანუნის მალაროს კვლავაც განახლებული კომიბოლი მართავს. აღარ არიან ინვესტორები, რომლებიც შეეცდებოდნენ, თავიანთი ჭარბად დაგროვებული კაპიტალის საკითხი მოეგვარებინათ.

გარდა ზემოხსენებულისა, ალბათ უფრო რელევანტურიც იქნება იმის აღნიშვნა, რომ ჩამორთმეული რესურსების (პირველ რიგში სასოფლო-სამეურნეო მიწებისა და წყლის) მარგინალური ხასიათი აფერხებს კაპიტალდაბანდებასა და აპროპრიაციას. ცენტრალური ალტიპლანო მალალმთიანი, ცივი და გვალვიანი ზონაა და სასოფლო-სამეურნეო წარმოება, გარემოს დაბინძურების მიუხედავადაც, შეზღუდულია რეგიონის მკაცრი კლიმატური პირობებით. ჰუანუნის ხეობაში ეს პირობები კიდევ უფრო გამწვავებულია წყლისა და მიწის უკიდურესი დაბინძურებით, რაც გადა-

ჯაჭვულია პერიოდულ გვალვასა და მარილის მაჩვენებლის უკიდურესი მატების გრძელვადიან პროცესთან (PPO 1996). საბოლოო ჯამში, მიწის კოლექტიური ფლობა აფერხებს მიწის აბსოლუტურ ჩამორთმევას. 1953 წლის სასოფლო-სამეურნეო რეფორმის პერიოდში, ასიენდას სისტემის დაშლის შემდეგ, პონგოს მუშებს კოლექტიურად გადაეცათ იმ ასიენდების მიწა და წყალი, რომლებზეც ისინი მუშაობდნენ. ამ შეთანხმების ფარგლებში ახლადშექმნილი თემების წევრობა მკაცრად იყო შეზღუდული. წევრობის უფლება ჰქონდათ მხოლოდ მკვიდრ პონგოებსა და მათ ოჯახებს. მათაც კი არ ჰქონდათ მიწის გაყიდვის უფლება ისეთ ინდივიდებსა თუ ორგანიზაციებზე, რომლებიც თემის წევრები არ იყვნენ. შესაბამისად, ჰუანუნის ხეობაში მიწის ბაზარი არ არსებობს. ამიტომაც, მკვიდრ კამპენსინოთა საარსებო საშუალებების მითვისების პროცესი არ გულისხმობს მიწებისა და წყლის „გამოთავისუფლებას“ ინვესტირების ახალი ფორმებისათვის (რაც ლის (2010) არგუმენტებისგან განსხვავებული მოცემულობაა).

რაც აშკარად ვლინდება, არის შრომის განცალკევება წარმოების საშუალებებისა და სოციალური კვლავწარმოებისაგან ისეთი პროცესების გავლით, რომლებიც დიდად არ განსხვავდება მარქსისეული პირვანდელი დაგროვებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესი არ შეესაბამება მის მიერ აღწერილ ჭარბდაგროვების კრიზისს, პირვანდელმა დაგროვებამ მაინც გამოიწვია ადგილობრივი კამპენსინო თემის კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო საარსებო საშუალებების ჩამორთმევა. ამას ააშკარავებს თემის მაცხოვრებლების, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების, ფართომასშტაბიანი მიგრაცია, ძირითად, ურბანულ ცენტრებში. მართლაც, გამოკითხული 125 შიდამეურნეობიდან 108-ში (86.4%) ოჯახის ერთი წევრი მაინც არის წასული სამუშაოს საძებნელად და 87 (69%) კი იღებს გარკვეული ფორმის არა-სამეურნეო შემოსავალს. თუმცა, ეს არ არის სრული პროლეტარიზაცია, რამდენადაც მაცხოვრებლები ცდილობენ მიწის შენარჩუნებასა და კულტივაციას საარსებო საშუალებებისა და შემოსავლის მიღების მიზნით. ასე რომ, მცირემასშტაბიანი, ნახევრად სამომხმარებლო სასოფლო მეურნეობა კვლავაც უმნიშვნელოვანესი საქმიანობაა გაფართოებული ოჯახებისათვის, რომელთა საარსებო საშუალებათა მოპოვების მრავალგვარი სტრატეგიები ხშირად მოიცავს – წვრილმან ვაჭრობას ან

მშენებლობაზე მუშაობას ორუროსა თუ ლა პაზში, მუშაობას შინა მოსამსახურეებად ან მძიმე სამუშაო პირობების მქონე ქარხანაში ბუენოს აირესსა თუ სან პაულოში. გარდა ამისა, ბევრი ოჯახია ჩართული სამთო ეკონომიკაში, განსაკუთრებით კი ჰუანუნის მახლობლად მცხოვრები თემებიდან. გამოკითხულთა 60% აღნიშნავს, რომ ერთი ოჯახის წევრი მაინც – ძირითადად მამა, ქმარი ან ვაჟიშვილი – მუშაობს სამთო სექტორში, თუმცა საკმაოდ ნაკლებმა პროცენტმა (43%) აღნიშნა, რომ ოჯახი შემოსავალს ამ შრომით იღებს. თემის წევრებისთვის სამთო მრეწველობა ერთ-ერთი არჩევანია სხვა ანაზღაურებადი სამუშაოებიდან, თუმცა მათგან, ვინც თემს ტოვებს და მაღაროში სამუშაოდ მიდის, ნახევარზე ოდნავ ნაკლები თუ ახერხებს თავიანთ ოჯახების შენახვას. სიზუსტისთვის, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ სამთო მრეწველობა არ განაპირობებს შიდამიგრაციას. მაცხოვრებლები ბევრი მიზეზის გამო ტოვებენ თემს დროებით ან სამუდამოდ, მათ შორის სამუშაო და სასწავლო შესაძლებლობების, ქორწინების ან ურბანულ გარემოში ცხოვრების სურვილის გამო. ორუროს ელიტებსა და ქალაქის მაცხოვრებლებს შორის გაზიარებული სიბრძნე – თითქოს სამთო მრეწველობა ამყარებს ყველა დანარჩენ ეკონომიკურ საქმიანობას რეგიონში (მტკიცება, რომელიც არაერთხელ მომისმენია ინტერვიუებისა და არაფორმალური საუბრების დროს) – არ აღმოჩნდა მართებული იმ თემებისათვის, რომლებიც მაღაროს მიმდებარედ ცხოვრობენ და ყველაზე მეტად ზარალდებიან სამთო მრეწველობით.

ინტერვიუებში თემის წევრები ხშირად ადანაშაულებენ და აკრიტიკებენ ჰუანუნის სამთო კომპანიასა და სახელმწიფოს უუნარობასა თუ სურვილის არქონას, ჩაატარონ დასუფთავების ქმედითი სამუშაოები. თუმცა თემის წევრები დიდად არ ერთვებიან ფართომასშტაბიან ან ხანგრძლივ საპროტესტო ტალღაში. ქალაქ ორუროდან ჩამოსული აქტივისტებს ბევრი სათემო შეხვედრა აქვთ ჩატარებული და წარმატების მისაღწევად ჰქონდათ კიდევ შემუშავებული გარკვეული სქემები, თუ როგორ უნდა ეიძულებინათ სახელმწიფო, გადაეღვა ქმედითი ნაბიჯები. თუმცა ქვეყანაში, სადაც ქუჩის პროტესტი პოლიტიკური ცხოვრების მიღებული და ყველგან გავრცელებული ფორმაა, თემის მაცხოვრებელთა დუმილი უჩვეულო და არასწორი ჩანს. თუმცა, ამას მრავალმხრივი მიზეზები აქვს, რაც დაკავშირებული უნდა იყოს ორუროს სამთო მრეწველობისა და სასოფლო-

სამეურნეო ეკონომიკის ისტორიულ ურთიერთდამოკიდებულებასთან. გარემოს დაბინძურებაც რომ არა, ალტიპლანოში სასოფლო მეურნეობა მინიმალურად პროდუქტიულია და ამიტომაც დიდი ხანია ადგილობრივი კამპენსინოები ოჯახის შემოსავალს ავსებენ მაღაროსა თუ ურბანულ ცენტრებში ანაზღაურებადი შრომის საშუალებით. ამასთან, სამთო მრეწველობით გამოწვეული დაბინძურება არა ერთბაშად, არამედ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გროვდება. ნავთობის მილსადენის გახეთქვის შემთხვევისაგან განსხვავებით – რომელმაც 2000 წელს დააბინძურა მდინარე დესაგუადერო, გამოიწვია მასობრივი პროტესტი და სახელმწიფოს ქმედითი ნაბიჯები (Montoya et al 2002) – სამთო მრეწველობის ზემოქმედების შედეგები წლები თუ საუკუნეებია გროვდება. სათემო პროტესტს ასევე ახშობდა რეგიონის ძალაუფლების მქონე პროფკავშირული ორგანიზაციების პირდაპირი და არაპირდაპირი ზეწოლა. სამთო კოოპერატივების კავშირი (FEDECOMIN) და კამპენსინოთა დეპარტამენტის კონფედერაცია (FSUTCO) – ორივე ძლიერად უჭერს მხარს ორუროს სამთო ეკონომიკას და მთელი ძალით ეწინააღმდეგება ყველანაირ ზომებს, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას რეგიონში სამთო-მოპოვებით საქმიანობას. ორუროს სხვადასხვა კლასთა აშკარა შეუთავსებელი ინტერესები ზღუდავენ მოსახლეობის ფართომასშტაბიანი მობილიზების პოტენციალს, შეაჩერონ ან შეამცირონ სამთო-სამრეწველო ნარჩენები.

დასკვნა

ამგვარად, როგორ შეგვიძლია დავახასიათოთ მითვისებისა და დაგროვების პროცესი ჰუანუნის ხეობაში? ინდივიდები და ოჯახები, რომლებიც მჭიდრო, კოლექტიური თემის წევრები არიან, თავიანთ მშობლიურ თემში ინარჩუნებენ მიწასა და მეურნეობას, როგორც საარსებო საშუალებისა და შემოსავლის უმნიშვნელოვანეს წყაროს. თავისი სუსტი ინდუსტრიული სექტორის გამო, ბოლივიის ექსპორტის დიდი წილი ნედლ საქონელზე მოდის: ბუნებრივი გაზი, მინერალები, სოიო, ხეტყის მასალა და კოკაინის ხის ფოთლები. მიუხედავად ბოლოდროინდელი განცხადებებისა რესურსების ინდუსტრიალიზაციის შესახებ – იმ მიზნით, რომ გაეძლიერებინათ

ადგილობრივი წარმოება და ბიძგი მიეცათ შიდა მოხმარებისთვის – ამ მიმართულებით მცირედი პროგრესი თუ შეიმჩნევა. და მართლაც, მორალესის მმართველობის პერიოდში ბოლივია მეტად დამოკიდებული გახდა ნედლეულის ექსპორტზე (Bebbington 2009; Gudynas 2009; Kohl and Farthing 2012). რამდენადაც კამპესინოთა სექტორი აწარმოებს საკუთარ საკვებს, უზრუნველყოფს თავისსავე საცხოვრისსა და იაფ თუ ადვილად ხელმისაწვდომ მუშახელს, ეს სექტორი ფუნქციურია სამთო-მოპოვებითი სექტორისათვის („ფუნქციური“ დე ჯავრის 1981 წლის „ფუნქციური დუალიზმის“ მნიშვნელობით). საზოგადოდ გაზიარებული შეხედულებაა (ორუროში კი პოლიტიკურადაც), თითქოს სამთო მრეწველობა ამყარებს ყველა სხვა ეკონომიკურ საქმიანობას ორუროში. სინამდვილეში კი, ამ შეხედულების საპირისპიროდ, მკვიდრ კამპესინოთა სამუშაო ძალაა ის საშუალება, რომელიც აცოცხლებს მოპოვებით ეკონომიკას, ისევე როგორც, ფართოდ თუ შევხედავთ, ბოლივიის კაპიტალისტურ ეკონომიკას. გიდვანისა და რედის მიერ შესწავლილი შემთხვევის მსგავსად, (ელექტრონული ნარჩენებზე მომუშავე მუშების შესახებ) ბოლივიის სამთო მრეწველობა საზრდოობს მკვიდრ კამპესინოთა თემის მიწებით, საარსებო საშუალებებითა და მათი სხეულებით. ამ ყველაფერთან ერთად კი, მკვიდრი მოსახლეობა ყველაზე მეტად ზარალდება გარემოს დაბინძურებით.

მკვიდრი კამპესინო თემები, რამდენადაც ისინი მხოლოდ ნაწილობრივ არიან ჩართულნი სამთო-მრეწველობით ეკონომიკაში, არასდროს ყოფილან არც ეკონომიკური აღმასვლისა თუ დაღმასვლის ციკლის სუბიექტები და არც იმ აურაცხელი დაბინძურებისა, რომელიც რეგიონის პირველი მალაროს გახსნის შემდეგ დღემდე გროვდება. ბოლივიაში სოციალურ ექსკლუზიაზე დამყარებული ურთიერთობები იწარმოებოდა ისეთი ინსტიტუციური კონფიგურაციებით, რომლებიც ჩართულნი იყვნენ მინერალების მოპოვების, წყლის რესურსების მართვისა და გამოყენების საქმეში. ეს სოციალური ურთიერთობები – წყლის, მინერალებისა და მომწოდებელი ნივთიერებების დინების მსგავსად – დალდასმულნი არიან და ასახავენ ისტორიულად დაღეწილ და ასიმეტრიულ ძალაუფლებრივ ურთიერთობებს (Swyngedouw 2004). ბოლივიაში, სამთო მრეწველობასთან დაკავშირებული წყლის დაბინძურების შემთხვევაში, საარსებო საშუალებების ჩამორთმევა დიდწილად იმართებოდა დაგროვების სხვადასხვაგ-

ვარი ფორმებით. ესენია: მომწამვლელი დანალექების დაგროვება სახნავ მიწებსა და ჭალებში; წყალზე უფლებისა და წყლის დაგროვება (წყლის დაბინძურების გზით სამომხმარებლო უფლებების უზურპირება); ტერიტორიული ერთეულების დაგროვება კი, როგორც სამთო მრეწველობის სიცრცობრივი „ნაკვალევი“, დღითიდღე იზრდება. შესაბამისად, კაპიტალის მუშაობის პრინციპის ანალოგიურად, წყლისა და სამთო ნარჩენების ჰიდრო-სოციალურ ციკლში მოძრაობა გულისხმობს როგორც ცირკულაციას, ისე დაგროვებას. ადგილობრივი კამპენსინო თემის საარსებო საშუალებათა ჩამორთმევა – მომწამვლელი დანალექების, წყალზე უფლებისა და მიწის დაგროვების გზით – ააშკარავებს იმ პირობითი და არაპირდაპირ როლს, რასაც ბუნების მატერიალურობა თამაშობს პირვანდელი დაგროვების პროცესში (cf Sneddon 2007). მეორე მხრივ კი, თავად ეს პროცები ააშკარავებს, რომ ძალაუფლებრივი გეომეტრია – რომელიც დიდი ხანია ჰუანუნის ხეობაში ძალაუფლებრივ ურთიერთობებს აყალიბებს – განაგრძობს კვლავწარმოებას. ამასთან ერთად კი, მეტად თვალნათელი ხდება ბოლივიის „პოსტ-ნეოლიბერალური“ ეკონომიკისთვის დამახასიათებელი წინააღმდეგობებიც.

ბიბლიოგრაფია

- Amin S (1974) *Accumulation on a World Scale: A Critique of the Theory of Underdevelopment*. New York: Monthly Review
- Ashman S and Callinicos A (2006) Capital accumulation and the state system: Assessing David Harvey's *The New Imperialism*. *Historical Materialism* 14(4):107–131
- Bakker K (2002) From state to market? Water mercantilization in Spain. *Environment and Planning A* 34:767–790
- Bakker K (2009) Neoliberal nature, ecological fixes, and the pitfalls of comparative research. *Environment and Planning A* 41:1781–1787
- Bebbington A (2009) The new extraction: Rewriting political ecology in the Andes? *NACLA Report on the Americas* 42(5):12–20
- Bebbington A and Humphreys Bebbington D (2010) „An Andean Avatar: Post-neoliberal and neoliberal strategies for promoting extractive industries.“ *Brooks World Poverty Institute Working Paper 117*, University of Manchester
- Bebbington A, Humphreys Bebbington D, Bury J, Ligan J, Munoz J P, Scurrah M (2008) Mining and social movements: Struggles over livelihoods and rural territorial development in the Andes. *World Development* 36(12):2888–2905
- Bridge G (2004) Contested terrain: Mining and the environment. *Annual Review of Environmental Resources* 29:205–259
- Budds J (2008) Whose scarcity? The hydrosocial cyle and the changing waterscape of La Ligua river basin, Chile. In M Goodman, M Boykoff and K Evered (eds) *Contentious Geographies: Environment, Meaning, Scale* (pp 59–68). Aldershot: Ashgate
- Budds J and Hinojosa L (2012) Restructuring and rescaling water governance in mining contexts: The co-production of waterscapes in Peru. *Water Alternatives* 5(1):119–137
- Castree N (2007) Neoliberalising nature: The logics of deregulation and reregulation. *Environment and Planning A* 40:131–152
- De Angelis M (2001) Marx and primitive accumulation: The continuous character of capital's "enclosures". *The Commoner* 2:1–22
- De Angelis M (2004) Separating the doing and the deed: Capital and the continuous character of enclosures. *Historical Materialism* 12(2):57–87
- De Janvry A (1981) *The Agrarian Question and Reformism in Latin America*. Baltimore: Johns Hopkins University Press
- Espinoza Morales J (2010) *Minería Boliviana: Su Realidad*. La Paz: Plural
- García-Guinea J and Harffy M (1998) Bolivian mining pollution: Past, present and future. *Ambio* 27(3):251–253

- Gidwani V and Reddy R N (2011) The afterlives of „waste“: notes from India for a minor history of capitalist surplus. *Antipode* 43(5):1625–1658
- Glassman J (2006) Primitive accumulation, accumulation by dispossession, accumulation by “extra-economic” means. *Progress in Human Geography* 30(5):608–625
- Gudynas E (2009) Diez tesis urgentes sobre el Nuevo extractivismo: Contextos y demandas bajo el progresismo sudamericano actual. In F Davila (ed) *Extractivismo, Política y Sociedad* (pp 187–225). Quito: CAAP/CLAES
- Hall D (2012) Rethinking primitive accumulation: Theoretical tensions and rural Southeast Asian complexities. *Antipode* 44(4):1188–1208
- Harvey D (2003) *The New Imperialism*. Oxford: Oxford University Press
- Harvey D (2007) *A Brief History of Neoliberalism*. Oxford: Oxford University Press
- Howard A and Dangi B (2006) Tin war in Bolivia: Conflict between miners leaves 17 dead. *Upside Down World* 20 September. <http://upside-downworld.org/main> (last accessed 3 December 2012)
- Howard G and Bartram J (2003) *Domestic Water Quantity, Service, Level and Health*. Geneva: World Health Organization
- Kaup B (2010) A neoliberal nationalization? The path dependent constraints and sociomaterial obstacles to natural gas led development in Bolivia. *Latin American Perspectives* 37(3):123–138
- Kohl B and Farthing L (2012) Material constraints to popular imaginaries: The extractive economy and resource nationalism in Bolivia. *Political Geography* 31(4):225–235
- Laing A F (2012) Beyond the zeitgeist of „post-neoliberal“ thory in Latin America: The politics of anti-colonial struggle in Bolivia. *Antipode* 44(4):1051–1054
- Levien M (2012) The land question: Special economic zones and the political economy of dispossession in India. *The Journal of Peasant Studies* 39(3–4):933–969
- Li T M (2009) To make live or let die? Rural dispossession and the protection of surplus populations. *Antipode* 41(1):66–93
- Li T M (2010) Indigeneity, capitalism, and the management of dispossession. *Current Anthropology* 51(3):385–414
- Lopez E, Cuenca A, Lafuente S, Madrid E and Molina P (2010) *El Costo Ecologico de la Política Minera en Huanuni y Bolívar*. La Paz: PIEB
- Luxemburg R (1968) *The Accumulation of Capital*. New York: Monthly Review
- Marx K (1967) *Capital, Vol I*. New York: International
- McCarthy J (2004) Privatizing the conditions of production: Trade agreements as neoliberal environmental governance. *Geoforum* 35(3):327–341

- MMM (2009) Estadísticas del Sector Minero-Metalurgico 1980–2008. La Paz: Ministerio de Minería y Metalurgia
- Moeller H (2002) Dinamitas y Contaminantes. La Paz: PIEB
- Montoya J C, Amusquivar J, Flores A, Mollo A and Sanchez P (2002) Efectos Ambientales y Socioeconomicos por el Derrame de Petróleo en el Río Desaguadero. La Paz: PIEB
- Montoya J C, Amusquivar J, Guzman G, Quispe D, Blanco R and Mollo N (2010) Thuska Uma: Tratamiento de Aguas Acidas con Fines de Riego. La Paz: PIEB
- Moran R (2010) Minando el Agua: La Mina San Cristobal, Bolivia. Cochabamba: FRUTCAS, FSUMCAS, CGIAB
- Nash J (1993) We Eat the Mines and the Mines Eat Us: Dependency and Exploitation in the Bolivian Tin Mines. New York: Columbia University Press
- Perelman M (2000) The Invention of Capitalism: Classical Political Economy and the Secret History of Primitive Accumulation. Durham: Duke University Press
- Perreault T and Martin P (2005) Geographies of neoliberalism in Latin America. Environment and Planning A 37(2):191–201
- Perreault T and Green B (forthcoming) Reworking the spaces of indigeneity: The Bolivian ayllu and lowland autonomy movements compared. Environment and Planning D: Society and Space
- Perreault T, Wraight S and Perreault M (2012) Environmental injustice in the Onondaga Lake waterscape, New York State, USA. Water Alternatives 5(2):486–506
- PPO (1996) Documento Final: Plan de Gestion Ambiental. Plan Piloto Oruro. La Paz: Ministerio de Desarrollo Sostenible y medio Ambiente, Secretaría Nacional de Minería, and Swedish Geological AB
- Quintanilla J and García M E (2009) Manejo de recursos hídricos-hidroquímica de la Cuenca de los lagos Poopo y Uru Uru. In P Crespo Alvizuri (ed) La química de la Cuenca del Poopo (pp 117–143). La Paz: DIPGIS—Instituto de Investigaciones Químicas (Universidad Mayor de San Andrés)
- Ribera Arismendi M O (2010) El Sector Minero: Analisis Crítico y Problemáticas Socioambientales de: Megaproyecto Mutun, Cuenca del Poopó, Cuenca del Pilcomayo, Megaproyecto San Cristobal. La Paz: LIDEMA
- Roberts A (2008) Privatizing social reproduction: The primitive accumulation of water in an era of neoliberalism. Antipode 40(4): 535–560
- Sneddon C (2007) Nature's materiality and the circuitous paths of accumulation: Dispossession of freshwater fisheries in Cambodia. Antipode 39:167–193

Swyngedouw E (1999) Modernity and hybridity: Nature, regeneracionaismo, and the production of the Spanish waterscape, 1890–1930. *Annals of the Association of American Geographers* 89(3):443–465

Swyngedouw E (2004) *Social Power and the Urbanization of Water: Flows of Power*. Oxford: Oxford University Press

Swyngedouw E (2005) Dispossessing H₂O: The contested terrain of water privatization. *Capitalism, Nature, Socialism* 16(1):81–98

III ნაწილი

რესურსებზე დამოკიდებულების
გადააზრება და ალტერნატიული
მიდგომები

სინთეზური შესავალი

მედევი რეგიონები არასტაბილურ სამყაროში

— ოცნება თუ რეალობა?

ია ერაძე

კრიზისი კაპიტალისტური განვითარების თანმდევი პროცესია. თუმცა, კაპიტალიზმს შესწევს უნარი დასძლიოს კრიზისებს და შეინარჩუნოს სტაბილურობა. კაპიტალისტური (და არა მაინცდამაინც კაპიტალიზმის) კრიზისები არა მხოლოდ ეკონომიკური და ფინანსური სახისაა, არამედ ბოლო დროს მკვეთრად იხატება ეკონომიკური და ეკოლოგიური კრიზისების კვეთა. ეს მრავალგანზომილებიანი კრიზისი კი პირდაპირ კავშირშია, განსაკუთრებით 1970-იანი წლებიდან, კაპიტალის აკუმულაციის რეჟიმის ცვლილებასთან – ყველაფერი უფრო სწრაფად, უფრო გლობალურად, უფრო იაფად, რაც შეიძლება ნაკლები წესებისა და რეგულაციების ფონზე. კაპიტალის ამგვარმა თავისუფალმა დინებამ (ბევრ სიკეთესთან ერთად) ბევრი სოციალური და ეკოლოგიური პრობლემა წარმოქმნა, რადგან ეკონომიკურ მოგებაზე ორიენტირებული ლოგიკა არ ერიდება ბუნების და ადამიანის ექსპლუატაციას. ეს ცვლილებები განსაკუთრებული სიმძაფრით შეეხო ცალკეულ რეგიონებს (განსაკუთრებით გლობალურ სამხრეთში), რომლებიც გახდნენ გლობალური წარმოების ჯაჭვის და შრომის გადანაწილების პატარა, უმნიშვნელო რგოლები და ამ მხრივ დამოკიდებული გლობალურ ბაზარზე. ნეოლიბერალური იდეების ჰეგემონიის ფონზე, რეგიონები განსაკუთრებით განიცდიან კონკურენტუნარიანობის წნეხს, რომ მიიზიდონ ინვესტიციები. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ რეგიონები გადაჭაჭვული არიან გლობალურ ეკონომიკასთან, მათი გავლენა მსოფლიო ბაზარზე მიმიდნარე პროცესებზე შეზღუდულია.

სწორედ ამ პრობლემებს ეხება რეი ჰუდსონის 2009 წელს გამოქვეყნებული წინამდებარე სტატია და სვამს კითხვას: *როგორ უნდა გაუმკლავდნენ რეგიონები ეკონომიკურ და ეკოლოგიურ გამოწვევებს და გახდნენ უფრო მედევი მოულოდნელი საფრთხეების მიმართ?* ამრიგად, მთავარი ყურად-

ლება მედეგობის კონცეპტის განხილვას ეთმობა. ავტორი გვთავაზობს, ერთის მხრივ, ზემოთ აღნიშნული კრიზისის ისტორიულ-თეორიული კონტექსტის მიმოხილვას და მეორეს მხრივ, გვაცნობს მედეგობის იდეას, როგორც ფიქრის ახალ გზას გამოსავლის ძიებაში. მიუხედავად იმისა, რომ მედეგობა მულტიდისციპლინარული ტერმინია და სხვადასხვა დატვირთვა აქვს, მისი ზოგადი იდეა შეიძლება აღვიქვათ, როგორც ეკოსისტემების, ინდივიდების თუ ორგანიზაციების უნარი გაუძღონ ზენოლას, სტრესს ისე, რომ შეინარჩუნონ ფორმა და ფუნქცია. ეკონომიკურად და ეკოლოგიურად მონყვლად რეგიონებთან მიმართებაში, ჰუდსონი მედეგობის სამ განზომილებას გვთავაზობს: ეკოლოგიური ეფექტურობა, რეგიონული ჩაკეტილობა და ნაკლები დამოკიდებულება რეგიონის მიღმა მიღებულ გადანყვეტილებებზე. მიუხედავად იმისა, რომ ავტორისთვისაც ნათელია ამ პრინციპების განხორციელების შეზღუდვები, იგი შესაძლებლად მიიჩნევს დადებითი შედეგების მიღწევას. ამისათვის საჭიროა ეკონომიის განსაზღვრების გადააზრება (ეკონომიის უფრო ფართო გაგებისთვის), რეგიონული ეკონომიკის დივერსიფიკაცია, რეგულატორული ცვლილებები და ეკოლოგიური ეფექტურობა. რეგიონები უნდა შეეცადონ შეამცირონ მათი დამოკიდებულება საერთაშორისო ბაზარზე და დაიბრუნონ ძალაუფლება გადანყვეტილების მიღების პროცესზე. მნიშვნელოვანია, რომ ცვლილებები მოხდეს არა მხოლოდ რეგიონულ, არამედ სახელმწიფო და გლობალურ დონეებზეც. ასევე, საჭიროა განვითარების და ეკონომიკური ზრდის დომინანტური ნარატივების გადააზრება, რომ აბსოლუტური პრიორიტეტი მხოლოდ ეკონომიკურ ზრდას არ მიენიჭოს და გათვალისწინებული იქნას სოციალური სამართლიანობა და ეკოლოგიური პასუხისმგებლობა. ამ პროცესებში კი აუცილებელია სახელმწიფოს ჩარევა, რომელიც მზად უნდა იყოს რადიკალურ და უპრეცედენტო კრიზისებს რადიკალური გარდაქმნების პოლიტიკებით უპასუხოს.

ჰუდსონის განხილული სტატია მნიშვნელოვანი და რელევანტურია ქართული კონტექსტისთვის. სტატია სთავაზობს მკითხველს კაპიტალიზმის განვითარების ბოლო პერიოდის ისტორიულ და თეორიულ კონტექსტს, აცნობს კაპიტალის აკუმულაციის მთავარ მექანიზმებს და ხსნის აკუმულაციის რეჟიმის კრიზისის მიზეზებს. გლობალური სურათის ფონზე, მკითხველს შეუძლია შეაფასოს საქართველოს ადგილი მსოფლიო ეკონომიკაში და დააკავშიროს ქვეყანაში მიმდინარე პროცესები გლობალურ მოვლენებ-

თან. ფართო კონტექსტის გააზრება კი ცხადყოფს ძალაუფლების ასიმეტრიულობას გლობალურ ბაზარზე და ხაზს უსვამს განსაკუთრებით ისეთი ქვეყნების (და მათი რეგიონების) დამოკიდებულებას გლობალურ სტრუქტურაზე, როგორც საქართველოა. თუმცა, ამგვარი დამოკიდებულება და საქართველოს ძალაუფლების შეზღუდულობა გლობალურ სტრუქტურაში, ქვეყნის სრულ უძლურებად არ უნდა იქნას აღქმული. ნიშანდობლივია, რომ ჰუდსონის მიერ წინნამონეული საკითხი ეკონომიკურ და ეკოლოგიურ კრიზისთან მიმართებაში, თანხმობაშია საქართველოს რეალობასთან; აქ გავრცელებული განვითარების ხედვა უმეტესად უგულვებლყოფს სოციალური და ეკოლოგიური საკითხების მნიშვნელობას. საქართველო, როგორც ნეოლიბერალიზმის კონკურენტუნარიანობის იმპერატივს წამოგებული თევზი, ბოლო ათწლეულზე მეტია მონდომებით იბრძვის ინვესტიციების მოზიდვისთვის იაფი სამუშაო ძალის და დერეგულაციის ხარჯზე. ვარდების რევოლუციის შემდეგ გავრცელებული დისკურსი სწორედ პირდპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდავს აღიქვამს ეკონომიკური ხსნის მთავარ გზად, რაც ცალსახად ცუდი არ არის. თუმცა, ამ მიზნისთვის (მაგალითად) შრომითი კოდექსის დამსაქმებლის ინტერესებზე მორგება და ბიზნესისთვის რეგულაციების შემცირება, ნამდვილად ქმნის პრობლემებს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, დავსვათ კითხვები: ინვესტიცია რისთვის და რა პირობებით? განვითარება ვისთვის და რის ხარჯზე? სამთო-მოპოვებითი ინდუსტრია და იქ განვითარებული მოვლენები ცხადყოფენ, რომ წარმოება მშრომელების სიცოცხლის ხარჯზე ან ეკონომიკური ზრდა გარემოს უგულვებლყოფის ფონზე კრიზისულ მდგომარეობას ქმნის. კრიზისი კი არა მართო საფრთხეებს წარმოაჩენს მთელი სიცხადით, არამედ ახალი შესაძლებლობების განვითარების საშუალებასაც ქმნის (როგორც ამას ჰუდსონიც ამტკიცებს). სწორედ აქ გვთვამობს ჰუდსონის სტატია საჭირო კონცეპტს, რეგიონების შედეგობის ხელშეწყობის და განვითარების მიზნით. წორედ აქ არის აუცილებელი გადავაფასოთ განვითარების იდეა საქართველოს კონტექსტიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე, ვიფიქროთ სამთო-მოპოვებითი ინდუსტრიების რეგიონების ეკონომიკის დივერსიფიკაციაზე, ეკოლოგიურ ეფიციენტურობაზე, სოციალურ სამართლიანობაზე, და მოვითხოვოთ ამ პროცესებში სახელმწიფოს მხრიდან რადიკალური გარდაქმნებისთვის მზაობა.

მედეგი რეგიონები არასტაბილურ სამყაროში – ოცნება თუ რეალობა?

ავტორი: რეი ჰადსონი

მთარგმნელი: თორნიკე ჭუმბურიძე

როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს მედეგი რეგიონი არასტაბილურ გლობალური ეკონომიკისა და გარემოს პირობებში? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, სტატია თავდაპირველად მიმოიხილავს მედეგობის უკვე არსებულ კონცეპტებს და კრიტიკულად განიხილავს რეგიონული განვითარების დომინანტურ ლიბერალურ ხედვებს. ეს კი ქმნის საფუძველს მოხდეს მედეგი რეგიონების მახასიათებლების დაზუსტება, იმის მტკიცებით, რომ ასეთ რეგიონებს გარემოსთვის ნაკლები ზიანი უნდა მოჰქონდეს, და მათ ეკონომიკური საქმიანობა უფრო მეტ რეგიონულ დახურულობას და რეგიონალიზაციას უნდა მოიაზრებდეს. ბოლო, დასკვნით ნაწილი აფასებს რეგიონის მედეგობის ლიმიტებს გლობალური ცვლილებების პირობებში.

შესავალი

კაპიტალიზმში აღმოჩნდა სოციალური და ეკონომიკური ორგანიზების გამორჩეულად მედეგი ფორმა, რომელსაც ძალუძს როგორც ძლიერ გაფართოება, ისე თავისი ვაკუენის გაძლიერება, შთანთქმავს რა სისტემური კრიზისის შინაგან ტენდენციებს და ავითარებს რა ღია – თუმცა, არავითარ შემთხვევაში შეუზღუდავ განვითარების ტრაექტორიებს. ამავდროულად, და ერთი შეხედვით პარადოქსულად, ამ წარმატებული სისტემური ევოლუციის განმავლობაში ის გამუდმებით ქმნიდა სისუსტეებს და კრიზისებს რეგიონულ ეკონომიკებში სწორედ იმიტომ, რომ კომბინირებული და არათანაბარი განვითარების პროცესები კაპიტალისტური სოციალური ურთიერთობების გულისგულია. ასეთი კრიზისების შედეგების შერბილების

და ქვეყნის მთავრობის ჩარევით უფრო მედვეგი რეგიონული ეკონომიკების შექმნის მრავალი მცდელობა არსებულა. როგორც წესი, ეს მცდელობები, უკეთეს შემთხვევაში, ნაწილობრივ ან დროებით იყო წარმატებული. ზოგ შემთხვევაში კი ეკონომიკური კრიზისის ტენდენციებს კაპიტალიზმი გარდაქმნიდა რაციონალობის და ლეგიტიმაციის კრიზისად, რომლებიც სახელმწიფოს როლს აყენებდნენ კითხვის ნიშნის ქვეშ. შედეგად, ერთი შეხედვით პარადოქსი, რომ სისტემის მედეგობა ეფუძნება თავად მედეგი რეგიონალური ეკონომიკების ძირის გამოთხრას, კაპიტალისტური განვითარების კვლავაც ქრონიკულ თავისებურებაა.

ამრიგად, ამჟამინდელმა ყველაზე ბოლო – თუმცა ყველაზე მძიმე ეკონომიკურმა კრიზისმა, იმ სხვადასხვა სიღრმისა და დროითობის მქონე კრიზისებს შორის, რომლებიც პერიოდულად ატყდებიან თავს კაპიტალისტურ სისტემას, წარმოქმნა მასიური რყევები გლობალურ ეკონომიკაში, რამდენადაც საბანკო და საფინანსო სექტორებში კრიზისი დაგროვების უფრო ზოგად კრიზისად გადაითარგმნა. შედეგად, მთელი მსოფლიოს გარშემო, რეგიონებმა უეცარი ეკონომიკური დაღმასვლა განიცადეს, რომელიც შეეხო ყველა რეგიონს – ფინანსური ძალაუფლების თითქოსდა იმუნიტეტის მქონე ცენტრებიდან, როგორცაა ლონდონის სიტი, მთელი მსოფლიოს მარგინალიზებულ და პერიფერიულ რეგიონებამდე. თუმცა, ამ შემთხვევაში, არსებობს ერთი ძალიან მნიშვნელოვანი განსხვავება: ღრმა ეკონომიკურ კრიზისს თან ერთვის გარდაუვალი ეკოლოგიური კრიზისის აღქმა, პირველ რიგში, კლიმატის ცვლილების გამო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კაპიტალიზმის მიერ ეკონომიკის და საზოგადოების ბუნებრივ სამყაროზე დაფუძნების აშკარა უგულვებელყოფას ყურადღების მიღმა ვეღარ დავტოვებთ. ეს წარმოშობს როგორც ახალ საფრთხეებს, ისე, შესაძლოა ახალ შესაძლებლობებს მათთვის, ვინც რეგიონული ეკონომიკისა და საზოგადოების ახალი და უფრო მედეგი ფორმების შექმნას ესწრაფვის.

როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს მედეგი რეგიონი მსგავს არახელსაყრელ მაკრო-გარემო პირობებში? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, სტატია ჯერ მიმოიხილავს მედეგობის უკვე არსებულ კონცეპტებს. ეს ქმნის საფუძველს მედეგი რეგიონების მახასიათებლების დაზუსტების მცდელობისთვის. პირველ რიგში, ამ რეგიონების სოციალური ეკონომიკის გან-

ხილვისას მივადგებით ბოლო დროს პოპულარული ნეოლიბერალური მოდელის კრიტიკასაც, რომელიც დაუცველია არაერთი გარეგანი შოკისა და რყევის მიმართ: მაგალითად ვალუტების, საექსპორტო ბაზრების და სანავის ფასების ცვალებადობის მიმართ. ამ სისუსტეებთან გამკლავება საჭიროებს ცვლილებებს რეგულაციის და მართვის მექანიზმებში, უფრო დივერსიფიცირებულ რეგიონალურ ეკონომიკურ სტრუქტურებს და მეტ რეგიონალურ ეკონომიკურ დახურულობას. თუკი მეტ მედეგობას ვესწრაფვით, საჭიროა ეკონომიკის უფრო ფართო განსაზღვრება, რომელიც გასცდება კაპიტალისტურ მეინსტრიმს და თავის თავში მოიცავს როგორც მესამე სექტორს, ისე სოციალურ ეკონომიკას/საწარმოებს. მეორე, რეგიონების ეკოლოგიურ განზომილებასთან კავშირში, საჭიროა მასალების დახურული წრებრუნვა, პროცესების გადანაცობა, რათა სახეზე გვქონდეს რესურსების ეკოლოგიურად უფრო ეფექტიანი გამოყენება, ენერჯის განახლებად წყაროებზე გადასვლა, კვლავამოყენების და გადამუშავების გაზრდა, და ეკონომიკური საქმიანობის მიერ ნახშირორჟანგის გამოყოფის შემცირება, იმის აღიარების პირობებში, რომ ეკონომიკა აუცილებლად მოიცავს თავის თავში მატერიალურ მოძრაობებს, ტრანსფორმაციებს და გარემოზე ზეგავლენის გარდაუვალობას. ამ ცვლილებებს ცხადია გავლენა ექნება წარმოების, სავაჭრო ნაკადების და მოხმარების მოდელების გადანაცობაზე. ბოლო, დასკვნით ნაწილი აფასებს რეგიონის მედეგობის ლიმიტებს გლობალური ცვლილებების პირობებში.

მედეგობა, ადაპტაციის უნარი და გარდაქმნადობა

მედეგობა, ადაპტაციის უნართან და გარდაქმნადობასთან ერთად სოციო-ეკოლოგიკური სისტემის ის სამი მახასიათებელია, რომლებიც ამ სისტემების სამომავლო ტრაექტორიებს განსაზღვრავენ (Walker et al., 2006). მედეგობის კონცეპტს ფესვები არაერთ დისციპლინაში აქვს, მათ შორის ბიოლოგიაში და ეკოლოგიაში, ბიზნესის კვლევებში, ინჟინერიაში, მასალების მეცნიერებაში, და ფსიქოლოგიაში (Gunderson, 2000; Holling 1973; Hyslop, 2007). ამ სხვადასხვა წარმომავლობის ერთ-ერთი შედეგი ისაა, რომ ტერმინს რამდენიმე დისციპლინისთვის სპეციფიკური განსაზღვრება და მნიშვნელობა

აქვს, მაგრამ, საზოგადოდ, აღნიშნავს ეკოსისტემების, ინდივიდების, ორგანიზაციების ან მასალების უნარს, გაუმკლავდნენ რღვევებს და სტრესს, და შეინარჩუნონ, ან შემდგომ აღიდგინონ ფუნქციონალური შესაძლებლობები და ფორმა. უფრო ბოლო ხანებში, მედეგობის ცნება ინტერდისციპლინარულ კონტექსტში ითარგმნა ადამიანებსა და ბუნებას შორის ურთიერთობის გასაგებად გამოიყენება, რის შედეგადაც მოხდა თანაგანვითარებადი სოციო-ეკოლოგიური სისტემის კონცეპტიების წარმოშობა (Berkes and mFolke; 1998; Blaikie and Brookfield, 1987)¹. სოციო-ეკოლოგიური სისტემების შემთხვევაში, მედეგობა საჭიროებს სამი მახასიათებლის გათვალისწინებას: რა მოცულობის ცვლილების გაძლება შეუძლია სისტემას ისე, რომ თავისი სტრუქტურა და ფუნქციები შეინარჩუნოს, რა ზომით შეუძლია მათ თავიდან ორგანიზება, და რამდენად შეუძლია შექმნას და შეინარჩუნოს სწავლისა და ადაპტირების უნარი. ადაპტირების უნარი – სისტემის შიგნით არსებული აქტორების შესაძლებლობა წაახალისონ მედეგობა – კრიტიკული მნიშვნელობისაა ასეთი სისტემებისთვის.

მედეგობის გარშემო არსებული დებატების ასევე გავრცელდა სოციალური მეცნიერებასთან დაკავშირებულ უფრო ზოგად განხილვამდე (Adger, 200; Arther, 1990; Bonnano, 2004; Janssen et al., 2006) და შეეხო ისეთ კონცეპტებს, როგორცაა კომპლექსურობა, დინამიკა და დისბალანსი, გარდაქმნადობა და კრიტიკული ზღვრები, განახლება, რეორგანიზაცია და სწავლა (Carpernter et al., 2001; Walker et al, 2006), თუმცა არც ამას ჩაუვლია კრიტიკის გარეშე (Kelman, 2008). ისეთი კონცეპტები, როგორცაა ადაპტაციის უნარი, თვითორგანიზება და სწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მედეგობისადმი სოციალური მეცნიერების მიდგომისათვის. მედეგი სისტემა არის ადაპტირებადი სისტემა, რომელსაც შესწორებები შეაქვს საკუთარ თავში და რეაგირებს იმგვარი გზებით, რომლებიც ზიანს არ აყენებენ და საფრთხის ქვეშ არა აყენებენ [მის] ეფექტურ ფუნქციონირებას. შედეგად ის რჩება უკვე არჩეულ განვითარების ტრაექტორიაზე ან გადადის ახალზე. შესაბამისად, მედეგად ყოფნა, ყველაზე ახლოს დგას სოციალური სწავლის პროცესის საზრისთან, რომელიც იყენებს ადამიანების უნარებსა და ცოდნას, რათა შეამციროს შეუცნობელისა და მოულოდნელის მიმართ მოწყვლადობა და რისკი. თუმცა, შეიძლება ისეც მოხდეს,

1 ეს პერსპექტივა განსაკუთრებით ასოცირდება Resilience Alliance-თან (იხ. www.resalliance.org)

რომ ეკოლოგიურ, ეკონომიკურ ან სოციალურ ურთიერთობებში და მის სტრუქტურებში მომხდარმა ცვლილებებმა ძირი გამოუთხარონ სოციო-ეკოლოგიური სისტემის ადაპტაციის უნარს, რის შედეგადაც ის არასასურველ მდგომარეობაში აღმოჩნდეს გამომწყვდეული – ამის საპირისპიროდ, გარდაქმნადობა აღნიშნავს უნარს, შევისწავლოთ და შევქმნათ ფუნდამენტურად ახალი და გასხვავებული, ისეთი სოციო-ეკოლოგიური სისტემა, რომელსაც ერთდროულად ექნება როგორც ადაპტაციის უნარის, ასევე მედეგობის მახასიათებლებიც.²

ბოლო ხანებში, მედეგობის კონცეპტმა გზა გაიკვლია საჯარო პოლიტიკის დოკუმენტებისკენაც, სადაც ის აღიქმება როგორც გარემოს განკარგვის ნორმატიული მიზანი და მდგრადი განვითარების საკვანძო კომპონენტი. მაგალითისთვის, შესაძლებელია სისტემების ისე მართვა, რომ წახალისდეს მედეგობა და მოხდეს ადაპტაციის და დასწავლის წახალისება (Folke et al., 2005). ამ კონცეპტის განხილვა დაიწყო რეგიონული ეკონომიკის განვითარების პოლიტიკასთან კავშირში (Hill et. al., 2008) და ის ნელ-ნელა განივრცო კატასტროფებისთვის მზადების ლიტერატურასთან კავშირშიც (Manyena, 2006).

გვერდზეც რომ გადავდოთ ძალაუფლების მტკიცენული, მაგრამ საკვანძო საკითხი, ის, თუ რამდენად არის შესაძლებელი ცვლილებების წარმატებით განკარგვა და კატასტროფის შედეგების შერბილება, უპასუხო შეკითხვად რჩება. ეს შეკითხვები კი კრიტიკულად არის დაკავშირებული თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის საკითხებთან. იმავეს თქმა შეიძლება რეგიონული განვითარების და სოციო-სივრცითი სამართლიანობის კონტექსტზეც – ეს იმის გათვალისწინებით, რომ რეგიონული ეკონომიკები მიჰყვებიან განვითარების ღია ტრაექტორიებს, რომელთა საბოლოო წერტილიც უცნობია.³ ის, თუ რამდენად შეიძლება გადავაქციოთ რეგიონული ეკონომიკები უფრო მედეგებად და ნაკლებად მოწყვლადებად გარედან მართული ან მომდინარე პროცესების მიმართ, უშუ-

2 ადაპტაციის უნარსა და გარდაქმნადობას შორის გადანსხვავება არის ერთნაირი და ორნაირი სწავლებას შორის განსხვავების ანალოგიური

3 ეკონომიკის და ეკონომიკური განვითარების ეს ევოლუციური კონცეპტია მედეგობას მიიჩნევს განვითარების ტრაექტორიაზე დარჩენის (ან უფრო სასურველზე გადასვლის) უნარად, ნაცვლად იმისა რომ განიხილოს მედეგობა ბალანსის რაღაც ცნობილი, ფიქირებულ წერტილთან დაბრუნდებდა,

ალოდ კაპიტალისტური განვითარების წინააღმდეგობრივი სოციალური ურთიერთობების შიგნით, ასევე ღია საკითხად რჩება და მას ამ სტატიის დასკვნით ნაწილში დავუბრუნდებით.

ასევე მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ, რომ მედეგობის ანალიზი ჯერაც ვითარდება და სოციალურ მეცნიერებაში მედეგობის კონცეპტუალიზაციას ჯერაც ბევრი ცარიელი ადგილი თუ სისუსტე აქვს (მაგალითად, მისი ძალაუფლების აღიარებასთან დაკავშირებით). ასევე უნდა გავაცნობიეროთ ის ფუნდამენტური სირთულეები, რომლებიც დაკავშირებულია ერთი დისციპლინაში წარმოქმნილი კონცეპტების სხვა დისციპლინაში გადათარგმნასთან, განსაკუთრებით კი ბიოლოგიიდან და ფიზიკიდან სოციალურ მეცნიერებებში. აღსანიშნავია, რომ მედეგობის კონცეპტი, როგორც ასეთი, არ გვთავაზობს მზა გამოსავალს იმ პრობლემებიდან, რომლებიც დაკავშირებულია იმ კონკრეტული თვისებების განსაზღვრასთან, რომლებიც რეგიონებმა უნდა გამოიმუშაონ, რათა გაუმკლავდნენ არასტაბილურ სამყაროსთან უშუალოდ დაკავშირებულ გამოწვევებს. ამის მიუხედავად, ის შლის ახალ პერსპექტივებს რეგიონულ განვითარებაზე ფიქრისთვის. მაგალითისთვის, რეგიონები და მათი სოციო-ეკონომიკური სისტემები შესაძლოა სოციო-ეკოლოგიურ სისტემებად იქნენ მოაზრებული, რომლებსაც შეიძლება გააჩნდეთ ან არ გააჩნდეთ სოციო-ეკოლოგიური მედეგობის ან ახალ და უფრო მედეგი მდგომარეობამდე გარდაქმნის უნარი.

რას გულისხმობს და რას საჭიროებს მედეგი რეგიონული ეკონომიკა? ის, სხვა ყველაფერთან ერთად, უფრო ნაკლებს ზიანის მიაყენებს გარემოს, უფრო მეტად თავის თავშივე მოქცეული, ის ნაკლებად იქნება დამოკიდებული სხვაგან მიღებულ გადაწყვეტილებებზე და ნაკლებად მონყვლადი გარედან მომავალი შოკების მიმართ (Hill et al., 2008). ამგვარად, მედეგობის მნიშვნელობა დამოკიდებული იქნება სპეციფიკური რეგიონული ეკონომიკების კონტექსტზე: მაგალითად, ერთის მხრივ მონინავე რეგიონი, რომელიც დაცულია შოკებისაგან, ან მეორეს მხრივ მონყვლადი რეგიონი, რომელიც მიჭაჭვულია პერიფერიას ეკონომიკური რესტრუქტურიზაციის შედეგად. პირველ შემთხვევაში, საკითხი ის შეიძლება იყოს, როგორ შენარჩუნდეს რეგიონის უკვე არსებული ეკონომიკური სტრუქტურა და განვითარების ტრაექტორია, მეორეში კი – როგორ მოხდეს ახალ

სტრუქტურაზე და ტრაექტორიაზე გადასვლა. თუმცა, სანამ ამ საკითხებს უფრო სრულად განვიხილავ, მსურს შევაფასო ნეოლიბერალური პოლიტიკების ბოლოდროინდელი ტალღის გავლენა მედვეიების შესუსტებაზე, და მოწყვლადი რეგიონების წარმოქმნაზე.

რეგიონული განვითარების ნეოლიბერალური მოდელების აღზვევა: მედვეიების შესუსტება და მოწყვლადი რეგიონების გაჩენა

მიუხედავად იმისა, რომ შესაძლო ოდესმე მართლაც არსებობდა ვიდალ დე ლა ბლაშის (Vidal de la Blache 1941) მიერ განდიდებული დახურული და თვითკმარი რეგიონები, ინდუსტრიული კაპიტალიზმის აღმასვლას თან მოჰყვა რეგიონული სპეციალიზებისა და ურთიერთდაკავშირებული სამყარო, სადაც რეგიონები ნაწილობრივ თავად შედგებიან და ერთმანეთს უკავშირდებიან კაპიტალის, საქონლისა და ადამიანების ნაკადებით. მიუხედავად ამისა, ასეთი რეგიონების ნაწილმა გამოიმუშავა დახურულობისა და შეკავშირებულობის გარკვეული დონე: გავიხსენოთ, მაგალითად ჩრდილოეთ ამერიკაში და დასავლეთ ევროპაში მზარდი კარბონული კაპიტალიზმის⁴ შედეგად წარმოქმნილი რეგიონების მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული სანარმოო სტრუქტურები. ამგვარადვე, ინდუსტრიულ უბნებს, მეცხრამეტე საუკუნეში თავიანთი მარშალიანური სახესხვაობიდან გვიან მეოცე საუკუნეში „მესამე იტალიაში“⁵ ნეო-მარშალიანურ მემკვიდრეებამდე, ახასიათებდათ შიდაუბნური სანარმოო სტრუქტურების დახურულობა და შეკავშირებულობა, მიუხედავად იმისა, რომ მათი საბოლოო ბაზრები რეგიონის მიღმა იყო. თუმცა, დროის მსვლელობამ და ცვლილებებმა შრომის საერთაშორისო დანაწილებაში გამოიწვია უკვე „ძველ ინდუსტრიულ რეგიონებად“ ქცეული უბნების ეკონომიკური სტრუქტურის

4 კარბონული კაპიტალიზმი – Carboniferous Capitalism. ეკონომისტი ლუის მამფორდის (Lewis Mumford) ტერმინი. აღნიშნავს ინდუსტრიული კაპიტალიზმის ფორმას, რომელიც მეტისმეტად არის დამოკიდებული კარბონულ პერიოდში (300-360 მილიონი წწ.) წარმოქმნილ რესურსებზე (ძირითადად ქვანახშირსა და ნავთობზე).

5 „მესამე იტალია“ – 1970-80-იან წლებში იტალიის გარკვეულ რეგიონებში შექმნილი, ძირითადად პატარა ქალაქებსა და სოფლებში განლაგებული მცირე სანარმოებისა და სახელოსნოების სისტემა

კოლაფსი და მათი გადაქცევა „გლობალურ პერიფერიებად“ (Hudson, 1999). ამგვარადვე, „მესამე იტალიის“ ინდუსტრიული უბნები „გამოიფიტა“, რადგანაც წარმოება დეცენტრალიზდა უფრო იაფი ადგილებისკენ (Hudson, 2003).

რაკი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, ფორდისტული ერის ხანგრძლივი ბუმი შეფერხდა, ხოლო გლობალური ეკონომიკა კრიზისში გადაეშვა, ნეოლიბერალური პოლიტიკური ეკონომიკი აღმასვლასთან ერთად, შრომის გლობალურ დანაწილებაში უფრო „ღია“ რეგიონებისკენ განაცვლება მეთი დატვირთვა შეიძინა. ამას შედეგად მოჰყვა ევროპასა და ამერიკაში ეკონომიკური ზრდის აღსადგენად ახალი სარეგულაციო ჩარჩოს ძიება. ეს ძიება დაკავშირებული იყო როგორც პოლიტიკური დეცენტრალიზაციის იდეებთან, ისე რეგიონების მონიშვნასთან ისეთ სუბიექტებად, რომლებიც თავად არიან პასუხისმგებლები გლობალურ ბაზრებზე თავიანთ ეკონომიკურ კეთილდღეობის პოვნაზე. შედეგად, რეგიონული უთანასწორობა უფრო მკვეთრი გახდა, ხოლო რეგიონისა და რეგიონული განვითარების კონცეფტები გადამუშავდა გლობალიზებული ეკონომიკის ნარატივებთან შესაბამისობაში, რომლებიც ფესვგადგული იყო ნეოლიბერალიზმისა და შრომის სახელმწიფოს პრაქტიკებსა და პოლიტიკაში.⁶ ნეოლიბერალიზმის პოლიტიკური ეკონომიის ორი მახასიათებელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია – პირველ რიგში, მზარდი აქცენტირება კონკურენციაზე და ბაზრებზე, განსაკუთრებით გლობალურ ბაზრებზე; მეორე, სასაქონლო ფორმის კიდევ უფრო განვრცობა, რაც ხელახლა განსაზღვრავს მიწნას კერძო და საჯარო სექტორს შორის, გზას უკავია რა ფსევდო საბაზრო მექანიზმების შემოსვლას შეკვეცილ საჯარო სექტორში, და განავრცობს რა სასაქონლო ფორმას პირადი ცხოვრებისა და სამოქალაქო საზოგადოების ისეთ არეალებზე, საიდანაც ის აქამდე გაქვევებული იყო ჩვეულებისა და ტრადიციის მიერ. ამ ორი ტენდენციის საერთო შედეგი იყო გლობალური დონეზე კონკურენციის გაძლიერება ადამიანებსა და რეგიონებს შორის კაპიტალ-დაბანდებებისა და სამუშაო ადგილებისთვის.

განვითარების დისკურსში, განსაკუთრებით გლობალური „ჩრდილო-

6 ამის წერისას, ახალი ეკონომიკური კრიზისი მიანიშნებს, რომ რაც არ უნდა მოხდეს მომავალში, გლობალურმა კაპიტალიზმმა თავისი დრო ამოწურა. როგორც არ უნდა იყოს კაპიტალისტური მომავალი, ის მეტად და სხვაგვარად რეგულირებული იქნება.

ეთის“ შემთხვევაში, აქცენტი სულ უფრო მეტად კეთდებოდა „კონკურენტულობაზე“ და ქალაქ-რეგიონზე, როგორც „კონკურენციის წარმოსახვით ერთეულზე“ (Lovering, 1999, 32). ზოგიერთისთვის, ქალაქ-რეგიონები იქცნენ *საკვანძო* ტერიტორიულ ერთეულებად (Organisation for Economic Cooperation and Development, 2006; Scott ; 1998; Storper, 1995). დისკურსულად აქცენტები დასმულია ზრდის ენდოგენურ პროცესებზე, რეგიონულ ინსტიტუციებზე და რეგიონებისთვის დამახასიათებელ სპეციფიურ ცოდნაზე და დასწავლაზე, როგორც კრიტიკულად მნიშვნელოვან ასპექტზე კონკურენტულობის გასაწვავად. ხშირად ეს ექსპლიციტურადაა დაკავშირებული რეგიონული კლასტერებისა თუ ურთიერთდაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობების არსებობასთან, რაც მოიხსენიება, როგორც ტერიტორიული ინოვაციების მოდელები (Territorial Innovations Models – Moolaert and Sekii, 2003). თუმცა, მიუხედავად განვითარების პოლიტიკის რიტორიკისა, რომელიც ხაზს უსვამდა ენდოგენური ზრდისა და ინოვაციური სულიკვებების მნიშვნელობას, მულტინაციონარული კომპანიების ინვესტიციები მაინც რჩებოდა ამ რეგიონული ეკონომიკების საკვანძო ელემენტად და, ამგვარად, ბევრი მათგანი კვლავაც „გლობალურ პერიფერიად“ აგრძელებდა ყოფნას.

მთავარი აქ ისაა, რომ მიუხედავად სხვადასხვა გარემოებისა, რეგიონული ეკონომიკის წარმატების მთავარ საფუძვლად მაინც რჩება რეგიონების აქტივების გამოყენება. ამ წარმატებას კი კაპიტალის უფრო ფართო, გლობალურ წრებრუნვაში მოცემულ რეგიონეთა მდებარეობა განაპირობებს მაშინ, როდესაც ნედლეული აგრძელებს სხვა რეგიონებიდან შემოედინებას, ხოლო საბოლოო პროდუქტი კი რეგიონის გარეთ იყიდება. ეს კარგად არის აღწერილი საქონლისა და ღირებულების გლობალური ჯაჭვების და გლობალური სანარმოო ქსელების შესახებ მზარდ ლიტერატურაში (Coe et. Al, 2004; Gereffi and Korzeniewicz, 2004; Gerrefi et al., 2005; Hudson, 2008). რეგიონების შიგნით საქმიანობის „კლასტერების აგება“ თუ ეკონომიკის შიდა რეგიონული შეკავშირების წახალისება, გლობალური კონკურენტუნარიანობის გაზრდის საშუალებად მიიჩნევა. ასეთი რეგიონული ეკონომიკური სტრუქტურების „წარმატება“, შესაბამისად, დამოკიდებულია მათ უნარზე, კონკურენციაში შევიდნენ და ივაჭრონ გლობალურ ბაზრებზე, სადაც მათ ძალიან მცირე გავლენა აქვთ ისეთ საკითხებზე, რო-

გორიცაა ფასები და ხარისხის სტანდარტი. ამის შედეგად კი ისინი უფრო მეტად მოწყვლადი ხდებიან. ამასთან, ზერელე ყურადღება ექცევა საქონლის გლობალური მოძრაობის ეკოლოგიურ საფასურს, რაც ცენტალური მნიშვნელობისაა ასეთი სტრატეგიისთვის.

რეგიონული განვითარების ამ ნეოლიბერალურმა კონცეფციამ ასევე გააძლიერა მოთხოვნა, რომ გლობალური „ჩრდილოეთის“ იმ რეგიონებში, რომლებიც ეკონომიკური აქტივობის მთავარ კვანძად გახდომას ესწრაფვიან, შეცვალონ ნაშენი გარემო და მოხმარების მოდელები. ნაშენი გარემო და ცხოვრებისეული მიდგომები ზუსტად ისევე უნდა მოდერნიზდეს, როგორც სანარმოო სტრუქტურები. ხელფასის მქონე ორწევრიან შინამეურნეობაზე გადასვლა უკავშირდებოდა ხანგრძლივადიანი მოხმარების პროდუქტების გაზრდილ მოხმარებას, რასაც უნდა მოეხდინა მანქანებისა და სანავაგით გამომუშავებული ენერჯის ადამიანური შრომით ჩანაცვლება. ადამიანები მოიხმარენ ახლად მოყვანილ საკვებ პროდუქტებს, რომელიც მსოფლიოს მეორე ბოლოდან არის ტრანსპორტირებული და, ამგვარად, სეზონურობა ფაქტობრივად გაქრა კვების რაციონიდან. ტანსაცმელი და სამომხმარებლო საქონლის მთელი წყებაც ასევე მოიხმარება წარმოების ადგილიდან ათასობით მილის დაშორებით. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ „მოდერნიზაციასთან ფეხის აყოლის“ ასეთი ტენდენციები პერიფერიულ რეგიონებში რამდენიმე ათწლეულია მიმდინარეობს, ისინი კვლავ აგრძელებენ გაძლიერებას, რადგან ასეთი პერიფერიები ინვესტიციებისა და სამუშაო ადგილებისთვის სულ უფრო გლობალურად ხელმისაწვდომები ხდებიან. უფრო მეტიც, ეს იმიტომაც ხდება, რომ ასეთი რეგიონები შეჭიბრში შედიან, რათა გამოზარდონ, მიიზიდონ და შეინარჩუნონ პროფესიული უნარების მქონე, შემოქმედებითი და ინოვაციური ადამიანები (და მათი ოჯახები), რაც მიიჩნევა, რომ გადამწყვეტ მნიშვნელობას თამაშობს სანატრი ე.წ. „ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის“ ასაშენებლად (Hudson, 2010). თუმცა, ეს ხდება წინა ეპოქის ინდუსტრიულ სამუშაო ძალაზე გათვლილი ნაშენი გარემო პირობებში. ასეთი, ძლიერ განათლებული სამუშაო ძალის მოზიდვა და შენარჩუნება საჭიროებს შესაბამის ნაშენი გარემოს თანმიმდევრულ წარმოებას, რაც აქრობს ადგილების შინაგან სპეციფიკურობას და, როგორც წესი, ინვესტ მოხმარების, მიმოცვლის და მშრომელთა მზარდ მოძრაობას სხვადასხვა ადგილებს შორის.

თუმცა, გლობალური „სამხრეთის“ ბევრი რეგიონისთვის, კოლონიალური წარსულის ძლიერი ნეო-კოლონიური გამოძახილის შედეგად,⁷ ნეოლიბერალური „განვითარება“ ბევრად ნაკლებ დახვეწილ პროცესად განისაზღვრა. ბევრი მათგანის შემთხვევაში, ის მოიცავდა სოფლის მეურნეობის სისტემის გადაწყობას ნატურალური მეურნეობიდან მომგებიანი საქონლის წარმოებაზე, და შიდა სამომხმარებლო ნაწარმის ნაცვლად „ეგზოტიკური“ ხილის, ბოსტნეულის, ყვავილების, და, ბოლო ხანებში, ბიოსანვავად გამოყენებული მარცვლეულის წარმოებას და საექსპორტო ბაზარზე გაყიდვას. სხვათა შემთხვევაში, აქცენტი კეთდებოდა ექსპორტზე ორიენტირებული სამომხმარებლო საქონლის რეგიონად გადაქცევაზე, რისი საშუალებასაც იმ უცხოური ინვესტიციების მოზიდვა წარმოადგენდა, რომლებიც, როგორც წესი, დაკავშირებულნი იყვნენ „ჩრდილოეთში“ დაფუძნებული გლობალური ბრენდების მფლობელთა მომარაგების ჯაჭვთან. გლობალური „სამხრეთის“ პოლიტიკათა უმეტესობაში, რომელიც მიზნად ისახავდა მნიშვნელოვანი ლოკაციების გლობალური წარმოების კვანძად ქცევას, მსგავსი ქსელების არსებობა ასოცირდებოდა შიდა რეგიონალურ, ან რურარული ადგილებიდან ურბანულისკენ მიგრაციის უპრეცედენტო მასშტაბთან, რისი უკანასკნელი და ყველაზე თვალსაჩინო მაგალითიც ჩინეთია. ამან გამოიწვია მასობრივი ურბანიზაცია, რასაც საზარელი შედეგები მოჰყვა ბუნებრივი გარემოსა და ადამიანთა ჯანმრთელობისთვის (Walker and Buck, 2007). მოხმარებისა და წარმოების სტრუქტურებში ასეთი ცვლილებები ხშირად განპირობებული იყო გარეგანი ზეწოლებით, მაგალითად როგორცაა მსოფლიო ბანკის სტრუქტურული გარდაქმნების პროგრამების გატარების ზეწოლა. ამან განაპირობა ეთიკური და მორალური შფოთვის ზრდა, რაც გამომდინარეობდა წარმოების საექსპორტო ბაზრებისკენ რეორიენტაციიდან – საკვების იმპორტზე მზარდ დამოკიდებულება, სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხები, ბავშვთა შრომის გამოყენება და ა.შ. შფოთვას გამოთქვამდნენ „ჩრდილოეთში“ მყოფი როგორც მომხმარებლები და არასამთავრობო ორგანიზაციები, ისე აკადემიური მიმომხილველებიც (Hughes, 2006).

7 მე ვაჩვენებ კონტრასტს, მაგრამ აღვნიშნავ მსგავსებებსაც გლობალურ „ჩრდილოეთსა“ და „სამხრეთში“ [მომხდარ] ცვლილებებს შორის. თუმცა, ვაცნობიერებ, რომ ეს დიქოტომია მეტიმეტად ამარტივებს კაპიტალის გლობალურ მოძრაობებს და ადამიანთა მიგრაციას სამხრეთიდან ჩრდილოეთში, და პირიქით

გლობალური „სამხრეთის“ გარკვეული ადგილები სულ უფრო მონყვლადი ხდება, რადგანაც სულ უფრო მეტად მიმართავს სიცოცხლისთვის მაგნე და საშიში მასალების წარმოების ახალ გლობალურ მოდელებს, აშენებს დამაბინძურებელ მრწველობებს და ვაჭრობს სხვადასხვა ნარჩენი პროდუქტით. ასეთი განვითარება ნამდვილად არ ყოფილა მხოლოდ ნეოლიბერალური შემობრუნების შედეგი [Hall, 2009], თუმცა საერთაშორისო სარეგულაციო და სავაჭრო შეთანხმებებით, მაგალითად როგორცაა ბაზელის კონვენცია (იხ. www.basel.int), რომელიც ასეთ საქმიანობებს ზღუდავს, ისინი ნამდვილად უფრო ინტენსიური გახდნენ ამ ნეოლიბერალური შემობრუნების შედეგად (Houveld, 2006; Yearley, 1995). არაერთ სხვადასხვა სახის ნარჩენს ყოველდღე გზავნიან ევროპიდან და ჩრდილოეთ ამერიკიდან ჩინეთში, ინდონეზიაში და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის სხვა ნაწილებში გადარჩევის და ხელახალი გამოყენებისთვის, ბანგლადეშისა და ინდოეთის სანაპიროებისკენ კი გზავნიან გემებს, რომლებიც იქ ნაწილებად უნდა დაშალონ და მათი მასალები გამოიყენონ (Buerk, 2006). ნარჩენებით გლობალური ვაჭრობა და დაბინძურების წარმომშობი საქმიანობის ადგილმდებარეობა გადახლართულია არათანაბარი განვითარების კომპლექსურ პროცესთან, რომელიც „ჩრდილოეთის“ ზოგიერთ პერიფერიულ რეგიონსაც შეეხო და, შედეგად, მათი მონყვლადობა გაზარდა. ასეთი რეგიონები ფასებით ეჭიბრებოდნენ „სამხრეთის“ იმ პერიფერიულ ქვეყნებს, რომელთაც სურდათ მაგნე და საშიში ნარჩენების მიმღები პუნქტი გამხდარიყვნენ ფინანსური შემოსავლის სანაცვლოდ. შედეგად, გაიზარდა მათი მონყვლადობა ეკონომიკურად, ეკოლოგიურად და ადამიანთა ჯანმრთელობის თვალსაზრისით (Husdon, 2009). როგორც ზონაბენდმა აჩვენა (Zonabend, 1993) ჰააგის ნახევარკუნძულზე განლაგებულ ფრანგული ბირთვული ინდუსტრიის ანალიზში, ადგილობრივ თემებს „ჩრდილოეთში“ აქვთ განმასხვავებელი უნარი – და ნებაც კი – წინააღმდეგობა გასწიონ. 1990-იანებში, იაპონური ბირთვული ნარჩენები გაიგზავნა სელაფილდში, გაერთიანებულ სამეფოში, სადაც ისინი გადამუშავდა, და შემდგომ იაპონიაში დაბრუნდა. ამავე დროს, გაერთიანებულ სამეფოში ფოლადის წარმოების ნარჩენები ექსპორტირდა გერმანიასა და იტალიაში აღდგენისათვის.⁸

8 ნარჩენების წარმოებასთან, მათით საერთაშორისო ვაჭრობასთან და მათ ხელახლა გამოყენების საკითხებს ამჟამად იკვლევს მსხვილი პროექტი, რომელიც გაერთიანული სამეფოს ეკონომიკური და სოციალური კვლევების საბჭომ დააფინანსა. დეტალებითვის იხ. www.thewasoftheworld.org

რომ შევაჯამოთ, როგორც „ჩრდილოეთის“, ისე „სამხრეთის“ პერიფერიულ, „ნაგებულ“ რეგიონებში პოლიტიკის ფოკუსი საგრძნობლად შეიცვალა და მიიმართა თითქოს „ერთი საუკეთესო გზისკენ“. ხშირ შემთხვევაში გავლენიანი კონსულტანტების და თინქ-თენქების მიერ წახალისებულნი, ასეთი რეგიონები ცდილობდნენ, უფრო ხელსაყრელი პოზიცია მოეპოვებინათ კაპიტალის გლობალურ წრებრუნვაში, საქონლის მოძრაობაში და ღირებულების დინებებში, რამდენადაც ეს მიჩნეული იყო სოციო-ეკონომიკური კეთილდღეობისა და განვითარების გზად. ამ პროცესში, ისინი ხშირად ექსპლიციტურად ცდილობდნენ მიებაძათ შოკებისადმი თითქოსდა გამძლე, „მოგებული“ რეგიონებისთვის. ამავდროულად ისინი არ ითვალისწინებდნენ თუ რამდენად იყო მათი კონკურენციაში წარმატება განპირობებული ადგილმდებარეობის სპეციფიკით და რამდენად იყო ის დამოკიდებული უფრო ფართო მაკრო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ კლიმატსა თუ კონტექსტზე. რეგიონული განვითარება, ფაქტობრივად, გადაიქცა ხელახალი პოზიციონირების წარმატებულ აქტად; ამის ვერ მიღწევა კი გულისხმობდა ამ ჯაჭვების ფსკერთან და ქსელების პერიფერიასთან დარჩენას. შესაბამისად, წარმატებულ რეგიონულ განვითარებას ესაჭიროებოდა გაეძლიერებინა რეგიონის მიმზიდველობა, რათა წახალისებინა რეგიონში სხვადასხვა შემოდინებების (საქონელი, ფული და ხალხი) წილი, მხარი დაეჭირა ტრანსფორმაციისა და ნამატი ღირებულების წარმოქმნის პოტენციალისთვის თავად ამავე რეგიონების შიგნით, სანამ ამ პროცესების შედეგად წარმოქმნილი პროდუქტები რეგიონიდან არ გავიდოდა გასაყიდად და მთელ მსოფლიოში მიმოფანტულ ლოკაციებთან ნაკადთა ერთობლიობას არ შექმნიდა. ყველაფერი ეს კი ნაკარნახევი იყო კაპიტალის დაგროვების (ცრუ)ლოგიკით, რომელიც უმნიშვნელოდ, ან საერთოდ არ ითვალისწინებდა მსგავსი ტრანსფორმაციების ეკოლოგიურ, ან, ხშირ შემთხვევაში, ეთიკურ შედეგებს. თუმცა, როგორც ბოლოდროინდელ ეკონომიკურმა კრიზისმა კარგად აჩვენა, განვითარების ასეთი მოდელი ქმნის მოწყვლად რეგიონულ ეკონომიკას, რადგანაც მისი „წარმატება“ დამოკიდებულია უნარზე, მოახდინოს ნედლი მასალისა და სხვადასხვა დეტალების იმპორტი კონკურენტულ ფასებში, და საბოლოო პროდუქტი მომგებიან ფასში გაყიდოს საექსპორტო ბაზრებზე. როცა ბაზრები იკუმშება და მოგება იკლებს ვალუტის მიმოცვლის ან რეალური მოთხოვნის

ზოგადი კოლაფსის გამო, ამას შედეგად მოჰყვება საწარმოების დახურვა და სამუშაო ადგილების დაკარგვა სამხრეთ-აღმოსავლეთ ჩინეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთ ინგლისამდე. ერთი სიტყვით, განვითარების იმ მოდელზე დარჩენა, რომელიც ეყრდნობა მსოფლიოს გარშემო ძლიერ გაფანტულ რეგიონებს შორის გლობალური ნაკადების წახალისებას და ბრმა ეკონომიკის მატერიალურობის თუ პირველად ბუნებაზე⁹ ეკონომიკის უცილებელი დაფუძნებულობის მიმართ, ქმნის არა მდებარე, არამედ მონყვლად რეგიონულ ეკონომიკას, რომელიც სულ უფრო და უფრო მეტად პრობლემურია.

მეტად თვითკმარი და მედეგი რეგიონებისკენ სვლა?

ამჟამინდელი განვითარების მოდელების ეკოლოგიური ზეგავლენის და მასთან გადაჭაჭვული უუნარობის გათვალისწინებით, ნუთუ იძულებულნი არ ვართ სერიოზულად დაფიქრდეთ იმაზე, თუ როგორ დავუბრუნდეთ კონკრეტულ ადგილებზე დაფუძნებულ, ლოკალიზებულ და რეგიონალიზებულ ცხოვრების წესს, რომელიც გულისხმობს განსხვავებულ და მატერიალურად მეტად ინფორმირებულ წარმოდგენას იმის თაობაზე, თუ რა არის განვითარება? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განა სერიოზულად არ უნდა მოვიკიდოთ რეგიონული ეკონომიკის და განვითარების უფრო მედეგ ფორმებზე გადასვლას?

სტატიის ამ სექციის დანარჩენ ნაწილში განვიხილავ ზოგიერთ იმ საკითხს, რომელთაც ვეჩხებით უფრო მედეგი რეგიონების შექმნისკენ სწრაფვის დროს, მოვხაზავ რამდენიმე საყურადღებო მაგალითს იმაზე, თუ როგორ შეიძლება რეგიონები უფრო მედეგები გახადოთ პრაქტიკაში, და ასევე გამოვიკვლიე რამდენიმე შემოთავაზებას იმის თაობაზე, თუ როგორაა შესაძლებელი, რომ ამგვარი მიდგომები კიდევ უფრო განვითარდნენ. ეს საკითხები მათ შორის მოიცავს იმ რამდენიმე რეგიონის განხილვასაც, რომლებიც ესწრაფვიან თავიანთი თვითკმარობის გაზრ-

⁹ პირველადი ბუნება (First Nature) – ეკონომიკური კონცეფცია, რომელიც მსოფლიო ეკონომიკის სტრუქტურის და მასში მიმდინარე პროცესების საფუძვლამდებარე მიზეზებად მიიჩნევს გეოგრაფიულ და გეოლოგიურ ფაქტორებს, მაგალითად ბუნებრივი რესურსების ასიმეტრიულ განაწილებას

დას, შორდებიან და განერიდებიან რა ქვეყნის შიდა და საერთაშორისო ურთიერთობებს თუ სტრუქტურებს, და ცდილობენ შეამცირონ გარემოზე თავიანთ ზემოქმედების შედეგები. ეს ახალი მიდგომა აღარ დგას საერთაშორისო ქსელების გაბმაზე იმისათვის, რათა რესურსების მოპოვება შორეული რეგიონებიდან განხორციელდეს, არამედ მისწრაფებაზე, რომ შეიმუშავოს სელექციური ჩამოშორები და ლოკალური ავტონომიის შექმნის სტრატეგიები. რეალურად არსებული თუ დაგეგმილი რეგიონული განვითარების, და ამ მიზნის მისაღწევად არჩეული გზების ეს ანალიზი და გამოცდილება, რამდენიმე მინიშნებას მოგვცემს მომავალ შესაძლებლობებზე, და ასევე შემოთავაზებული მიდგომების შეზღუდვებზეც.

განსხვავებული სარეგულაციო რეჟიმი და გაზრდილი დასწავლის თუ ადაპტირების უნარი

რეგიონის მიღმა მიღებული გადაწყვეტილებების შედეგების მიმართ მონაცვლადობის ზრდა ნეოლიბერალიზმის პოლიტ-ეკონომიის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ასპექტი იყო. ამავდროულად, ნეოლიბერალური მიდგომა გულისხმობდა მეტ პასუხისმგებლობის დაკისრებას რეგიონალურ დონეზე, როდესაც საქმე რეგიონის ეკონომიკურ კეთილდღეობას ეხებოდა (Macleod, 1999). ეს იმ პირობებში, როდესაც არ ხდებოდა ამ რეგიონებისთვის რესურსების იმ რაოდენობის მიწოდება, რომელიც საჭირო იყო დაკისრებული ამოცანის წარმატებით განხორციელებისთვის გლობალური საბაზრო ძალების პირისპირ. მაშინ, როდესაც რეგიონისთვის მეტი ძალაუფლებისა და რესურსების მინიჭება მეტი მედეგობისკენ სვლის აუცილებელ პირობად არის მიჩნეული, რათა მათ შეიმუშაონ ეკონომიკური განვითარების მათთვის შესაბამისი და გლობალურად შრომის დანაწილების ადეკვატური სტრატეგიები, ის საკმარისი პირობა მაინც არ არის. რეგიონთა უნარს გააჩნია შეზღუდვები, გამოიწვიოს სასურველი ცვლილებები მხოლოდ რეგიონალურ დონეზე მოქმედებით. რეგიონული განვითარების ნეოლიბერალურ მოდელებზე გადასვლა გულისხმობდა სახელმწიფოებრივ, და, გარკვეულ ზესახელმწიფოებრივ სარეგულაციო თუ მართვის რეჟიმებში ჩადებული ცვლილებების გატარებას. შესაბამისად, რეგიონების შესაძლებლობა, შეემუშავებინათ სტრატეგიები

მეტი მედეგობისათვის, კრიტიკულად გახდა დამოკიდებული სახელმწიფოებრივ, და ზესახელმწიფოებრივ სარეგულაციო თუ მართვის მოდელელებში არსებული ცვლილებებზე. ეს პოლიტიკები უნდა შეიცვალოს ორი მნიშვნელოვანი გზით.

პირველი, საჭიროა (დე)მოტივაციის და საგადასახადო სტრუქტურების ცვლილება, რათა ბაზრები აიგოს და დარეგულირდეს იმგვარად, რომ ხელი შეეწყოს უფრო ეკოლოგიურად მგრძობიარე პროცესებზე, პრაქტიკებზე და ქცევებზე გადასვლას. მაგალითისთვის, საჭირო იქნება გადასვლა ისეთ ორგანიზაციულ სტრუქტურებზე, წარმოების ტექნოლოგიებზე და რუტინულ სამომხმარებლო ქცევებზე, რომლებიც ნაკლებ ზიანს მოუტანენ გარემოს (მათ შორის, ნახშირორჟანგზე დაფუძნებული მობილობის მასშტაბისა და არეალის შემცირებით: იხ. ქვემოთ). მეორე, მეტი პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს სოციალურად სასარგებლო (და არა უბრალოდ მომგებიან) სამუშაოს შექმნას და სოციო-სივრცით თანასწორობას, სამართლიანობას და კეთილდღეობას, ვიდრე ეკონომიკურ ზრდას. ამის მისაღწევად მნიშვნელოვანი კომპონენტია რეგიონული თვითკმარობის და ეკონომიკური დახურულობის დონის ოპტიმიზირება. ეჭვგარეშეა, ამისთვის საჭირო იქნება ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩართულობის გაზრდა, მაგრამ ეს არ – და ვერ – გულისხმობს უბრალოდ დაბრუნებას „ბრძანებისა და კონტროლის“ კვინზიანურ მოდელთან, რომელიც წინ უსწრებდა ნეოლიბერალიზმს. ამის არცთუ უმნიშვნელო მიზეზია სახელმწიფოს მიერ სესხების, „კვანტიტატიური გამარტივების“ (ან, უფრო პროზაულად, ფულის ბეჭდვის), და ბანკების დე ფაქტო ნაციონალიზაციაში პირდაპირი ჩართულობის მასშტაბი, როგორც გლობალური ეკონომიკისთვის ბიძგის მიცემის მცდელობა. თუმცა, უფრო ფუნდამენტურად, იმისათვის, რომ ვეცადოთ გავუმკლავდეთ ღრმა ეკონომიკურ და ფინანსურ კრიზისს, „ნავთობის პიკის“¹⁰ მოახლოების და კლიმატის ცვლილების პოტენციურად კატასტროფული შედეგების უპრეცედენტო კომბინაციას, საჭირო იქნება უფრო რადიკალური მიდგომა მართვისა და რეგულაციისადმი (Green New Deal Group, 2008).

საგულისხმო აქცენტი ისმება „დამსწავლელი რეგიონების“ შექმნაზე, როგორც რეგიონების კონკურენტული წარმატებისთვის კრიტიკულად მნიშვნე-

10 ნავთობის პიკი (peak oil) – თეორიულად ნაწინასმეტყველები მომენტი, როდესაც ნავთობის მოპოვება ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწევს, რის შემდეგ გამუდმებით შემცირდება

ლოვან კომპონენტზე ნეოლიბერალურ სამყაროში (Hudson, 1999; Morgan, 1995). დასწავლის და ადაპტირების უნარი უფრო მედეგი რეგიონებზე ტრანზიციის საკვანძო კომპონენტი იქნება. თუმცა, ადაპტირების და დასწავლის უნარის შექმნის დანიშნულება ერთობ განსხვავებული იქნება მედეგობისკენ პოსტ-ნეოლიბერალურ სწრაფვაში. აქცენტი დასასმელია უფრო პროაქტიულ მიდგომაზე და იმის სწავლაზე, როგორ ვინინასწარმეტყველოთ და გაუმკლავდითე გარედან მომდინარე შოკებსა და მღელვარებებს. ასევე, იმის დასწავლაზე, როგორ შევექმნათ უფრო თვითკმარი რეგიონული ეკონომიკები და, ამავდროულად, უზრუნველვყოთ ეკონომიკისა და საზოგადოების ორგანიზების უფრო ეკოლოგიურად მდგრად და სოციალურად სამართლიან ფორმებზე გადასვლა. ამის შემადგენელი ნაწილი იქნება იმის გაცნობიერებაც, რომ შესაძლოა სასარგებლო იყოს მოცემული რეგიონის საზღვრებს მიღმა გახედვა, რათა სხვებისგან მოხდეს დასწავლა, ქსელების გაბმა თუ თანამშრომლობის გზით „საუკეთესო პრაქტიკების“ გაზიარება, და შესაძლო პოლიტიკური მიდგომების შესახებ ინფორმაციის მიღება.

ეკონომიკის მეტი შიდა რეგიონული დახურულობა და მეტი რეგიონული თავდაჯერება

ცხადია, რომ არსებობს შეზღუდვები იმაზე, თუ რა ნიშნულამდე არის შესაძლებელი რეგიონის ეკონომიკის გამოცალკევება უფრო ფართო ეკონომიკიდან. შიდა-რეგიონული და რეგიონებსშორისი წარმოებისა და ვაჭრობის ოპტიმიზება ამ შემთხვევაში საკვანძო საკითხია. გარკვეულ პირობებში, შიდა-რეგიონული ტრანზაქციების ზრდა სავსებით თავსებადია კაპიტალის მეინსტრიმულ ლოგიკასთან, რადგან ის ამცირებს როგორც წარმოების, ისე ტრანსპორტირების ხარჯებს და ზრდის მოგებას. ეს დაედო საფუძვლად, მაგალითად, ფოლადისა და ქიმიკატების მსხვილი ინტეგრირებული კომპლექსების შექმნას, რაკი ერთი პროცესის ნაშთები მეორის მასალები ხდებოდა, იმის ნაცვლად, რომ ისინი უსარგებლო ნარჩენებად ქცეულიყო. იგივე ლოგიკა დგას ეკო-ინდუსტრიული კომპლექსის (EID) განვითარების უკან. ამ მიდგომის ეკოლოგიური სარგებელი შემდგომ სექციაში არის განხილული, მაგრამ აქ იმას უნდა გავუსვათ ხაზი, რომ კომპანიები, რომლებიც EID-ში არიან ჩართულები, თანამშრომლობენ საზიარო ეკონომიკური სარგებლისთვის, ქმნიან რა მასალების ბრუნვის დახურულ წრეს, ნარჩენების გადამუშავების, აღდგენის და ხელახალი გამოყენების

მეშველობით. ორმხრივ კომერციულ შეთანხმებების საფუძველზე, მომიჯნავე კომპანიები სხვადასხვა სახის ნაშთებს ცვლიან, რის შედეგადაც ისინი ზრდიან ეკო-ეფექტურობას, ხელს უწყობენ რისკებისა და ნარჩენების შემცირებას, და მათი მოგების ზრდას (Scharb, 2001; Stone, 2002). ინტეგრაციის სისტემებზე დაფუძნებული ეკონომიკების მეშვეობით EID ასევე ქმნის მეტი ეფექტურობის მიღწევის შესაძლებლობებს, სადაც ბიზნესებს შორის გაბმული ქსელები და ბიზნეს-კავშირები უზრუნველყოფენ სერვისების, ტრანსპორტირების და ინფრასტრუქტურების საერთო საჭიროებების დაკმაყოფილებას. ცოდნის გაცვლა ეხმარება ფირმებს აღმოაჩინონ ახალი პროდუქტები და პროცესები, რათა იქცნენ მნიშვნელოვან სივრცეებად ინოვაციისთვის, ცოდნის შექმნისთვის და სწავლისთვის. გარდა ამისა, ეს სარგებელი აგრეთვე ვრცელდება ადგილობრივ მოსახლეობაზე – მაგალითად გარემოს გაუმჯობესების, დასაქმების ზრდისა თუ უფრო კოოპერატიული ინდუსტრიული ურთიერთობების წარმოქმნის სახით.

რესურსების მოხმარების ოპტიმიზირების და ხარჯების შემცირების მიზნით ქსელებისა და პარტნიორობების შექმნაზე აქცენტმა გაზარდა მოთხოვნა უფრო ფართო რეგიონულ ქსელებზე (Scharb, 2001). ასეა თუ ისე, EID ცხადად აჩვენებს, რომ შესაძლებელია წარმოებისას მასალების გადაადგილების შემცირება მიწოდების ჯაჭვების სულ მცირე ნაწილის რეგიონალიზებით. თუმცა, EID-ის ლიმიტებიც აქვს, რამდენადაც ზოგი ნედლი მასალა და კომპონენტი, როგორც წესი, რეგიონში იმპორტით შემოდის, ხოლო საბოლოო ნაწარმი კი რეგიონის გარეთ იყიდება.

არსებობს ლიმიტები ასევე იმაზეც, თუ რისი წარმოებაა შესაძლებელი რეგიონულად ამავე რეგიონში მოხმარებისთვის, რაც განპირობებულია ბაზრების ზომით და რეგიონების შიგნით არსებული სამომხმარებლო პრეფერენციებით. მიუხედავად ამისა, საჯარო შესყიდვების პოლიტიკის მეშვეობით ბევრ რეგიონს შეუძლია საგრძნობლად გაზარდოს შიდა რეგიონული ტრანზაქციები და ეკონომიკური მედეგობა. წარმოიდგინეთ, მაგალითად, ევროკავშირის უდიდეს ნაწილში სკოლების, საავადმყოფოების და საჯარო სექტორის სხვა სფეროებში საკვების მიწოდების ჯაჭვების რეგიონალიზაცია (Hadjimichalis and Hudson, 2007). მსგავსი მიდგომების ინვესტ ცინცხალი, ადგილობრივად წარმოებული საკვები პროდუქტების მოხმარების ზრდას, რაც ქმნის ბაზრებს რეგიონული სოფლის მეურნე-

ობის შესანარჩუნებლად. ამან, ასევე შეიძლება გზა გაუხსნას ადგილობრივად არსებულ სოციალური ეკონომიკის მწარმოებლებს, რომლებიც კაპიტალიზმის მენისტრიმული ბაზრების მიღმა მოქმედებენ (იხ. ქვევით). არსებობს ასევე მოსაზრება, რომ შესაძლებელია რეგიონალური სოფლის მეურნეობის წარმოების გაზრდა საკვების ქარხნების მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში განლაგებით (Weaver et al., 2000), რაც დააკმაყოფილებდა რეგიონულ მოთხოვნას რეგიონის ნაწარმით და, ამავდროულად, მოიტანდა მნიშვნელოვან სარგებელს გარემოსთვის (ეს საკითხი განხილულია ქვემოთ).

თუმცა, რეგიონული ეკონომიკების დახურვას თან ახლავ რისკები – განსაკუთრებით მაშინ, თუკი ხდება პროდუქტების შეზღუდულ რაოდენობაზე კონცენტრაცია. მეტ მედეგობას სჭირდება მეტი დივერსიფიკაცია, ოღონდ იმ „დივერსიფიკაციისგან“ რადიკალურად განსხვავებული, რომელიც ფორდისტული ეპოქის რეგიონალურ პოლიტიკებს ახლდა თან. გარკვეული დროით, ამ პოლიტიკებმა ინდუსტრიათა დიდი სპექტრი გააჩინა იქამდე ერთ ან მცირე რაოდენობის ინდუსტრიაზე დამოკიდებულ რეგიონებში, სადაც, როგორც წესი, წარმოდგენილი იყო რუტინული, ფილიალური ქარხნები, რომლებიც დაკავებულნი იყვნენ დაბალკვალიფიციურ კომპონენტური წარმოებით ან/და აწყობითი სამუშაოებით. ამის საპირისპიროდ, საჭიროა დივერსიფიკაცია, რომელიც აერთიანებს ინდუსტრიების ფართო სპექტრს (საწარმოო ინდუსტრიებს და სერვის ინდუსტრიებს), სხვადასხვა ზომის თუ ფორმის ფირმებს (მათ შორის სოციალურ საწარმოებს და მესამე სექტორის ორგანიზაციებს), და ასევე სხვადასხვა სახის ფუნქციებს, უნარებსა თუ პროფესიებს. ასეთ სტრუქტურას ბევრად უკეთ შეეძლება გაუმკლავდეს კაპიტალისტური განვითარებისთვის დამახასიათებელ ზრდისა და ვარდნის გარდაუვალ ციკლებს. თუმცა, როგორ უნდა მივიღეთ ასეთ დივერსიფიცირებულ სტრუქტურამდე, სხვა საკითხია. დარწმუნებით იმის თქმა შეიძლება, რომ ამისათვის საჭირო იქნება რეგიონის აღქმა არა უბრალოდ სივრცედ, სადაც მოგების ნახვაა შესაძლებელი, არამედ ადგილად, რომელთანაც საკვანძო ეკონომიკურ აქტორებს გარკვეული მიჯაჭვულობა და ვალდებულებები გააჩნიათ, და ეს დაფუძნებული იქნება არა, მაგალითად, ჭარბ-ეკონომიკურ მოტივაციებზე, არამედ რეგიონალურ იდენტობაზე და რეგიონთან იდენტიფიკაციაზე (Hudson 2001).

ამასთან, არსებობს შესაძლებლობა რომ ზოგიერთმა – მაგრამ, ნამდვილად არა ყველა – რეგიონმა შექმნას მედეგი რეგიონული ეკონომიკა, რომელიც სპეციალიზდება „მწვანე“ პროდუქტებზე (მათ შორის განახლებად ენერჯიაზე) და წარმოების ეკოლოგიურად სენსიტიური საშუალებების წარმოებაზე. მსგავსი რეგიონის ფირმები, რომლებიც ახალი ტექნოლოგიების და საექსპორტო ბაზრებზე პიონერის უპირატესობით ისარგებლებენ, შეძლებენ მისდინონ ძლიერი შუმპეტერიანული¹¹ კონკურენციის სტრატეგიებს და მოგება დააბანდონ კვლევასა და განვითარებაში, რათა თავიანთი კონკურენტული უპირატესობა შეინარჩუნონ. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს გარანტია, რომ ამას საფუძველი არ შეერყევა, კაპიტალიზმის ეკონომიკური ისტორია აჩვენებს, რომ მისთვის შინაგანია კუმულატიური უპირატესობის ძლიერი პროცესებია. თუმცა, ზუსტად ასევე, არ არსებობს გარანტია, რომ რეგიონიდან მიღებული მოგება ისევ რეგიონში დაბანდდება, და, ამრიგად, ის რისკები რეგიონული მედეგობისთვის, რომლებიც ენდემურია კაპიტალიზმისთან, კვლავაც დარჩება.

თუმცა, ამასთან ერთად, უფრო მედეგი რეგიონებისკენ სვლისთვის ასევე საჭირო იქნება კაპიტალის ლოგიკის საზღვრებს მიღმა გასვლა და იმის თავიდან განსაზღვრა, თუ რას მივიჩნევთ „ეკონომიკად“. ამისათვის კი უნდა ვალიართ როგორც ღირებულების სხვაგვარი კონცეპტები თუ შეფასების სხვაგვარი პროცესები, ასევე მათ მიერ წარმოშობილი პროდუქტებისა და სერვისების ვალიდურობა. შედეგად, ის ბევრი სოციალურად გამოსადეგი და გარემოსთვის სასარგებლო საქმიანობა, რომელიც დღეს კიდევებზეა მოსროლილი, როგორც სოციალური ეკონომიკის ან მესამე სექტორის კუთვნილება, მეტ აღიარებასა და მნიშვნელობას შეიძენს (Amin, 2009; Amin et al., 2002; Leshon et al.,). ასეთი საქმიანობა ხშირად ადგილობრივად მიმდინარეობს, ახერხებს რა დააკმაყოფილოს ლოკალური მოთხოვნები ადგილზე წარმოებული პროდუქციით, ან მოახდინოს უკვე არსებული პროდუქტებისა და მასალების გადამუშავება ან მოხმარებაში ხელახალი ჩაშვება, და შესაბამისად, ბევრად ნაკლებ ზიანს აყენებს გარემოს.

11 ჯოზეფ შუმპეტერი (Joseph Schumpeter) – ავსტრიელი ეკონომისტი. მისი შემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა კაპიტალიზმში ინოვაციისა და კონკურენტულობას შორის კავშირს. შუმპეტერის აზრით, ტექნოლოგიური ინოვაცია ხშირად ქმნის დროებით მონოპოლიებს, რომლებიც უჩვეულოდ დიდი მოგების წყაროა.

ეკონომიკის მატერიალურობის აღიარება: მედეგ რეგიონებში მოხმარებისა და წარმოების გადაწყობა გარემოსათვის ზიანის შესამცირებლად

მიუხედავად ფართო აღიარებისა, რომ ეკონომიკა გულისხმობს მატერიალურობის მოძრაობას და მათ ტრანსფორმაციას, რაც მატერიალურ გავლენას ახდენს ბუნებრივ გარემოზე, სულ რაღაც 1960-იანების ბოლოს ან 70-იანების დასაწყისში დაიწყო რამოდენიმე ეკონომისტმა და სოციალური მეცნიერებების წარმომადგენელმა – მაგალითად ვირესმა, ნისმა (Ayres and Kneese, 1969) და გეორგესკუ-როგენმა (Georgescu-Reogen, 1971) – ეკონომიკის ამგვარი გაგებით სერიოზული დაინტერესება. ეკონომიკის განხილვა ფიზიკური მეცნიერებების და ისეთი კონცეპტების გადმოსახედიდან, როგორებიცაა სიცოცხლის ციკლის ანალიზი, ინდუსტრიული ეკოლოგია, ინდუსტრიული მეტაბოლიზმი და მასალების ბალანსი, ხაზს უსვამს ეკონომიკის მატერიალურობას, და ეკონომიკას, როგორც მატერიების გარდაქმნის მუდმივ ციკლს. ამგვარად, რეგიონალური ეკონომიკები შეიძლება მოაზრებული იყოს, როგორც მატერიისა და ენერჯის გარდამავალი და დროებითი (შესაძლოა, ხანგრძლივ, მაგრამ ყოველთვის დროებით და გარდამავალ) ერთობა, რომელიც ერთ ადგილზეა თავმოყრილი სოციალური თუ სივრცითი სპეციფიკის სარეგულაციო პრაქტიკებით.

მატერიების ეს ტრანსფორმაციები გამუდმებით ცდებიან თავიან ჩაფიქრებულ შედეგებს, რაკი ურჩი მატერია უსხლტება იმ ჩარჩოს, რომელსაც მოცემული ტრანსფორმატიული პროცესი განსაზღვრავს. შედეგად, ეკონომიკის ყოველ ეტაპზე, მატერიების ტრანსფორმაციას აქვს როგორ ჩაფიქრებული, ისე უნებლიე შედეგები – უნებლიერ შედეგები, არასასურველთან ერთად, ხშირად უხილავი ან სხვაგვარად შეუმჩნეველია და, ამიტომაც, როცა ხილვადია, როგორც წესი, მოიხსენიება „დამბინძურებლად“ ან „ნარჩენად“. ბევრ მიზეზთა გამო (ეკონომიკური, ეკოლოგიური და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული) არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა, სასწრაფოდ მოხდეს როგორც ამგვარი დამბინძურებლებისა და ნარჩენების, ასევე უფრო ზოგადი ეკოლოგიური ზიანის შემცირება, რომელიც ეკონომიკური საქმიანობებიდან მომდინარეობს.

როგორც უკვე აღვნიშნე, EID გვთავაზობს სანარმოო საქმიანობების რეგიონალიზების და ეკოლოგიაზე მათი მანე გავლენის შემცირების პოტენციალს, ამცირებს რა როგორც ნარჩენების რაოდენობას, ისე სანარმოო პროცესსა და დაწესებულებს შორის მასალების მოძრაობის ხარჯებს. EID ეფუძვნება ბიოლოგიურ ანალოგიას და იმეორებს ბუნებაში არსებულ ადაპტირების თვისებებს. წარმატებული EID-ისთვის ყველაზე ხელსაყრელი ადგილმდებარეობები დიდი, მჭიდროდ დასახლებული რეგიონებია, რომლებიც, საუკეთესო შემთხვევაში, სამ მთავარ კრიტერიუმს აკმაყოფილებენ. პირველი, ახლომახლოს მდებარე ფირმები სათანადოდ ავსებენ ერთმანეთს, რათა უზრუნველყონ დაახლოებით ბალანსი ნაშთებზე მოთხოვნასა და მათ მიწოდებას შორის. მეორე, ფირმებს შორის ურთიერთობები დაფუძნებულია ახლო ინდივიდუალურ კავშირებზე ან ისეთ ინსტიტუციურ ჩარჩოზე, რომელიც ტრანზაქციების ხარჯს ამცირებს. მესამე, რეგულაციური რეჟიმები წაახალისებენ ფირმებს შორის თანამშრომლობის ურთიერთობებს და არა ნაშთების უბრალოდ მოშორებას. თუმცა, არსებობს სხვა სახის გარემოს საზღაურები, რომელიც დაკავშირებულია მოსახლეობის მაღალ კონცენტრაციასთან, და რომელიც უნდა დაბალანსდეს EID-ისგან მიღებულ სარგებელით, იმის გადანყვევით, თუ რამდენადაა ამგვარი განვითარება ხელსაყრელი გზა თითოეული ცალკეული შემთხვევაში.

არსებობს ეკონომიკური საქმიანობის რეგიონალიზების სხვა გზებიც, რომლებსაც შეუძლიათ ეკოლოგიაზე მავნე გავლენა შეამცირონ. უკვე ნახსენებ საკვების მიწოდების ჯაჭვების რეგიონალიზაციას შეუძლია შეამციროს სოფლის მეურნეობის მავნე გავლენას ეკოლოგიაზე, კვეცავს რა „საკვების კილომეტრებს“ და CO₂-ის გამოყოფას, რაკი მიწოდების ჯაჭვები მოკლდება და კილომეტრებზე გადაზიდული საკვების ტონები ეცემა. მაგალითისთვის, პომიდორების წარმოებამ გაერთიანებულ სამეფოს გახურებულ სათბურებში შეიძლება მეტი ნახშირორჟანგი გამოყოს, ვიდრე ესპანეთის გარე მინდვრებში მათმა მოყვანამ და შემდგომ გაერთიანებულ სამეფოში გასაყიდად ტრანსპორტირებამ.

არსებობს ეკო-ეფექტურობს კიდევ უფრო გაუმჯობესების პოტენციალიც, მაგრამ ამის განხორციელებისთვის საჭირო იქნება უფრო საყოველთაო ცვლილებების გატარება საკვების წარმოების სისტემებში და დიეტის, სასურ-

ველი საკვებისა და გემოვნების მნიშვნელოვანი გარდაქმნა. ეს მიანიშნებს იმ სირთულეებზე, რომლებიც დაკავშირებულია რეგიონში მეტი მედეგობის მისაღწევად ეკონომიკური პრაქტიკების ტრანზორმირების მცდელობასთან. ახლებურმა საკვებმა შეიძლება შესაძლებელი გახადოს პროტეინის წარმოება საგრძნობლად დაბალი ეკონომიკური და ეკოლოგიური ხარჯებით. თუმცა, არსებობს მნიშვნელოვანი კულტურული, ეკონომიკური და სოციალური ბარიერები მათი შემოღებისათვის. კვებითი საჭიროებების დაკმაყოფილებასთან ერთად, საკვები გრძნობით კმაყოფილებასაც გვანიჭებს სურნელის, გემოს და ტექსტურის მეშვეობით და გამოიყენება სოციალური მდგომარეობის ხაზგასასმელად და დასამტკიცებლად. გამორჩეული საურთიერთობო და საოჯახო თავყრილობები გამორჩეული საკვების ჭამით აღინიშნება. შედეგად, „მომხარებელთა ზრუნვა კონცენციურ საჭმელზე, კვების ნორმებსა და ჩამოყალიბებულ ჩვევებზე საგრძნობ ბარიერს ქმნის დიეტის ცვლილებისათვის“ (Weaver et al., 2000, 121-2). იგივენაირად მოქმედებს მსხვილი კაპიტალისტურ გაერთიანებები და აგრობიზნესები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საკვების წარმოებისა და დისტრიბუციის იმ უკვე არსებული სისტემების კვლევწარმოებით, რომლებზეც მათი მოგებაა დამოკიდებული. შედეგად, არსებობს საგრძნობი ზენოლა ინოვაციური და პოტენციურად უფრო ეკოფეფტური საკვები პროდუქტებისა თუ საკვების წარმოების რეგიონალიზებული და მედევი სისტემების წინააღმდეგ. ღია საკითხად რჩება, რამდენად არის შესაძლებელი ამ ზენოლის შემცირება სახელმწიფო ან საერთაშორისო დონეზე წარმოდგენილი რეგულაციური სისტემების ცვლილებით.¹²

მობილურობა, მოძრაობა და მიწის გამოყენების მოდელები მედეგ რეგიონებში

მედეგ რეგიონებს ასევე დასჭირდებათ რადიკალური ცვლილებები ტრანსპორტირების ტექნოლოგიებში, და გრძელვადიან პერსპექტივაში, მიწის გამოყენების მოდელებში. ბევრი ადამიანისთვის, არსებობს

12 მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებს აქვთ პოტენციალი, მომხარების უფრო მდგრადი სივრცეები გახდნენ სხვა მხრივ, მაგალითად ტანსაცმლისა და საოჯახო ქსოვილების გარეცხვისა და განმუხრის თვალსაზრისით

მჭიდრო კავშირი ავტომობილის გამოყენებას (Urry, 1999) და ცხოვრების სტილს შორის, რაკი პირადი გადაადგილება მათი ცხოვრების ხარისხის მნიშვნელოვანი ელემენტია. თავის მხრივ, ეს გავლენას ახდენს დიდი ხნის ჩამოყალიბებულ და კარგად ცნობილ „საგზაო ლობის“ (Hamer, 1974) ძალაუფლებაზე, გაატაროს თავისი ინტერესები მანქანების წარმოებასთან და გზებისა თუ მათთვის საჭირო ინფრანსტრუქტურის მშენებლობასთან დაკავშირებით. ამგვარად, მინის გამოყენების მოდელები, ტრანსპორტზე მოთხოვნა და მიწოდების საშუალებები ერთდროულად აღმოცენდა. ზიანი გარემოსთვის, რომელიც ამის შედეგია, შეგვიძლია შევამციროთ სხვადასხვა კომბინაციით, რომელიც მოიცავს მოთხოვნის განკარგვას, ადამიანებისა და საქონლის ტრანსპორტირების სხვა საშუალებებზე გადაყვანას, მოდალური გადანაწილების¹³ ცვლილებას, და, უფრო გრძელვადიან პერსპექტივაში, ტექნოლოგიურ ცვლილებას მოძრაობის უფრო ენერგო-ეფექტური საშუალებების შექმნით და „ეკონომიკის დეკარბონიზაციის“ უზრუნველყოფით, რაც, „ცხადია რომ გადამწყვეტი მნიშვნელობისაა“ (Wernick et al., 1997, 138). ასეთი ცვლილებებს სასარგებლო შედეგი ექნებოდათ გადაადგილებასთან დაკავშირებული იმ უთანასწორობის გადაჭრაზეც, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებს კერძო მანქანას, როგორც ძირითად გადაადგილების საშუალებას მსოფლიო ქვეყნების უმეტესობაში.

ამრიგად, დეკარბონირებულ ეკონომიკაში მედეგი რეგიონების ასაგებად საჭირო იქნება, რომ ბევრმა ადამიანმა შეიცვალოს ცხოვრების წესი – გადაადგილების მარშრუტები იცვლება, გავლილი მანძილების საშუალო მაჩვენებელი მცირდება და ადამიანები ბევრად მეტს მგზავრობენ ფეხით, ველოსიპედით ან საზოგადოებრივი ტრანსპორტის სხვადასხვა საშუალებით. ასეთ ცვლილებას ასევე დასტირდებათ ნაშენი გარემოს სივრცით მოწყობისა და შრომის ადგილებს შორის მანძილების მნიშვნელოვნად შეცვლა, და შესაბამისი ცვლილებები ადამიანების საქმიანობის მოდელებში, სივრცეებში და მგზავრობის დომინანტურ საშუალებებში. ნაგები გარემოს დაგეგმვა და მოწყობა მოძრაობების შესამცირებლად, დრამატულ შეცვლის საცხოვრებელი, სამუშაო და სხვა ადგილების ურთიერთგანლაგებას და ამ აქტივობების განხორციელების მასშტაბებს.

13 მოდალური გადანაწილება (Modal Split) – (ქალაქში) გადაადგილებებში სხვადასხვა საშუალებების (მაგალით ველოსიპედის ან საჯარო ტრანსპორტის) წილის შეფარდება

მთელი მსოფლიოს გარშემო უკვე არსებობს მრავალი მაგალითი დაგეგმარების ისეთი პროექტებისა, რომლებიც ესწრაფვიან შეამცირონ მავნე ზეგავლენა გარემოზე და ზოგი მართგანი აცხადებს, რომ ითვალისწინებს სოციო-სივრცითად არათანაბარი განვითარების საკითხებსაც. მათ შორისაა Transition Towns- მოძრაობა (Brangwyn and Hopkins, 2009), რომელიც ამჟამად მხარს უჭერს 100-ზე მეტ ინიციატივას მთელ მსოფლოში – ინიციატივას, რომ ქალაქი მასდარი გადაიქცეს კარბონულად ნეიტრალურ გარემოდ აბუ დაბიში; ინიციატივას, რომ გაშენდეს ჩინეთის ეკონიეტრალური ეკოქალაქი დონგტანი; და ინიციატივას, რომ ლონდონთან მდებარე თემზ გეთვეის უბნის განვითარება დაეყრდნოს დონგტანის მოდელს და შექმნას მნიშვნელოვანი სტიმული აღმოსავლეთ ლონდონის სოციოეკონომიკური გაჯანსაღებისათვის – თუმცა, წყალდიდობის რისკები, რომლებიც უკავშრდება დაგეგმილ განვითარებას, აჩენს ეჭვებს მისი ეკოლოგიური მდგრადობის და მედეგობის შესახებ (Lavery and Donovan, 2005).

თუმცა, ადვილად შესაძლებელია, რომ ასეთ ცვლილებებს წინააღმდეგობა შეხვდეს, მიუხედავად იმისა, რომ საინფორმაციო და კომუნიკაციის ტექნოლოგიებში მომხდარი ინოვაციები (განსაკუთრებით ინტერნეტი) ამის შესაძლებლობას იძლევა. მაგალითისთვის, დისტანციურმა მუშაობამ 0.7%-ით შეამცირა ფინეთში სამუშაოზე მისასვლელად გავლილი კილომეტრების საერთო რაოდენობა (Helminen and Risitimaki, 2007). კალიფორნიელების მხოლოდ 2%-ს სურდა 0 ანდ 2 წუთიანი მანძილი სამსახურამდე, და თითქმის 50% ამჯობინებდა 30 ან მეტ წუთიან მგზავრობას სამუშაო ადგილამდე. ეს მიანიშნებს, რომ ავტომობილზე დაფუძნებული ცხოვრების წესის, და სამუშაო ადგილისი და სახლის სივრცითი განცალკევების ჩამოშლას წინააღმდეგობა შეხვდება (Button and Taylor, 2001, 30).

ასევე სახიფათო იქნებოდა იმ ინერციის ჯეროვნად არ დაფასება, რომელიც ნაშენ გარემოშია მოქცეული. არსებობს მძლავრი ეკონომიკური იმპერატივები იმაზე, რომ შენარჩუნდეს არსებული სოციო-სივრცითი სტრუქტურები ან, სულ მცირე, შენელდეს ცვლილებები, რათა მათ საფრთხე არ შეუქმნან უკვე არსებულ ფიქსირებულ კაპიტალდაბანდებებს. და უფრო მეტიც, ისინი მიიმართონ კიდევ უფრო მეტის სივრცის შექმნისკენ კაპიტალის დაგროვებისთვის.

რეგიონული განვითარების ხელახლა განსაზღვრა? უფრო მედეგი რეგიონებისკენ სვლა კაპიტალის წინააღმდეგობის პირობებში

უკვე კარგა ხანია, განვითარების მენისტრიმულ, ლიბერალურ დისკურსში და პოლიტიკაში აქცენტი კეთდება რეგიონების უფრო ხელსაყრელად პოზიციონირებაზე გლობალურ სანარმოო სისტემებში, მათი პოზიციების გაუმჯობესებაზე სხვა რეგიონებთან და ადგილმდებარეობებთან კავშირების გაბმის თვალსაზრისით. ამასთან, მიიჩნევა, რომ ეს, თავის მხრივ, საჭიროებს ინვესტირებას ტრანსპორტისა და ლოჯისტიკის ინფრასტრუქტურაში და ნაშენი გარემოს გარდაქმნას, მათ შორის ძლიერ მნიშვნელოვანი მაღალპროფესიული მშრომელების მოზიდვას და შენარჩუნებას. მიიჩნეოდა, რომ ეკონომიკური განვითარება და „წარმატება“ უშუალოდ იყო დაკავშირებული სხვა რეგიონებთან კავშირების და მიმოცვლის შექმნასთან, რეგიონთაშორისი ნაკადების მაქსიმალურად ზრდასთან, ხშირად გლობალური მასშტაბით. ახლა არსებობს სულ უფრო მძლავრი იმპერატივი გადავიდეთ რეგიონული განვითარების უფრო თვითმემოზღუდულ და მდგრად მოდელებზე, შევქმნათ უფრო მედეგი რეგიონები, გავზარდოთ შიდა რეგიონული მიმოცვლა და შიდა კავშირები (ნაწილობრივი მასალების წარმოების შესაკრავად), და გადავიდეთ წარმოების, მიმოცვლისა და მოხმარების გარემოსთვის ნაკლებდამაზიანებელ მოდელებზე. ამასთან, მედეგი რეგიონები მიჩნეულია ისეთი რეგიონებად, რომლებიც ესწრაფვიან შეიმუშავონ გარდაქმნის სტრატეგიები, რომლებიც წინასწარ გაითვალისწინებს და შეეცდება მოემზადოს არახელსაყრელი ცვლილებების დადგომისთვის. მიუხედავად ამისა, ყველა ეკონომიკურ პროცესს აქვს გარდაუვალი ეკოლოგიური გავლენა და ასევე არარეალისტურია, ველოდეთ სრულ დახურულობას – ან გვეგონოს, რომ ყველა რეგიონს შეუძლია თვითკმარი ან, მართლაც, თანაბრად მედეგი იყოს, განსაკუთრებით ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორც ენერჯის გამომუშავება. შედეგად, ეს წარმოშობს მნიშვნელოვან შეკითხვებს იმის თაობაზე, თუ რა ზომითაა შესაძლებელი რეგიონიონის „დახურულობა“, ავტონომია, ავტარქია თუ მედეგობა; ასევე იმ გავლენის თაობაზე, რაც ასეთი ნაწილობრივი დახურვას და მედეგობას ექნება ცალკეულ რეგიონებში

მცხოვრები და მომუშავე ადამიანების ცხოვრების წესსა და შემოსავალზე. ღია კითხვებია ზოგ რეგიონში მედეგობის ზრდისკენ მიმართული ნაბიჯები უბრალოდ ხომ არ გადაავადებენ გარემოზე მავნე გავლენას დროში და/ან თავიდან მოიშორებენ სხვა სივრცეში გადასროლით, რითაც ისინი შეამცირებენ სხვა რეგიონების მედეგობას და, ამავდროულად, არ ექნებათ არავითარი სისტემატურად პოზიტიური, გამაჯანსაღებელი გავლენა გლობალურ დონეზე? მედეგობა ხომ არ გახდება უბრალოდ კიდევ ერთი განზომილება, რომელსაც რეგიონები გამოიყენებენ მოძრავი ინვესტიციების დასაბანდებლად და, ამრიგად, წაახალისებენ კომბინირებული და არათანაბარი განვითარების საკვანძო მოტივატორებს?

მიუხედავად იმისა, რომ გამოწვევები, რომელთაც ვაწყდებით უფრო მედევი და მდგარ ტრაექტორიებზე გადასვლისას მძიმეა გლობალურ „ჩრდილოეთში“, ისინი განსაკუთრებით მწვავეა „სამხრეთის“ იმ მარგინალიზებული რეგიონებისთვის, რომლებიც – იმის გამო, რომ მწირი არჩევანი ჰქონდათ – მიჰყვნენ „განვითარების“ იმ სტრატეგიებს, რომლებიც ეფუძნება ადგილობრივი ეკონომიის გარდაქმნას გლობალურ სანარმოო სისტემებში ნიშის საპოვნელად. ეს ნიშა შეიძლება იყოს სოფლის მეურნეობაში (სხვადასხვა ეგზოტიკური ხილი და ბოსტნეული, ყვავილები, ან ნათესები ბიოსანვავისთვის) ან ექსპორტზე მორგებული ნანარმისთვის თავისუფალი სანარმოო ზონების შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ „ჩრდილოური“ მომხმარებელთა ჯგუფების და არასამთავრობო ორგანიზაციების ეთიკური წუხილი და ზენოლა „სამართლიანი ვაჭრობისთვის“ და ქარხნის მუშებისთვის უკეთესი სამუშაო პირობების (ბავშვთა შრომის აკრძალვა, შრომის პირობები, გარემოს და სამუშაო საათების რეგულირება, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების გაუმჯობესება და ა.შ.) შექმნისთვის ქების ღირსია, არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ეს რეგიონები გლობალური სანარმოო სისტემების დაქვემდებარულ ნაწილს წარმოადგენენ. რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს რეგიონების სწრაფვას გამოეყონ ასეთ სისტემებს და გადავიდნენ განვითარების უფრო ავტონომურ, გარემოსთვის ნაკლები ზიანის მომტან ტრაექტორიებზე, რომლებიც აქცენტს რეგიონული წარმოებისა და მოხმარების მაქსიმალურ ზრდაზე აკეთებს, თუკი ვაცნობიერებთ, რომ არსებობს შებლუდვები იმაზე, თუ რისი წარმოება და გაყიდვაა შესაძლებელი

მოცემულ რეგიონში? ასეთი ცვლილება გაზრდის მათ მედეგობას თუ გააღრმავებს მათ მონყვლადობას?

მართლაც, უფრო ზოგადი და გამანყვეტი კითხვაა ის, თუ რა პრაქტიული შესაძლებლობები არსებობს რეგიონული განვითარების ამგვარი რეორიენტირებისთვის, კაპიტალის დაგროვების იმპერატივების, კაპიტალისტური განვითარების წინააღმდეგობრივი და არათანაბარი ბუნების გათვალისწინებით? ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი შეკითხვა ისაა, შესაძლებელია თუ არა მედეგი და მდგრადი რეგიონული განვითარების – მეტიც, ზოგადად განვითარების – ახალი ფორმების შეთავსება კაპიტალის სოციალურ ურთიერთობებთან და კაპიტალის დაგროვების იმპერატივებთან? ეკო-მოდერნისტი ოპტიმისტების წარმოსახვით, ეკოლოგიური და ეკონომიკური იმპერატივები თავსებადია, თუკი შეიქმნება სათანადო ინსტიტუციური და სარეგულაციო მოწყობა – ისინი ემხრობიან მართულ, „მწვანე კაპიტალიზმს“, რომელსაც ეკონომიკური მდგრადობის უზრუნველყოფა შეუძლია. სხვები, ჩემი ჩათვლით, ნაკლებად ოპტიმისტურად ვართ განწყობილები (Hudson, 2001, 2005) – ბიოსაწვავის მზარდი გამოყენების გაუთვალისწინებელი შედეგები, საკვების მიწოდების მზარდი კრიზისი მწარედ გვახსენებს კაპიტალისტურ ეკონომიკის, რომელსაც მუდმივად ახლავს თან კრიზისის ტენდენციები. შესაბამისად, პროგნოზი ოპტიმისტური არ არის, მაგრამ ამ კითხვებზე პასუხებს არა მხოლოდ რეგიონული, არამედ გლობალური მნიშვნელობა გააჩნიათ.

ბიბლიოგრაფია

- Adger, W. (2000) Social and ecological resilience: are they related? *Progress in Human Geography*, 24:347–364.
- Amin, A. (ed). (2009) *The Social Economy: International Perspectives*. London: Zed Press.
- Amin, A., Cameron, A. and Hudson, R. (2002) *Placing the Social Economy*. London: Routledge.
- Arther, W. (1999) Complexity and the economy. *Science*, 284: 107–109.
- Ayres, R. U. and Kneese, A. V. (1968) Production, consumption and externalities. *American Economic Review*, 59: 282–297.
- Berkes, F, Folke, C. (eds). (1998) *Linking Social and Ecological Systems: Management Practices and Social Mechanisms for Building Resilience*. Cambridge: Cambridge University Press.
- Blaikie, P. and Brookfield, H. (1987) *Land Degradation and Society*. London: Longman.
- Bonnano, G. (2004) Loss, trauma and human resilience: have we underestimated the human capacity to thrive after extremely adverse events? *American Psychologist*, 59: 20–28.
- Brangwyn, B. and Hopkins, R. (2009) *Transition Initiatives Primer—Becoming a Transition Town, City, District, Village, Community or Even Island*. Version 26. Available online at: <http://transitiontowns.org/TransitionNetwork/TransitionNetwork#Primer> [Accessed 8 June 2009].
- Buerk, R. (2006) *Breaking Ships*. New York: Chamberlain Books.
- Button, K. and Taylor, S. (2001) Towards an Economics of the Internet and E-Commerce. In T. R. Leinbach and S. D. Brunn (eds). *Worlds of E-Commerce*, pp. 27–44. Chichester: Wiley.
- Carpenter, S., Walker, B. and Anderies, J.M., et al. (2001) From metaphor to measurement: resilience of what to what? *Ecosystems*, 4: 765–781.
- Coe, N. M., Hess, M. and Yeung, H. W.-C., et al. (2004) Globalizing regional development: a global production networks perspective, *Transactions of the Institute of British Geographers*. New Series, 29: 468–484.
- Folke, C., Hahn, T. and Olsson, P., et al. (2005) Adaptive governance of social-ecological systems. *Annual Review of Environment and Resources*, 20: 441–473.
- Georgescu-Roegen, N. (1971) *The Entropy Law and the Economic Process*. Cambridge: Harvard University Press.
- Gereffi, G., Humphrey, J. and Sturgeon, T. (2005) The governance of global value chains. *Review of International Political Economy*, 12: 78–104.
- Gereffi G, Korzeniewicz M. (eds). *Commodity Chains and Global Development*. Westport: Praeger.

Green New Deal Group. (2008) A Green New Deal: Joined-up Policies to Solve the Triple Crunch of the Credit Crisis, Climate Change and High Oil Prices. London: New Economics Foundation.

Gunderson, L. H. (2000) Ecological resilience in theory and practice. *Annual Review of Ecology and Systematics*, 31: 425–439.

Hadjimichalis, C. and Hudson, R. (2007) Re-thinking local and regional development: implications for radical political practice in Europe. *European Urban and Regional Studies*, 14: 99–113.

Hall, D. (2009) Pollution export as state and corporate strategy: Japan in the 1970s. *Review of Radical Political Economy*, 16: 260–283.

Hamer, M. (1974) *Wheels within Wheels*. London: Friends of the Earth.

Helminen, V. and Risitima`ki, M. (2007) Relationships between commuting distances, frequency and telework in Finland. *Journal of Transport Geography*, 15: 331–342.

Hill, E. W., Wial, H. and Wolman, H. (2008) *Exploring Regional Economic Resilience*. Working Paper 2008-04. Berkeley: Institute of Urban and Regional Development. University of California.

Holling, C. S. (1973) Resilience and stability of ecological systems. *Annual Review of Ecology and Systematics*, 4: 1–23.

Houveld, K. (2006) Toxic fumes unleash panic in the Paris of Africa. *Sunday Times*, 16 September, 26.

Hudson, R. (1999) The learning economy, the learning firm and the learning region': a sympathetic critique of the limits to learning. *European Urban and Regional Studies*, 6: 59–72.

Hudson, R. (2001) *Producing Places*. New York: Guilford.

Hudson, R. (2003) Global production systems and European integration. In J. Peck and H.W.-C. Yeung (eds). *Global Connections*, pp. 216–230. London: Sage.

Hudson, R. (2005) *Economic Geographies*. London: Sage.

Hudson, R. (2008) Cultural political economy meets global production networks: a productive meeting? *Journal of Economic Geography*, 8: 421–440.

Hudson, R. (2009) The costs of globalisation: producing new forms of risk to health and well-being. *Journal of Risk Management*, 11: 13–29.

Hudson, R. (2010) From knowledge based economy ...to knowledge based economy? Reflections on changes in the economy and development policies in the North East of England. *Regional Studies*, (in press).

Hudson, R. and Weaver, P. (1997) In search of employment creation via environmental valorisation: exploring a possible Eco-Keynesian future for Europe. *Environment and Planning*, 29: 1647–1661.

Hughes, A. (2006) Learning to trade ethically: knowledgeable capitalism, retailers and contested commodity chains. *Geoforum*, 37: 1007–1019.

Hyslop, M. (2007) *Critical Information Infrastructures: Resilience and Protection*. New York: Springer. Janssen, M., Schoon, M. L. and Ke, W., et al. (2006) Scholarly networks on resilience, vulnerability and adaptation within human dimensions of global environmental change. *Global Environmental Change*, 16: 240–252.

Kelman, I. (2008) Critique of Some Vulnerability and Resilience Papers, Version 2. Available online at: <http://www.isalndvulnerability.org/docs/vulnrescritique.pdf> [Accessed 17 November 2008].

Lavery, S. and Donovan, B. (2005) Flood risk management in the Thames Estuary looking ahead a 100 years. *Philosophical Transactions of the Royal Society A*, 363: 1455–1474.

Levinthal, D. (1996) Learning and Schumpeterian dynamics. In G. Dosi and F. Malerba (eds). *Organisation and Strategy in the Evolution of the Enterprise*, pp. 27– 41. London: MacMillan.

Leyshon A, Lee R, Williams CC. (eds). *Alternative Economic Spaces*. London: Sage.

Lovering, J. (1999) Theory led by policy: the inadequacies of the 'new regionalism' (illustrated from the case of Wales). *International Journal of Urban and Regional Studies*, 23: 379–395.

Macleod, G. (1999) Place, politics and scale dependence. *European Urban and Regional Studies*, 6: 231–253.

Manyena, S. B. (2006) The concept of resilience revisited. *Disasters*, 30: 433–450.

Morgan, K. (1995) *The Learning Region: Institutions, Innovation and Regional Renewal*. Papers in Planning Research Number 157. Cardiff: Department of City and Regional Planning, University of Wales.

Moulaert, F. and Sekia, F. (2003) Territorial innovation models: a critical survey. *Regional Studies*, 37: 289–310. Organisation for Economic Cooperation and Development. (2006) *Territorial Review: Newcastle in the North East*. Paris: Organisation for Economic Cooperation and Development.

Porter, M. (2003) The economic performance of regions. *Regional Studies*, 37: 549–578.

Scharb, M. (2001) *Eco-industrial Development: A Strategy for Building Sustainable Communities*. Review of Economic Development Interaction and Practice 8. Ithaca: Cornell University and US Economic Development Administration.

Scott, A. (1998) *Regions and the World Economy*. Oxford: Oxford University Press.

Stone, C. (2002) Environmental consequences of heavyindustry restructuring and economic regeneration through industrial ecology. *Transactions of the Institute of Mining and Metallurgy*, 111: A187–A191.

Storper, M. (1995) The resurgence of regional economies, ten years later: the region as a nexus of untraded interdependencies. *European Urban and Regional Studies*, 2: 191–222.

Urry, J. (1999) *Automobility: Car Culture and Weightless Travel: A Discussion Paper*. Available online at: <http://www.comp.lancs.ac.uk/sociology/soc008ju.html> [Accessed 14 August 2002]. Vidal de la Blache, P. (1941) *La personalite' ge'ographique de la France*. Hachette: The University Press.

Walker, B. H., Anderies, J. M. and Kinzig, A. P., et al. (2006) *Exploring Resilience in Social-Ecological Systems: Comparative Studies and Theory Development*. Collingwood: CSIRO Publishing.

Walker, R. and Buck, D. (2007) *The Chinese road*. *New Left Review*, 46: 39–68.

Weaver, P. M., Jansen, L. and van Grootveld, G., et al. (2000) *Sustainable Technology Development*. Sheffield: Greenleaf.

Wernick, I. D., Herman, R. and Govinch, B., et al. (1997) *Materialization and dematerialization: measures and trends*. In J.H. Ausubel and H. Langford (eds). *Technological Trajectories and the Human Environment*, pp. 135–156. Washington, DC: National Academy Press.

Yearley, S. (1995) *Dirty connections: transnational pollution*. In J. Allen and C. Hamnett (eds). *A Shrinking World?*, pp. 143–182. Oxford: Oxford University Press.

Zonabend, F. (1993) *The Nuclear Peninsula*. Cambridge: Cambridge University Press.

სინთეზური შესავალი

რა არის „სამართლიანი ტრანზიცია“?

ნინო ხელაია

სამართლიანობის ირგვლივ არსებულ ინტერდისციპლინურ ლიტერატურაში „სამართლიანი ტრანზიციის“ ცნება შედარებით ახალი, მაგრამ სულ უფრო აქტიურად გამოყენებული კონცეფციაა. „სამართლიანი ტრანზიცია“ გულისხმობს ნორმატიულ იდეას, რომ მსოფლიო ეკონომიკური წარმოების არსებული წესისა და ცხოვრების სტილიდან უნდა გადავიდეს დაბალი ნახშირბადის (ე.წ. „low-carbon“) მოხმარებაზე, ანუ დაბალნახშირბადიან ეკონომიკაზე, ხოლო ეს პროცესი აუცილებლად უნდა განხორციელდეს სამართლიანობისა და თანასწორობის იდეებზე დაფუძნებით. კლიმატის ცვლილების ეპოქაში კი, სამართლიანობის მნიშვნელობის გაგება საჭიროებს იმ კრიტიკულ შეკითხვებზე პასუხის გაცემას, თუ რა არის სამართლიანობა, რა ტიპის ტრანზიცია გვჭირდება, ვისი ინტერესები უნდა გატარდეს და რა საშუალებებით.

“რა არის სამართლიანი ტრანზიცია“ (2018) – ამ ტექსტის ავტორები, რაფაელ ჰეფრონი და დარენ მაკკოლი სწორედ იმ თეორიულ დისკუსიაში შედიან, თუ როგორ შეიძლება განვმარტოთ სამართლიანი ტრანზიციის იდეა ისე, რომ ტერმინმა ცვლილებისკენ სწრაფვის შინაგანი პოტენციალი არ დაკარგოს.

საკუთარი კრიტიკის სამიზნედ ავტორები იმ სამეცნიერო საზოგადოებას მიიჩნევენ, რომელმაც მათი აზრით, სამართლიან ტრანზიციაზე საუბარი ფრაგმენტებად დაყო და „სამართლიანობისა“ თუ „ტრანზიციის“ განსხვავებული იდეები და ხედვები შემოგვთავაზა. დისკუსიის ფრაგმენტაციამ კი საბოლოო ჯამში ფართო საზოგადოებისთვის გაართულა სამართლიანი ტრანზიციის არსის გაგება და მიმდებლობა. ცნების მიმართ განსხვავებული ხედვების არსებობა განსაკუთრებულ პრობლემად შეიძლება მივიჩნიოთ იმ მიზეზით, რომ კონცეფცია, რომელიც თავის დროზე ამერიკის შრომით მოძრაობებში დაიბადა სოციალური და გარემოსდაცვითი სამართლიანობის დღის წესრიგიდან და შემდგომ,

გარემოსდაცვითი სამართლიანობის თუ საერთაშორისო პროფესიული კავშირების ლექსიკაშიც დამკვიდრდა, უპირველეს ყოვლისა, მიზნად ისახავს პოლიტიკურ მობილიზაციას და შედეგად პოლიტიკური ცვლილების განხორციელებას. „სამართლიანი ტრანზიციის“ კონცეფციის ირგლივ წარმოებულ დებატებში ივარაუდება, რომ ამ იდეით წარმართულმა კოლექტიურმა მობილიზაციამ საზოგადოებაში იმედის ნაპერწკალი უნდა გააჩინოს და სათავე დაუდოს ხელშესახები ალტერნატივების მოძიებას. ხოლო სამართლიანობის ცნების ერთიანი გაგების გარეშე, ამ ცნებას მობილიზაციის პოტენციალი დაეკარგება და შესაბამისად, პოლიტიკური წარმატების შესაძლებლობა ნაკლები ექნება, ან შესაძლოა, საერთოდ არ ჰქონდეს.

ტექსტის ავტორთა კრიტიკის მთავარი არსი, მეთოდურად შესაძლოა გავიგოთ როგორც თეზისი, რომ პოლიტიკური ცვლილების განხორციელებისათვის, ცვლილების წარმმართველი ცნებებისა და იდეების ერთიანი (და არა ფრაგმენტული) გაგებაა საჭირო.

“სამართლიანი ტრანზიციის“ კონცეფციის შემთხვევაში, ეს საკითხი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ვინაიდან, პროცესში ჩართულ დაინტერესებულ აქტორებს, სახელმწიფოებს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა თუ კერძო სექტორს, როგორც წესი, განსხვავებული წარმოდგენები აქვთ იმაზე, თუ როგორ, ვის მიერ და რანაირად უნდა განხორციელდეს ტრანზიცია. მთავარი კითხვა კი რეალურად ის გახლავთ, თუ სინამდვილეში როგორი ტრანზიცია განხორციელდება იმ პირობებში, როდესაც კლიმატის ცვლილება შეუქცევად პროცესად არის ქცეული: იქნება ეს ზემოდან ქვემოთ განხორციელებული ელიტური და ტექნოკრატიული ტრანზიცია თავისი რთული ტექნიკური ნეოლიბერალური პოლიტიკებით (რომლის კონტრეაქციადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ საფრანგეთის „ყვითელი ჟილეტების“ მოძრაობა), საბაზრო ძალების მიერ მართული ტრანზიცია (რომელიც მაგალითად, ნახშირბადის ბაზრებს შექმნის და დაანებს გარკვეულ საბაზრო სტიმულებს, ფასის სიგნალებისა თუ გადასახადების სახით), თუ სამართლიანი ტრანზიცია, რომელიც სოციალური სამართლიანობის იდეით, ტრანზიციის პროცესში გაითვალისწინებს და ჩართავს მშრომელებს, პროფკავშირებს და ასე შემთხვევებს ალტერნატიულ პოლიტიკებს. ეს ყველაფერი, საბოლოოდ დაიყვანება პოლიტიკური ეკონომიკის კლასიკურ

შეკითხვამდე „თუ ვინ მოიგებს, ვინ წააგებს, როგორ და რატომ“ (Newell & Mulvaney, 2013 p.133).

ყველაფერი ეს განსაკუთრებით პრობლემურია იმ მიზეზითაც, რომ ისტორიულად, განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებს – გლობალურ სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის არსებობს განსხვავებული წარმოდგენები კლიმატის ცვლილების შესახებ პასუხისმგებლობების გადანაწილებისა და ვალდებულებების აღების მხრივ. ეს საკითხი კლიმატის ცვლილების საერთაშორისო მოლაპარაკებებზე ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს ხოლმე და მას „საერთო, მაგრამ ერთმანეთისგან განსხვავებული პასუხისმგებლობების“ (“Common but Differentiated Responsibilities“) სახელით მოიხსენიებენ. სწორედ ამ კონტექსტში, ტექსტის ავტორები ეყრდნობიან იმ თეორიულ ტრადიციას, რომელიც სამართლიანი ტრანზიციის კვლევისას აუცილებლად მიიჩნევს ლოკალურის ნაცვლად გლობალური პერსპექტივის აუცილებლობას და არსებული მსოფლიო რეალობის გათვალისწინებას. ეს იმიტომაც, რომ ადგილობრივად განხორციელებული ცვლილებების ეფექტი, ამ შემთხვევაში, როგორც წესი, საერთაშორისო დონეზე დგება.

ავტორები მხარს უჭერენ „სამართლიანი ტრანზიციის“ ისეთ კონცეპტუალურიზაციას, რომელიც გააერთიანებს კლიმატის, ენერჯო, და გარემოსდაცვითი სამართლიანობის სფეროებში შემუშავებულ სამართლიანობის პერსპექტივებს. ამ ინტერდისციპლინურ ქაოსში, გამოყოფენ სამართლებრივი გეოგრაფიის სფეროს, რომელიც დროითი და სივრცითი კატეგორიების გათვალისწინებით, აერთიანებს სამართლიანობის განსხვავებულ გაგებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „სამართლიანი ტრანზიციის“ კონცეფცია, თავისი შინაარსით ეწინააღმდეგება იმ გავრცელებულ დაშვებას, რომ თითქოს ერთდროულად შეუძლებელი იყოს, ერთის მხრივ, გარემოს დაცვისთვის ზომების მიღება, და მეორეს მხრივ, სამუშაო ადგილების შენარჩუნება. სამუშაო ადგილებსა და გარემოს დაცვას შორის მსგავს შეპირისპირებას, სამართლიანი ტრანზიციის ირგვლივ წარმოებულ პოლიტიკურ დებატებში ხშირად შეხვდებით. თუმცა სამართლიანი ტრანზიციის იდეა გულისხმობს, რომ უშუშევრობას გამოიწვევს არა გარემოს დაცვისკენ მიმართული კლიმატის პოლიტიკები, არამედ სოციალური პოლიტიკებისა და სახელმწიფო ინვესტიციების არარსებობა, შესაბამისად, ასეთი ტიპის

გარდაქმნა მოითხოვს სოციალური კეთილდღეობისა და ეკონომიკური ზრდის ცნებების გადახედვას და ისეთი ტიპის დასაქმების პოლიტიკის შექმნას, რომელიც ამ სფეროში დასაქმებულ მშრომელთა უფლებებს სოციალური სამართლიანობისა და დემოკრატიული მონაწილეობის კუთხით გაითვალისწინებს.

როგორც ავტორები მიუთითებენ, დღეისათვის მთავრობები ძირითადად ამ აუცილებელი ცვლილების აღსანიშნად იყენებენ ტერმინს – „დაბალნახშირბადიან ეკონომიკაზე გადასვლა.“ ტექსტის ავტორთა აზრით, კი ამგვარი ფორმულირება, გარდა იმისა, რომ შესაძლებლობას ტოვებს „გადასვლა“ ძალიან ნელა განხორციელდეს, ასევე ხელს უწყობს საზოგადოებაში არსებული მზარდი უთანასწორობების შენარჩუნებას, რომლებზეც სხვადასხვა ავტორები (Piketty 2015; Atkinson 2016; Stiglitz 2012;) ინტენსიურად წერენ. სამართლიანი ტრანზიციის კონცეფცია კი იმით გამოირჩევა, რომ ის თანამედროვე საზოგადოებებში არსებულ უთანასწორობებს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად აღიქვამს და მიზნად მის შემცირებას ისახავს. ეს ავტორებს შესაძლებლად მიაჩნიათ იმ ფონზე, როდესაც ტომას პიკეტიმ თავის კოლეგებთან ერთად, დაადასტურა კარბონ დიოქსიდის (CO₂) გამოყოფასა და საზოგადოებაში არსებულ უთანასწორობებს შორის კავშირის არსებობა (Chancel and Piketty, 2015).

ზემოთხსენებული თეორიული და პრაქტიკული დებატების ცენტრალური შეკითხვა ის გახლავთ, თუ განვითარების რა გზა, ანუ განვითარების რომელი პოლიტიკური იდეოლოგია უნდა უნდა აირჩიონ საზოგადოებებმა და როგორ უნდა იქნას ის გაჯერებული სოციალური სამართლიანობის იდეით. საქართველოს შემთხვევაში, ეს ერთ-ერთი ცენტრალური პოლიტიკური შეკითხვაა, რომელიც მნიშვნელოვანია, რომ ინფორმირებული და გააზრებული დისკუსიის ფონზე იქნეს შემუშავებული.

ბიბლიოგრაფია

- Atkinson, A. B. (2016). Inequality: what can be done?. *PRACTICE*, 40(2), 289-292.
- Chancel, L., & Piketty, T. (2015). Carbon and inequality: from Kyoto to Paris. *Paris School of Economics*, 1-4.
- Heffron, R. J., & McCauley, D. (2018). What is the 'just transition'?. *Geoforum*, 88, 74-77.
- Newell, P., & Mulvaney, D. (2013). The political economy of the 'just transition'. *The Geographical Journal*, 179(2), 132-140.
- Piketty, T. (2015). *The economics of inequality*. Harvard University Press.
- Stiglitz, J. E. (2012). *The price of inequality: How today's divided society endangers our future*. WW Norton & Company.

რა არის „სამართლიანი ტრანზიცია“?

ავტორი: რაფაელ ჰეფრონი

მთარგმნელი: თამარ გოგია

„სამართლიანი ტრანზიციის“ ცნება დღესდღეობით სამეცნიერო ლიტერატურაში უფრო და უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს. ამ კრიტიკულ მიმოხილვაში გაანალიზებულია როგორც ეს საკითხი, ისე მისი ურთიერთგადაკვეთა კლიმატურ, ენერგო- და გარემოსდაცვითი სამართლიანობის ლიტერატურასთან. ერთმანეთისგან იზოლირებულ კლიმატის, ენერგო და გარემოსდაცვით სამეცნიერო ჯგუფებში, დიდია აცდენა „ტრანზიციისა“ და „სამართლიანობის“ მნიშვნელობების გაგებასთან დაკავშირებით. ამ ცნებათა გაგება კი სწორედ „სამართლიანი ტრანზიციის“ კონცეფციის ფარგლებში უნდა მოხდეს. იმისათვის, რომ გაიზარდოს საზოგადოების ცნობიერება და მიმღებლობა სამართლიან ტრანზიციასთან მიმართებაში, ზემოთხსენებულმა კვლევითმა ჯგუფებმა განცალკევებულად კი არ უნდა იმუშაონ, არამედ უნდა გაერთიანდნენ.

რა არის „სამართლიანი ტრანზიცია“?

კლიმატის, ენერგო და გარემოსდაცვით (CEE)¹ სამეცნიერო ჯგუფებში ტრანზიციის სხვადასხვა რამეს ნიშნავს, ვინაიდან ყოველი მათგანი „სამართლიანობას“ სხვადასხვაგვარად განსაზღვრავს და მოიაზრებს. აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა, თუ როგორ უნდა დაუჭიროს მხარი საზოგადოებამ დაბალნახშირბადიან ეკონომიკაზე გადასვლას, ანუ „სამართლიანი ტრანზიციის“, როდესაც „სამართლიანობის“ მნიშვნელობის შესახებ არაერთგვაროვანი წარმოდგენები არსებობს? ამ სამ კვლევით სფეროს თავ-თავისი „სამართლიანობის სამეცნიერო მიმართულება“ აქვს – გარემოსდაცვითი სამართლიანობა (Capek, 1993; Walker and Buckeley, 2006),

1 აბრ. climate, energy, and environmental

კლიმატური სამართლიანობა (Caney, 2014) და ენერგო-სამართლიანობა (McCaughey et al., 2013). სამართლიანობის ეს სამი ფორმა ყველაზე მართივად შესაძლოა შემდეგნაირად განვმარტოთ: (1) კლიმატური სამართლიანობა დაინტერესებულია, კლიმატური ცვლილებების ხარჯზე მიღებული სარგებელი თუ შესაბამისი ვალდებულებები განაწილდეს ადამიანის უფლებათა პერსპექტივიდან; (2) ენერგო-სამართლიანობა ადამიანის უფლებების დაცვას ენერგო განვითარების ციკლის (დასაწყისიდან დასასრულამდე) პერსპექტივით აფასებს; ხოლო (3) გარემოსდაცვითი სამართლიანობა მიზნად ისახავს თავის მხრივ უზრუნველყოს ყოველი მოქალაქის თანაბარუფლებიანობა და მათი ჩართულობა გარემოსდაცვითი პოლიტიკის, კანონისა და რეგულაციების შემუშავებასა და აღსრულებაში. ამ პერსპექტივების გაერთიანებისათვის დღესდღეობით ძალიან ცოტა კვლევითი სამუშაოა ჩატარებული, ჩვენ კი შევიშუშავთ „სამართლიანი ტრანზიციის“ ცნება, რომელიც სამივე პერსპექტივას აერთიანებს.

ტრანზიციასთან დაკავშირებული ლიტერატურის კრიტიკული მიმოხილვისას ჩვენ ცხადვყოფთ, თუ როგორ აფერხებენ კლიმატის, ენერგო- და გარემოსდაცვითი სამართლიანობის მკვლევრები სამართლიანი ტრანზიციის ერთიანი გაგების დამკვიდრების მცდელობებს. დროისა და სივრცის გათვალისწინებით, საჭიროა იმის გაცნობიერება, თუ როდის უნდა დამკვიდრდეს სამართლიანობის კონცეფციები კლიმატის, ენერგო და გარემოსდაცვით სამეცნიერო კვლევებში. ჩვენ წამოვყენებთ მოსაზრებას, რომ სამართლებრივი გეოგრაფიის ახლადგანვითარებული სფერო სამართლიანობის კონცეფციისადმი ინტერდისციპლინური სამეცნიერო მიდგომის შესაძლებლობას იძლევა. ეს დარგი ითვალისწინებს სამართლიანობის როგორც დრო-სივრცით კატეგორიებს, ისე მის დამოკიდებულებას კლიმატის, ენერგო და გარემოსდაცვითი სფეროების მიმართ (მაგალითისათვის იხ. : Blacksell et al., 1986; Delaney, 2003; Blomley, 1994). საბოლოოდ კი, სამართლიანობის ამ სამმა ფორმამ საზოგადოებასთან უფრო ცხადი კავშირი უნდა დაამყაროს „სამართლიანი ტრანზიციის“ კონცეფციის საშუალებით. ეს კი წინ მიმავალი ბილიკია, რომლის გაკვალვასა და ჩვენებასაც ჩვენ შევცდებით.

რატომ გვჭირდება გაერთიანებული „სამართლიანი ტრანზიციის“ ცნება?

ბევრი მიზეზი არსებობს, თუ რა საჭიროა გაერთიანებული „სამართლიანი ტრანზიციის“ ცნება და ამ მიზეზთა მნიშვნელოვანი ნაწილი ქვემოთ დეტალურადაა განხილული. კლიმატის, ენერგო და გარემოსდაცვითი სფეროების კვლევისას მნიშვნელოვანია მსოფლიოს რეალობის გაცნობიერება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კვლევა საჭიროებს გლობალურ პერსპექტივას, ვინაიდან მხოლოდ ადგილობრივ დონეზე განხორციელებულ ქმედებებსაც კი აქვს როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო შედეგები. კლიმატის, ენერგო და გარემოსდაცვითი სფეროების კვლევისას ეს საკითხი ბოლოს ჯულიენ აგიმენტან (2014) გამოიკვეთა, იმის აღიარებით, რომ გარემოსდაცვითი სამართლიანობის მკვლევრებმა უნდა უზრუნველყონ თავიანთი კვლევითი სფეროს არამხოლოდ სამოქალაქო უფლებებზე დაფუძნებული ან ლოკალური ფოკუსი, არამედ მისი გლობალურობა და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებულობა. იგივე ეხება ენერგო-სამართლიანობის მკვლევრებსაც (Heffron and McCauley, 2017). ფორსაიმაც (2014) ამგვარადვე მოუწოდა კლიმატური სამართლიანობის მეცნიერებსაც, იქონიონ მეტად გლობალური პერსპექტივა.

დროისა და სივრცის განზომილებების გათვალისწინებით, მსოფლიოს სხვადასხვა ადგილში მოვლენები უკიდურესად დაჩქარებულია, რასაც ისიც მონშობს, რომ დღესდღეობით ძალიან ბევრი საზიანო მოვლენა იჩენს თავს. მაგალითად, 2016 წელს კლიმატურმა ცვლილებამ შვიდ შემთვევაში გადააჭარბა რეკორდულ მაჩვენებელს. „სამართლიანი ტრანზიციის“ მაშინაა სამართლიანი, როდესაც საზოგადოება კარბონ დიოქსიდის (CO₂) გამოყოფისგან თავისუფალ ეკონომიკაზე გადადის. სამართლიანობა ტრანზიციის უმნიშვნელოვანესი ელემენტია, ვინაიდან მთავრობები, კომპანიები, ინსტიტუტები და მკვლევრები ხშირად კი მსჭვლობენ „დაბალნახშირბადიან ეკონომიკაზე ტრანზიციის“ შესახებ, თუმცა მათ რიტორიკაში „სამართლიანობის“ ხსენებაც კი არ არის.

თუმცა ისიც დამტკიცებულია, რომ ნიაღისეული სანჯავიდან საზოგადოებრივი ტრანზიციის საკმაოდ რთული და შენელებული პროცესია. მაგალითად, 2016 წელს დიდ ბრიტანეთში სწორედ ნიაღისეული სანჯავი აკმაყოფილებდა პირველადი ენერჯის საჭიროებების 81.5%-ს, რაც 2015

წლის მაჩვენებელთან შედარებით მხოლოდ ნახევარი პროცენტითაა ნაკლები (Carbon Brief, 2017). ბრიტანეთის მიერ ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურაში ჩადებულ კაპიტალდაბანდებას და სხვა ქვეყნებისთვის გაწეულ დახმარებას თუ შევხედავთ, ამ სფეროში 2016 წელს 18.6 ბილიონი გირვანქა სტერლინგი (ქვეყნის მთლიანი კაპიტალდაბანდების 10.3%) ინვესტირდა. აქედან 34% დაბანდა ნავთობისა და გაზის მოპოვებაში, 54% – ელექტროენერგიაში, 11% – გაზში, დანარჩენი კი – კოკსისა და რაფინირებული ნავთობის ინდუსტრიასა და ნახშირის მოპოვებაში (BIES and UKSA, 2017). მაშინ როცა ელექტროენერგიაში კაპიტალდაბანდების წილი დეტალურად არ არის წარმოდგენილი და იმის გათვალისწინებითაც, რომ ამ სექტორის უმთავრეს ნაწილს (54%) წიაღისეული საწვავი წარმოადგენს (BIES and UKSA, 2017), შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზემოხსენებული კაპიტალდაბანდების ძირითადი ნაწილი სწორედ რომ წიაღისეულ საწვავზე მოდის. გარდა ამისა, ბრიტანეთის მიერ წიაღისეული საწვავის უწყვეტი მხარდაჭერის ნათელი მაგალითია მისივე საგარეო კაპიტალდაბანდების პოლიტიკა: განვითარებადი ქვეყნების დახმარების ფარგლებში წიაღისეული საწვავის პროგრამების წილი დაახლოებით ორჯერ აღემატება სხვა დანარჩენს (CAFOD, 2017).

გლობალურად თუ შევხედავთ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსებობს პრობლემები, რომლებიც გარდაუვალ ცვლილებებს საჭიროებს. მაგალითად, 2016 წელს კლიმატურმა ცვლილებამ შვიდ შემთვევაში გადააჭარბა რეკორდულ მაჩვენებელს: არქტიკული ყინულის დნობა; უწყვეტი ყველაზე ცხელი თვეები; ყველაზე ცხელი დღე ინდოეთში; ალასკაზე დაფიქსირებული ყველაზე მაღალი ტემპერატურა; კარბონ დიოქსიდის (CO₂) წლიური ზრდის უწყვეტი და ყველაზე დიდი მაჩვენებელი; ყველაზე ცხელი შემოდგომა ავსტრალიის ისტორიაში და დიდი ბარიერული რიფის დაზიანების უმაღლესი მაჩვენებელი (The Guardian, 2016). გარდა ამისა, ქვანახშირის ქარხნების მშენებლობა მზარდია, განსაკუთრებით, განვითარებად ქვეყნებში. გლობალურ ენერგეტიკულ სისტემაში წიაღისეული საწვავის მართლაც ჭარბი რესურსი არსებობს (Figueres et al., 2017). სწორედ ამიტომ, საერთაშორისო დონეზე უნდა მოხდეს აღიარება, რომ ტრანზიცია დაჩქარებული წესით უნდა განხორციელდეს, მიუხედავად იმისა, რომ ნორმაწელი ტრანზიციია (Figueres et al., 2017).

ტრანზიციის ერთ-ერთი პრობლემა კლიმატის, ენერგო და გარემოსდაცვითი სფეროების კვლევითი ფოკუსი და თავად ტრანზიციის ეკონომიკური პერსპექტივაა. ტრადიციულმა ეკონომიკამ საზოგადოებას ვერ მოუტანა დადებითი, „სამართლიანი“ შედეგები. მან მხოლოდ საზოგადოებრივ უთანასწორობას თუ შეუწყო ხელი. ტრადიციული ეკონომიკის ფარგლებში კი შენარჩუნებულია ის ნეოკლასიკური ფილოსოფიური სკოლა, რომელიც კვლავაც დომინირებს ეკონომიკური პოლიტიკის წარმოებაზე. ეს კი, თავის მხრივ, აისახება წიაღისეული საწვავის მკვლევრების მიერ ჩატარებულ კვლევებზე (Rist, 2016).

გემოქმულიდან გამომდინარე ისმის კითხვა, თუ რატომ არ გატარებულა მეტი რეფორმა ამ მიმართულებით? თუ რატომ ვერ გასცდა საზოგადოება ეკონომიკით ნაკარნახევ ტრანზიციას? პასუხთა ერთი ნაწილი სავსებით ცხადია: საზოგადოებისთვის, რომელიც ძალაუფლების მქონე ელიტების პრობლემის წინაშე დგას, რთულია ამგვარ რეფორმასთან შეჭიდება. მაგალითად, ფინანსური სისტემების რეფორმირების ჩავარდნამ 2007-2009 წლების პოსტ-კრიზისულ მოცემულობაში ცხადყო საზოგადოების მზაობა, შეეგუოს მიმდინარე მზარდ პოლიტიკურ წარუმატებლობას. კლიმატის, ენერგო და გარემოსდაცვითი პოლიტიკის მზარდი წარუმატებლობის შემთხვევაშიც შეგვიძლია ცხადი პარალელების გავლება, თუ რის მიმართ იქნება საზოგადოება მიმდებლური. ამის მაგალითია ბოლოდროინდელი საერთაშორისო დებატები და რიტორიკის ცვლილება, რომლის მიხედვითაც დღესდღეობით „გაზი“ კლასიფიცირდება, როგორც „უფრო სუფთა საწვავი“, ანდაც „ტრანზიციული საწვავი“ და ენერჯის დაბალნახშირბადიანი წყარო.

თუმცა, ტრადიციული ეკონომიკით ნაკარნახევი პოლიტიკის წარმოებისა და მკვლევართა ელიტური ჯგუფების ძალაუფლებრივი გავლენისდა მიუხედავად, ეს გამოწვევები გადალახვადია. უნდა გაცნობიერდეს, რომ ეს ორი ჯგუფი დღემდე წარმატებულად ახერხებს თავიანთი კვლევების სიცხადისა და გამჭვირვალობის შესახებ შექმნილი წარმოდგენის შენარჩუნებას, რაც, თავის მხრივ, ზრდის მათი ნაშრომებისადმი მიმდებლობას და მათ გაგებას საზოგადოების მხრიდან. კლიმატის, ენერგო და გარემოსდაცვით კვლევით სფეროებში ჩართული განსხვავებული ჯგუფების უმრავლესობა, რომელთაც დაბალნახშირბადიანი ეკონომიკისკენ სწრაფვის საერთო მიზანი ამოძრავებთ, სამწუხაროდ, თავ-თავიანთ ცნებებს განცალკევებულ კონსტრუქციებად განიხილავს, იმის მიუხედავად, რომ დრო

და სივრცე მუდმივი ევოლუციის პროცესშია. და მართლაც, დროა მეტი მივუშაოთ იმისათვის, რომ კლიმატის, ენერგო და გარემოსდაცვით სფეროებში სამართლიანობაზე ორიენტირებული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ გაერთიანებული პერსპექტივა შევქმნათ. ეს კი სწორედაც რომ „სამართლიანი ტრანზიციის“ კონცეფციით არის მიღწევადი.

კლიმატის, ენერგო- და გარემოსდაცვითი სამართლიანობის გაერთიანება „სამართლიანი ტრანზიციის“ კონცეფციის ქვეშ

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კლიმატის, ენერგო და გარემოსდაცვით სფეროებს სამართლიანობის თავ-თავიანთი ფორმები აქვთ. ყოველი კონცეფცია თავიანთივე სფეროს მკვლევრების მიერ საყოველთაოდ აღიარებულია, თუმცა დღესდღეობით სამართლიანობის ამ სამი ფორმის დაკავშირების კუთხით მცირედი კვლევითი სამუშაოა შესრულებული. სამართლიანი ტრანზიციის მიდგომა ტრანზიციის პროცესში თავს უყრის ყველა ტიპის წარმომადგენელს. ეს სტატია იცავს იმ მოსაზრებას, რომ სამართლიანი ტრანზიციის კონცეფცია უზრუნველყოფს მეტად ინკლუზიურ მიდგომას და კლიმატის, ენერგო და გარემოსდაცვით სფეროებს სისტემური და სტრუქტურული სახით გაერთიანებას. მეტიც, სამართლიანი ტრანზიციის არის კონცეფცია, რომელშიც ნებისმიერ წარმომადგენელს შეუძლია მონაწილეობის მიღება, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი გათვითცნობიერებულნი სამივე (კლიმატის, ენერგო- და გარემოსდაცვითი) სამართლიანობის ფორმებში.

საჭიროა სამართლიანი ტრანზიციის შესახებ დებატები, დისკუსიები, მისი კვლევა და ამოქმედება. მსოფლიოს მასშტაბით მთავრობები იყენებენ ტერმინს „დაბალნახშირბადიან ეკონომიკაზე ტრანზიციის“ (ან მსგავსი გავლენის მქონე სიტყვებს). ეს ტერმინი პოპულარიზებულია სტატუს-კვოს მიერ ე.ი. საზოგადოებაში დომინანტური პოზიციის მქონეთა მიერ. ეს იმიტომაც ხდება, რომ „დაბალნახშირბადიან ეკონომიკაზე ტრანზიციის“ ახლაც და მომავალშიც მხოლოდ შენელებული ტრანზიციის შესაძლებლობას იძლევა და მხოლოდ ისეთი ფორმით, რომელიც სტატუს-კვოს შეუწყობს ხელს. შედეგად კი გამოიწვევს საზოგადოებაში არსებული უთანასწორობის შენარჩუნებას.

„სამართლიანი ტრანზიციის“ სარგებელი მის მიზანში მდგომარეობს, შეამციროს უთანასწორობა თანამედროვე საზოგადოებაში, რასაც აღწევს კლიმატის, ენერგო და გარემოსდაცვით სფეროებში სამართლიანობის კონცეფციის დამკვიდრების საშუალებით. საზოგადოებრივი უთანასწორობა მზარდია მთელი მსოფლიოს მასშტაბით და დღესდღეობით სხვადასხვა დისციპლინისათვის სწორედ ეს არის მთავარი კვლევითი გამოწვევა (see: Stiglitz, 2012; Piketty, 2015; Scheidel, 2017; Atkinson, 2015). რამდენადაც უთანასწორობა საზოგადოებებში დღემდე მზარდია, მისი გამოსწორების მიზნით გატარებული პოლიტიკური რეფორმები პოლიტიკის წარუმატებლობის ცხადი მაგალითია. სამართლიანი ტრანზიციამდე დაფუძნებულ მეცნიერებას შეუძლია პოლიტიკის ამ წარუმატებლობის გამოსწორება და სამეცნიერო წვლილის შეტანა უთანასწორობის შემცირების საქმეში. ამის სანიმუშო მაგალითია წამყვანი ეკონომისტი ტომას პიკეტი, რომელმაც მკვლევართა ჯგუფთან ერთად გამოააშკარაა, რომ არსებობს კავშირი კარბონ დიოქსიდის (CO₂) გამოყოფის ზრდასა და საზოგადოებრივ უთანასწორობას შორის (Chancel and Piketty, 2015).

„უთანასწორობის“ დაძლევის საკითხი საჭიროებს, რომ სამართლიანობის სამივე სფერომ მიაღწიოს საბოლოო აშკარა შედეგებს. ამ სფეროებს უნდა ჰქონდეთ საზოგადოების მეტად ნორმატიული და ჰოლისტური აღქმა და სამართლიანი ტრანზიციის საქმეში თავიანთი კონტრიბუციასთან დაკავშირებული გეგმა. კლიმატის, ენერგო და გარემოსდაცვითი სამართლიანობის სფეროების წარმატებულობის საკითხი ღიაა დებატებისთვის და, შესაბამისად, უნდა დავსვათ კითხვა – რა მიღწევები აქვთ მათ დღემდე? საზოგადოების უწყვეტ პრობლემებს თუ გავითვალისწინებთ, შეგვიძლია დავასაბუთოთ, რომ ამ სამ სფეროს სამართლიანობის ხელშეწყობის მხრივ დღეისათვის საკმაოდ ლიმიტირებული მიღწევები აქვს. კლიმატის, ენერგო და გარემოსდაცვით სფეროებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი უთანასწორობა და მოვლენათა საზიანო შედეგები დღემდე პრობლემაა მთელი მსოფლიოს მასშტაბით, როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში.

ამ სტატიაში წამოყენებულია მოსაზრება, რომ კლიმატური, ენერგო- და გარემოსდაცვითი სამართლიანობის კვლევით ჯგუფებს მეტი გავლენა ექნებათ, თუ გაერთიანებულ მიდგომებს გამოიყენებენ. ხშირ შემთხვევაში ამ პერსპექტივის მქონე ჯგუფები ნაკლებად ამახვილებენ ყურადღე-

ბას უთანასწორობისა და უსამართლობის გამომწვევ საფუძველმდებარე მიზეზებზე. კერძოდ, ეს ცხადად ჩანს კლიმატური და გარემოსდაცვითი სამართლიანობის მაგალითზე. ამ სფეროებში ძირითადი ყურადღება ეთმობა ადაპტაციას. მაგალითად, როდესაც „ცუდი მოვლენა“ იჩენს თავს, მხოლოდ ამის შემდეგ მსჭვლობენ პრობლემის გადაჭრის გზებზე, თუ როგორ უნდა შეამცირონ ზიანი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ენერგო-სამართლიანობის სფეროში მოღვაწე მკვლევართა ნაწილისთვის მაინცაა მნიშვნელოვანი უსამართლობისა და უთანასწორობის პრობლემის მოგვარება მანამ, სანამ გარკვეული შემთხვევა იჩენს თავს.

საბოლოო ჯამში, კლიმატური, ენერგო- და გარემოსდაცვითი სამართლიანობის სფეროები უფრო მეტად უნდა დაინტერესდნენ ისეთი „მოვლენით“, რომელიც კვლევის მიზეზი ან ობიექტია. ცალკეული მოვლენისა თუ მოვლენათა რიგის კვლევის დროს კი მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს დროსა და ადგილმდებარეობას. მაგალითად, დროის მხრივ საკვლევი საკითხებია ცვლილებათა „ფაზები“ და ტრანზიციის „მოვლენათა ქრონოლოგია“. ადგილმდებარეობის მხრივ კი მნიშვნელოვანია, თუ სად იჩინა თავი ამ მოვლენებმა და რა ადგილებში გამოვლინდა უთანასწორობა და უსამართლობა.

„მოვლენათა“ ანალიზის სხვადასხვა ეტაპზე კლიმატური, ენერგო- და გარემოსდაცვითი სამართლიანობის სხვადასხვა ფორმაა რელევანტური. თუმცა ამასთან ერთად, მეცნიერები უმთავრესად უნდა დაინტერესდნენ მოვლენათა უფრო ჰოლისტური ანალიზითა და მისი წვლილით სამართლიანი ტრანზიციის საკითხებში. ამგვარი მიდგომის თანმიმდევრობა პირველ დიაგრამაზეა წარმოდგენილი (დიაგრამა #1). მაგალითად, ენერგო-სამართლიანობის საჭიროება დგება მოვლენამდე ან მისი უშუალო მიმდინარეობისას და, შესაბამისად, ფოკუსი მოკლევადიანია. ამ შემთხვევაში, მთავარი მიზანია, შეიცვალოს გადაწყვეტილება იმის მიუხედავად, იჩენს თუ არა რაიმე შემთხვევა თავს კონკრეტულ ენერგო ინფრასტრუქტურულ ტერიტორიაზე. ეს დიაგრამა მხოლოდ მაგალითია, თუმცა თვალსაჩინოს ხდის, რომ კლიმატური, ენერგო- და გარემოსდაცვითი სამართლიანობის განსხვავებული ფორმები ტრადიციულად იქცნენ რელევანტურებად „მოვლენათა“ განვითარების სხვადასხვა ეტაპისათვის. სამართლიან ტრანზიციას კი შეუძლია მეტად გაერთიანებული და სრულყოფილი პერსპექტივის შექმნა და სამივე ფორმის თანადროული გაერთიანება.

სამართლებრივი გეოგრაფიის პრაქტიკული გამოყენება

სამართლიანი ტრანზიციის საკითხების კვლევაში, აკადემიური ლიტერატურის თვალსაზრისით, ძირითადად ორი სფეროა ჩართული – სამართალი და გეოგრაფია. თუმცა, ის უფრო და უფრო მეტად ხდება ინტერდისციპლინური კვლევის სფერო. სამართალი დაინტერესებულია „სამართლიანობის“ კონცეფციით, ხოლო გეოგრაფია ფოკუსირდება იმაზე, თუ სად და როდის ვლინდება უსამართლობის შედეგები. ორივე დისციპლინა ტრანზიციის კვლევების მთავარი კონტრიბუტორია. ინტერდისციპლინური კვლევისას მნიშვნელოვანია დისციპლინებს შორის კავშირის დამყარება. სამართალსა და გეოგრაფიას შორის უკვე დამყარებულია ურთიერთკავშირი ახლადგანვითარებული დარგის, „სამართლებრივი გეოგრაფიის“, საშუალებით.

დიაგრამა 1. მოვლენათა ანალიზი. კლიმატის, ენერგო- და გარემოსდაცვითი სამართლიანობის გამოყენება. წყარო: შემუშავებულია ავტორების მიერ (2017)

მოვლენათა ქრონოლოგია		
(1) თავს იჩენს გეგმიური მოვლენა	(2) ვლინდება ზიანი	(3) სამომავლო ზემოქმედება (რომელიც შორეულია)
სამართლიანობის კვლევის ტიპი		
(1) ენერგო-სამართლიანობა	(2) გარემოსდაცვითი სამართლიანობა	(3) კლიმატური სამართლიანობა
მოვლენის დრო და ზემოქმედება		
(1) მოკლევადიანი	(2) საშუალოვადიანი	(3) გრძელვადიანი
სივრცე (მაგ. ადგილმდებარეობა)		
(1) ადგილობრივი	(2) ეროვნული	(3) საერთაშორისო
* ყოველ მოვლენას ეყენება ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო ელემენტი, თუმცა საზოგადოება უფრო მეტად იჩენს ურთიერთქმედებაში ისეთ მოვლენებთან, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოების სამართლიან ტრანზიციასთან დაბალნაზშირბადიან ეკონომიკაზე, რამდენადაც ეს დიდწილად მოახდენს გავლენას მათ შემოსავალსა და კეთილდღეობაზე.		
დიაგრამის განმარტება: ყოველი #1 დაკავშირებულია ერთმანეთთან, ისევე როგორც ყოველი #2 და #3.		

სამართლებრივი გეოგრაფია უზრუნველყოფს გამოსადეგ მიდგომას სამართლიანი ტრანზიციის კვლევისათვის. სამართლებრივი გეოგრაფიის კვლევის სამიზნეა ადამიანები, სივრცე, დრო და კანონმდებლობა (Blacksell et al., 1986; Delaney, 2003; Blomley, 1994). ამ სფეროში კვლევები 1980-იანი წლებიდან დაიწყო და დღესდღეობით ის ხელახლა ცოცხლდება და ვითარდება. ეს ასეც უნდა მომხდარიყო კლიმატის, ენერგო და გარემოსდაცვითი სადავო საკითხებისა და, შესაბამისად, სამართლიანი ტრანზიციის აქტუალობის გამო.

მიზეზი იმისა, თუ რატომ უნდა დავიწყოთ ახალ და მეტად ფორმალისტულ აზროვნების მიმართულებაზე (მაგ. სამართლებრივ გეოგრაფიაზე) ფიქრი არის ის, რომ კლიმატის, ენერგო და გარემოსდაცვითი სფეროების მნიშვნელოვან კვლევით ლიტერატურაშიც კი არ არის მსჯელობა „სამართლიანობის“ სამართლებრივ კონტექსტზე. ხშირ შემთხვევაში, კლიმატურ, ენერგო- და გარემოსდაცვითი სამართლიანობის კვლევებში გაურკვეველია: (1) რა სახის მართლმსაჯულებაა საჭირო ან / და მოსალოდნელი; და (2) როგორ მოხდება მისი აღსრულება ან / და გამოყენება. კანონი სისტემის ფარგლებში მუშაობს და, მაგალითად, აღდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკაში გამოყენების გარეშე სიკეთეების სამართლიანი გადანაწილების ხელშეწყობი მართლმსაჯულება სასურველ შედეგებს ვერ გამოიღებს. დიდი ხანია ცხადია, რომ მკვლევრებმა მართლმსაჯულების განსხვავებული ფორმების მისადაგება ამჟობინეს კლიმატის, ენერგო და გარემოსდაცვითი სფეროებისთვის, რათა თავად არ შეემუშავებინათ გეგმა, თუ როგორაა შესაძლებელი არსებულ რეალობაში სამართლიანობის მიღწევა. ამგვარ კრიტიკას სხვა მკვლევრებთანაც ვხვდებით (Jamal and Hales, 2016).

ამაჲ ქვემოთ მოყვანილი მაგალითიც მოწმობს. უნდა გავიხსენოთ, რომ გარემოსდაცვითი სამართლიანობის საწყისები აშშ-ში წამოწყებული სოციალური პროტესტიდან მოდის (Agyeman, 2014). მიიჩნეოდა, რომ სამართლიანობა დამკვიდრდებოდა იმ შემთხვევაში, თუ საპროტესტო ჯგუფები წარმატებას მიაღწევდნენ. ამისათვის კი ყველანაირი ძალით ცდილობდნენ სამართლებრივი ან / და პოლიტიკური ცვლილებისთვის მიეღწიათ, რამაც შედეგი გამოიღო. უნდა დავუბრუნდეთ ამ ცხად მოსაზრებებს სამართლიან ტრანზიციასთან დაკავშირებით. მეტი შედეგებია საჭირო, მა-

გალითად, როგორცაა ბრიტანეთში სამართლიან ტრანზიციასთან დაკავშირებული ორი უახლესი მიღწევა: 2025 წლამდე თანდათან შეწყდება ქვანახშირის ქარხნების, ხოლო 2040 წლისთვის კი – დიზელზე მომუშავე მანქანების გამოყენება. ორივე დადებითი შედეგია დიდი ბრიტანეთის სამართლიანი ტრანზიციისათვის. შედარებისთვის კი, სამართლიანი ტრანზიციისთან დაკავშირებული უარყოფითი შედეგებია: (1) 2017 წელს ბრიტანეთის თემთა პალატამ განაცხადა, რომ ელექტრულ ტევადობებზე აუქციონი ტექნოლოგიური თვალსაზრისით ნეიტრალური უნდა იყოს. ეს კი წიაღისეული სანჯავის სასიკეთოდ იმუშავებს, რომელიც კონკურენციაში ნაკლები ფასით შემოდის; და (2) როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბრიტანეთი წიაღისეულ სანჯავს საგარეო დახმარების სახელით უჭერს მხარს.

გაერთიანებული სამეფოს ზემოხსენებული მაგალითები ცხადყოფს პოლიტიკის მხრივ აშკარა დისბალანსს სამართლიანი ტრანზიციის საკითხებში. სამართლებრივი გეოგრაფიის სქემის უპირატესობა ის არის, რომ ის მკვლევარს პრობლემების იდენტიფიცირების, კვლევის ჩატარებისა და პოლიტიკაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას აძლევს. სქემა #2 აღწერს სამართლებრივი გეოგრაფიის პერსპექტივას სამართლიან ტრანზიციასთან მიმართებით. მოცემული მონახაზი საკმაოდ მარტივია, ეს არის „სამართლიანობის“ სქემა. ის ეფუძნება სამართალსა და გეოგრაფიას და, ამასთან ერთად, კლიმატური, ენერგო- და გარემოსდაცვითი სამართლიანობის პრინციპებს. ქვემოთ წარმოდგენილ სქემაში ხსენებული სამართლიანობის სახეები უმრავლესობისთვის ნაცნობია. ისინი მოცემულ ტექსტშიც არის ახსნილი. სამომავლო კვლევა მათ უფრო დეტალურად განსაზღვრავს, როდესაც ისინი უშუალოდ სამართლიან ტრანზიციას დაუკავშირდებიან.

სამართლიანი ტრანზიციის სამომავლო განვითარებისათვის გადასადგმელი ნაბიჯები

კლიმატური, ენერგო- და გარემოსდაცვითი სამართლიანობისა და სამართლიანი ტრანზიციის ევოლუციაზე ფიქრისას, ცხადი ხდება, რომ საჭიროა გარკვეულ ქმედებებს გაზომვადი შედეგები მოჰყვეს. სამართლიანობის ამ ფორმათა უმეტესობის საზომი რაოდენობრივად გაზომილი არ არის. თუმცა

მათი შეფასება შესაძლებელია იმის მიხედვით, გამოიწვევს თუ არა ეს ქმედებები პირდაპირ ცვლილებას საკანონმდებლო სივრცესა და / ან პოლიტიკაში; ან უფრო მარტივად, იმის მიხედვით, თუ რა საკითხში მოხდა ადრინდელი გადაწყვეტილების უარყოფა ან გამოსწორება. დროთა განმავლობაში მეცნიერებმა თანდათან დაიწყეს მუშაობა სამართლიანობის საკითხებზე თავიანთ კვლევებში, თუმცა სამართლიანი ტრანზიციის ფართომასშტაბიანი მიზნისათვის ეს სამეცნიერო სამუშაო არასაკმარისია. სამართლიანი ტრანზიციის საერთო საზოგადოებრივი მიზანია. შესაბამისად, კლიმატის, ენერჯო და გარემოსდაცვით სფეროებში მოღვაწე მეცნიერთა ჯგუფებმა ერთად უნდა იფიქრონ და სამართლიანი ტრანზიციის საერთო მიზნად დაისახონ.

ამის უზრუნველსაყოფად აუცილებელია უფრო მეტად გაერთიანებული სტრუქტურული გეგმა კლიმატური, ენერჯო- და გარემოსდაცვით სამართლიანობის საკითხებში. საჭიროა იმის უზრუნველყოფა, რომ სამართლიანი ტრანზიციის შესახებ დებატები და მათი გავლენა პოლიტიკის წარმოებაზე არ გადაიქცევა კიდევ ერთ რიგით პოლიტიკად, რომელსაც ტრადიციული ეკონომიკური აზროვნება „დაამახინჯებს“. საზოგადოებრივი მიმდებლობა და გათვინობიერებულობა სამართლიანი ტრანზიციისათან დაკავშირებით უმნიშვნელოვანესია იმის უზრუნველსაყოფად, რომ საზოგადოებამაც დაუჭიროს მხარი და იმოქმედოს ამგვარი სამართლიანობის მისაღწევად. სამართლიანი ტრანზიციის კონცეფციას კი, რომელიც აერთიანებს კლიმატის, ენერჯო და გარემოსდაცვით სფეროებს, თავის მხრივ შეუძლია მნიშვნელოვნად გაზარდოს საზოგადოებრივი მიმდებლობა და გაცნობიერებულობა.

საზოგადოებისთვის დრო აღარ იცდის და მოცემულ პირობებში, როდესაც საზოგადოებრივი პრობლემათა უმეტესობა კლიმატის, ენერჯო და გარემოსდაცვით სექტორებს უკავშირდება, აუცილებელია დაჩქარებული სამართლიანი ტრანზიციის დასაწყისი. უნდა დაისვას კითხვა, თუ რას მიაღწია დღემდე კლიმატის, ენერჯო- და გარემოსდაცვითი სამართლიანობის ფორმებმა? ენერჯო-სამართლიანობა ახალი კონცეფციაა. ეს კი საკმაოდ უცნაურია, იმის გათვალისწინებით, რომ სწორედ ენერჯეტიკის სექტორია უმთავრესად პასუხისმგებელი კარბონ დიოქსიდის (CO₂) გამოყოფაზე, რაც არის კიდევ კლიმატური და გარემოსდაცვითი სამართლიანობის სამეცნიერო სფეროების მთავარი ფოკუსი. მეტიც, ეკონომიკის არაერთი სექტორი მჭიდროდაა დაკავშირებული ენერჯის ისეთ წყაროებთან, როგორიცაა ტრანსპორტი, ინდუსტრია და ადამიანუ-

რი ენერჯიაც კი (საკვებისაგან მიღებული ენერჯია, რომელიც მოგვეწოდება ენერგო-ინტენსიური სასოფლო სამეურნეო სექტორისაგან). ენერგო სექტორში სამართლიანობის გათვალისწინება აშკარად მივიწყებული საკითხია. დიდი ენერგეტიკული კომპანიებისა და ეკონომიკის დომინანტურობა შესაძლოა ხსნიდეს, თუ რატომ არ დასმულა ეს საკითხი აქამდე (ენერგო-სამართლიანობის განვითარებასთან დაკავშირებული ბოლოდროინდელი ანგარიშის გასაცნობად იხ. Heffron and McCauley (2017)). სამართლიანი ტრანზიციის შეუძლია ამ საკითხების ახსნა და კლიმატური, ენერგო- და გარემოსდაცვით სამართლიანობის მეცნიერებეთა გაერთიანება.

სქემა #2.

სამართლებრივი გეოგრაფიის „სამართლიანობის“ სქემა სამართლიანი ტრანზიციისათვის.

სამართლიანობა	სამართლიანობა 3 სახით ვლინდება:
	გადანაწილებითი
	პროცედურული
	რეკონსტრუქციული
საყოველთაოობა	საყოველთაოობა სამართლიანობის 2 უნივერსალურ ფორმას იღებს:
	ცნობა / აღიარება კოსმოპოლიტიზმი
სივრცე	სივრცე მოიცავს ადგილმდებარეობას. სად ხდება „მოვლენა“? (ზოგადად, ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე)
დრო	დრო გულისხმობს ტრანზიციის ქრონოლოგიას (მაგ. 2030, 20150, 2080 და ა.შ.) და ენერგო-ტრანზიციის „სიჩქარეს“ (მაგ. საკმარისად სწრაფად ხდება ტრანზიცია?)

წყარო: აგებულია ავტორების მიერ (2017).

აქ წამოყენებულია მოსაზრება, რომ სამართლებრივი გეოგრაფია აერთიანებს სამართლიანი ტრანზიციის სქემის ორ საკვანძო დისციპლინას. ამიტომაც მას შეუძლია ბევრად რეალისტური კვლევითი დასკვნებისა და, შესაბამისად, მეტად მიღწევადი კანონმდებლობისა თუ პოლიტიკის შემუშავება. სამართლიანი ტრანზიციის კვლევითმა სფერომ მაგალითი უნდა აიღოს კლიმატის, ენერგო და გარემოსდაცვითი კვლევების შეზღუდვებიდან და მეტად უნდა ორიენტირდეს შედეგებზე, რამდენადაც ტრანზიციის სიჩქარე და ტემპი გლობალურ დონეზე უმთავრესი საზრუნავი (Figueres et al., 2017).

კლიმატური, ენერგო- და გარემოსდაცვითი სამართლიანობის გაერთიანების მთავარი უპირატესობა იქნება ის წვლილი, რომელსაც მათი ერთიანობა შეიტანს საზოგადოებაში არსებული უთანასწორობისა და უსამართლობის შემცირებაში, ვინაიდან სწორედ ამ სამ სფეროსთანაა დაკავშირებული საზოგადოების ზემოხსენებული პრობლემები. მათი გაერთიანების მიზანი კი სამართლიანი საზოგადოებრივი ტრანზიციის მიღწევაა. სამართალსა და გეოგრაფიას აქვთ უთანასწორობის და უსამართლობის კვლევის დიდი ისტორია და გამოცდილება. ამიტომაც დროა უზრუნველვყოთ მათი ჩართულობა კლიმატის, ენერგო და გარემოსდაცვითი საკითხების დებატებსა და ტრადიციული ეკონომიკური აზროვნების დომინანტურობის შემცირების საქმეში. ამ სამი სექტორისა და მათივე პოლიტიკის სტატუს-კვო გამოწვევის წინაშე უნდა დადგეს კვლევისა და პრაქტიკის საშუალებით. კლიმატური, ენერგო- და გარემოსდაცვითი სამართლიანობის მკვლევრებმა უნდა შეიმუშაონ უფრო ფართომასშტაბიანი – სამართლიანი ტრანზიციის – ხედვა, თავიანთი საქმიანობის შესაძლო შედეგები კი დაბალნახშირბადიან ეკონომიკაზე სამართლიან ტრანზიციას დაუკავშირონ.

ბიბლიოგრაფია

- Atkinson, A.B., 2015. *Inequality: What can be Done?* Harvard University Press, MA, US.
- Agyeman, J., 2014. Global environmental justice or Le droit au monde? *Geoforum* 54 (July), 236–238.
- Blacksell, M., Watkins, C., Economides, K., 1986. Human geography and law: a case of separate development in social science. *Prog. Hum. Geogr.* 10 (3), 371–396.
- Blomley, N.K., 1994. *Law, Space, and the Geographies of Power*. Guilford Press, New York, US.
- CAFOD, 2017. *UK Support for Energy in Developing Countries*.
- Caney, S., 2014. Two kinds of climate justice: avoiding harm and sharing burdens. *J. Polit. Philos.* 22 (2), 125–149.
- Capek, S., 1993. The „Environmental Justice“ frame: a conceptual discussion and an application. *Soc. Problems* 40 (1), 5–24.
- Carbon Brief, 2017. Six charts show UK’s progress on low-carbon energy slowing down (31 July 2017).
- Chancel, L., Piketty, T., 2015. *Carbon and Inequality: From Kyoto to Paris*. Paris School of Economics (November 2015).
- Delaney, D., 2003. Beyond the word: law as a thing of this world. In: Holder, J., Harrison, C.E. (Eds.), *Law and Geography*. OUP, Oxford, UK, pp. 67–84.
- Department of Business, Energy & Industrial Strategy (BIS)/United Kingdom Statistics Authority (UKSA), 2017. UK
- Figueres, C., et al., 2017. Three years to safeguard our climate. *Nature* 546 (7660), 593–595 (29 June 2017).
- Forsyth, T., 2014. Climate justice is not just Ice. *Geoforum* 54 (July), 230–232.
- Heffron, R.J., McCauley, D., 2017. The concept of energy justice across the disciplines. *Energy Policy* 105, 658–667.
- Jamal, T., Hales, R., 2016. Performative justice: new directions in environmental and social justice. *Geoforum* 76 (November), 176–180.
- McCauley, D., Heffron, R.J., Stephan, H., Jenkins, K., 2013. Advancing Energy Justice: The triumvirate of tenets. *Int. Energy Law Rev.* 32 (3), 107–110.
- Piketty, T., 2015. *The Economics of Inequality* (translated by Goldhammer, A.). Belknap Press of Harvard University Press, MA, US.
- Rist, G., 2016. (Translated by Camalier, P). *The History of Development: From Western Origins to Global Faith*, fourth ed. Zed Books, London, UK.

Scheidel, W., 2017. *The Great Leveler*. Princeton University Press, NJ, US.

Stiglitz, J.E., 2012. *The Price of Inequality*. Penguin Books, London, UK.

The Guardian, 2016. Seven climate records set so far in 2016. (17 June 2016 – Adam Vaughan).

Walker, G., Buckeley, H., 2006. Geographies of environmental justice. *Geoforum* 37 (5), 655–659.

